



685  
1957

# პ რ ე მ უ ლ ი

ქართული ლიტერატურისა, ისტორიისა და  
ხელოვნების ენციკლოპედიური ოცგანო

წ ი ზ ნ ი პ ი რ ვ ე ლ ი

172



ნ ი უ ი ო ლ ა კ ი

1 9 5 7

8695  
8695  
5698

# KREBULY

## SYMPOSIUM

of

GEORGIAN LITERATURE, HISTORY AND ART  
PUBLISHED ANNUALLY IN GEORGIAN LANGUAGE

First Book  
New York  
1 9 5 7

*Editor and publisher:*  
Dr. G. A. KOBASHIDSE  
601 West 151 Street  
New York 31, N. Y.

ექიმი გივი კობახიძე  
რედაქტორი და გამომცემელი

გარეკანის პირველ გვერდზე: ნიკოლავშინიძის  
ტაძარი, აგებული სრულიად საქართველოს მეფის,  
ბაგრატ მეხამის მიერ 1010-1014 წლებში.

შ ი ნ ა ა რ ს ი


წინასიტყვაობა: .....	5
გიორგი გამყრელიძე: ლექსები .....	8
გორდა მახვილაძე: 50 წელი ილიას გარდაცვალებიდან .....	11
გიორგი გამყრელიძე: ილიას 50 წლის დაღუპვის თავეზე, ლექსი მისივე: შოთას „ეფესოს ტეაოსანზე“ და მის მკვლევარებზე, ლი- ტერატურული ნარკვევი .....	17
ლადო ბელიაშვილი: შერკბლის სიკვდილი, თეთრი ლექსი .....	19
გივი შათრელი: რატუნელი პეიზაჟი, ლექსი .....	32
გრაგოდ დიასამიძე: ჩემი მოგონება .....	34
ვალაკტიონ ტახაძე კებათა კება ნიკორწმინდას, ლექსი .....	36
გივი კობახიძე: მიხეილ წერეთლის ნაამბობი, ჩანაწერი .....	52
ოსებ გრიშაშვილი: ლექსები .....	55
გრაგოდ აბაშიძე: უღუ დაეთოს დაბრუნება, ლექსი .....	73
თამარ და აკაკი პაპიაძე: მისკოვის ქართული ემიგრაცია და ბატონიშვილი დარეჯან, ნარკვევი .....	74
ნიკოლოზ ნადირაძე: ლექსები .....	76
გიორგი კერესელიძე: გრაგოდ ორბელიანი .....	87
გ. მახვილაძე: მხატვარი ლადო სააკაძე .....	90
რევაზ ვახაშვილი: ქართული მოფხმის წელიწადი მსოფლიო ცი- ვილიზაციაში, ნარკვევი .....	116
ირაკლი იოხმეზური: შოთა რუსთაველისა და მისი პოემის გარ- შემო, ნარკვევი .....	120
გივი კობახიძე: ახალი დოკუმენტები დიასამიძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის, ნარკვევი .....	138
მისივე: ხრესალის ომი, ნარკვევი .....	149
გივი შათრელი: ა კ ა ც ი ს მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში .....	163
ალექსანდრე მანველიშვილი: გიორგი მერაბლუე, ქართული მწე- რალი მეათე საუკუნისა, შრომა პ. ინგოროვესა, კრიტიკუ- ლი მიმოხილვა .....	192
გ. მახვილაძე: დ. მ. ლენგა და მისი ცვლევ-ძებნანი საქართვე- ლოს ისტორიაში, მიმოხილვა .....	209
მისივე: მიქელ თარხნიშვილას ღვაწლი .....	219
	223

## CONTENTS

Preface .....	3
George Gamkrelidse: Poems .....	8
Gorda Mahviladse: On the 50th anniversary of Ilya Chavchavadse's death .....	11
George Gamkrelidse: In Commemoration of the 50th anniversary of Ilya Chavchavadse's death — poem .....	17
George Gamkrelidse: The Research of Shota Rustaveli's epic poem "The Man in the Tiger Skin" — a literary sketch .....	19
Lado Beliaashvili: Death of the Swallow — blank verse .....	32
Givi Shaorely: A Ratchan Landscape — Verse .....	34
Grigol Diasamidse: My Remembrances .....	36
Galaktion Tabidse: An Ode to Odes for Nikortaminda .....	32
Givi Kobahidse: A Tale by Mikheil Tsereteli .....	55
Josef Grishashvili: Poems .....	73
Grigol Abashidse: The Return of Ulu David — verse .....	74
Tamar and Akaky Papava: The Georgian Colony in Moscow and Princess Darejan — a historical sketch .....	76
Nicholas Nadiradse: Poems .....	87
George Kereselidse: Grigol Orbeliani — a literary sketch .....	90
G. Mahviladse: Lado Sankadse as an artist .....	116
Revaz Gabashvili: Georgian Contributions to ancient civilization — a historical sketch .....	120
Irakli Otumezuri: Shota Rustaveli's poem — a literary sketch ..	138
Givi Kobahidse: New documents on the history of the Diasamidse family lineage — historical sketch .....	149
Givi Kobahidse: The Battle of Khresily — historical sketch ....	163
Givi Shaoreli: Akaky Tsereteli's travels in Rascha and Letchumy (on the occasion of the 45th anniversary) .....	192
Alexander Manvelishvili: Gyorgi Merichule (A Georgian writer of the 10th Century) by Pavle Ingorokva .....	209
G. Mahviladse: Dr. D. M. Lang and his studies of Georgian history .....	219
G. Mahviladse: Rev. Michael Tarnishvili's new contribution to the study of Georgian church literature .....	223







მკობანი გიორგი ზამხარაშვილი

[სამწერლო ანბარზე გამოვიდა სრულიად ახალგაზრდა ჯერ  
 კიდევ საქართველოში, სწერდა ნიჭიერ შიარებს გ. ზ. თ. ჯ. ე. ლ. თ. ხ.  
 ფსევდონიმით. მისი ლექსები იბეჭდებოდა ემიგრაციაშიც ათეული  
 წლების განმავლობაში, გამოჩნდილ ქართველ პოეტთა შორის იგი  
 ოსაოლოდ ერთერთ საბატო ადვილს იჭერს. ამჟამად ცხოვრობს ქ.  
 დალლასში, ტექსასის შტატში. ვბეჭდავთ მკობნის რამოდენიმე შიარს]



ხევებში რბიან ქუხილით წყლები,  
 ბუშბერაზებად დამდგარან მთები —  
 წასლის ნახდები მოუსხავთ გარსა.  
 ქალები ჩანან ღურჯა და კარგი  
 და ვვაგილებით მდილო ნაქარგი —  
 შწენე ტალებათ მიშეება ქარსა.  
 შრიალებს ზღაპარს ძველი ქადაგი  
 და მე ამ ქვეყნად შენი სადარი —  
 არ მეგულეება სხვა კუთხე არსად.

პურს დაუბრია მამე თაველი  
 და სიმინდს ტარო ორი ტკაველი —  
 გაუშვერია ტკბილი რძით სავსე.  
 ეწოდებს ჩრდილავს კაკლავს ხეები  
 ძველი კოშკები და ციხეები —  
 გადმოსცქერიან გარემოს თავზე.  
 ბევრია ქვეყნად ლაღი ჩვენება.  
 მაგრამ ვერცერთი ქვეყნის მშენება —  
 მე შენ მშენებას ვერ დავამზავებ-

მკვდარს რომ ჩამესმას უფლის ხმა ზარად:  
 — „აჰა, ვანიკებ სამშეილებს მარადს —  
 და სამოთხეში თავშესაფარსა“.  
 ვეტყოდი: „გმაღლობ მამაო წმინდა,  
 მაგრამ თუ ჩემი ცხოვნება ვაინა —  
 მშობელი მიწა მარგუნე მკვდარსაც“.  
 მე მისა მსგავსი წყლების ჩქრიალი  
 და ცაფირუზის კაშკაშ-ციალი  
 არ მინახა ამ ქვეყნად არსად.



და უბრუნდები მშობლიურ კერას,  
 რადგან ვანჯების წვალობა მჯერა —  
 გამოსწდა ოღა და დერეფანი.  
 ხმაური გააქვთ ქვევრებში სარცებბს,  
 ფუტკარაც ისევ ეზუა ცაცხვებს  
 და ჩვენ აღვისხვს აყროდა ტანი.

ხელი შევახე ზემოურ მარანს,  
და დედაჩემი მეთაბის წყნარად: —  
— „შეიღო, სადაზარ ამდენიხანი?“

— „დედაე, მოვედი მგზავრი გვიანი,  
გზა მქონდა ვრძელი, თანაც კვიანი  
და ეკლებით მაქვს ფეხები წულულა.  
ბნელ სამარეში დავხანს მეძინა,  
მაგრამ მოძინდა, რომ მომესმინა —  
შენი ნანინა აკვანში თქმული.“  
მე მოვიარე ქვეყნები ბევრი,  
ვსახე მრავალი ქალა და ტყერი,  
მაგრამ სად იყო მიწა ქართული?...

დალღასი, ტექსასი, ივლისი, 1956 წ.

\*\*\*\*\*

### გმლოდ „პრასლოდს“

მომანს სარკმელიდან ღრუბლით დაქარგული  
დისკო ვაერცილი მოფარის ავიონა  
იყენეს პოეტები შენზე დაქარგულნიც:  
ტრენტი გრანელი და  
ფრანსუა ეონი.

ლექსის სიხალასეს სხვისთვის იმეტებდი  
მაგრამ შესუდრე თალხი წყვედადებით.  
ნეტავ სით ვაფრინდენ ყველა იმედები,  
გუნდი ტრეფებისა და განთიადები?.

უკან კლდეებია, სჩანან წინ ველები...  
ხედავ კაცის მკვლელებს მრავალ კადრებიანს.  
შენ გულს დაფლითავენ შავი ფრინველები,  
ღამის ვამპირები სისბლით დათვრებიან.

სადღაც, დეტროიტში კაცი საკვირველი  
სმირად, ლენორაზე ბნელ ფიქრს ეძღვოდა,  
შავი ნახშირივით, ყვავი საშინელი  
იძის სიმარტოეს ღამით ეწვეოდა.

არას სსსრკეელი შავი ფრონისისათვის —  
სახლის ყველა კარი მაგრად ჩარაზოდეს,  
ეორნის მასუხია ობოლ მგოსნისათვის  
ვევლა შეკითხვაზე:

შოლოდ „არასოდეს“....

....მარტო „არასოდეს“.

ჩაიავო, დეკემბერი, 1952 წ.

#####

## ა რ ს ი ნ ა ბ ი

ოქვენ ხომ აცნობდით საკვირველ მერანს,  
(სადღაა ეხლა მსგავსი ცხენები?)  
ჩასტყურდა მიწას ბებერს და ვერანს  
და დაქანცული იყო ჭენებით.

სკამდა დლითი დღე ნაკლებს და ნაკლებს,  
საშინელ იღბალს შიანდო თავი.  
ბინდი შოედო მის თვალთა კაცლებს  
და როსინატი მოკვდა უვედავი.

მას არ ჰყოლია პატრონად სულლა,  
არც კალაფულა უტარებია,  
ის არ გამხდარა არსად კონსულად  
არც თავი პეგასს უდარებია.

ზარნიშთა ჯილა არ დგმია თავზე,  
ფეხზე არ ჰკერია ოჭროს ნალები,  
შავტამ ის იყო ოცნებით სავსე  
და უშწიერყვალეს იდეალებით.

როცა ბრწყინვალე მისი რაინდი  
ჰარის წისქვილთა ებრძოდა კიბეს,  
ის სიკვდილებში უცბათ მოთიბეს  
და დაეუფლა მარადის ბინდი.

ეხლა ძეგლებით აღარ ვევაკვირებს  
დავიწივებული მისი ცხედარი.  
და დარჩა სანჩოს და იმის ეირებს  
მას შემდეგ ბურთი და მოვდანი.

(რეჟულიდან „ლურჯი მონოკლი“, 1932 წ.)


## ილია ჭავჭავაძე

გორდა მახვილადე

ორმოცდაათი წლის წინ ქართველი ხალხის დაეძინებულმა მტრებმა შეზანაღურად მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე. ამ სახელგავართან დიდი და ბევრი რამ არის დაკავშირებული, რაც ქართველ ადამიანს ველს უჩქროლებს და აგრძნობინებს, რომ ილია ჭავჭავაძე საქართველოსათვის იყო იმაზე მეტი, რასაც სხვა ქვეყნებში „მეფე“ ეწოდება. იგი იყო ყველაფერი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ნამდვილი მე-თაურთი, წინამძღოლი, მოურნე, მოჭირახულე, მფარველი, შეშინავი მშობელი ერისა, თავისი ხალხისა, სამშობლოსი, მისი კულტურის, მისი მეობის, მისი თავმოყვარეობის, მისი სამაყის..

ვინც ასეთ დიდ მეს ერისას ვერაგულ ტყვეის დაახლის ნათელ შებლში, ვანა ის არ ჩათვლება უებზოროტეს მოსისბლე მტრად ქართველი ერისა? ვინ მოჰკლა ილია? — დღემდე ელის ნამდვილ პასუხს ამ მწარე შეკობხვაზე ქართველი, მაგრამ იგივე ზემი მტრები აქამდე მიკობელ-მოკობელი პასუხებით ცდილობენ „ნათელი მოჰტინონ“ ამ საშინელ მკელელობას, „დაინახეონ“ ქართველ ნამდვილი მტერი და დაუეურონ შურისძიების ვრძნობა, რომლისაც ასე ეშინია ჩვენს ლაჩარ მტერს — შინაურს თუ გარეშეს. და ვანა სულ ერთი არ არის, ვინ გვესროლა ცხელი ტყვია — გარეშემ თუ შინა მტერმა?

ბოლშევიკები თავგამოდებით ცდილობენ ილიას მკელელობა მეფის რუსეთის „ობრანკის“ დაქირაებულ აგენტებს მიაწერონ. არის მათს მტკიცებაში სომართლის ნატამალი? ვამსჯელოდ მიუდგომლად: მეფის რუსეთს რომ ქართველი თავდადებული პატრიოტების მუდამ დიდი შიში და ძაწოლა ჰქონდა, — ეს ფაქტია. მეფის მოაერობა და მისი ადმინისტრატორები საქართველოში მკაცრად აღვეწებდნენ თვალს ქართული პატრიოტაზმის ყოველ ამოელებას და მუდამ შხად იყენენ დიდი სისასტიკით ჩვეჭრით ეს ალა. არავითარ უმსგავსებას ისინი არ ერიდებოდნენ ქართველ თავდადებულ შვილთა დასაბორგუ-



ნად. დაწყებული ბინძური და სულმდაბალი საშუალებებიდან — გათავებული შიშველი ტყვით, რუსის მთავრობა ყოველთვის შეუპოვრად ებძობდა ქართველი ერის ეროვნულ გრძნობას, ამ გძნობის გადმოხეთქს, ამ გრძნობის მატარებელ ადამიანებს.

ამის ტიპური მაგალითი დიდი დიმიტრი ყიფიანია, რომელიც ახალი ქართლის ცხოვრებაში ახალ დიმიტრი თავდადებულად შევიდა. დ. ყიფიანი კახეთებაში იყო რუსთა საქართველოდან განდევნის დაჯერებული მომხრე, იღებდა მონაწილეობას 1832 წლის დიდ ეროვნულ შეთქმულებაში და ამ უკანასკნელის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ რუსეთის მეფის ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ საქართველოდან იყო გადასახლებული. გადასახლებიდან დაბრუნებული დიმიტრი დაადგა ახალ გზას: იგივე შურეალე პატრიოტულს, მაგრამ სხვა ტაქტიკური მოქმედებით მიმართულს საქართველოს საკეთილდღეოდ. რუსეთის უხეში და ტლანქი ძალა ისეთი დიდი იყო, რომ საქართველო ფიზიკურად ვერ შესძლებდა მის ძლევას და მისი ბატონობის აღმოკვეთას სამშობლო მიწიდან. საჭირო იყო გონიერი, ფრთხილი, პასიური წინააღმდეგობის გაწევა ერის ცხოვრების სხვა სასიცოცხლო ფლანგებიდან. ეს იყო უმთავრესად ეროვნული კულტურის გადარჩენა, ტრადიციების დაცვა, ენის უმწიკვლოდ შენახვა და პატრიოტიზმის გრძნობების შარადი გაღვივება, მისი წრთვნა ქართველის გულში, მისი ნერგების გახარება.

ამ გზით ემსახურებოდნენ შეცხრამეტე საუკუნის ქართველნი მოღვაწენი სამშობლოს. იყენენ ლოიალურნი რუსების მიმართ, მაგრამ გული კი მაინც სამშობლო ქვეყნისათვის უძგერდათ. როგორ დააფასა მეფის მთავრობამ ეს ლოიალობა? მუხანათურად მოსპო დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც საქართველოს უფლებები დაიცვა. ვეილამ ვიციო რასთან იყო დაკავშირებული დიმიტრი ყიფიანის თავდადება: საქართველოს ეგზარხოსმა პავლემ, — მღვდლის მანტიაში ვახვეულმა მეფის რუსეთის განდარჩევა, — სიონის ტაძარში დასწევლა ქართველი ერი რუსიფიკატორი დეკანოზის, თბილისის სემინარიის რექტორის — პავლე ჩუდეცკის მკვლელობისათვის. მან არ დასწევლა თვით მკვლეელი იოსებ ლალიაშვილი, არამედ მთლიანი საქართველო. და ისიც სად: სიონის ტაძარში, რომლის თაღები ინახავს ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს თმებს და სხვა ეროვნულ წმინდა რელიკვიებს. განა ცინიზში ამახედ შორს შეიძლება წაყიდეს? თავდადებულმა დ. ყიფიანმა ურწმუნო ეგზარხოსს ოფიციალური წერილით ურჩია ან ბოდიში მოეხადა ქართველი ერის წინაშე და ანათება უკან წაეღო, ანდა დაეტოვებინა მის მიერ დაწყებული ქვეყანა, რომლის ეგზარხოსადაც

იგი იყო დანიშნული. ასეთი გამოსარჩლებისათვის დამიტრია დაამატებოდა 1886 წლის ივნისში და გადასახლეს სტაერაპოლის გუბერნიისა. სამატორი საკანში შეფის რუსეთის აგენტმა ბერმა მძინარე მოხუცი მძიმე გირის თავში დარტყმით მოკლა.

ამას „კადრულობდა“ შეფის რუსეთის ადმინისტრაცია და მართლაც არაფერია გასაოცარი, თუ მისი ხელით მოკლა ილია ჭავჭავაძე! თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ იმ ხანებში რუსეთის შავ ძალებს არა ქონდათ პირდაპირი, და თუნდაც არა-პირდაპირი, საბუთი ილიას მოკვლისა, როგორც მათ დამიტრია ყოფიანის შემთხვევაში ქონდათ! თუმცა ისინი ამგვარ საბუთებს როდი დაგიდევდნენ!

ზოგჯერ საჯაროს დანაწევარში, განსაკუთრებით პირველ ათწლეულში, საქართველოში ძლიერია იყო რევოლუციური ძალები, რომელნიც ტერორისტულ აქტებს არ ერიდებოდნენ არა მარტო შეფის ადმინისტრატორების მიმართ, არამედ ქართველი თავად-აზნაურობის წინააღმდეგაც. მათ ღრმად სწამდათ, რომ ყოველი თავადი და აზნაური მოსიხსნე მტერი იყო მშრომელი ხალხისა, ისინი არ არჩევდნენ ავსა და ვარგს, ეთილსა და ბორცს, მოწინავესა და დამყაყებულს. ყველას თანაბრად გამოუტყდადს ბრძოლა. განსაკუთრებით უტყველდნენ ილია ჭავჭავაძეს, როგორც ქართული ნაციონალიზმის მედროშეს, თუმცა მათ უნდა დაენახათ, რომ ილიას ნაციონალიზმის დროშა იყო ქართველი ერის სულიერი განწყობილების ნამდვილი ნიშანი. ის არ იყო ზოეინისტური და არც შეიძლება იყოს ყოფილიყო! ვერ გამოვიტყხავთ იმის შესაძლებლობას, რომ ილია ამ „რევოლუციურ“ ძალებს არ მოეკლა. ამაზედ უკვე თავიდანვე არსებობდა ეჭვები. განსაკუთრებით მესისხლენი იყვნენ ბოლშევიკები, რომელნიც 1903 წლიდან უკვე დამოუკიდებლად არსებობდნენ და გათიშულნი იყვნენ მენშევიკებისაგან. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა თუ შეცდომები დაუშვეს საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში, ეს შეცდომები ადვილი გამოსასწორებელი იყო და არ ყოფილა განზრახ დაშვებული. ხოლო მათ რომ ნამდვილი დემოკრატიული საქართველო შექმნეს, სადაც წოდებრივი და კლასობრივი მკვლელობები თითქმის არ არსებობდა, ესეც ფაქტია. ბოლშევიკებმა კი რა ვერჩვენეს? წოდებრივი და ე. წ. კლასობრივი მტრის სისხლის მდინარეებზე წაეები მოაკურეს. ამგვარად, თუ ილია დაეცა რევოლუციონერთა ხელით, — და არა შეფის „ობჩანკის“ ტყვიით, — მაშინ დანაშაული ბოლშევიკებს ეწერებათ კისერზე, როგორც ტერორის უსაზღვრო მოტრფიალეთ. მაგრამ, ეს მკვლელობა დღე მომავალმა გამოიარკვიოს, ჩვენ ეხლა ილიას სხვაგვარ მკვლელობას შევხებით, რომელიც უკვე ბოლშევიკების მიერ ხდება უშეშოდ.



საქართველოში გამატონებისთანავე ბოლშევიკებმა ილია ქვეჭავჭავაძის შემოქმედება რეაქციონერად გამოაცხადეს, ხოლო თვით ილიას პიროვნებას მოუწადინეს გაშავება ქართველი ერის თვალში. მაგრამ მათ არავინ დაუჯერა, გარდა ქართველი ლეჩია კომუნისტების პატარა ჯგუფისა. შერე ილიას ნაწერების დიდი ნაწილი აკრძალეს, სკოლებიდან განდევნეს მისი სწავლება, მაგრამ აქაც ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა: იგი მეტო მოწადინებით დაეწაფა აკრძალულ ბილს და უფრო მწვავედ იგემა ეროვნული სიტკბოება ილიას ნაწერებში გატარებულ-ჩაქოვილი იდეოლოგიისა. ამის შემდეგ ხელისუფლებამ იკადრა ილიას ნაწერების სრული კრებულის გამოცემა მრავალ ტომებად, მაგრამ იმავე დროს იწყო პრესაში მისი გაკილევის, გაკრიტიკების გაძლიერება. ისარგებლა რა მთავრობის დათმობით, ილიას ნაწერების გამოქვეყნებით, ხალხმა წიგნები შეიძინა, ხოლო კომუნისტების პროპაგანდის და ეფესას უფრო არ ათხოვა! 1934 წელს საბჭოთა მთავრობა კიდევ ახალ „დათმობაზე“ წავიდა: ილია ქვეჭავაძე აღიბიდლეს იმ საფეხურამდე, რომელსაც დიდი მწერალი იმსახურებდა, მაგრამ, იმავე დროს მთელი მისი აზროვნების საღარო გამოაცხადეს თავიანთ საკუთრებად, თითქოს ილია იყო „კომუნისმის წინამორბედი“, მშრომელი ხალხის „განთავისუფლების“ მკადავებელი, თითქოს, ის რასაც ილია ნატრობდა ქართველი ხალხისათვის, აღსრულდა კომუნისტური წესწყობილების დროს, და სხვა ასეთებს. ესე იგი, კომუნისტებმა მოიწადინეს ილიას იდეოლოგიის მისაკუთრება. იკოდნენ რა, რომ ილია მრავალმხრივი მოაზროვნე იყო, იწყეს მისი აზროვნების ყოველი ცალკეული ხრტილის „ასნა-განმარტება“ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე. ძირიან-ფესვიანად გადაბარტუნეს სწორი გაგება ილიას მიერ სარწმუნოებისა, ისტორიისა, ლატერატურათმცოდნეობისა, სოციოლოგიისა და სხვა და სხვა. დაიწერა მთელი ტომებიც კი ილიას აზროვნების ცალკეულ საგნებზე. მაგრამ მოზდა კიდევ დიდი საკვირველება, —რასაკვირველია კომუნისტებისათვის, —ხალხი დარჩა სრულიად გულგრილი ამ ე. წ. „მეცნიერული ნარკვევების“ მიმართ. ამ „ნარკვევებს“ ხალხი თითქმის არ კითხულობს, მას არ აინტერესებს რას სწერენ ილიას შემოქმედებაზე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების თეორეტკოსები. ხალხს, სულ უბრალოდ რომ ეთქვათ, აინტერესებს ილიას თბზულებების კითხვა. აქედან თვით გამოაქვს დასკვნები: არავითარი „თეორეტკოსების“ დაბმარტება მას არ სჭირდება. „ვინც რა უნდა თქვას, წისკვილმა კი ქვას“, რაც უნდა ისა სთქვან და იებედონ „მარქსიზმის თეორეტკოსებში“, რიგითი ქართველი ამას უფრადლების არ აქცევს, იგი თავისი გზით განავტობს თავისი საკუთარი აზ-



როვნების წისკვილზე „ქბას“. და აი, აქ წამოაშოქეს კომუნისტებმა კიდევ ერთხელ ილიას და ქართველი ხალხის წინაშე: თვით დარჩნენ დამარცხებულნი და შერცხვენილნი, ხოლო ხალხი — გამარჯვებული და უკვდავი, ილიას შემოქმედებასთან და სახელთან ერთად.

1954 წელს თბილისში გამოვიდა ვინმე ა. თავაძის 150 გვერდიანი წიგნაკი სათაურით: „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიური შეხედულებანი“. ამ წიგნის ავტორის მიზანი სხვა არაფერია, თუ არა ილია ჭავჭავაძის ანტი-ქრისტიანად გამოცხადება, სხვა სატყვეობით რომ ვთქვათ — ილიას გაურჯელოება-გაეკომუნისტება. ა. თავაძის აზრით რელიგიის გავებაში ილია მატერიალისტია და არა იდეალისტი: „ილია ჭავჭავაძის თეალსაზრისი რელიგიისა და ღმერთის შესახებ არა თეოლოგიურ-იდეალისტურია, არამედ მატერიალისტურია“, ამბობს თავაძე. „ადამიანის მოქმედების გავებისა და შედეგების საკითხში ა. ჭავჭავაძე ქრისტიანობის საწინააღმდეგო თეალსაზრისს იცავს“, სწერს იგი მეორეგან (გვ. 15). ავტორი ამ თავისი „დებულებების“ დასაცავად ციტატებს იშველიებს მარქსს, ენგელსს და სხვა „კლასიკოსთა“ ნაშრომებიდან, ავრთვეთ თვით ილიას ციტატებს იყენებს ისე სატყველანტურად რომ მკითხველს მის (თავაძის) უკეთილსინდისიერებაში ეტვიც არ შეეპარება. ასეთი სატყველანტური „ფილოსოფოსობის“ შემდეგ ა. თავაძე მყის ასეთ დასკვნას აკეთებს: „ანტიქრისტიანული და ანტიიდეალისტური თეალსაზრისის შესაბამისად ი. ჭავჭავაძე ათეისტური და მატერიალისტური ეთიკური მოძღვრების პრინციპებზე დგას“. როგორც ეხედავთ, საბჭოთა მწერალი ერთი კალმის მოსმით ცდილობს ილია უღმერთო ათეისტის სკამზე დაასკუბოს. ხანდახან ავტორი ეუმბარასავით აავრგვინებს ზოღმე ასეთ ამბუნდსაც: ა. ჭავჭავაძე „ვასცდა მეტაფიზიკურ მატერიალიზმს და უშუალოდ მიადგა დიალექტიკურ მატერიალიზმს“. კომენტარები არც ვაი საჭირო ზმგვარი „აზროვნების“ ვსაბათილებლად. მკითხველი თვით დაინახავს და ივარწნობს საბჭოთა „თეორეტიკოსის“ სოცადე-განს.

ამავე 1954 წელს თბილისში გამოვიდა მეორე ავტორის — პ. რატკინის ოთხს-გვერდიანი წიგნი სათაურით: „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“. ეს ავტორიც ისე თვითნებურად სჯიუგვის ილიას შემოქმედებას, როგორც ზემოხსენებული ა. თავაძე. პ. რატკინი ერთგან ხაზგასმით აღნიშნავს: „ილია მატერიალისტურად წვევტს ფილოსოფიის ძირითად საკითხს და თავის უმთავრეს ნაშრომებში იძლევა ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა მატერიალისტურ ახსნას.“ (გვ. 66). ასეთი „მოსაზრებებით“ არის მთელი წიგნი სავსე. ჩვენ აღარ შევეცდებით სხვა ციტატების მოყვანას,



რადგან თავმოსაწყენი იქნება, მხოლოდ მეთიხველი დაგვეთანხმება იმაში, რომ საბჭოთა ავტორების „მსჯელობანი“ სრულიად არ შეეფარდება სანამდვილეს ილიას შესახებ. ვანა ზემოხსენებულ და სხვა საბჭოთა მწერალ-კრიტიკოსთა მოქმედება არ ნიშნავს ილიას მეორედ მოკვლის ცდას? მოკვლისა სულიერად, შემოქმედებითად?

ის, რაც ქართველი ხალხის დაუძინებელმა მტრებმა 1907 წლის აგვისტოში შესძლეს, — **ლახრულად, მიპარვით მოკვლეს ილია ხორციელად**, — არ შეუძლიათ იმავე მტრებს მოკვლან იგი სულიერადაც. მათი ძალა ნაცარქექიის ძალას უდრის, რომელიც ვერ შესძლებს ხალხის დაჯერებას კომუნისტური რეკომენტებით და ნაცარქექიული სადგისებით: კისერში რომ ასობენ დამონებულ ხალხს. ილია ცოცხლობს თავის ნაწერებში, როგორც დიდი მამულიშვილი, დიდი ქემანისტი და ზვისმოფარე, დიდი პატივისმცემელი სხვა ხალხთა კულტურებისა და ეროვნული მეობისა, დიდი დამცველი მშრომელი ადამიანისა, დიდი შორწმუნე ქრისტიანი, და სხვა და სხვა. ილია ქართველ ხალხს ეკუთვნის და არა რომელიმე პარტიას, შით უმეტეს ის არ ეკუთვნის უცხოელის ხიშტებით საქართველოში გაბატონებულ კომუნისტურ პარტიას! ილიას სახელი განუყრელია ქართველის ნამდვილი მეობიდან და ასეთად დარჩება იგი, სანამ საქართველო არსებობს!





[ 1837 — 1907 — 1967 ]

**ილიას 30 წლის დაბადების თავეზე**

გიორგი გამყრელიძე

იყო ის ხანა

კურთხეული წელითა რიგების —  
როცა ცხოვრობდი აკ, ჩვენშორის  
ჩვენი ილიავე!

გამოაფხიზლე, გაანათე ბნელი ქვეყანა —  
შქადგებულს ხევარულს და შერიგების  
და შერიღაწილი დღევანდლამდე არ დაიღია.

ჩვენ არ ვიციწყებთ თავდადებულთ ძველსა და ახალს,  
ამათ სახელებს ვინ ჩამოთვლის შრავალ წვებიანს?  
მაგტამ ვერ მებრძოდს შენზე დაადს და შენზე მაღალს  
ქართლში ცხოვრება არახოლეს არ ღირსებია.



შენ რომ გამოჩნდი, ძღვეს ბეუტადეა ქართლის კერა.  
გვეხვია მტერი: ამეზარი კოდო-ბუზიეთ.  
დადექ საომრად: ბუმბერაზი იაღბუზიეთ  
და ამ ბრძოლაში შენ ვერავინ ვერ მოგერია.

იდექი მარტო უძღვევდი, საღო კლდეხავით,  
ხელთ ვებურა შიილოდ: კალამი და სიმართლის კვერთხი,  
შენს წმინდა ლოცვებს უფრს უფლებდა ზეცაში დმერთი  
და გააცოცხლე საქართველო ღაზარესავით.

როცა გესროლეს წიწამურში მუხთალი ტყვია  
ვანა შენ მოგკლეს? ჩვენც დაგვკოდეხ შენთან ზიარად.  
ჩვენც გულში მოგვხვდა შენი ტყვია, ჩვენი ილიავ,  
და გულში დაგვაქვს შენ სახელთან მწარე იარათ.

\*\*\*

ვინ დაივიწყებს გმირთა-გმირებს, ძველსა და ახალს,  
იმით სახელებს და საქმეებს მრავალ წუებთანს?  
მაგრამ ვერ მებრძოლს შენზე დაადს და შენზე მადადს,  
ქართლში ცხოვრება არახოლეს არ ღირსებია.

მაისი, 1967 წ. დაღლასი, ტექსაბი.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXX



## მოდული „ვეფხისტყაოსნის ანტი“

### და მის მკვლევარებზე

#### გიორგი გამბრელიძე

შოშენმაღერა ამბობს: („აფორიზმები“) — „როგორც ღამის პეზ-  
ლებს სანთლის სხევი, ისე დიდი პიროვნების სახელი იზიდავს თავის  
გარშემო სხვადასხვა ვერსის მკვლევართ და მწერტლებს“-ო.

ამ აზრს სავსებით ამართლებს რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაო-  
სანი. ძველი დროიდან დღემდე, მრავალთაგან - მრავალნი შეეცადენ  
რუსთაველის სახელთან დაკავშირებით, თავისი ხსოვნის, სამარადი-  
სოდ აღნიშვნასაც ეს „მრავალთაგან - მრავალნი“ განიყოფიან რამო-  
დენიმე ჯგუფად. პირველნი არიან ისინი, რომელნიც შეეცადენ რუს-  
თაველის ცხოვრების გამოჩვენებას, აღდგენას, ან შეთხზებას. სხვანი კი  
ისინი, რომელნიც ცდილობენ „ე ტ“-ის ტექსტის აღდგენას და ამ-  
გვარად პოემის დედააზრისა და მოფლებედვის გაგებას და პოემის  
დაწერის დროის „უტყუერად“ დადგენას.

რა გვეთქმის პირველი ჯგუფის შესახებ? — ის რომ რუსთაველის  
პიროვნების შესახებ არაერთიანი ბიოგრაფიული ცნობები არ მოიპო-  
ება (რაც, სხვათაშორის, ზედი თუ ხედავია დიდ ხელოვანთა, ფილო-  
სოფოსთა და წინასწარმეტყველთა). ამიტომ სულ ტყეილი შრომაა  
უდოკუმენტოდ, ეითომ „დოკუმენტალურად“ აღდგენა პოეტის ბიო-  
გრაფიისა, რაც გინდ მოხერხებულად არ უნდა შეაყუთონ მათ ზოგი-  
ერთი სიტყვები და ტერმინები, რაც არ უნდა შეკვეციონ ან გასკიპონ  
პოემის ზოგი ადგილები თავიანთი მოსაზრების დასამტკიცებლად.  
ბოლოსა და ბოლოს ზელში ვერხება მარტოდ პოემის ტექსტი, და  
მხოლოდ მასზე დაყრდნობით (მოსწონს ზოგი მისი ადგილი,  
ან უდგება თუ არა ეინმეს მოსაზრებას) შეგვიძლია დაახლოებით წა-  
რმოვიდგინოთ ის ისტორიული ხანა და კულტურული დონე, როცა  
ცხოვრობდა და მოღვაწიობდა რუსთაველი. ასეთ ნაწარმოებს კი



უნდა დაერქვას ისტორიული მოთხრობა, უოველგვარი მეცნიერული და „დოკუმენტალური“ პრეტენზიების გარეშე და თუ რომელიმე მკვლევარმა თავისუფალი, ახირებულ დაფიქმების გარეშე, თავისი შეუმცდარობა დაგვიანა, ეს იქნება არა მცირედი საქმე და მეტად სასარგებლოც, მკითხველსათვისაც და რუსთაველის გავებისათვისაც.

პლატო ავიწიერ, სოკრატეს ცხოვრებას და მის ბოლოს, მართალი, ასე ეთქვათ, „დოკუმენტალურად“ ნამდვილი ამბავია ეს, თუ პლატოსაგან შეთხზულია? — ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ პლატოს აღწერა არის დამაჯერებელი, ლოჯიკურად ასშული და ისე გამართული, რომ მაშინდელი ათინის კულტურული დონე თვალწინ გეშლებათ. ნათლად ჩხედავთ სოკრატეს ბრწყინსა და ქადაგებას, და მის მოწინააღმდეგე ფილისტერთაც, რომელთაც სოკრატეს მოძღვრებაში თავიანთი „ეთიკის“ განადგურება დაიწახეს და ამიტომ ის მოწამლეს. ეინც ასეთი წესით ე. ი. რუსთაველის პოემის შინააქსიდან გამომდინარე მსოფლხედვიდან და სამყაროდან დახატავს თუ შეთხზავს, რუსთაველის ცხოვრებას, სადაც დრო, პირობები, კულტურულ-ეკონომიური დონე, ისტორიული მოვლენები და პიროვნებათა ხასიათები პარამონიულად იქმებიან ერთმანეთთან შეთანხმებულნი, წინააღმდეგობათა გამოუჩენლად, — ის მწერალი იქნება (უცნაურად „შებანხლულ“ ე. წ. „დოკუმენტების“ გარეშეც) მსგავსი: პლატოსი, შილდერისი, შექსპირის და დიდი მხატვარი, ღრმა მკოდნე და ფსიქოლოგი, სუფთა ოსტატი და მ ა რ თ ა ლ ი მ თ ა ე ა რ შ ი, თუ ასი პოეტუნტით არა, დიდად დაახლოებული მასთან.

არიან ისეთი „ბიოგრაფებიც“, რომელნიც რუსთაველს ამა თუ იმ ტენდენციით ან უფიცობით თავს ახეივენ სხვადასხვა უცემურ თავგადასავალთ. ზოგმა „მამის ფერად“, ანუ ახალი გავებით „მასონად“ გამოაცხადა, ზოგმა ანტი-ქრისტიანად, ზოგმა სამეფო კარის მწიგნობართ-უხუცესობა ჩააბარა, ზოგმა კიდევ დევნილად, ზოგმაც მოგზაურად და ეინ იცის რად, და ველა ამ მოსაზრებებს მხატვრულ-პოეტური სახეებით რომ მაინც ხატავდნენ, როგორც, მაგალითად, შილდერი „დონ კარლოსს“, „ქალწულ ორლეანელს“, „ვალენშტაინის“ ცხოვრებას, ან ჩვენი დროის დიდი მწერალი ავაკო ბელიაშვილი „ბესიკის ცხოვრებას“, კიდევ რაღაცას ემგეანებოდა, მაგრამ ეს „ახირებულნი მკვლევარნი“ უოველ უცნაურ მოვლენას ვითომ თვით პოემაში მპოულობენ და ხანდახან განსაცვიფრებელ „კომენტარიის“ უკეთებენ პოემის ზოგ ნაწილს, აძლიევენ პოეტს გაუგონარ თანამდებობებს და პოემის დაწერის გამსაც სკიმავენ მეთოდდან მეთოთხმეტე



საუკუნეში. ასეთი შვედეთიანი პეეანამ, იმავე შიშვენიერის თქმით, იმ „გერა, რომელიც დახშულ კოშკში ვერ ახერხებს კარებიდან შესვლას და ქვეშის სროლით შუშაბანდს ამხერყვს“ —




მაგრამ პოეტის ბიოგრაფია არ არის მთავარი ზეენთვის, რა თქმა უნდა შეტად სანატორეს და სანატრელი საცოდნელად, ოღონდ, ის რიგორაც არ უნდა იყოს, პოემას ამით ბევრი არაფერი დააკლდება და არც შეეძინება, ზეენ ვიცი ბიოგრაფია: შექსპირის, სერვანტესის და სხვათა დიდთა, მაგრამ მათი მწუხარე ბედით მათ გენის არა აკლდება. აქ მთავარია თვითონ პოემა, მისი სწორი გარჩევა, გარკვევა და თუ მართლა დამახინჯებულა რომელიმე ადგილი, მისი სწორად და ღირსეულად აღდგენა. ამ შეტად მწიშენლოვან საქმეს ანდომებდენ და ანდომებენ დღესაც დიდ შრომას ძველი და ახალი სპეკულაციები. თუმცა, სამწუხაროდ, არა ყოველთვის სწორად და უტენდენტოდ, მაგრამ სანამ ამ საკითხს შევცებოდეთ, საქირია გავითვალისწინოთ და ვიცოდეთ — არის თუ არა საერთოდ შესაძლებელი სხვის პოემაში ვინმე უცხო მავრ მთელი ადგილების ჩამატება, ან კიდევ ცალკე სიტყვების და ტერმინების შეცვლა ან გაუგებრად და უეცობით „შესწორება“, სწოვადოდ — არის თუ არა შესაძლებელი ე. წ. „ყალბის-მქნელობა“? მომხდარა ასეთი რამ სხვა დიდ ხელოვანთა ნაწარმოებშიც ვარდა რუსთაველისა? ამის სპასუხოდ ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ მსოფლიოს დიდ ხელოვანთა შემოქმედების ბედი და ერთგვარი პარალელი გავავლოთ „ეფების ტყაოსანსა“ და მათ შორის. ამ პარალელიდან ზეენ აშკარად დაინახავთ ასეთ შესაძლებლობას.



სამუშაო საუკუნოებში, უფრო ადრეც და უფრო გვიანაც, თითქმის დღემდე, უცნობი და უცხო პოეტები სწორად თხზავდენ ცალკე შაირებსაც და ცალკე ამბებსაც სხვის ნაწარმოებში ჩასამატებლად. გამოჩენილ და სახელ-მოხეცილ პოემებს, ეს ყალბის-მქნელობა თან სდევდენ. ასეთია ბედი დიდი მხატვრებისა და მოქანდაკეებისაც.

ასე ხდებოდა წინა აზიაში, ასევე ხდებოდა ძველ საბერძნეთში, შემდეგ გერმანიაში, ინგლისში და სხვაგანაც. ამის მიზეზი იყო ნაწილობრივ დიდი სახელის ქვეშ თავისი ნადიქრალ - განაცადის გასაღება და სწორად ნივთიერ-მატერიალური მოგებისა და შოვნის სურვილიც.



„კომერციდების“ ანუ კომერის წამბადველთა და მის ილიად ოდერ სერესში წამბატებულთა სახელია -- **ლეგონი**. დიდი ხანია, არც მკვლევარნი - ლეთის-მეტყველნი იმ აზრისა არიან, რომ არა ყველა ფსალში და ქებანი არიან დაწერილნი დაეთისა და სოლომონის მიერ. მაგრამ ამ ზოგად მაგალითებს რომ თავი დაენებოთ და მოეყვანოთ ამჟამად დამტკიცებული ვადალებების მაგალითები, დაენახათ შემდეგს: 1765 წელს, ეილაც უცნობმა პოეტმა, პროფესიით მასწავლებელმა, ეინმე მაკ ფირსონმა განაცხადა ინგლისში, რომ მან ათეუა ძველი შოტური სარაინდო პოემა — სიმღერანი, მეტად ცნობილ და საინტერესო ძველი პოეტის: ბარდენ ოსიანის და სთარგმნა და გამოსცა იგი ინგლისურად, ცალკე წიგნად. ეს სიმღერები სტილისა და ენის მხრივ ისე შესანიშნავი, ზედმიწევნით ცოდნით იყო შედგენილი, ისეთი მომხიბლავი შაიხით გამართული, რომ არც ერთ სპეციალისტს ოდნავაც კი არ ეპარებოდა ეჭვი მაკ არა-ორიგინალობაში — არც ინგლისში და არც სხვაგან.

პირიქით, მაკ ფირსონმა, რომელმაც თავისი საკუთარი ლექსებით ვერც სახელი და ვერც უფრადლება ვერ დაამსახურა, უცრად — შოტური სიმღერების გამოცემის შემდეგ, მთელი განათლებული კაცობრიობის უფრადლება მიიპყრო. იქ იქნა თარგმნილი ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ამ ნაწარმოებს სიდიადეზე ლაპარაკობს გოეტე „ვიკრთერ“-ში. პერდურმა დასწერა მთელი ნაკვლევი ბარდენ ოსიანზე და ძველ საგმირო, სარაინდო პოეზიაზე. ასეთივე ქება ეტეო მას საფრანგეთშიც და სხვაგანაც. ერთი სიტყვით, მაკ ფირსონმა შიადწია საიელის კელმინაკოურ წერტილს... მაგრამ არ გასულა არც ოცი წელი და ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარმა, ეინმე სამუელ ჯონსონმა საესებით დაამტკიცა და ცხადყო, რომ მთელი ეს „ძველ სიმღერათა პოენა და თარგმნა“ იყო შეთხზულ - გამოგონილი მაკ ფირსონის მიერ!

ასეთივე ვალების - მქნელობა იყო ხელოვნების სხვა დარგებშიაც, საერთოდ ცნობილია, რომ აღბრებტ დიუტრეს სიკოცლემშიც მქონდა იქ დიდი სახელი, რაც მას დღეს აქვს. პოლბუინთან (უმცროსი) ერთად ის ითვლება უდიდეს გერმანელ და საერთაშორისო მხატვრად. ა. დიუტრე იყო რაფაელივით მრავალმხრივი. ტილოს გარდა, ის ხატავდა ფრესკებს, სკულდა სპილენძზე, სჭრიდა და ხატავდა ფიკარზე, იყო დიდი ხეროთმოდგარი, სპეციალისტი ციხე - სიმავრეთა და ბიდების აგებაში და სხვა. და ამ დიდ ოსტატს, რომლის ინიციალები „ა. დ.“ წარმოადგენდა მართლა დიდ განმს და საფასურს,



გაეჩნდა წამბაძეული და მართლა ვალბის მქნელი კონვენციალური იტალიელი მხატვრის ეინშე მარკანტონიო რაიმონდო, სახით. ზოგიერთი ნახატო ამ უკანასკნელისა არა თუ არ ჩამოუვარდებოდა სიდიადით, თუ მშვენივლით დიურერის ნახატს, პირიქით, ბევრი უფრო საინტერესოა, სთელიდა მას და ძვირათაჲ ფასობდა, რათვამ აღბრებტ დიურერის ნახატო ვეონათ.

ასეთი მავალითების მოყვანა ხელოვნების ყველა დარგადან მრავლად შეიძლება. ბევრ დიდ ხელოვანს ჰყავდა თავისი „ვალბის მქნელი“. ხშირად მეტად ნიჭიერი, მაგრამ მანც შემხერალნი მის ხელოვნებაში, ვთა პოლიბი მარგალიტმა ცნობილია, რომ სახელოვანმა ფრანგმა მხატვარმა ვორომ დახატა არა მეტო, ეიდრე შეიდახი სურათისა, მაგრამ ეხლა ევროპის სხეადა ხეა მუზეუმებს და კერძო პირთ აქეთ ათასმდე მისი სურათი და ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში არას 1200-ზე მეტი. ვინ გააჩუკეს ეხლა რომელია ნამდვილი და რომელი ვალბი? — რომ ე, ადვილი არ ევროპის ზოგიერთ მკითხველს, ამიტომ აქვე მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს. ფლორენციელმა მოქანდაკემ, ვინმე დონანამ ააგოა შეერთებული შტატებში აფროდიტებით, ეენერებით და სხეათა ქანდაკებებით, რომელიც მან გააკეთა და გაჰყოდა. ვერცერთმა სპეციალისტმა, ვერც ევროპაში და ვერც ამერიკაში ვერ შეაჯუკეს მის „ნახელავს“ სიყალბე, სანამ ამაში თვითონ არ გამოტყუეს და დიდის ვაიეგლახით არ დაამტკიცა, რომ ყველა მისი „ნახელავი“ ვახლდათ სიყალბე. მანც არ დაუჯერეს მანამდე, სანამ დამსწრეთა თვალწინ არ გააკეთა ქანდაკებები.

ასეთივე ამავეი მოხდა, ასე ეთქვათ, ზეგნს თვალწინ. ამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა დიდი ვალბის-მქნელი, ვასამართლება. პოლანდიელმა მხატვარმა ჯ. ეან მეგერენმა დახატა გამოხეილ პოლანდაელ მხატვრის პიტ დე ჰოხის და მასზე კიდევ უფრო ცნობილ ეერმერის სახელით ისე ზედმიწევნითი წამბაძვით სურათები, რომ არა თუ დიდი საფასით ისინი შეიძინა პოლანდიის მუზეუმებში და ვალერობი, უმეტესობამ, არამედ თვით პერმან გერინგმაც, საუკეთესო გერმანელი სპეციალისტების მიერ ვასინჯვისა და შემოწმებას შემდეგ დიდი საფასურით შეიძინა რამოდენიმე ცალი. გერმანიის დამარცხების შემდეგ ვალბის - მქნელი დაიჭირეს და როგორც „ნაციონალიზმი, კოლბორანტი“ სახელზე სასამართლოს ვადასცეს, რადგან მან ეროვნული საამავე — ჰოხის და ეერმერის სურათები შტერს მიყიდა. ვინაიდან მას ამისათვის სიკვდილით დასჯაც კი მოელოდა, ამიტომ ის „გამოტყდა“ და სასამართლო, წინაშე ვანაცხადა, რომ არავითა-



რა დე პოხისა ან ვერმერის სურათები მას არ გაუყიდა და არც შექმნა. ნია, არამედ ის სურათები, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, მან დახატა თავის საკუთარი ხელით, რა თქმა უნდა არ დაუჯერეს. დასამტკიცებლად დაახატეინეს და მან დახატა სანიმუშო სურათი, ისე რომ, არც სპეციალისტებსა და არც სასამართლოს ოდნავი ეჭვიც აღარ დარჩენიათ, რომ იგი სიმართლეს ლაპარაკობდა. მიუხედავად ამისა, პოლანდიის მუზეუმებისა და ვერძო პირთა მოტყუებისათვის მას ორი წლის ციხე მიუსაჯეს. მაგრამ სანამ სასჯელის მოხდას დაიწყებდა, იგი გულს შეტევით გარდაიკვალა.

\*\*\*

ვეიქრობ, ეს მოკლე მიმოხილვა „ყალბის-მქნელთა“ შესახებ საკმაოდ ნათლად მხდის შესაძლებლობას, რომ ისეთ დიდ პოემას, როგორცაა „ე. ტ.-ნი“ და ასეთ დიდ მანძილზე (800 წლის განმავლობაში) უფოოდ გყოლებოდა წამბაძველნი, ჩამბატებელნიც, შემსწორებელნიც ცალკე სიტყვებისა, შემყვეცელნიც და გამაგრძელბელნიც. ერთი სიტყვით — „ყალბის-მქნელნი“. ოღონდ ზემოდ მოყვანილმა ფაქტებმა კიდევ ერთი რამ უნდა დაგეანახოს და რაც უფრო საყურადღებოა, რომ „ყალბ ადგილთა“ აღმოჩენა ეხლა ძალიან ძნელია. და ვისაც მართლა რაიმე სერიოზული, მეტად მტკიცე და დამაჯერებელი საბუთი არა აქვს, ჯობია მათი „განრიცხვიდან“ ან „შეკეთებიდან“ თავი შეიკავოს. არა თუ მთლიან სტრიქონების ან მთელი ამბის ან პოემის ნაწილის „განრიცხვა“ არ არის ადვილი საქმე, არამედ ცალკეული სიტყვა - ტერმინის ხმარება და არა სწორი გაგება იწვევს ერთ აურზაურს, რომ არსებობდნენ გენიალური ყალბის მქნელები პოეზიაში, ამას შვე პირსონის მაგალითიც გვიმტკიცებს. მხატვრობასა და მოქანდაკობაში ყალბი, მქნელობა კიდევ უფრო ძნელია, რათვან აქ დიდ იმიტატორულ ნიჭს ვარდა საჭიროა ფაღსიფიფაცია მატერიისაც: ტილოსი, საღებავის, ფიცრის თუ მარმარილოსი და სხვა მასალათა, რაც ხშირად დაუძლეველ სიმწელეს წარმოადგენს, რადგან ამ მასალათა ქიმიური ანალიზით შეიძლება დამტკიცდეს მათი ხანა ანუ სიძველე.

და მიუხედავად ამ სიძნელეთა, როგორც ზევით ვამბობ, მაინც არსებობდნენ ისეთი ყალბის მქნელები, რომელთაც ვერავინ ვერაფერს დაღმტკიცებდა თუ თვითონ არ გამოტყუბილიყვნენ. როგორ სურათ ამის შემდეგ „ე. ტ.-ნის“ ზოგიერთ მკვლევართ, ასე უბრალოდ და ადვილად ამოავდონ პოემიდან ზოგი უმშვენიერესი ადგილი ან თა-

ვიანთი ახარებელი მოსაზრებით თუ ტენდენციით შესცვალონ ეს თუ ის სიტყვა ან ტერმინი?

მე აქ არ მინდა შევეხო სუსტ კომენტატორებს, რადგან ეს მეტად შორს წაგვიყვანდა, შათი აზრი ისედაც დამარცხებულია ან დამარცხდება, ის ვერ გაუძლებს სანაშღველის ლოდიკას, მაგრამ აქ მსურს ირრადე სატყეით ვახსენო ნაწიერი და ღრმად განათლებული მკვლევარი პროფ. პაულე ინგოროყვა. ის ფიქრობს, რომ, როსტევეანისა და ავთანდილის ნადირობის ბოლო ამბავი, ანუ ნადირობის რეზულტატი ჩამატებულია სხვის მიერ და ამის დასამტყიცებლად მის საკმოდ მაგარი: ლოდიკა - ტრადიციულ და ფსიქოლოგიურად დაფუძნებული „საბუთი“ მოჰყავს. (ლოდიკერ - ფსიქოლოგიურია: ახალგაზრდა. ჯანღანით სავსე ავთანდილისათვის რა სსასხელო უნდა ყოფილიყო მოხუც მეფისათვის ევობნა? ტრადიციული: - ავთანდილი ვერ შეკადრებდა მეფეს, რომ ის საჯაროდ დაეჩაგრათ). ამას ზედ უმატებს კიდევ ტერმინების — „მოყმის“ და „მონის“ ხმარებას და მათს ანალიზს. ყოველივე ეს ვერადასაღებია, მაგრამ არა საკმარისად დასაბუთებული ამ ადგილის პოეზიდან ვარიცხვისათვის. რატომ? პ. ინგოროყვას სწორედ მის მიერ მოყვანილი მოსაზრება აყენებს უხერხულ მდგომარეობაში — ნუ თუ რუსთაველმა ან მისმა გმირებმა, მეფე როსტევეანმა და სპასმეტმა ავთანდილმა არ იცოდნენ, რისი გაკეთება, ჩადენა შეიძლებოდა და რისი არა? თუ ასეთი საქციელი, ეს იგი ავთანდილის მიერ მეფის ჯობნა საჯაროდ დაუშვებელი იყო, მაშინ თვით „მადლევი“ ნადირობის შესახებ დაუშვებელი და შეუცაცყოფელი უნდა ყოფილიყო მეფისათვის და მთელი ეს ამბავიც, მაშასადამე, უნდა ვარიცხოს პოეზიდან, — „დაგიღრეჯია მეფეო, აღარ ვებნება პირია“ და სხვ. აქედან მთლიანად ნადირობის და მისი შედეგის მოუხსენებლად. მაგრამ პ. ინგოროყვა ეს არ შეუძლია, თვითონ როგორ უნდა გამოიყვანოს მეფე და ავთანდილი დიდი აშალით წყლის პირად ტყეში? — როგორ უნდა შეახვედროს მათ „ეფუხის ტყაოსანი“ ტარიელი? ამიტომ მან შუაში გაპყვეთა მთელი ეს ამბავი და ბოლო ყალბის მქმნელს მიაწერა, რადგან ეს თურმე დაუშვებელი და შეუცაც - ყოფელი ყოფილა მოხუცო მეფისათვის. თუმცა ამბავის პირველ ნახევრიდან, — რომელსაც ინგოროყვა პოეზიდან არ რიცხავს, — ნათლად ჩანს, რომ ამ დროს მეფეებთან დაახლოებულნი და სანდო პირნი, მათ პირმა, გულახდილად უფრო მეტ შეუცაცყოფასაც აყენებდნენ. სოკრატე და ავთანდილი მეფეს სძინწწწეს აზრალეებენ, ავთანდილი პირშივე ეტბნება მეფეს, რომ ის მას სა-



რაინდო საქმეებში აჯობებს და ამ ბაასის შედეგად იქნა დადებული „ნადიერი“ და ვინც წააგებდა, მას სამი დღე უნდა ევლო თავშიშველას. ესე იგი უქულოდ. რაც მაშინდელ დროში, და უბრალო კი აღმოსაველეის მცხოვრებთა შორის, დიდი დამპირება და შეურაცყოფა იყო. მით უფრო მეფისათვის, მაგრამ ეს სასჯელი — თავშიშველობა პოემაში ნახსენები არ არის, ეს აღარ ჰკადრა რუსთაველმა მოხუც მეფეს და დაუშვებელიც იყო, ხოლო ეს ადგილი, ესე იგი ნადირობის ბოლო და შედეგი რომ ვინმე პედანტ ყალბის მქნელს შევთხზა, ის აღბად მეფის თავშიშველობასაც ვალექსავდა. პირიქით, ამ სახატლეოში და როსტევეანის დამარცხებაში, რაც მას, როგორც ბრძენ პიროვნებას, აუტოლებლად წინახწარ უნდა სცოდნოდა, მე ვხედავ როსტევეანის განხრახვას — ავთანდილისათვის კიდევ მეტი სახელი და პრესტიჟი შეეცმნა ხალხში. ამის მიზეზი აღბად როსტევეანის დარღული სურვილი იყო — ავთანდილი მისი სიძე გამხდარიყო. მისი ასული თინათინი შეერთო და სახელმწიფოს ღირსეული პიროვნება ჩადგომოდა სათავეში მისი მშვენიერი ასულის გვერდით. როსტევეანის ეს სურული განხორციელდა. ავთანდლმა მართლა აჯობა მას ნადირობაში, რაც მეფეს მეტად ახარებს, რადგან აქ ხედავს იგი მისი განახარდის სიკეთეს. აშინარიდ, ავთანდილი პირველ კაცად ხდება უფლებით მეფის შემდეგ, ხოლო სარაინდო საქმეებით მეფეზე მეტიც ეს იყო სურული როსტევეანის და ეს იყო ხელოვნება რუსთაველის, და არა მათი სახლიდან გამოტყუება რომ ტარიელს შეპყროდენ, როგორც ეს ბატონ ინგოროვეას ჰგონია. მართო ეს რომ სურეებოდა რუსთაველს, მაშინ ის უფრო სხვანაირ ამბავს შეთხზავდა აქ მათ შესახებდრად და ამდენი ვაივავლახი აღარ იქნებოდა საქირო, არც ის მოსახრება სწორი, თითქოს „ნადირი ტყეა შეეძრწა, სადაც ვერა რბის ცხენია“ განგებ იხმარა რუსთაველმა. რომ ნადირობა უდროოდ მოეთავებინს და ამგვარად შედეგი არ გამოჩენილიყო, როგორც ამას პ. ინგოროვეა ამტყიცებს. ჯერ ერთი, რაც ინადირეს ე. ი. რამდენ ხანსაც, აქედანაც ნათლად ჩანს ნადირობის შედეგი და კიდევ მოახსენებენ მეფე - ავთანდილს ამის შესახებ მონადირენი. ხოლო ნადირი რომ რაიმე მოსახრებით რუსთაველს ტყეში არ შეურეკია, ესეც უხადია, რადგან ნადირობა ყოველთვის და ყველგან ასე თავდება: ნადირი გადაიკარგება, დაიშალება, რა თქმა უნდა ტყეში შეიჭრება, „სადაც ვერა რბის ცხენია“, ამა ნადირი სად უნდა წავიდეს? — სალოცავში ხომ ვერ წავა? ერთი სიტყვით, ერთ ნაწილს ნადირისას დახოცავენ, მეორე, უფრო დიდი ნაწილი კი თავს უშველის, გარდი-

ხეწება და ნადრობაც ამით თავდება. და უოველავე ეს მოხდენილია და ასევე, როგორც რუსთაველი ამას აღვაწერს, მეფე და აეთანდილი ტარიელს სულაც რომ არ შეხედუროდეს.

მიუხედავად ამ მცირე კრიტიკისა, თუ აზრთა სხვადასხვაობისა, ბატონ პ. ინგოროვესა ში, დიდ ცოდნას და დამსახურებას ვერაფერ წაართმევს. მის წიგნს — „რუსთველიანის“ — აქვს სხვა დიდი ღირსებები, განსაკუთრებით დასახიზრებული ტექსტების გასწორებაში და ზოგან მთლიანი სტროფების განდევნაში — სადაც აშკარად ჩანს ფაღმის მქნელი; ხელა ასეთივე დამსახურებისა და მადლობის ღირსია ემიგრაციაში, მანვე პირობებში მოღვაწე ჩვენი მეორე მკვლევარი მხეილ წერეთელი, რომელმაც პოემის ტექსტი გასწმინდა ბევრი არა - რუსთველური ჩანართებისაგან და მრავალი დამახინჯებული ადგილები დამაჯერებლად აღადგინა. მანვე წამოაყენა ჰაიოთეზა, რომ „ვ. ტ.-სწისა“ და „ისტორიათა და აზმათა“ (თამარის ისტორიის) ავტორი ერთი და იგივე პირია! აქნებ ამ მხრივ მკვლევარს მიმდევარნი გამოუჩნდნენ საქართველოშიაც, სადაც მკვლევრებს მეტ წყაროებზე მიუწედემათ ხელა, და თუ საბოლოოდ პ. შიხ. წერეთლის მოსახრება დამტკიცდება — ეს იქნება ქართული ერისათვის მეტად სასამოვნო, ზოლო ქართული კულტურის ისტორიისათვის დიდი შენამატი, რაც შეეხება მ. წერეთლის მეორ პოემის შესავლისა -- მიძღვნისა და შირობა - მიჯნურობის განხილვისა და ამ შესავლიდან უფიდესა ნაწილს განდევნას, როგორც არა - რუსთველურისას, მე პირადად ვერ შევფიქრებარ ჯერ კიდევ, — ისე ვარ შეჩვეული, როგორც შკოთხველი, ამ ადგილს. მაგრამ მე ხომ სპეციალისტისა და მკვლევარის პრეტენზია არა მაქვს, ამიტომ გულბდილად ეამშობ მხოლოდ ჩემს პირად ვარწმობიდან გამომდინარე აზრს, მიეილი უბედურება ისაა, რომ პ. მხეილ წერეთლის მეორ კრიტიკულად განხილული და აღდგენილი პოემა დღემდე გამოუცემელია, ცალკე გამოცემის სახით, რომ ამით საქართველოშიც და აქაც, მკვლევართ და მკითხველთ შესაძლებლობა მკონიოდით შრომის უფრო ახლო გაცნობისა.

ორი წლის წინ ემიგრაციაში გამოქვეყნდა ეიქტორ ნოზაძის დიდი ნარკვევი „ეფუხის ტუაონის ფერთამეტყველება“. გარდა თეით თემისთან დაკავშირებით წარმოდგენალი მრავალი ახალი მოსახრებებისა, ავტორს მიეილი რიგი სიტყვებისა და გამოთქმების სწორად გავებისა და პირველყოფილი სახის აღდგენისათვისაც არა მცირედი ურადლება მიუქცევი. დამაჯერებლად განმარტავს იგი, მრავალი-



თად, თუ როგორ უნდა იქნას გავრცელებული „გასტეხს ქეასაცა მავანთა ზღაპრული ტყვიისა ღბილისა“, რას ნიშნავს სიტყვები — „სამინული“, „მოლი“ და სხვ. აქვს მკორე ნაკლიც: გაჭიანურებულია და ხშირად განმეორებული იგივე მასალა, რაც წიგნს უკარგავს ალღ - ალღ კითხვის ხალისს და ხდის მონოტონურს. მეორე ნაკლი ისაა, რომ ავტორი ძლიერ ავრესთელია სხვა მკვლევართა მიმართ, რომელნიც მისი აზრით სცდებიან მთელ რიგ საკითხებში. შეცდომის პოვნა სხვის ნაშრომში არ გვაძლევს უფლებას, უდიერად მოვიხსენიოთ შეცდომის ჩამდენი. არც იმის უფლება გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული მარტო ჩვენ შევითვისოთ. ეს სათაყვანებელი ჰოვმა უყვარს ყველა მის მკვლევარს, ყველა მიც მკითხველს და ამ სიყვარულს არაერთი კავშირი არა აქვს შეცდომის დაშვებასთან. შეცდომები მკვლევართა პოემის უსიყვარულობით არ მოსდით. — მიუხედავად ამისა, ე. ნოზაძის შრომა დასაფასებელია, მით უმეტეს ემიგრანტული ცხოვრების პირობებში.

ღიღი ხანი არ არის, რაც ემიგრაციაში გამოვდა პატარა ტანისა, მავრამ საყურადღებო შრომა ღიღი ბელიაშვილისა: „რუსთაველისა და დანტეს იღუმალი“. ავტორი არის ძმა ღიღად ნიჭიერი მწერლის აკაკი ბელიაშვილისა, რომლის კალამს ეკუთვნის რომანები „თაყვად-დასავალი ბესიკ ვებაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახი“. ღიღი ბელიაშვილი შეეხო „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის ასტრონომიულ აზროვნებას, მის მომზადებას ასტრონომიაში. ამ მხრეც ღ. ბელიაშვილიც, შრომა რუსთაველოლოგიაში ახლის მოქმელად გვევლინება. წიგნის ამ დადებით მხარეს, — უკეთ რომ ვთქვათ: მის მეცნიერულ მხარეს, თან სდევს სუსტი მხარეც: ავტორი ზოგიერთ პირობებშიც საკითხებს მარქსისტული სათვალეებით უყურებს, ესე იგი მეტად სათუთ პირობებებს ტენდენციურად სჭრის. ავტორი რომ დარჩენილიყო ვიწრო მეცნიერულ ჩარჩოებში, ის დაკმაყოფილებულიყო მარტო იმით, რაც მას მისმა საკუთარმა „წმინდა გონიერებამ“ შთააგონა — მეტს მოიგებდა ისე როგორც თვით, ავტოთვე მისი შრომაც. მე სრულებით არა ეფიჭობ და ჩემთვის არც ღ. ბელიაშვილის არ-გუმენტაციაა საკმარისი, რომ დაეიჯერო თათქოს რუსთაველი იყო არა - ქრისტიანი. ქრისტიანობაში არც მეცნიერებას და არც პროგრესს არ ებრძვის, განა თვით ბელიაშვილი არ გვიამბობს, რომ დავით აღმაშენებლის, უაღრესად ღვთის მოსაყ ბელმწიფის, ქრისტიანობის დამცველის და ქრისტეს მონის (აბდულ მესია) სახით ჩვენ გვეუბნის უდიდესი დამცველი მეცნიერების, ე. წ. პითაგორის მოწაფეთა?!

ყველა სიწმინდის გათვალისწინების შემდეგ, მე მაინც მომხრე ვარ იმ მოსაზრებისა, რომ მთავარი განსხვავებანი პოემის სხვადასხვა ხელთნაწერ ტექსტებში არ უნდა მიეწეროს აუცილებლად სხვის ხელს, ესე იგი ვალბის მქნელს, არამედ თვითონ რუსთაველს! რატომ?

ასეთი ღრმა, უნივერსალურია და დიადი პოემა, როგორცაა „ვეფხისტყაოსანი“, არ იწერება ერთი ხელის მოსმით, ერთი სამოლოო ტექსტით შეესწორებლად და მოკლე დროში, არამედ ასეთ უკუდავ და დიად პოემას სჭირდება ბევრი დრო, ბევრი ფიქრი და შრომა. შემოქმედების ამ პროცესში ხდება ხანდახან დიამეტრალური ცვლილებებიც კი და რაღა თქმა უნდა პატარა და უზნიშვნელო შესწორებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ე. ი. შესწორებებზე ამის თუ მოქმედების უკეთ, უფრო ნათლად დამახტავად, შთაბეჭდილების გამაძლიერებლად, შაირის გასაშალაშინებლად და სხვა ესთეტიურ და ლოდიურ სასუსტეთა გასასწორებლად. ასეთ შესწორებებს აკეთებდნენ და აკეთებენ არა ასეთი ოკეანის სიდიდის მსგავსი პოეტი, როგორც რუსთაველია, არამედ პატარასი — წყარო, მსგავსნი ზომით. პირადად მე რუსთაველის პოემას შემდეგ, ყველაზე უფრო ღრმად, სიბრძნის ზღვად და უნივერსალურად მიმაჩნია გოეტეს „ფაუსტი“ და რადგან გოეტე ყველაზე უფრო დიასია თავისი სიდიადით რუსთაველთან შედარებისა, ავიღოთ სანიშნით მისი უკუდავი ტრადილია „ფაუსტი“. რათა ჩვენი მოსაზრება უფრო ნათლად ჩამოვავალიძოთ.

რამდენ ხანს სწერდა გოეტე „ფაუსტს“ და რამდენჯერ შესცვალა მან მისი ნაწილების ფორმაც და შინაარსიც? როგორ განსხვავებებს ვხედავთ სხვადასხვა ტექსტებში ამ ტრადიციისა მომქმედ პართა, მოქმედების ადგილთა და ლექსის ფორმის მხრივ? რა ზომის განსხვავებანი არიან ესენი? გოეტემ „ფაუსტის“ წერა დაიწყო. თუ არ ვცდებ, დაახლოებით 1773 წელს და დაამთავრა 1832 წელს, ესე იგი უწყობია და უშრომია მასზე თითქმის სამოცი წელი. ჯერ მან დასწერა ხალხური, ხალხში დარჩენილი თქმულებას მიხედვით ე. წ. პირველ-ყოფილი „ფაუსტი“ — ადგილები შაირით, ადგილები პროზით, მოცულობით მცირე, ღირსებით: არა ისე დიადი, როგორც შემდგომი ტექსტება. შემდეგ სტუდენტებისათვის სკენაზე დამადგმელად მან



დასწერა ფრაგმენტების სახით ტრადიციის უმნიშვნელოვანესი აღ-  
გალები ცალკე. ამ ორი ტექსტის გარდა, რომელნიც დღემდე განსხვავ-  
დებიან ერთი შუროსისაგან, ცნობილია კიდევ სხვა განსხვავებული  
და შესწორება - შეტანილი ტექსტებიც. სადაც ბევრი რამ დამატე-  
ბულია და ბევრიც სრულებით გამოტოვებულიც. ერთი ასეთი ტექს-  
ტი. შეტად განსხვავებული დანარჩენებისაგან შეგვიჩანსა ვინმე ფონ  
ქონძაშვილის ასულმა. გოეტეს ყველა ზემო ნახსენები ტექსტები  
გაცილებით უფრო განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე რუსთა-  
ველის ყველა ცნობილი ტექსტები. მაგალითად, თავის პირ-  
ველ ტექსტში („ურფაუსტ“-ში) მოქმედება აფერხავს ღვი-  
ნის სარდაფში დაწერილია პროზით და ჯადოსნობის, ანუ შავი მა-  
გიის მქმნელად გამოაყვას არა მეფისტოფელი, არამედ თვით დოკ-  
ტორ ფაუსტი. საბოლოო ტექსტში კი ამ სცენაში, ესე იგი აფერხა-  
ვის სარდაფში, დოკტორ ფაუსტი არაერთაზრად როლს არ თამაშობს  
თავისთვის, ის არის უბრალო, დამწუხრებული მაცურებელი და მთელ  
ამ ჯადოსნობას თვითონ მეფისტოფელი აკეთებს. ფორმაც მხრივ  
პირვანდელ ტექსტში ეს ადგილი დაწერილია მწერლის პროზით,  
ხოლო საბოლოოში კი შეტად მშვენიერი შაირით. სადაც ექვსი პირის  
ბასი ისეა გადაბმული ბუნებრივი შაირით, რომ არსად უხერხულო-  
ბას არ გრძნობ. ასეთივე დიდი განსხვავებაა ტრადიციის სხვადასხვა  
ტექსტებში, ერთ უმშვენიერეს და უმნიშვნელოვანეს ნაწილს „ვალ-  
პურგის ღამის“ ირგვლივაც. „ვალპურგის ღამე“-ში გოეტემ მოქმე-  
დების ადგილად ჯერ დაასახელა შუა გარმანიის, პარცის ბლოკენ-  
ბურგი და ნაწილობრივ ეგვის ზღვა. მაგრამ საბოლოო ტექსტში გო-  
ეტემ დაინახა უხერხულობა და შეესაბამება ასეთი მოქმედების და  
გახაცალავეა ტრადიციის ეს ადგილი. დასწერა ცალკე „ვალპურგის  
ღამე“ ბლოკენბურგზე და ელასიური კიდევ ძველ საბერძნეთში გა-  
დაიტანა და იქ სცენაზე გამოიყვანა ყველა მითიური სულები ძველ  
ბელღინთა. ამ ორ მაგალითს გარდა შეიძლებადა „ფაუსტი“-დან  
კიდევ მრავალის მოყვანა, მაგრამ აქ ეს ეკეძაროთ. ოღონდ დასას-  
რულს უნდა დავუმატო ისიც, რომ გოეტემ სამჯერ თუ ოთხჯერ შეა-  
სწიროს საბოლოო ტექსტი ამ თავისი ტრადიციისა და აქაც კიდევ  
ზოგი რამ დაუმატა, გამოაყოლო ან შესცვალა.

1829 წელს თავის პირად მდივანს და პოეზიის დიდ მკობრეს იოჰან  
ეკერმანს ამოც შესახებ ის ეუბნება: „ფაუსტის ის ნაწილი მე მქონდა  
დაწერილი საფოსტო ქაღალდზე. ბევრი რამ შევცვალე, რადგან მე-  
შინაოდა რაიმე ისეთი არ დამეწერა. რაც არ იქნებოდა კარგი და ვერ  
ვაუძლებდა ვაშს“-ო.



აი, ეს უბრალოდ თქმული, მაგრამ ყველა ხელოვნებისათვის, განსაკუთრებით პოეტებისათვის, დამახასიათებელი, მათი მამოქმედებელი ფაქტორი და მათი იდუმალი სურვილიც — „არ დაეწერო ისეთი რამ, რაც არ იქნება კარგი და ვერ გაუძლებს ეასს!“

ასე ფიქრობდა გოეტე და უთუოდ ასევე ფიქრობდა რუსთაველიც. მთი უფრო, რომ მან ასეული წლებით ადრე დასწერა თავისი პოემა და კრიტიკა - გაუგებრობისაც მეტი ადგილი ექნებოდა და მტრებიც მეტი ვერლბოდა. რუსთაველს კი უნდოდა და სწამდა, ასე როგორც გოეტეს, რომ მის პოემას უნდა დაეხერო ქართული ხალხის სული და გული, რომ მის ნაწერს უნდა „გაეძლო ეამისათვის“. პოემაში ნამდურ გასაგებ საჩინდო ამბის გარდა, მის სიბრძნეს და მეცნიერებას, რომელიც მან შიგ ჩააქსოვა, უნდა ეპოვნა მომხრე და მიმდევარი ხალხში. რუსთაველს თავისი მისიის დიდა საძნელეც მეტად კარგად ესმოდა და ვინაიდან მას ანგარიში უნდა გაეწია მაშინდელი მმართველობისთვის, გეოგნებისათვისაც და მოწინავე პირთა აზრისთვისაც ამიტომ მან აუცალკებლად ბევრჯერ შეასწორა, შესცვალა, დაუმბატა ან შეამოკლა ზოგი ადგილი პოემაში, სანამ ის საბოლოო რედაქციას ჩამოაყალიბებდა. ეს პროცესი უთუოდ გაგრძელდებოდა ათეული წლები, და ეტლა ზოგი ეს ცვლილებები ვახვდებიან პოემის სხვადასხვა ტექსტებში, ასე როგორც ასეთ ცვლილებას ვხედავთ გოეტეს ან სხვა დიდი მწერლების ტექსტებშიაც.

ჩემი ეს მოსაზრება შეეხება განსაკუთრებით პოემის შესავალს და ზოგ სხვა სტროფებსაც ტექსტის სიღრმეში, მაგრამ ამ მოვლენამ არ უნდა აგვადებინოს ხელი პოემის კრიტიკულად აღდგენის კვლევადობაზე.

\*\*\*\*\*

## მეჩობლის სიკვდილი

(თეორი ლექსი)

ლადო ბელიაშვილი

დღეს გაემგზავრა მერცხალო გუნდი ცხელ ქვეყნისაკენ,  
მაგრამ წამოიჩინა დაქანცული ერთი ქარავანს:  
ერთი მოგზავნილმა ვერ გაქვეითა ქართა ტალღები  
და გულმოკლულმა მოაშურა თავის საბუდარს.  
შავ არეინ დახედა, დამხდურს იგი არც მოელოდა,  
აქ, ამ ბუდეში დაიზარდნენ მისი ბარტყები.

ფერი იცვალა ბუნებამ და მზეც გაცივდა,  
გამარცულ ტყეში ზეზუნებდნენ ცივი ქარები.  
ქვეწარმავალნი წაეიდნენ მიწად, და გაქტა მწერი.  
თოვლმა დაფარა თელსაზინო, მთანი და ველნი.  
დადგა ზამთარი გრძელი, ცივი და სუსხიანი.  
თვის ცივ ბუდეში მერცხალს გვიან მიეძინება...  
სიზმარში ჰხედავს: ნილოსის ან განგის ტრამალებს,  
მზეს ალ-მოდებულს, მიწის ფენილს ღერჯი მალმებით.  
და ჰხედავს: მქროლავთ თავის ბარტყებს და თვისიანებს.  
დილით კა როცა მერცხალს ასევე გაელვოება, —  
ნახავს რუხე დღეებს, თოვლს და ყინვის და სანახველს, —  
სად შავი კატა ჩასაფრია ჩიტს დასაჭერად.

კვლავ ვახავსულდა, მხურვალე მზემ გააღლო თოვლი,  
ფერით შეამტვრია ბორკილები ღამაშ ნაკადულს.  
ამწევანდენ ველნი, ამწევანდენ მთები და ვარინდა მწერი.  
და აქიკტავდა მაშინ ტკბილად ჩვენი მერცხალი,  
მიმოჰქრის ირგვლივ, სიბარულით სურავს კამარას,  
თან მოუთმენლად ელოდება თავის ქარავანს.

აბა, გამოჩნდა პირველი ჯგუფი, მათ მიეცემა,  
მეგობრებო ის იყო ქარაგანმა უცხო მერცხალთა  
და მიაშურებს მათ ვივლით თავიანთ კუთხეს.  
აბა შეორკე, და ამ ქარაგანს გამოეყო ერთი მერცხალი:  
და ორავენი დასხდნენ ზესხევენზე.

ატყდა ქოც - ქიაკა.

ვინ იცის რა სიტყვა,

რა უამბო ახალ-მოსულმა?

საუბარმა დიდხანს გასტანა.

ზოლოს დადუმდნენ.

ახლად-მოსული კვლავ გაფრინდა თავისი გზისკენ,  
ზემბლ - აბურძგნული დარჩა მარტო ჩვენი მერცხალი.  
შავათ მიუჩანს ბრწყინვალე მზე ცის დასავალზე,  
არც ვახაფხულის არ აბარებს ცის სილაგვარდენ,  
არც მწვანე შოებში, მწვანე ველი და მერცხალთ ვუნდი.  
კვლავ მარტო დარჩა, საკუდავი ჩიტი ველი  
და დიდხანს იჯდა შავ ფიჭვებში გაჩინდებული...  
უცრად შეტბა, შეტკრციალდა, ძიხს ჩამოვარდა,  
კატას წავართვი პაწაწინა მისი სხეული.  
გული არ ფეთქდა, თუმც სხეული იყო ჯერ თბილი.  
თვისივე ქვანგიით ველი ქონდა გამოლადრული.  
და ოვალის ვრგვა იყო უკვე ჩაღურჯებული.  
მიწას მივანდუ შე, პატარა მისი სხეული.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXX

## რ ა ზ უ ლ ი კ ა ნ ი ზ ა ძ ი

### ვივი შიორელი

გაღმა მოჩანს ტყეები დაბურული,  
ველ-მინდვრები ფარდაგვიით ნართული,  
სადღაც მიდის გლეხი ფიჭვში გართული  
და ჩრდილებში რჩება მოხარატული  
წიფლის ოდა ყაჭრით გადაბურული.

აგერ სუფრა გაუშლიათ განურთი,  
ზედ ლობი და ლაქაშები აწყვია,  
ჭუნჭი უველი და ხმოს ხორციც აქვია,  
ტუტებზე კი უველას ღიმი ატყვია,  
რადგან მოაქვთ ჩაფით ყიფიანური.

როცა შეთერენ — წამოიწყეს „დალი“,  
სუფრის ირგვლივ დაუარეს ფერხისა,  
აგრილებდათ ჭეროები ვერხისა.  
შე კი შენი ნახვა აღარ შეღიძრა,  
სიჭაბუკე შენზე ფიჭვს შევალღი.

\*\*\*

სიჭმარია, თუ არის მოჩვენება:  
ასე ტკბილად ვინ იმღერის ნეტავი?  
ის გოგონა არის ჩასაცენეტავი,  
ვაფი ღნება — გოგონას შემხედავი,  
ვეარგება ძილი და მოსვენება.

კლდის ნაპრაღში მოჩხრიალებს ბინული,  
ფურ-არემა ვეძას დასწაფებია,  
ბარბად ზერებავს... როგორ მოსწყურებია,  
დაბლა თბილი, კარგი ამინდებია,  
შოდამე ეს აღარ დნება ყინული.

ბოსტნის კეღში დეზებს ლესავს შამალი,  
ქიას ეძებს, მასკენ შარბის ეარია,  
როგორ შიპქრის, როგორ შეუხარია,  
სავეარელო, უშენობა მწარია...  
თუ მომარჩენ — შენ ხარ ჩემი წამალი.

\*\*\*

ზეობაში ქეზოს იყრის რიონი,  
ფერდობებზე ვენახები გაშლილა,  
ძველი ცახე ჯერ კიდევ არ დაშლილა  
და ჩეენს სოფელს. — სისხამზე რომ აშლილა,  
თავზე დასცქერს თეთრი კაცკასაონი.

ხარისთვალს მოღივლივე ტბა ორი,  
ნაქერალს ნაძვიანი ქედები,  
ლავეარდ ცახე ღრუბლის თეთრი გედები.  
ქვევით: ვზებო, დაგრაგნილი ღვედები  
და კალმახით უბე-სავსე შაობი.

ნაკორწმანდის დიდებული ტაძარი —  
როგორ შეენას ჩეტვრომების ზეველი,  
მისა ზურო იყო აღბად გრანეული.  
სანატრელო! ვიყო სამგზის წვეული,  
თუ ჩამიქრეს შენა კრთობის ხანძარი!

სექტემბერი, 1956 წ. ნიუ იორკი.

\*\*\*\*\*



## ჩ ე მ ი მ ო ზ ო ნ ე ბ ა

### გ რ ა გ ო ლ ღ ი ა ხ ა მ ი ძ ე

მინდა გავიხსენო ჩემი ნასმენ - ნანახი იმ დროიდან, როცა ჩვენი ოჯახი გადასახლდა ვორში. ეს მოხდა დაახლოებით 1876 წელს. ჩვენ დავიჭირავეთ ბინა მოქალაქე დავიდოვის სახლში, სადაც მოდოდნენ სტუმრები. მაშინ ვორში იდგენ რუსის სამხედრო ნაწილები. მრავალი ოფიცერი დაიარებოდა მაშინ ჩვენთან. ესენი კარგად გაზრდილი ხალხი იყვნენ. მშართედნენ კლუბში წარმოდგენებს, ცოცხალ სურათებს, ცეკვობდნენ. გორელი ქალები მზიარულობდნენ, პრანჭიობდნენ და ასე ერთობოდნენ. იყრიბებოდნენ რიგრიგად სხვადასხვა ოჯახებში. ამგვარი ოჯახებიდან მახსოვს ელიზბარ ერისთავისა, ევრუღიანთი, მამაშვიანთი (ერისთავიანი იყვნენ), კერესელიძიანთი, ფურცელაძიანთი, სოფრომ შვალობლიშვილისა და მრავალი კიდევ სხვა. სიმშათიური ოფიცრობიდან მახსოვს ერთი ფონ კოიშანი — ვარუსებელი გერმანელი, ქართველი ერის სიმშათით განმსჭვალული. იყო განათლებული და სხვადასხვა ენების მცოდნე. აგრეთვე რეჟისორი, პატარა წარმოდგენების მმართველი. ცხოველი სურათების მომწყობი. ერთხელ, მახსოვს, ჩემი მომდევნო ძმა სანდრო წაიყვანა მან და ერთ-ერთ სურათში ამგვლოზად გამოიყვანა, ფრთები გაუკეთა. მე ძალიან მეწყინა, რომ უუურაოდნებოდ დამტოვა. ეს ნაწყენობა დიდხანს მიკლავდა გულს. მერე გამიქარწყლდა.

გორი მაშინ ძალიან შევიწროებული იყო ვიყმაყი ღიახვით. ეს სწრაფი მდინარე უკველ წლივ წყალდიდობას აკლიდა ვეებერთელა ნაჭრებს ამ მხარეზე, სადაც მტკეპარზე გამართული იყო ხის ხაღი, ესე იგი შესართავთან. ღიახვი ქალაქის ზემო ნაწილში ანგრევედა ჯებირებს და ნაპირებს არღევედა ქვევით. თვითნ მე მახსოვს, როგორ მოანგროა მპირი, სადაც იდგა დერმიშხან ერტრულის ღამაზად მორათული სახლი. თვალცრემლიანნი შევეუტრებდით შორი - ახლოს მდგომნი მეთვალურენი, როგორ მიაქანებდა გადარეული მდინარე ამ სა-

ხლსა, მთელი მისი ავადმყოფობით. ამ დროს სხვა სახლებიც წაღვეს მდინარემ და ჩაიტანა მტკვარში. შემდეგში ის ნაპირი ძლიერ შევიწროვდა, ბალოს რაგორღაც გაამაგრეს და გადაარჩინეს მშობლად ის ნაწილი, სადაც იდგა მრგვალი შენობა, რომელიც კლუბს წარმოადგენდა. აქ გამართული იყო სცენა, სადაც იმართებოდა ქართულად ან რუსულად წარმოდგენები სცენის მოყვარეთა მიერ. ზოგჯერ ნამდვილი არტისტებიც ეწვეოდნენ ხოლმე თბილისიდან, როცა წარმოდგენები არ იყო. იქ მრგვალ დარბაზში იმართებოდა ცეკვა - თამაზისე კი ყოველ დღე იდგა ბანჭოს სათამაშო მაგიდები, კლუბს ჰყავდა მამასახლისები, რომელნიც რიგს იჭერდნენ.

გორა ცნობილი იყო მშვენიერა მიდამოებით, სოფელი ხიდისთავი განთქმული იყო უფრანით (მუდემურით) და ატმით. სოფელი ატენი თეთრი ღვინით და ასტორიული დიდებული ტაძრით. გორს მნიშვნელობა დიდი ჰქონდა, სანამ რკინიგზას გაიფიქრებდნენ. ძველად გორი სადგური იყო საფოსტო გზის, რომელიც აერთებდა თბილისს და იმერეთს. გაყვანილი იყო მშვენიერი გზა - ტყეოვლი მკაცრად აგებული ხიდებით მდინარეებზე — მტკვარზე, თრონის წყალზე, ყვირილაზე და რაონზე. გზატყეოვლი მიდიოდა ოპიჩამდე, საიდანაც გემებით უკავშირდებოდა ფოთს. შემდეგ შესწყდა ასეთი მოძრაობა, რადი რკინიგზამ თავისი ჰქმნა, სხვათა შორის, კავკასიაში და მგონი მთელ რუსეთშიც, იქ, სადაც გასყავდათ რკინიგზა, იქ წინანდელ საფოსტო გზას სპობდნენ, საზღვარ - ვარეთ კი პირიქით, საფოსტო გზების მზრუნველობას განაგრძობდნენ. ჩადგან ესენი დამხმარე ძაბლეებით შიანათ. როდესაც მატარებლების სელის დრო შეამოკლეს თბილისსა და გორს შუა, გორის მნიშვნელობამ უფრო იკლო. გორში ქართული ინტელიჯენცია ბლომად იყრიდა თავს, დიდი ბაასი და კამათი იმართებოდა მნიშვნელოვან საქირ - ბიროტო საკითხებზე, წარმოდგინეთ, ახლო - მახლო სოფლებში გაჩნდნენ ფარული ბუდეები სოციალისტური და რევოლუციური ელფერიით. მახსოვს, სოფელ ტყეოვში, სადაც სახლობდა მეტად პატივცემული და საყვარელი ოჯახი იასე რომანის-ძე ფილენიშვილისა, რუსმა ეანდარმებმა ჩხრეკა-ძიება მოახდინეს, მე მახსოვს ჩვენს ოჯახსაც ეწვევნენ ეს რაინდები, დედაჩემს შეატყობინეს, რომ მოდიან ცხენოსანი ოფიცრები, დედაჩემი იმ წამსვე შეუდგა მურაბებით, წნილებით და სხვა საწოვავით ხუფრის, გაწყობას, ჩვენებმა აკოდნენ, რომ ეს ხალხი დაძრწიან სოფელ - სოფელ და ჩხრეკენ ოჯახებს, მართლაც, დიდხანს არ გვალოდინეს, მობრძანდნენ. მშობლებმა ეს დაუპატოვებელი სტუმრები სუფრაზე მიიწვიეს, ერთმა უფროსმა ეანდარმა დედაჩემს მიმართა ხუ-



შრომით: როგორ გვიმისპინძლდება ქალბატონი, აღბად ეშინია სახელი არ გაუჩნდა. ეს აღარ მახსოვს, გაჩხრიკეს თუ არა? შგონი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი ნახეს საეჭვო. თუმცა ერთხელ მახსოვს მამაჩემი კითხულობდა გაზეთს. გაგაჩხრიკე რუსული სახელწოდება: „ნაროდნაია ვოლია“. შემდეგ, როცა ჩემმა მასწავლებელმა, მგონი ალექსანდრე სოლომონის - ძე ხახანაშვილმა, შემდეგ პროფესორმა, მკითხა რა ვაზეთს კითხულობდა მამაშენიო, მე დავუთხველე, რასაკვირველია, მე მაშინ არა გამეგებოდა რა, რომ დიდი საიდუმლოება იყო. მასწავლებელმა მომართა მამაჩემს ეთხოვებინა მისთვის ეს გაზეთი, მამაჩემმა ვაპყრობებოდა. ეკითხა: საიდან იცით, რომ ის მაქვსო. მაშინ მე დავუთხველებივარ — იმან მითხრაო. შემდეგ, უნდა იცოდეთ, როგორი დატუქსია მაღირსეს, მაგრამ მე საიდან მეცოდინებოდა მაშინ, თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა ასეთი გამოცემის კითხვა.

იხუე ფაულენიშვილს ჰყავდა ორი შვილი. პირველის სახელი დამა-ვიწყდა. გამოვიდა ის სოციალისტი იყო, მწერალიც, მეორეს მოვესწარა, კოლა ერქვა. მეტად ნიჭიერი ფელეტონისტი იყო. საყვარელი ვანო მანაბლის ახლო მეგობარი. მას ჰქონდა დამწერილი მშვენიერი ფელეტონი ვგზეუტისა შესახებ. რომელიც ჩაყენებული იყო გორის მაზრაში, მაზრის უფროს ამირანდო აბლაძურის დროს. ამ ნაწერმა დიდი აურზაური გამოიწვია, ძიება დაიწყო და შგონი მაზრის უფროსს მოხვდა. ფსევდონიმიც მოხერხებული ამოიკითხა კოლა ფაულენი-შვილს — ლომკრიძე. ეს ფრანგული სიტყვები ვიჭტობ პიუგოს ერთ ერთ რომანიდან ამოდებული, ნიშნავს: „კაცი რომელიც იცინის“. მეტად ნიჭიერი ფელეტონისტი უნდა დამდგარიყო, მაგრამ იშვიათად სწერდა. არ ეიცო, რა იყო ამის მიზეზი. შგონი უფრო სიზარმაცე. ვანო მანაბელს ძალიან უყვარდა კოლა. მეც დამარჩა კარგი შთაბეჭდი-ლება.

გორის მაზრა ძალიან მოიყვებოდა, რომ რუსის ხელისუფლებას ეწყალობებინა ერთობა, მაგრამ ამას ეინ დავიდევდა. მოწყობაზე ჩვენს ქვეყნისა არავინ ფიქრობდა მოხელეებში, პირიქით, ერთ დროს რუსის ღენერლები გაიძახოდნენ ჩვენ საქართველო გვიონდა უქართვე-ლებოთო, იყო პროექტი ტირიფონის ველის სოფლები აეყარათ, სად-ღაც გადაესახლებინათ და იქ მოლიგონი გაეშართათ, სამხედრო ვარ-ჯიშის მიზნით. დიდმა ომმა მოუსწრო და ეს პროექტი პროექტად დარჩა. სურვილი ჰქონდა ადგილობრივ მოწინავე ხალხს შეერთებინა ლიახვის მარცხენა და მარჯვენა მაზრის სოფლები და მოსახლეობა, მაგრამ ვერაფერი გააწვეს. მათ ჰქონდათ ორა საშუალება — ან უნდა

ლიახვი გადაელახათ. რაც აღეილი არ იყო ზოგჯერ, მე არ დამევიწყებოდა ერთხელ ცხენით გავედიოდით ლიახეს სოფ. შინდისას ახლოს, გორიდან წამოსული. ზემო ცხენმა უკებ წიბორძიკა, თურმე მდინარეს ვეებერთელა ქვა აეგორებინა და მოხვედროდა ცხენს მუხლთან. კინაღამ წყალში ამოვეყვი თავი, კარგია ერთი ნაცნობა მომდევნა. გამოცდილი კაცი და ამ გზით მრავალჯერ ნასიარულევი. როგორც კი შენიშნა ზემა ცხენს ბორძიკა, მომიახლოვდა და მტაცა ხელი. ეს რომ არ ექნა, ვინ იყის რა დამემართებოდა, წყალი ჩქარი იყო და მე წაიღებდა მტკვრისკენ. — ამ თუ ლიახეს ასცდებოდით, უნდა წასუ-



[ნარტყნიდან მარჯვენით: 87 წლის გრიგოლ ლიახა

შიძე, ელენე — მისი ასული და ექ. ვაჟი კობახიძე]

ლოყავით ცხენვალზე და გარშემო მოვევლოთ. ეხლა თურმე გორსა და ცხინვალს შუა რგინისგზა გამართული ტრინის ხიდზე და ოთარიაშენზე. სხვათა შორის, ამ რკინისგზაზე დიდხანს იყო ლიახაკი დიდ ომამდე. მაგრამ ვიზედაც დამოკიდებელი იყო ი. ხელისუფლება აბრკოლებდა ნების დაბრუნეს. ერობის მოკვმას აბრკოლებდა მთავრობა იმის შიშით, რომ ამის შემდეგ მეტი არ მოითხოვონო. ექ, რას იზამ, როცა ყურნი აბიით, მაგრამ არა სასმენად. მერე კი ღუთის წყალობა



გაქვთ ეს ერობა შეგეთავაზებს, მაგრამ ისეთ დროს, როცა უკვე გვიანია იყო და წარღვნა მოელოდა ქვეყანას.

გორის ინტელიგენცია მეტად ფხიზელი იყო. როგორც კი მსოფლიოში რაღაც თვალსაჩინო მოხდებოდა, ვრძნობიერი ნაწილი მაშინვე გამოეხმაურებოდა ხოლმე. მაგალითად, როდესაც უდიდებულესმა იტალიელმა პატრიოტმა ჯუზეპე გარიბალდომ იტალია ავსტრიაძაგან გაანთავისუფლა და აღადგინა ეროვნული სახელმწიფო, გორის ინტელიგენციამ მის ვაჟგზავნა მილოცვა რუსის მთავრობამ ამაზე ზომები მიიღო, სურდა აღმოეჩინა და გაეგო. ვინ იყო ამ საქმის მოთავე, მაგრამ ვერაფერს ვახდა. აგრეთვე, როცა გარდაიცვალა საფრანგეთის დიდებული პოლიტიკური მოღვაწე ლეონ გამბეტა, გორის ინტელიგენციამ, მგონი მწერალ ანტონ ფურცელაძის თაოსნობით ვაჟგზავნა საფრანგეთს დეპეშა - სამძიმარი. ამანაც შეაძრწუნა უბადრუკი რუსის მთავრობა, დაიწვეს ჩხრეკა - ძიება, მაგრამ აგრეთვე ეერს ვახდენ.

გორის ინტელიგენციას აქტიუობა აიხსნება, მგონი, მით, რომ გორში თავი მოიყარა ბლომად ახალგაზრდა მასწავლებლობამ. აქ სამასწავლებლო სახელმწიფო ინსტიტუტი იყო დაარსებული, სადაც ფრთხილ განათლებული ხელმძღვანელნი ინიშნებოდნენ რუსის მთავრობის მიერ. ასეთივე ინსტიტუტი არსებობდა ქუთაისს ახლოს დაბა, ახლა უთუოდ ქალაქ ზონში. გორის ინსტიტუტში სხვათა შორის სწავლობდნენ ძმები ჩაზიკაშვილები თედო და ლუკა. ეს უკანასკნელი ხომ ვაჟა - ფშაველას სახელით დიდად ნიჭიერი მგოსანი იყო. თედოც მწერალი იყო. გორს ახლო სოფელ ხელთბანში მასწავლებლობდა, აგოვებდა სახალხო ზემირ-სატყეაობის მასალებს, უმთავრესად ზღაპრებს. გორის ინსტიტუტის დირექტორი იყო წარჩინებული რუსის პედაგოგი დიმიტრი სემიონოვი, ქართველი ერისადმი დიდი სიმათიით განმსჭვალული. იმის თაოსნობით მთავრობამ დაარსა მეოჯახე დედათა აღსაზრდელად საქალებო ინსტიტუტი, რომლის სათავეში მოექცა თვით ინიციატორი ბ. სემიონოვი. უპირველეს ყოვლისა მან მოაქცია ყურადღება ქართული ენის სწავლებას. დაიწყო ძებნა ქართულის საუკეთესო მკოდნესო. ბოლოს გაჩერდა მიხეილ ქაიხოსროსძე ყიფიანზე, რომელსაც ვველანი მიშო ყიფიანს უძახდნენ. ის იყო დიდი დიმიტრი ყიფიანის ახლო ნათესავი და ქართული ზედმიწევნით იცოდა. მახსოვს როგორის ზემოთ მოაწყო ბატონმა სემიონოვმა პირველი ქართული გაკვეთილი. მოიპატოვა ცნობილი ქართველი იჯახების წარმომადგენელნი გაკვეთილის მოსასმენად. საზეიმო ვეებერ-

თელა დარბაზი ძლივს იტყუდა მოწვეულ საზოგადოებას. სხვათა შორის  
როს ამ ისტორიულ დღეს ზეიშს ესწრებოდნენ ჩემი მშობლებიც და  
მეც თან წამოყვანეს ამ გაკვეთილის მოსასმენად. მე სწორედ იმ  
დღეს მოვეცა მატარებლით თბილისიდან, სადაც ვსწავლობდი. დარ-  
ბაზში სამოსწავლო სკამებზე ისხდნენ მრავალი მოწაფე - ქალები.  
სტუმრებისათვის სავანგებოდ იდგა სკამები დარბაზის წინა ნაწილ-  
ში კათედრის ვარშემო. მიხილ ყოფიანმა ცოცხლად და ღირსეულად  
ჩაატარა ეს გაკვეთილი, დამსწრენი, როგორც მოსწავლეენი, ისე ვარე-  
შენი, მტკად კმაყოფილნი დარჩნენ. იმ დღეს სხვათა შორის პირვე-  
ლად და უკანასკნელად მოვისმინეთ, თუ როგორი მღერათა კილოთი  
კითხულობდნენ ძველად უკვდავ შოთას ქმნილებას — „ვეფხისტყა-  
ოსანს“. ეს საუცხოოდ შესრულა კარგმა შესახვედრემ, უჩაღმა მო-  
წაფე - ქალმა, რომელიც აღმოჩნდა ბევრ ტატიშვილის ასული ნინო,  
შემდეგ მწერალი, მეუღლე ცნობილი მსახიობის კოტე ყოფიანისა,  
რომელსაც წამებული მამამთილი დიმიტრი ყოფიანი ნანუკას ეძახდა.  
ბევრმა კართველმა ქალმა მიიღო ამ დღეათა ისტიტუტში სწავლა-  
გახათლება. თუ არა ვცდები სამღეთო სჯულის მოსწავლეებლად მოწ-  
ვეული იყო ინგილო მამა დიმიტრა ჯანაშვილი, ასტორიკოს მოსე  
ჯანაშვილის მამა თუ მიხლობელი ნათესავი. მოსწავლეებელი მამა დი-  
მიტრი იყო ნიჭიერი მწერალი და მქადაგებელი. მის მიერ გამოცემულ  
წიგნს კართველი ქალების შესახებ, ეხლაც არ დაუყარგავს მნიშვნე-  
ლობა. იგი ამ წიგნში ეხება ჩვენს ისტორიასა და კულტურულ ცხოვ-  
რებაში სახელ - მოხვეჭილ დელებს. მამა დიმიტრამ დიდი პატივის-  
ცემა და საყვარული დამსახურა გორელებში. ასეთივე დამსახურე-  
ბული პიროვნებანი იყვნენ დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი და  
ღენჯალი აღექსანდრე მუსხელის მეუღლე ანა, ბესარიონ ლოლობე-  
რიძის ასული. სწორედ ამათ, ანა ბესარიონის ასულმა და დეკანოზმა  
ხახუტაშვილმა შემდეგ გაითქვეს დიდი სახელი სამამადიანო საქარ-  
თველოში — ახალციხის რაიონში. გორში იყო სასულიერო მოსწავ-  
ლეებელიც რომლის მოსწავლეებლმაც გაითქვეს სახელი როგორც მო-  
ღვაწეებმა, ნიჭიერმა და მკოდნე აღმზრდელებმა, მაგალითად, მღე-  
რა - გალობის მოსწავლეებლმა სვიმონ გოგლიჩიძემ. იგი იყო დიდი  
მეგობარი მწერალი სოფრომ მაგალიძისა და აგრეთვე მამა-  
ჩემი ნიკოსი. ჩვენს ოჯახში ხშირად მინახავს იგი. მას ყველა სიყვარ-  
ულით და პატივისცემით უყურებდა. ახლა მოღვაწეების ჩამოთვ-  
ლა შეუძლებელია, მაგრამ არ შემიძლია არ დავასახელო კიდევ მათე კერ-  
ესელებიც, ოჯახი, რომელიც იყო მამა ეროვნული მოღვაწეებისა —



უძროოდ დაღებულ ღუნებალ ლეო ერესელიძისა და მისე, მწერალ-პუბლიცისტ გიორგისა, რომელიც ამჟამად პარიზშია, ცხად-რობს, განთქმული იყო შწერალი - ბელეტრისტის ნიკო ლომოურის ოჯახი, რომელსაც მეუღლეთ ჰყავდა განათლებული პიროვნება, დაა სოციალიტი ექიმის ხუდადოვისა, ნიკო ლომოურის ასული თამარ ლომოური დღეს სახელოვანა ისტორიკოსი საქართველოში. მოსახ-სენებელია აგრეთვე დურშიშხან ქერულის ოჯახი. მისმა შეიღმა გიორგიმ გაითქვა სახელი, როგორც პუბლიცისტმა და საბულწიფო მო-ღეაწემ. ახლად აღორძინებულ საქართველო, პირველ მთავრობაში გიორგი ქერული პირველი ქართველი ფინანსთა მინისტრი იყო. იგი ამ რამოდენიმე წლის წინ ვარდაიყვალა პარიზში. — გორში ხშირად ჩამოდრიდა თავის სოფელ არბოდან შწერალი ანტონ ფერცელაძე, რომელიც დად აქტივობას იჩენდა ევლტერული მუშაობის სფერო-ში. — დურშიშხან ქერულის მეუღლე ქეთევან და მისი ქალი ნინო შაქარაშვილისა, განთქმულნი იყვნენ თავიანთი თვალსაჩინო ქველ-მოკმედებით. სხვათა შორის ქეთევანი იყო მომღერალი; ქართული სიმღერების კილოები ვარგად ჰქონდა შეთვისებულიაბერს ასწავლა ქართული სიმღერა. მე შგონია არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ნატო ვახუშისა და ლიზა ჩერქეზიშვილზე ქეთევანმა ამ შხრივ დიდი გავ-ღუნა მოახდინა.


ზემოდ მოხსენებული პირნი დიდ როლს თამაზობდნენ საზოგა-დობრივ ცხოვრებაში. მათ უახლოვდებოდნენ სოფლიდან ჩამოსულ-ები. შალალი წრეები, როგორც მაგალითად ღუნებალი ნიკო ამილახეა-რის მახლობელნი მასწავლებლებს სოციალისტებს ეძახდნენ, ათვალ-წუნებული ჰყავდათ და მათს მეგობრებსაც სწუნობდნენ. ეს ე. წ. შა-ღალი წრე მასწავლებლებს აშკარა ზიზლით უყურებდა და ცდი-ღობდა მათს დაკონებას. შამახეშ ნიკოსაც აღმაყრად უყურებდნენ, რადგან მედამ მასწავლებლთა წრეში ტრიალებდა. ასე რომ ამ წრე-ში მე არ დაედიოდი და ამიტომ ჩემთვის ძნელია რამე საყურადღებო და თვალსაჩინო ვსთქვა. მეშინია კიდევ ცალმხრივობა არ აღმომა-ჩნდეს, თუ მეტო რამ უარყოფითი ვსთქვი. ამიტომ დღემილს ვამჯობი-ნენ. — გორში ერთ დროს ცხოვრობდა სოფელ ნაქაზიდან ვადმო-სული პედაგოგი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი გიორგი სამაღლიშვილი ანუ იგივე ივერიელი. შემდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირონ მეოჯე, პირველი ივერიის ეკლესიის აეტოკეფალის აღდგე-ნის შემდეგ, მისი შმა ნიკო (კოლა) იყო სოფელ რუისში მასწავლებ-ლად. შამახეში და ის ერთად უსასყიდლოდ მუშაობდნენ ადგილობ-რივ საკრედიტო ამხანაგობაში (შულცი - დელიჩი, ყაიდისა). ამ ამხა-

ნაცობის დამფუძნებელი იყვნენ სოფელ რუესში მცხოვრები დიმიტრი დევანოზიშვილი — მამა მწერალი ანდრია დევანოზიშვილისა და მახლობელი ნათესავი განთქმული პოლიტიკური მოღვაწის გიორგი დევანოზიშვილისა. რუსულივე გიორგი (გორც) იოსების-ძე მამაცნობილი და მამაჩემი ნიკო.

გორში ცხოვრობდნენ ბევრი სხვა წარჩინებულნი ქართველნი, ყველს წამოთელა შეძნელება. მათ გარდა ცხოვრობდნენ უცხოელებიც: რომელნიც შეთქმისნენ ადგილობრივ მოსახლეობას, უმთავრესად ექიმები. პირველად უნდა დაეასახელო ექიმი პარტივიცი, მგონი შთამომავლობით სერბიელი. თუ არ ვცდები მისი შვილი შემდეგ იყო რუსეთის ელჩად ბელგრადში. სხვათა შორის მას ახრალებდნენ ავსტრიის ერცჰერცოგ ფრანც - ფერდინანდის მოკვლის მოწყობის ქალაქ ზაგრებში, რამაც პირველი მსოფლიო ომი გამოაწვია. პარტივიცებს ჩვენში დამსახურებული ქონდათ დიდი პატივისცემა. აგრეთვე ექიმ პეტრე კიშინტს, პოლონელს შთამომავლობით, ექიმ მოსტოვიანს, თუ არ ვცდები ესეც პოლონელი იყო ამას ცოლად ჰყავდა არ ვიცი ქართველი ქალი. თუ ქალი წმინდა ქართული ელტურისა. რომელსაც ერქვა იშვიათი სახელი სემობამიდა. შემოკლებით მას სემოს ეძახდნენ, გარეგნობით, საბის სანდომიანობა შერჩენოდა მოხუცებამდე. ექიმ მოსტოვიანს ძალიან მოსწონდა ქართული კიდეობა და კრივა. ხშირად დადიოდა ასეთ სანახაობებზე.

მეტდრო და ხალისიანი ცხოვრება გორში უცებ შეირყა, როცა მოულოდნელად დაიჭირეს ქართული ენის მასწავლებელი, ზემოდ ნაცნობები მიწო ყიფიანი, მისი მეუღლე შარვაშიძის ასული, შოი დავითაშვილი, სტეფანე ტრელაშვილი და სხვ. ამ ეამად აღარ მაგონდება მიზეზი ამ დაჭერისა. მათი ნაცნობ - მეგობრები ამომჩაედნენ, დაიწყეს სიარული ოფიციალურ დაწესებულებებში, მაგრამ ვერას გახდნენ. დაჭერილებს დიდხანს მოუხდათ საპყრობილეში ჯდომა. ბოლოს როგორც იქნა, ყველანი გაანთავისუფლეს, როცა გამოვიდნენ, ყველანი უსახსრონი იყვნენ. მახსოვს მამიდაჩემმა დამიბარა ერთხელ, რამოდენიმე მანეთი ჩამიდო ხელში და მიბრძანა ჩემად გადამეტა სტეფანე ტრელაშვილისა და შოი დავითაშვილისათვის, რომელნიც დანარჩენებზე უფრო ემწეონა იყვნენ.

შეორე ასაღელვებელი შემთხვევა მოხდა მამონ. როცა რევოლუციონერ დეგავეს ამბავი დატრიალდა. ეს დეგავეცი ეანდარმების ცენტრალურ დაწესებულებაში მახურობდა პეტერბურგში, როგორც შეთვალაუბრე — მხვერავი ცნობილი სარევოლუციო ორგანიზაციის და-



ვალეზით, როცა ეს გამოამყარა, დედავეს სხვა არაფერი დაბრუნდა, ისეთი რამე უნდა ჩაედინა, რომ თავი ემართლებინა. მანაც ერთ-ერთი და ცნობილი ვანდარში სუდეიკინი, თავისი უფროსი, მოაქვია და ვაიქცა. როცა დედავეუ ვაჩხრიკეს, უპოვეს უბის წიგნსაც, სადაც აღმოაჩინეს მისამართები მისი გორელი ნაცნობებისა, თურმე წინად გორში ყოფილიყო. ამიტომ დაიჭირეს და გაჩხრიკეს გორელი მისი ნაცნობები, მათ შორის ილია მაქაეარაძე. მამაჩემი მასთან ცხოვრობდა. ჩხრეკის დროს მამინდელი ვანდარში იმდენად თავაზიანნი აღმოჩნდნენ, რომ როცა ილია მაქაეარაძეზე განუცხადა ეს ბარგი ჩემი არ არის, არამედ ამა და ამ კაცისაო, ზელი აღარ უხლდათ. მამაჩემს კი შიშ აკრძალული სადაც - რაღაცეები ჰქონოდა. დაქვრივები დიდხანს ისხდნენ, მაგრამ ბოლოს გაანთავისუფლეს ვეღარი. მასსოც იმ დროს რკინისგზის სადგურებზე გამოფენილი იყო სხვადასხვა ტანისამოსი გადაღებული დედავეის სურათები. ზოგი პირ-მოპარსული. ზოგიც წვერ - ულვაშიანი. შფოთიანი დრო იყო. დედავეის საწმებ თავზარი დასცა საზოგადოებას. ეს შიშიანობა ისეთი ძლიერი იყო და უცნაური, რომ არ გამოეპარა ერთ გორელ. სოფელ ტყვიანში მცხოვრებ. ოხუნჯე კაცს მიზეზი ერისთავს, რომელსაც მეტ სახელს სიფთას ერსხდნენ. ამან არ ეიცო შეთხზა, თუ მართლა თავს გადახდა, ვეღლას უამბო, რომ მან თავისი თვალით წაეთვა ვეგებრთელა პროკლამაცია რევოლუციონური შინაარსისა. რომელიც გამოკრული იყო გორის რკინისგზის ერთ - ერთ სადგურზე. შიშმა აიტანა და კანკალი დაიწყებინა. დიდის სიფთხილით გაუზარა მის გვერდით მეორე მეგობარს, რომელმაც ცაგი წვალი გადაასხა მას: შე დალოცვილო, რას ჩხახვ, რას პროკლამაცია, რა პროკლამაცია? ეს რკინისგზის მმართველობის გაფრთხილებაა მგზავრთა: მიხედონ თავიანთ ბარგს, რადგან ქურდები გამრავლდნენ. ამას ისეთი მიმიკითა და მიხერა - მოხერით უამბობდა თავის მსმენელებს, რომ სიცილით პირდაპირ გეზოცავდა. სიტყვამ მოიტანა და უნებლიედ გამახსენდა ერთი მისი ოხუნჯეობა კიდევ. როცა ხელმწიფე აღექსანდრე მეორე ეწვია გორს — ამიღახეარანთ სახლში ქართლელი თავად-აზნაურობა წარუდგა მას. ესენი გამწკრივებულნი იყვნენ. ხელმწიფე მიუახლოვდა მათ და გაჩერდა სწორედ სიფთას ერისთავის წინ, რომელსაც მშვენიერი სპილოს ძეღის ხანჯალი ეყიდა ოჭროს ვარაყით შემკობილი, ამოაძრო ქარქაშიდან და შეუტია სიფთას. მან უკან დაიხია, შეშინდა. მეორე დღეს მისმა ნაცნობებმა დასცინეს და უთბარეს: არა გრცხვენია, შეგვარცხვიანო. — თქვე დალოცვილებო, რა ვასაკვირველია, შეშეშინდა, მე

რომ მოვეყალიბო ციმბირში მას ვინ ვაგზავნიდით. — ტყვეებში ცხოვრობდა ისე ფაქტურაზე, ძველი ნაშრომებივით, რომელიც ქართულ ენაში იყო გამოწვეული, ყელზე ბაღდადი მქონდა გაკეთებული. გამოდიოდა სახლიდან და იმ ადგილს ჩერდებოდა, სადაც დილიანი ღვებოდა, ვორსა და ცხინვალს შორის მოძრავი. ეპატავებოდა ნაცრობ, ხშირად უცნობ პირებს და უმასპინძლებოდა მალეებით და ნახულებით. ეს თვისება კეთილ იასესა ბეგრმა იყო და ამიტომ განზრახ ეწვეოდნენ ხალხს. მისი შეუღლეც ხარობდა და ყველაფერს აწყობდა სამაგალითოდ. იასეს შეუღლეც ხელგამოღილი იყო და ძველ ქართულ რაგებს ეკეთებოდა. მისი დაც, ზემოხსენებულ რუსულ დიპლომატიკაში მისი კოლი აგრეთვე ცნობილი იყო, როგორც განსაკუთრებული მეთავე და სტუმართ - მოყვარე. ისე ფაქტურაში მისი ორი ვაჟის შესახებ უკვე ზემოდ მოგახსენეთ.

გორის ინტელიგენციაში უჩინებ ისეთი პირებიც, რომელნიც ერთ დროს დადიოდად ჩვენი თეატრის და პრესის დამაარსებელ გიორგი ერისთავთან, რომელსაც შეტახებლად გლუხარისს უწოდებდნენ. გიორგი ერისთავი ცხოვრობდა სოფელ ხიფასთავში, რომელიც გორს აკრავს. აქ თავის საგვარეულო სახლში პირველი საცდელი ქართული წარმოდგენები მოაწყო მან. აქვე ამზადებდა მასალას „ცისკრისათვის“. მწერალმა პეტრე უმიკაშვილმა ქართული დრამატული საზოგადოებები დაეძღვებოდა დასწერა პატარა პიესა — „სამზადისა“. შინაარსი ასეთია: გ. ერისთავის ხელმძღვანელობით ქართული სცენის მოყვარულნი ამზადებენ გიორგი ერისთავის პიესას, საცდელ წარმოდგენას მშობრთავე და სწორედ ამ დროს უცებ გაიშის ხმა: მეფის მოადგილე მობრძანდება. ვორონცოვი ოთახში შემოდის, მას უხედება გიორგი ერისთავი, რომელიც მას ყველაფერს უხსნის, ვორონცოვი კმაყოფილებით უსმენს, ულოცავს გამარჯვებას. ესაა მოკლე შინაარსი უმიკაშვილის პიესისა. ვინებ მოვიყვანე აქ ეს ამბავი, რომ ყველამ იცოდეს — ქართული საზოგადოება არჩევს უცხო მოხელეებში ღირსეულებს, რომელნიც პატივისცემითა და მზრუნველობით ემურობიან ჩვენს ერს. ეს უნდა გაიგონ რუსის შოვინისტებმა, რომელნიც მუდამ ავად იხსენიებენ ჩვენს ხალხს! ვორონცოვმა მართლაც დიდი სახელი დაიმსახურა და გასაკვირველი არ არის, რომ ქართველობამ პატივით უპასუხა.

გორში იყო აგრეთვე ერთი სასწავლებელიც, მაგალითად, ნინო დიასამიძის ასულს, ლუარსაბ ერისთავის შეუღლეს, მქონდა მოწყობილი ქა-ეგრეს სახელოსნო სასწავლებელი. აქ ასწავლიდნენ ქართ-



ველ ქალებს, ქარგვას და სხვა ძველ ქართულ ხელ-საქმეს. ქალბატონ ნინოს შესწავლილი ჰქონდა ეს საქმიანობა თავის სოფელში, სადაც მამამისს დაფიქსირებული ჰქონდა სააბრეშუშო სადგური. მე მიწახავს აქ ნაკეთობი მშვენიერ ჯეჯიშები, ბოლშები, ბალიშ - მუთაქები. ამ სკოლაში სწავლობდნენ სოფლიდან ჩამოსული ქალები, რომელნიც ხმას აძლევდნენ გორის ინტელიგენციას, განსაკუთრებით მასწავლებლების გაელანის ქვეშ რომ იყვნენ. ესენი ამართავდნენ საჯარო კითხვებს, ზოგჯერ წარმოადგენეს. გორის ინტელიგენციას ეკუთვნოდნენ



აკაკი — ბავშვთა მეგობარი

რეინისგზის მოხელენიც. მათ შორის სახელი გაითქვა და მეტად პოპულარული გახდა ირაკლი რამიშვილი — შიძინა რამიშვილის მამა. მეტად ფიზიკური ადამიანი. ქართული კულტურის მოყვარული და მისთვის მზრუნველი. ამ აქტივობამ დაუბადა გორს მიმზიდველობა. მრავალნი მოდიოდნენ გორს. ეკნობოდნენ იქაურ ცხოვრებას. ხშირი სტუმარი იყო გორისა ჩვენი დიდებული მგოსანი აკაკი წერეთელი. რომელიც დამსოებს კითხვობდა ლიტერატურულ თემებზე, მავ



-ვეფხისტყაოსანზე". მშობრადედა სალიტერატურო საღამოებს. აკაკის  
საზოგადოდ ძალიან უყვარდა ვიოლი. მას, როგორც ქართლის მფათურ  
ქალაქს, უძღვნა ლექსები, ერთი მათგანი მშვენიერი ლექსებია: ღია-  
ხელ ვაღმა სანადიროდ მყოფ თამარ მეფეს გაუფრინდა შევარდენი  
და დაუდა აქეთა მზარეს მდინარისა. თამარმა მზარსა: ეინც შევარ-  
დენ. მომგვარა, აღსრულებ. რაც ენატრებაო. ერთი ახალგაზრდა გას-  
კურავს მდინარეს და სტაკებს ხელს შევარდენს და ბრუნდება უკან.  
მშვენიერი თამარი ჰედაეს რომ ახალგაზრდის სახეს უწმიდური სე-  
რული ამჩნევია. მიმართავს უფალს და თხოვს ხსნას, ახალგაზრდა  
შუა მდინარეში იღუბება. შეწუხებული თამარი ღოკულაობს და ახალ  
გაზრდის სახსოვრად აგებს ცოხეს. ეს ლექსებია, რამდენადაც მახსოვს.  
აკაკიმ უამბო თავის მთარგმნელს რე ი, პოეტს ვასილ ველიჩკოს და  
ამასაც ღამები ლექსი შეთხზა რუსულად. ეს ამ დროს იყო, როდესაც  
ველიჩკო სათარგმნიდა ბლომად აკაკის ნაწარმოებებს. შემდეგ, როცა  
ველიჩკომ მიიღო გაზეთ „აკაკის“ რედაქტორობა და დაიწყო ღვესა  
სომხებისა. აკაკი სრულიად ჩამოშორდა მას.

4/5

აკაკის ყოველი მოსვლა ვიოლიში პირდაპირ ზეიმი იყო. უნდა გენა-  
ხათ რა ამბავში იყვნენ აკაკის მოღვაწეული უკვე ნახსენები ირაკლი  
ჩამოშვილი, შამახში ნიკო და სხვები. ახლა, როცა მას შემდეგ დიდმა  
დრომ გასწვლია, უნებლიედ შეხატება კითხვა: რატომ იღია არ სწე-  
ვია ვიოლი? უნდა ვთქვათ დაუფარავად. ამის მიზეზი ორი ჩვენი დი-  
დებული მწერლის ბუნებისა და ხანაითი განსხვავება იყო. იღია  
უფრო მძიმე ხასიათისა ბრძანდებოდა. ადვილად ვერ დაიძვროდა თა-  
ვის ბინიდან. ბინის მზრთავს კარგად იყო მოწონილი. აკაკი უფრო  
მოძრავი იყო. ხალხში გამოხეული. ბინაც შედარებით ნაკლებ მოწ-  
ეობილი ჰქონდა სოფელ სხვიტორში. ვიოლიში ჩამოსვლისას აკაკი ხში-  
რად ეწვეოდა ხოლმე თავის, მეგობრებს და მათ შორის ჩვენს ოჯახ-  
საც. შეტადრე ჩვენ ბავშვებს ზეიმიად მიგვანდა მისი მოსვლა. აკაკი-  
საც ძალიან უყვარდა თავისი მეგობრები, მეტადრე ბავშვები. ამაზე მე  
შეხებუა უფრო მეტი ბაისი. როდესაც გადავიდა თბილისის ხანის ცხო-  
ვრების თბრობაზე.

აკაკის ოჯახი ცხოვრობდა ხან პეტერბურგში, ხან მოსკოვში. ხო-  
გჯერ თბილისში ჩამოდიოდა მისი ერთადერთი ვაჟი ალექსო, რომე-  
ლსაც მამამ უძღვნა პოემა - ზღასარო. თავის დროზე იყო გავრცედე-  
ბული ხმა. თითქო გაყრილი იყვნენ აკაკი და მისი ცოლი. ეს ხმა უნდა  
იქნას უკვდობელი. როგორც ქორი და ცალი. ისინი მუდამ მეგობ-  
რულ მიწერ-მოწერაში იყვნენ. შე ვრიგულ დიასამიძეს, როგორც  
აკაკის ლიტერატურულ ანდერძი, ამსრულეზელს. შევალემა აწერო



აკაკის და მისი ოჯახის ურთიერთობა. შეილი მისი თუმცა კერძო და მთავრებული ინტენერ - მექანიკოსი იყო, მაგრამ მიდრეკილებით ხელოვნების, შეტადრე სიაპერო საქმის მოტრფიალე იყო. ჭანდა განსაკუთრებული ხასიათი, კეთილი და მოსიყვარულე, ამიტომ ყველა მსახიობ-მომღერლებს უფვარდათ ის, როგორც აღმამაანი და ნიჭიერი მსახური ხელოვნებისა. ბევრი წარჩინებული მომღერალი დაიყენა თავის ფეხზე. მისი საქმიანობა მოითხოვდა დიდ თანხებს, ასე რომ ამ საქმეს წარმოება ზარალიანი იყო. მსახიობთა გარდა აღუქა წერეთელს მშეგომბობდნენ რუსის წარჩინებული მხატვრები. მოვლოდნელი სიკედილის შემდეგ აკაკის შეილს დარჩა შეტად ძვირფასა ქონება — დეკორაციები, სურათები და სხვა სათეატრო მოწყობილობა. სამწუხაროდ, ჯერ - ჯერობით ვერ არის გამოჩვენული, სად ინახება ეს ქონება, რის წარმოადგენს და რა ღირებულებებისაა. ყველაფერს ამას ამიტომ ვამბობ, რომ აკაკის შეილი უნდა რუსეთში ყოფილიყო და დედაც მასთან, ერთადერთ საყვარელ შეილითან. მათი მშეგომბობა მჭიდრო იყო და განსაკუთრებულად საამური. შეილს აწუხებდა მუდამ სვედა, რომ დაშორებული იყო სამშობლო ქვეყანას. ერთხელ მოაწყო თბილისის სიაპერო საქმე — მოწვეული ჰყავდა პარიზიდან ნადეჟდა ვან-დერ-შრანდტი და მშეგნიერი ტენორი ანტე ბრონაჩი, მაგრამ ამ საქმემ ზარალის შეტი არა მისცა რა. მშეგობრებმა შეუგროვეს ფული და ისე გაათავეს სეზონი, თორემ უსიამოვნო ბოლო მოელოდა. მე მასხავს როგორი შეწუხებული იყო აკაკი ამ დროს. ამგვარად აკაკი, რომელიც ვერ მშორდებოდა სამშობლოს, ბოძებურ ცხოვრებას ეწეოდა და ამიტომ მოგზაურობა, სტუმრობა მისთვის ერთგვარ საჭიროებას შეადგენდა. ერთის სიტყვით, აკაკის მოვლინება ვორის არე - მარტზე ბრწყინვალე დღესასწაული იყო და ეს ყველაფერი მსაფრად მაქვს განცდილი, ძლიერ მსაფრად, სიტყვით გამოუთქმელი გრძნობებით განცდილი!

\*\*\*

ბოლოს, როცა ჩვენ ძეგბი შევედით გიმნაზიაში, ჩვენი ოჯახი უნებლიეთ უნდა ვადასახლებულიყო თბილისში. მამინ მანძალი ვარსა და თბილისს, შორის შემოკლებული იყო. რადგანაც მხატვრებლების მიმოსვლა გამოიცვალა. ჩვენ დავსახლდით მამიჩემის სიყრმის მშეგობრის აღუქსანდრე შაინოვის სახლში, სადაც შემდეგ საფაროვის თამბაქუჯ ჭარხანა იყო მოწყობილი. ამ სახლის თაობაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ეზოში იდგა ერთი ფლიგელი, რომელიც ჩვენ დავიჭირეთ. დიდ სახლის ქვედა სართულში იყო ერთი ფართო ოთახი, რომელიც



თავიდანვე დაესახეთ მკისან აკაკის მეგობრულ ბინად. იმ დროს აკაკიმ გაგვაცნო თავის მახლობელი კაცი სოსიკო შერკვილაძე და მისი ძმა თერჯი ნოშრევანი. ეს ორი ძმა უნდა აღინიშნოს, როგორც თავდადებული გამაგრებულნი და შედაცბებულნი ხალხი. ფაქტით წიგნებში მამულიშვილურ ეროვნულ იდეისა. სოსიკო ამასთან შვიგნობარი - გამოცემული იყო. ნოშრევანი ლექსებსაც სწერდა და აკაკის სკოლისა იქნებოდა რომ ბევრი ეწერა. სოსიკომ ბევრი წიგნაყო და წიგნი გამოსცა და ბოლოს, ბუკინისტი ვაჭდა. ბინა ქონდა ქაშვეთის ტაძრის ქვემოთ არგვეანიძის სახლში. სოსიკო ბევრი კარგი საქმის თაოსანი იყო. მე და ჩემ ძმა სანდროზე დიდი გავლენა იქონია მამულიშვილობის მხრით. ეს აგრეთვე ხელს უწყობდა კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილს, რომ დამთავრებინა ოპერა „პატარა ყახი“ აკაკის პოემა - პოემის მიხედვით. განსვენებული კომპოზიტორი აიღებდა ვიტარას და გადმოგვცემდა თავის შენათხზ არიებს. სხვათა შორის ქართული ეროვნული ჰიმნების კონკურსზე უმრავლესობამ მისი ჰიმნი შიიწონა, მაგრამ რადგანაც დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს გამართულ პოლიტიკურ ბანკეტზე, როცა ღუნებალმა კრესფონ-კრესენშტაინმა გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა და მიულოცა ქართველ ერს ეს დიდებული წიმი, როგორც გერმანიის იმპერატორისა და მთავრობის წარმომადგენელმა, პირველად დაუკრეს და იმღერეს „დიდება“, ამიტომ ეს დარჩა ჰიმნად, თორემ, რამდენადაც მახსოვს, სულხანიშვილის ჰიმნი უფრო სასაიმო იყო ყველასათვის. ოპერა „პატარა ყახი“-ს მუსიკა არ ვიცი დაბეჭდილია თუ არა, ან რა ბედი ეწია ამ საუცხოო მუსიკალურ ნაწარმოებს. სოსიკო შერკვილაძის გამოცემებიდან მახსოვს ცალკე წიგნაყო რაჭის ერისთავის ჩოსტომის და სოლომონ მეფის ურთიერთ ბრძოლის შესახებ, სიკო კანდელაკის მიერ ნაამბობი. პირველად ეს ამბავი დაიბეჭდა გიორგი წერეთლის „კვალში“. მე თვითონ მინახავს ზელნაქერი, რამდენადმე შესწორებული, არ ვიცი აკაკის, თუ გიორგი წერეთლის ხელით. სანდრო ამამელმა აკაკის ნაწარმოებთა საჩვენებელში ეს თხზულება გამოაცხადა აკაკისად, მაგრამ ეს სწორე არ არის. მე თვით მინახავს ეს ნაწერი და იგი არც გიორგისა იყო და არც აკაკისა. სოსიკო შერკვილაძე — რაბველ შეპურე თობა ისაკაძისთან ერთად იყო თაოსანი მკისან აკაკის მოგზაურობისა რაჭა - ლეჩხუმში. რომლიც შესახებ პირველად ზემოა გაზეთმა „თემმა“ გამოაცხადა. მოგზაურობის მოკლე ამბავს ჩვენ თავის დროზე ცალკე გადმოგვცემთ. ამგვარიად, აკაკი ხშირად გვესტუმრებოდა და ისვენებდა მისთვის მი-



ნელ პატარა შენობაში. ამ ბინაზე მოსიარულე ჩვენი ოჯახის მფლობელი ბრებოდან კარგად მახსოვს, მწერალი ალექსანდრე მოჩხუბარიძე — მკაცრი ზნეობა, უტყუარესი და უსაყვარლესი მეგობარი იყო. როცა ის გვეუბროდა ამბავს, გაფაციკვებით ექსმენდით მე და ჩემი ძმა სანდროსი, ნაამბობს. ისიც დიდის კმაყოფილებით გვისრულებდა სურვილს და გვიამბობდა განცდილს. დიდი ნიჭი იტყობოდა მას. ამიტომ არ ეიზიარებ ზოგიერთთა მოსაზრებას. თითქოს ალ. ყაზბეგის თბულუბათა ავტორი იყო მისი სათესავე დიმიტრი ყაზბეგი. მე თვითონ ბინა-



მარცხნიდან მარჯვნივ: ხუდან — ნიკო ლომოურა, მათე კერესელიძე, პ. ბურჯანაძე. — დგანან: კონსტ. ცხევეაძე, სიმონ გოგლიჩაძე, ა. თოზაძე, ა. ჯავახიშვილი. წევხ: ს. მგალობლიშვილი

ხავს სანდრო გაზეთ „დროების“ რედაქციაში ერთ პატარა კუნძულში მიჭედარი მავდიასთან. თავისი ბეცო თვალებით, კალმით ხელში სწერდა თავის მოთხრობებს. მერე უნიჭო რომ ყოველიყო, ისეთი მცოდნე

და ხიჭიერი რედაქტორია — ვანო მახაბელი მიიწვევდა გამოუსადე-  
ვარ თანამშრომელს? ვანო მთელი ნდობითა და ყურადღებით ეკუთ-  
და სანდროს. ჩემ დროს ის კი არ იყო გავრცელებული, რომ სანდრომ  
დამიტრის მოპასუხა მოთხოვნები და თავისად მიიჩნია, არამედ დამი-  
ტრის მერე შეგროვილი მასალა სახალხო ზეპირსიტყვიანობისა, რთ-  
გორც მავალითად: „მარტო ვარ, მარტო ვიმღერო, არაფერია მყავს მო-  
ბანე, შიშის წეიშვე წამოდი. ფოთოლს ტაშ დააკერევენ, სწორის  
არ გაშტანს, უფალო. ცხეთრი სადმ წააკერევენ“ — ამის მოპარვას  
აბრალებდა მისი ნათესავი, დამიტრის დაი ბებია — ქალი ელისაბედ  
ყაზბეგისა. ეს ადამიანი მეტად გულ — ამბუნლი იყო სანდროს მი-  
მართ. ვანსვენებული ელისაბედისაგან ეს გამოგონია მე თვითონ. სამ-  
წესაოდ, ეს ადამიანი მოჩანდა მეტორედ. ყაზბეგიანთ ოჯახში დიდი  
უსიამოვნება ტრიალებდა მამულების შემკვიდრეობის გამო. ელისა-  
ბედი, დამიტრა, ფიდო (ინგენერი) ყაზბეგები დედის მხრით არ იგე-  
ნენ ერთნი სანდროსთან, იყო დავა, ერთის სიტყვით, სანდროს მისი ნა-  
თესავები (დედის მხრით არა-ერთნი) მეტად მტრულად უკუპიროდნენ,  
რა გასაკვირველია, რომ ელისაბედმა, როგორც დედაცაჲსა, გამოურ-  
კველელად პირდაპირ თავის ნათესავს დასწამა პლაგიატორობა. ვერ  
მკორედი რომ — შეგროვილ ზეპირ — სიტყვიანობის მასალებს მითვის-  
ება დასწამა, მერე გააკადნიერდა, ვადიდა თავისი ბრალდება და სან-  
დროს მთელი შემოქმედება წაართვა და თავის ძმას მიუთვსა. შეუძ-  
ლებელია, რომ ფრთხილ, გონიერ რედაქტორს უტყუარობის ადამი-  
ანს. — ვანო მახაბელ, არა სკოდნოდა, თუ სანდრო ყაზბეგი მართ-  
ლად პლაგიატორი იყო, მთელი ეს ამბავი ოჯახურ უსიამოვნებაზე  
აგებული საზიზღარი ჭორია და მივირს, თუ რამ ათქმევიანა „ცხო-  
ბის ფერცლის“ და „მოამბის“ გონიერ რედაქტორებს, რომ ალექსან-  
დრე ყაზბეგის ძველი უნდა მოისპოს და მის თხზულებებს წაეწეროს  
დამიტრი ყაზბეგის სახელი. ღმერთო ჩემო, რას არ მოესწრება ვატი  
ჩვენს უბადრუე ქვეყანაში! ამას ვეღვაფერს მათქმევიანებს კეშმარი-  
ტება და სამართლიანობა. ეს საზიზღარი ჭორი საბანე, მამლევს სხვა  
დროს და სხვა ადვილს შეეცხო ჩვენი საზოგადოების ერთ ნაკლს —  
იგი ავრცელებს ჭორს, სიტყუე, მაშინ, როდესაც ნამდვილ კეშმარი-  
ტებას არ იჯერებს და ჩრდილს აყენებს უტყუარ ფაქტებს. ჩვენმა სა-  
ზოგადოებამ უნდა მიექოს ამ უსიამოვნო თვისებას სათანადო ყუ-  
რადღება გამოასწორობლად, თორემ ჩვენში ვერასოდეს ვერ შეიქმ-  
ნება ნამდვილი საზოგადოებრივი აზრი, ყოველად უბადრუეი შეიქმნე-  
ბა ჩვენი ქვეყანა, თუ ჩვენში არ გამოფდება პატიოსანი საზოგადოებ-  
რივი აზრი.

ქაბათა ქაბა ნიკორწმინდას

გალაქტიონ ტაბიძე

მაქვს მკერდს მიღებული  
ქნარი, — როგორც მინდა —  
წმინთის დიდებული  
სხივი გამოზრწმინდა,  
მკვიდრად ააშენა,  
ვინაც ააშენა  
და უით ღაამშვენა  
დიდი ნიკორწმიდა.

ვზნებით დამკარგავი  
გრძნეულ რუქურთმებით.  
ქარგით დამკარგავი  
ნაზი შუქურ-თმებით,  
ნეტა ვინ აზიდა,  
ან როგორ აზიდა,  
რა ხელმა აზიდა  
მადლა ნიკორწმიდა!

რა ვანძი გვეკონია,  
რა მზნე, რა მდიდარია,  
ელურს ქვის მარმონია —  
დარობს რამღი დარი,  
კარგად გამოქვეთა,  
ვინაც გამოქვეთა,  
სიბრძნით გამოქვეთა  
მძლავრი ნიკორწმიდა.

აქ რომ თადეზია,  
სვეტთა შეკონება,  
ისე წადეზია,  
ხაზმრას გეგონება.  
ნეტა ვინ ააგო,  
რა ნიჭმა ააგო,  
რა მადლმა ააგო,  
სვეტი — ნიკორწმიდა!

გრძნობ, ვით დიაღია  
თორმეტი სარკმელი,  
ხაზებში ანთია  
კუცხელი მისარკმელი:  
ნეტა ვინ აანთო,  
რომ გრძნობათ აანთო  
და წლებს გადაანდო  
ნათლად ნიკორწმიდა!

შეველით დიაღება  
ვხედავ — რა დიაღია,  
დრომ მას დიაღება  
კრძალვით შეუზვია.  
ნეტავ ვინ მომქარვა,  
და როცა მომქარვა,  
შავ მოქარვ-მომქარვა  
ვზნება — ნიკორწმიდა!

შევეთრა და მოქნელი  
ხაზთა დასრულება  
არის ამოღქმნილი —  
ნატერის ასრულება.  
ეს ის სიმკვეთრეა,  
ეს ის სიმღაღრეა,  
რათაღ შევიდრია  
ძეგლი — ნიკორწმიდა.

შენის ხელმწიათისად  
ასვლა ერთვანი;  
ყელი გუმბათისა  
მაღალდეროვანი.  
ცამდის აღერილა,  
ნებით აღერილა,  
ხათნოდ აღერალი  
გშვენის ნიკორწმიდა!

მწერა ქართულია  
სივრცის დაუნჯებით.  
თვალი გართულია  
ფრთიან ფასკუნჯებით:  
ფრთები, ფრთები გინდა  
კოდვც ფრთები გინდა.  
გინდა დაეუფლო  
სივრცეს ნიკორწმიდა!

შენ, ფრთამოდულუნეს  
უამთა სიმადლეზე.  
ჩვენი საუკუნე  
გიცავს, უახლესი:  
მძღავრი ზედოვნება,  
ზალხის ზედოვნება —  
პრწყინავს საქართველოს  
ქებად ნიკორწმიდა!

„ჩრეული“, თბილისი, 1954 წ.





ბისაგან დევნილნი. რა ქირი, რა რუღუნება არ გადაგვჭდა თავს. ბოლოს, გარჯილი თავი ზემო-მესენის ერთს ბატონს სოფელს შევაფარეთ და მძიმე ზამთარი იქ გავატარეთ. მოწვევებიანი თანამემამულეებს, ნაცნობ-მეგობრებს, ვახედით მარტონი იმედით და გაურკვეველი მოლოდინით გარემოცულნი. ერთადერთი, რაც სულეირად გვაძლებინებდა, ეს იყო დაუსრულებელი საუბარი. მე ქაბუკო, მწიფიან შუცნიერს უურს უპურობდი გაფაციცებით და ყოველ მის ნაამბობს სიამოვნებით ვისმენდი. არა მარტო ვისმენდი, არამედ ცალკე რვეულში ვაწერდი კიდევ. ეს ჩვეულება საქართველოდანვე გამომეცა: 14 წლისა ვიყავი, როდესაც ხალხური ზეპირსიტყვაობის მასალების შეგროვება დავიწეე. მოზუცებიდან ვაწერდი ხაუდაღებო გამმოცემებს, დევანებს, თქმულებებს, შიარებს და სხვა. ესედაც, როდესაც ზამთრის გრძელი დამეები ძნელი დასაძლევია იყო უსამშობლოთათვის, არ დავიფიწვე ძველი საყვარელი ჩვეულება და ბატონი მიხეილისაგან ნაამბობი ბევრი ხაინტურესო მისი მოგონება ჩავიწერე. ბატონი მიხეილისთანა მომობრობელი მე იშვიათად მინახავს; ენა, თბრობის მანერა, მიმიცა, კეთილსინიდიისიერება და მისი ხაინტურესო პირადი წარსული ცხოვრება ისე ეზავებოდა ერთმანეთს, რომ მებსიერებაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ნაამბობს ვაწერდი ყოველთვის იმავე დამეს ან მეორე დღეს, როდესაც ვვალაფერი კიდევ თვალწინ მიდგა. ამდენად, შემოძლია ვთქვა დაბეჯითებით, რომ ნაამბობის პირვანდელი საზე სიწესტითაა დაცული. ვაქვეყნებთ ნაამბობს იმ დროს რწმენით, რომ ბატონი მიხეილისათვის ეს არ იქნება უსიამოვნო სიურპრიზი. დიდი შენამატა იქნება ქართული შემუარული ენარისათვის, თუ ბატონი მიხეილი თავის მოგონებას დასწერდა, მაგრამ ძნელი უოფილა თავისი ცხოვრების შესახებ კალმის მომარჯვება. რამდენი დიდი მოდვანის ცხოვრების აღწერილობა მოგვეპოება, რომელიც თვით მისივე დაწერილი იქოს? ძლიერ მცირესი. ასეთი უოფილა ცხოვრების კანონი. დაბოლოს დავძენთ, რომ ბ. მიხ. წერეთლის ნაამბობს ვაქვეყნებთ ზეპირსიტყვაობათი მასალების შეგროვების და გამოქვეყნების მიღებული წესით. თუ რაიმე გაურკვეველობას ექნება ადგილი, მოამბეს შეუძლია მომავალში მოგვითითოს. — გ.კ.]



1906 წელს რამოდენიმე თვით სტამბოლში ვიყავი. იქედან დაბრუნებულ შემდეგ, განსაკუთრებით 1909-10 წლებში ქართულ ეროვნულ ძალებს დიდი ახალი გამოყოფილება და ამოძრავება შეეატყვე დაიბადა ახრი დარაზმულად ამოქმედებდა. რამდენადაც ამის შესაძლებლობას შეეძინა მკაცრი რეჟიმის პირობებში მოგვეცემდა. დავაარსეთ ნაციონალისტების კვლევი, შემდგარი როგორც ძველი თაობის მოღვაწეთაგან, ისე ახალგაზრდათაგან. ვეჭონდა საკუთარი ორგანო, ვაზეთი „ერა“, რომელიც ცენტრის შიშით და მის გამო ხშირად იცვლიდა სახელწოდებებს. რედაქტორად ვნიშნავდით ისეთ პირს, რომელიც მთავრობის მიერ არ იყო შენიშნული. რედაქტორებსაც ხშირად იცვლიდა ვაზეთი. ცხებშიც ბევრჯერ მახვედრილან.

„ერა“-ს ვარშემო თანამშრომლობდენ შემდეგი მოღვაწენი: ფილიპე გოგიჩაიშვილი, ნიჭიერი მწერალი, შემოსულ მასალას მის ბინაზე ვკითხულობდით უმეტესად, მასთან ვიკრიბებოდით, რადგან რედაქციისათვის ბინა არ გვექონდა და არც შეგვეძლო პოლიციის შიშით გვექონოდა. სვამონ ყიფიანი, დიდი პატრიოტი და სამშობლოს ერთგული, ნიჭიერი და დაუღალავი მოღვაწე, სწერდა მოთხრობებს, ფელეტონებს, პუბლიცისტურ წერილებს. აწერდა ფსევდონიმს: „ხეობელი.“ ზეკა დორთქიანიძე, ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი, ემარჯვებოდა ისტორიული მოთხრობების წერა საუკეთესოდ. ვაღერბიან ვფენია, ცნობილი თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, იყო ჩვენი პეტეტო. ფულთი გვექმარებოდა. აბაფერს სწერდა ჩვენს გაზეთში. მიუ, ბინაზე, ან თეატრში მასთან ხშირად ვიკრიბებოდით და ვისმენდით მის აზრს. აფექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), მწერალი, ისტორიკოსი, მან დასწერა შესანიშნავი შრომები შთილუფიისა და კახეთის ამბობებებზე, რამდენადაც მასსოვს დაწვებული ჰქონდა შრომა იმერეთის ამბობებებზედაც, მაგრამ არ დასკალდა მისი დამთავრება და გამოცემა, იყო დიდი პატრიოტი და მხნე მუშაკი. იაკობ გოგებაშვილი, განთქმული, დიდი ქართველი პედაგოგი, სწერდა ჩვენს გაზეთში წერილებს. გიორგი გვაზავა, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, სწერდა ლექსებსაც. ივანე ჯავახიშვილი, სწერდა და მოღვაწეობდა ჩვენს გაზეთში. პირველი ნაწილი მისი „ქართული სამართლის ისტორია“-ის პირველად ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. იგი მამინ პეტერბურგში იყო, მაგრამ როდესაც შეებულება ჰქონდა, ერთ დღესაც არ მოიცილდა იქ, მამინეც სამშობლოში ჩამოვიდოდა, კითხულობდა საჯარო ლექციებს, სწერდა წერილებს სამეცნიეროს და სხვა. პეტრე სურგულაძე, შემდეგ ჩვენი „დამოუცილებლობის კომიტეტის“ თავ-



მკვლამარე ევროპაში. მაშინ სწერდა ნიჭიერ წერილებს. იყო საქმე-  
სათვის ერთგული და თავდადებული მუშაკი. მიხილ ადამაშვილი  
(შემდეგ მწერალი მიხილ ჯავახიშვილი). მაშინ ახალგაზრდა მწერა-  
ლი, იყო ჩვენი გაზეთის მდივანი. მასთან მიპქონდათ წერილები და  
იგი წაგვიყობებოდა ხოლმე. მგოსანი იოხებ გრიშაშვილი. მაშინ სავ-  
სებით ახალგაზრდა, დაუღალავი, ენერგული, ნიჭიერი. ის იყო ვე-  
ლაფერი, იგი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი გაზეთი მხოლოდ რამოდენ-  
იმე დღეს თუ იბოგინებდა. სოსო იყო მისი ტექნიკური მაცოდებელი,  
წიილებდა, ააწყობდა, დაბეჭდავდა, ვააერცელებდა! სხვა-  
ნიც ბევრნი თანამშრომლობდენ გაზეთში. მაგრამ აღარ მავონდება.

ჩვენი ჯგუფი არა-ლეგალურად არსებობდა. მაგრამ ცოტა საქმე  
როდი ვაკეთო. ვარდა აზრი, ვალეიდებისა, საქმისაც ბევრს აკეთებ-  
და. მაშინდელი თავდა-აზნაურობა საკეთარ მიწებს პეიდდა სომ-  
ხებზე, რუსებზე და სხვა არა - ქართველებზე. ჩვენ შევექმენით საი-  
დუმლო თავდასხმის ჯგუფი მათზე და ვაფრთხილებდით თავად- აზ-  
ნაურობას — არ გაეყიდათ ქართული მიწა რუსთალებზე, წინააღმ-  
დეგ შემთხვევაში სიკვდილი მოელოდათ. ჩვენ, რასაკვირველია, კი-  
ცი არ მოგვიკლავს, მაგრამ ბევრმა კი გეუა ისწავლა.

ქართველი ერთი, იარკული შეილებს ვასამათობებლად სხვა ია-  
რალიც ვეპონდა. როგორც ეთქვი, ჩვენს თანამშრომელი სვიმონ ყი-  
ფიანი ნიჭიერა ფუნდტონისტი იყო. მან დაიწყო ე. წ. „პორტრეტე-  
ბის“ წერა იმ ზოგერთ „მამულიშვილთა“ შესახებ. რომელნიც მეტი  
ზიანის მომტანნი იყენენ სამშობლოსათვის, ვიდრე სარგებლობისა.  
სეთი გამჭიდვებები, ქვე - ადამიანები მაშინდელ ქართულ საზო-  
გადოებაში ქიანქვედებივით ბეულაობდენ. სვიმონ ყიფიანის „პორ-  
ტრეტები“ ნამდვილი შედევრი იყო. თვალწინ წარმოგიდგებოდათ  
აღწერალი ტიპი და თუ ერთხელ მაინც გენახათ, უსათუოდ მის „პორ-  
ტრეტს“ იცნობდით. დახატული იყო მთელი მისი გარეგნობა, სახე,  
ხასიათები და სხვა. და აი, ერთხელ სვიმონმა მოიტანა პირველი  
„პორტრეტი“ რედაქციაში. ეს იყო მისივე გარეშე ბიძაშვილის, ლე-  
ვან ყიფიანისა, ლევან ყიფიანი რუსულ გაზეთებში საქართველოს,  
ქართველთა წინააღმდეგ სწერდა და უშუალოდ ლანძღავდა საკეთარ  
ერს. მისი „პორტრეტი“ დაებეჭდეთ გაზეთში. მეორე დღეს შეიქმნა  
ქალაქში ერთი სიკოლ - ხარხარა. ყველამ კარგად იცნო ლევან ყი-  
ფიანი, ზოლო თვით მან გულში მჯილი ჩაიკრა და მუქარით სთქვა:  
ეიოი ეს ვინც დასწერა და მე მას ვაყურებინებ თავის სეირსო, ლე-  
ვანს მოუწვევია ორი ჩაბიანი ამხანაგი, რომლებთანაც იგი ქეიფო-

ბეა და სამხევი სვიმონის გასალახავად წამოსულან. შეხედენ ქუჩა-  
შა. სვიმონმა მაშინვე შეატყო, რომ ისინი კარგი საქმისათვის არ უბნ-  
ლოდებოდენ და სანამ ისინი შეტყუეს მოასწრებდენ, თვით სვიმონ-  
მა შეუტია მათ. სამხნელი უშიშარი კაცი იყო. ლევანი შეშინდა და  
გაიქცა. „მოაჯა, მოიჯა, სად ვარბიხარ, მე შენ ვარჩენებ როგორ უნ-  
და დახედრა და ცემაო“. — მოაძახა სვიმონმა და ესლა ლევანიც,  
ამხანაგებს მიუბრუნდა რომლებიც უკვე იტანოდენ და მათთან მი-  
ვიდა. იმ დღეს სვიმონმა მათთან იქცია.

ჩვენს თანამშრომელს, ევლასაგან პატივცემულ იაკობ გოგება-  
შვილს უთენისა უყვარდა ადგომა. აღბად ბევრი გლეხი ჯერ კიდევ  
ღრმა ძილში იყო, როდესაც იაკობი დგებოდა და იწევებდა მუშაობას.  
კაცად არ სთვლიდა მას, ენც დილით ადრე არ დგებოდა! და ათ-  
ერთ სსხამ დილას მას თავისი მოსამახურე ბიჭი გამოუგზავნია და  
მისთვის რაღაც წერაილი გამოუტენვია მიხეილ ადამაშვილისათვის  
გადასაცემად. ბიჭი მიხუდა მიხეილთან. ჩვენს მდივანთან და გუდ-  
ვირებია. იგი ბოტელში ცხივრობდა მაშინ. თვალზე გამობლეტლიმა  
გადახედა თურმე კონვერტს რომელსაც ზედ ქონდა წარწერილი:  
„პასუხი ესლავე შემატყობინეთ. დაიბჭიდება თუ არა“. მიხეილმა  
შეუთვალა: — უკაცრავად, ბატონო იაკობ, თქვენი წერილი ჯერ არ  
წაგვიკითხავს და როდესაც გავეცნობით პასუხსაც დაუყონებლივ  
მოგცემთ“. გათენდა, ქალაქმა გაიღვისა, ჩვენ თავი მოვიყარეთ ჩვე-  
ულებისამებრ „წერა - კითხვის გამაქცოდებელი საზოგადოების“  
წინ. „სალაგების“ ექმანდით იმ ადგილს, სადაც თავს ეყირილით და  
ემსლათობდით. უცბად თვალს მოგვართ იაკობ გოგებაშვილს.  
სტუმარე რომ დაგვიბლოყდა. გაჩერდა და დაიძახა:

— ბატონო მიხეილ, მობრძანდით ჩემთან, თქვენთან საჭმე მაქვს!

მე და მიხეილ ადამაშვილი ერთად ვიდევით და არ ვიკოდით რო-  
მელ ჩვენთავგანს გვიხმობდა. ამიტომ ორივენი გავეშართეთ მისკენ.

— თქვენ არა, ბატონო. — მომშართა მე — თქვენ მობრძანდით,  
თქვენ! — დაუქნია თითო მიხეილ ადამაშვილ - ჯავახიშვილს. იგი  
მიუბლლოყდა, თავმდაბლად მიესალმა და მოაკითხა. იაკობმა თავ-  
მალლა აწევით შეხედა.

— ბატონო მიხეილ, თქვენ სტუმარე გკონდათ?!

— მქონდა, ბატონო იაკობ.

— რამდენი გკონდათ, მიიხარით ერთი.

— შეიდ-თქმან-ნახევარი.

— აჰ!! არავის ახსოვს საქართველოში, ქართველ კაცს შეიდ-თუ-



შან-ნახევარი სტეპენდია ჰქონოდა. ორი - სამი თუმანი ეს ვერ გარ-  
გი თანხა.. ბერი - ბერი ხეთი თუმანი ჰქონოდა კაცსა, მაგრამ შვიდი  
თუმანი - ნახევარი? კმ! ეს არ ახლავს არვის ამ ქვეყნად!

— ვერ გავიგე, ბატონო იაკობ ვერადერი, რა ვსურთ ჩემგან? მჭო-  
ნდა შვიდ - თუმანი - ნახევარი სტეპენდია, მერე..

— მერე და იმისათვის დაგნიშნეს ასეთი სტეპენდია და ამდენ  
ფულს იმისათვის გაძლევენ, რომ წასულიყავით პარიზში და იქ  
უზრდელობა გესწავლით? აა?! — სხაპასტუპით და გაცხარებით მთა-  
ყარა იაკობმა მიხეილს. საწყალმა მიშამ მხრები აიჩეხა, გაკვირვებუ-  
ლი ხან იაკობს შესცქეროდა და ხან ჩენს.



იაკობ გოგებაშვილი

— რა დავაშავე ასეთი? შეურაცყოფას რად შევწევთ, ღმერთ-  
მანი არ ვიცო..

— რატომ არ მაცნობეთ ჩემი ბიჭის პირით, დაბეჭდავთ თუ არა  
ჩემს წერბლს?

— ბატონო, არ წავგიკითხავს ჯერ, ხომ შემოგითვალეთ, წავიკი-  
თხავთ და გაცნობებთ დაიბეჭდება თუ არა - მეტქი.

— რა წავითხეა უნდა ჩემს წერიალს! რა წავითხეა უნდა ჩემს წერილს! — საშინლად ვაცხარდა იაკობი.

— წავითხეავთ, ბატონო იაკობ, და პასუხსაც მაშინვე ვაცნობებთ, სხვა ამ საქმეს არაფერი ეშველება! — უთბრა მიხეილმა და გამობრუნდა ზეენსკენ.

ამ კონფლიქტმა ყველა დაგვადონა. მაგრამ ყველა დაინტერესდით: რა დასწერა იაკობმა ასეთი? შეეყრებათ ფილიპე გოგინაიშვილთან. გავხსენით კონვერტი და ამოვიღეთ იაკობის წერილი. წავიკითხეთ ღმერთო რა ეწერა, რა იყო! წერილში გაღამდული იყო ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც იაკობ გოგებაშვილი მოდილიტეს უწოდებდა. ხილო, რატომ იყო ივანე ჯავახიშვილი მოდილიტე; წერიალიდან არ ჩანდა. ყველა ძალიან დავლონდით. მე ძლიერ წინააღმდეგი დავდექი ამ წერილის დაბეჭდვისა.

— ჩვენ რომ ეს წერილი დაუბეჭდოთ და ამგვარად ივანე ჯავახიშვილი ეავინოთ, აღარაფერს ჩვენნი საქმე და დანიშნულება აღარ ემსგავსება. სადაც ასეთი წერილი დაიბეჭდება, მე იქ ვერ ვითანამშრომლებ. ესლა თქვენ იკით. რაც ვინდათ და როგორც გსურთ, ისე მოიქცეთ. — ვუთხარი ჩემს მეგობრებს.

— დაუბეჭდოთ, კაცო. — სიტყვა ფილიპე გოგინაიშვილმა — ერთხელ ილია ქაჯვაძეებში მომცა რაღაც წერილი და არ დაუბეჭდე ამის შემდეგ ილია მალე მოკლეს და სულ გულში მაქვს ჩარჩენილი, უთბად მაქვს დაცდილი და იაკობსაც არაფერი დამართოს!

— ილიას რომ წერილი არ დაუბეჭდე, ძალიან დავიშავებია. ილია ასეთ რამეს არასოდეს არ დასწერდა, იაკობი კი ძალიან უსამართლობას ჩადის ივანეს მიმართ. — უპასუხე ფილიპეს მე.

გადაწყდა იაკობის ეს წერილი არ დაბეჭდილიყო.

ახალი ნაშრომი გამოვიდა მალე და იგი სოსომ დაარჩია საზოგადოებაში. მეორე თუ მესამე დღეს, როდესაც ჩვენ კვლავ წერიაკითხვის გამ. საზ. შენობას წინ ეუყავით თავმოყრილნი, შეენიშნეთ იაკობი გვიახლოვდებოდა. ისევ შორიახლოს გაჩერდა.

— ბატონო მიხეილ, მობრძანდით ჩემთან! — გადმოგვცაბა მან მწერალი ხმით. ესლაც სწორედ ერთად ვიდექით მე და მიხეილ ჯავახიშვილი, ამიტომ ორივენი მისკენ წავედით.

— თქვენ არა! — ანიშნა იაკობმა მიხეილ ჯავახიშვილს უკან გაბრუნება. — თქვენ მობრძანდით, ბატონო წერეთელი!

მე მივედი მასთან, მთავსალმე და მოვიკითხე. მან კი პირდაპირ შემომიტია.



— ბატონო მიხეილ, რატომ არ დაბეჭდეთ ჩემი წერილი, თქვენს იყავით წინააღმდეგი, არა? — აღზად მის ყურამდე უკვე მიხუდიყო, რომ მე ვიყავი ყველაზე მეტი წინააღმდეგი მისი წერილის დაბეჭდვისა.

— წინააღმდეგმა სხვანიც იყენენ, იყენენ მომხრენიც, მაგრამ ყველაზე დიდი წინააღმდეგი მე ვიყავი, ბატონო იაკობ, ეს მართალია. — ეუბასუხე მას მოწინებთ.

— რატომ იყავით წინააღმდეგი?!

— არ შეიძლება, ბატონო იაკობ, თავს ესხმით ივანე ჯავახიშვილს, ლანძღავთ მას... ჯერ ერთი, იგი ჩვენი თანამშრომელია, მეორეც, მეტად საპატივცემულო პიროვნებაა, მესამეც: უწოდებთ მას, მოღალატეს და იმას კი აღარ ამბობთ, რატომ?!

— მაგას როგორ ჩაეწერდი!

— საკვირველია, ღმერთმანი, თუკი ადამიანს მოღალატეს უწოდებთ, უნდა სთქვათ კიდევ, რატომ, რა საბუთით!

— ეს მხოლოდ თქვენ შემძღვია ვითხრათ. აი, როდესაც მკო მარმა საქართველოს წინააღმდეგ წერა და საქმიანობა დაიწყო, მე გამოვედი მის წინააღმდეგ პრესაში. მაშინ კი ივანე ჯავახიშვილი მხარს უჭერდა იმ მოღალატეს! შემდეგ გიორგი გვახაჯამაც მარის საწინააღმდეგო წერილი დაწერა და ივანე ჯავახიშვილმა მე გადმომაბრალა, თითქოს მე გამებრძოებინოს გიორგი გვახაჯა. აი რატომ დავწერე ეს წერილი.

მართლაც, რამოდენიმე წლის წინ, ივანეს მოკლე, ზრდილობიანი წერილით ეუბასუხნია იაკობ გოგებაშვილისათვის, რომელშიც არავითარი შეურაცმყოფელი რამ არ უოფილა პირადად მის მიმართამ წერილში ივანე ჯავახიშვილი ამბობდა, რომ მამულიშვილობა და ქრისტიანობა ერთმანეთს ზღუს არ უშლის და ნამდვილმა მამულიშვილმა რომ ქრისტიანობა სთქვას საკუთარ სამშობლოზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ერის მოღალატეა.

— ბატონო იაკობ, ამ ამბის შემდეგ ვანვლო კირვა ხანმა, ეხლა ამის გალითება ისიც, არ ღირს, გარდა ამისა, თავისი მოქმედების გამო ივანე ჯავახიშვილი მოღალატე არ არის!

— მაშ თქვენ იყავით ჩემი წერილის გაშვების, სასტიკი წინააღმდეგი, არაა?

— მე ცენზორი არა ვარ და არც ამის უფლება მქონდა. მეგობრებს ჩემი საკუთარი აზრი და შეხედულება უთხარა, ამისთან ისინი გაეაბრბოხილენ: თუ ეს წერილი დაბეჭდებოდა, მე მათთან აღარ უთანამშრომლებდი.

ეს ვაიგონა თუ არა იაკობმა, საშინლად შეფუცხუნდა.

— აი შე იმერელო!! აი შე იმერელო!! — მომადხა მან ზემოთვის სრულიად მოულოდნელად. შე ეს ძალიან შეწყენილი, მაგრამ რა უნდა შექენა, იაკობს შეურაცხოვას ხომ ვერ მივაფერებდით, მითუმეტეს, რომ ასეთი რამ სფიციტში ხშირად ემართება ქართველებს. თვით დიდ პიროვნებებსაც, მაინც ვერ შეევიშაგრე თავი და გულში ჩამწედიში ხშირ მიემართე იაკობს.

— ბატონო იაკობ, რა შეაშინა აქ იმერელობა!, არ გეკადრებათ... ჩემთვის, ასე როგორც სხვა მრავალთათვის, თქვენი ბრძანდებით დიდად საპატივცემულო აღამიანი, თქვენს „დედა - ენაზე“ ვართ გაზრდილი მთელი თაობები და ამიტომ თავყანს გცემთ, მაგრამ ეს „იმერელო, იმერელო“ რაღა იყო? თქვენისთანა ბატონოებს ეს როგორ ეკადრება!

იაკობი ცოტა შეკრთა, მაგრამ როდი დასცხრა.

— თქვენ, იმერელებო, შე ბოიკოტს მიცხადებთ!

— რა ბრძანებაა, რატომ, რასთვის ვიცხადებთ ბოიკოტს?!

— „დედა-ენა“ აღარ იყიდება და იმბადა!

— მ! — ჩამეცინა შე. — გადახედეთ სტატისტიკას და იქ იხილავთ სდ ვაიყოდა ყველაზე მეტი „დედა-ენა“. ორჯერ, სამჯერ მეტი ვაიყიდა იმერეთში, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში! ეს არის სინამდვილე და ეს თქვენ უკეთ მოგვესწინებათ აღბად.

— ეს ეიცო, დაიღაც ეიცო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ, თარი იმბადა ვაიყიდებოდა იმერეთში „დედა-ენა“, ბოიკოტი რომ არ ვამოგვეცხადებინათ! დაიღ!

— ეგა ბატონო იაკობ, ძალიან სკდებით მაგაში, კელავ გიმეორებთ: თქვენს „დედა-ენა“-ზე ვაიზარდა მთელი თაობები, იზრდებოდა ეხლაც და მომავალშიაც ვაიზრდებოდა, და არაფერ ბოიკოტს არ გიცხადებთ. — ეცადე მისი დაშოშმინება ამ სიტყვებით.

— დაიღ, დაიღ, ეს ასეა! მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — მოიხადა ქედი იაკობმა და გულმწერად ვამშორდა, ყველა ძალიან შეგააწუხა ამ ონფლიქტმა, განსაკუთრებით შე, იაკობს ორი თვე არ ვაუტყია ჩემთვის ხმა. შე ყოველთვის ეესალმებოდა და ის კი ხმას არ მცემდა, მერე შემირიგდა, დამარტყა მხარზე ხელი და მითბრა — „დავოვიწყეთ ყველაფერი, ჩემო მიხაკო“..

რაც შეეხება ნიკო შარისა და ივანე ჯავახიშვილის მეგობრობის ამბავს, ეს შართალია: ვანო პირველად დიდი თავყანისმცემელი იყო ნიკო შარისა და მისივე მოწაფე, მაგრამ, ბოლოს რომ წახა მისი საქციელი, მისაშე შეეცდომებო, ქეშმარტო მეტწიერებიდან გადად-



ვოში, — გამოვიდა მის წინააღმდეგ, და მერე როგორ! შესანიშნავი ცოდნითა და სამართლიანი არგუმენტებით უპასუხა მას. ამის გამო გაიყარნენ კიდევ ისინი.

\*\*\*

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ფილიპე გოგინაიშვილთან ვისხედით ჩვენი ჯგუფის ზოგიერთი წევრები. გაიღო კარები და ოთახში შემობრძანდა ჩვენი ვაჟა - ფშაველა. ძალიან გვესიამოვნა ვეღლას, რადგან იგი არა მარტო სასიკაძღლო პოეტი იყო, არამედ ჩვენი დიდი მეგობარიც. ვაჟა მოგვესალმა, ჭაბუჩანდა და თავისებური შთის კილოთი, მაგრამ სასიამოვნო ქართულით მოგვემართა:

— აი, ბატონებო, მე თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს და თქვენ უნდა დამიყვით.

— ბრძანეთ, რით შეგვიძლია დაგეხმაროთ, ან დაცვა რად გჭირდებათ და ვის წინააღმდეგ. — შემოვებხეთ ვარშემო ვაჟას.

— მინდა სამედიატორო სასამართლო დაენიშნოს და თქვენ წახადგინოთ ჩემს დამცველებად. — გვიპასუხა მან. ჩვენ დავინტერესდით, რაში იყო საქმე, რა აწუხებდა ვაჟას. მან მოკლედ გვიამბო.

თბილისში მიხვილ გაჩეჩილაძეს ჰქონდა სტამბა „სორაპანი“. ვაჩეჩილაძე შორაპნელი იყო და თავის სტამბას შორაპნის ძველი სახელი, როგორც მას ბერძნები უწოდებდნენ, დაარქვა. ბეჭდავდა სხვადასხვა ავტორთა წიგნებს და თვითონვე ჰყიდდა. ერთხელ ვაჟასთვისაც მიუშართავს და გარიგებია. ვაჟას მისთვის უნდა მიეცა ახალი ლექსები და იგი დაბეჭდავდა. ამაში გაჩეჩილაძე ვაჟას ასი მანეთის, როგორც პონორარის მოცემას დაჰპირებია. ვაჟას მისთვის მიუცია ახალი ლექსების ერთი ნაწილი, რომელიც უკვე მზად ჰქონია. დანარჩენისათვის გაჩეჩილაძეს უნდა ეცადა, სანამ ვაჟა ახალ შიორებს შეთხზავდა. გასულა დრო. ერთხელ, ერთი შეხვედრასას, ვაჟას კიდევ მიუცია ზოგიერთი ახალი ლექსი გაჩეჩილაძისათვის, მაგრამ წიგნის ვასავსებად მასალა კიდევ არ იყო თურმე საკმარისი. გაჩეჩილაძეს კი ფულის შეძენის სურვილით მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. მოსვენებას აღარ აძლევდა პოეტს. დასწერე და დასწერე ახალი ლექსებია.

— კაცო, მამა და შეილო, ეგრე როგორ იქნება. — უთქვამს ვაჟას. — ლექსის დაწერა ეგრე ადვილი როდია. მუხა უნდა მობრძანდეს. თორემ ისე არაფერიც არ გამოვა.

მაგრამ, რაკი გაჩეჩილაძე აღარ ეშვებოდა და მოსვენებას აღარ აძლევდა, ვაჟამ ასეთი პირობა დაუდგია:

— ამა, იმ მაშ ვერე ვქმნათ: წიგნის შესაცესებათ მოგცემ პოე-  
მებსა, მართალია ეს პოემები უკვე დაბეჭდილია, მაგრამ მაინც პო-  
ემია და ბაზარზედ გაეც. ამაზედ როგორა ხაო?

— პო. კი ამა, მეიტა მა პოემები. — უთქვამს გაჩეჩილაძეს და  
გამოურთომევია სამი პოემა, მათ შორის „გველის მჭამელი“-ც ამ-  
გვარად. შეერს კიდევ ახალი პირობა და ასი მანეთის მოცემა კვლავ  
აღუთქვამს გაჩეჩილაძეს ვაფასათვის. წინასწარ კი თთბი თქმანი მი-  
უცია. გავიდა დრო გაჩეჩილაძემ „ერემლები“-ს სათაურათ დაბე-  
ჭდა ვაფას ლექსებისა და პოემების კრებული, მაგრამ რატომღაც  
არ ჰყოფდა, აღბად რაღაცას უცდიდა, შესაფერის დროს ეძებდა.  
და იმ, როდესაც ვერიოდ რომაჭიძემ წაიკითხა თავისი დიდი საჯი-  
რო მოსხენება ვაფა-ფშაველას „გველის მჭამელი“-ს შესახებ, იქ გა-  
მოიტანა „ერემლები“ და ამ აღარებულ საზოგადოებაში სულ  
ერთიანად გაევიდა აიღო დიდი ფული. ამის შემდეგ წიგნის ავტო-  
რმა, თავისთავად ვასაგებია, დანარჩენი პონორარიც მოითხოვა, ესე  
იგი ექვეი თქმანი. მისულა გაჩეჩილაძესთან.

— კი მარა, რაში უნდა მოგცე ახლა ე ფული, რაზიკაშვილო,  
რა სულელი მე მნახე! — უთქვამს სტამბის მებატრონეს.

— როგორ თუ რაში, კაცო, ავი ამ თქმნად გავერიგდით?

— ეგ არ ეცი მე! შენ მე პირობა დამირღვიე, შემპირდი ახალ  
ლექსებს და აღარ მომცეც.

— ვაიშე ვაიშე, ესეთი რამე ვინახეთ? კაცო, ავი გავერიგდით  
რომა წიგნი პოემებით მაგეთაებენა? ბეც ხომ მამეცი, ესლა პირი  
რად მიშალე? — გაკვირვებთ უთქვამს ვაფას.

— პოემები რათ მიმდოდა, დაბეჭდილი იყო უკვე მე მინდოდა  
ახალი ლექსები!

ერთი სიტყვით: ვაფამ ფული ვერ მიიღო. განვლო კიდევ დრომ  
და რომ ველარაფერი გააწყო-რა, დახმარებისათვის ჩვენ მოგვემარ-  
თა. მას, რაღა თქმა უნდა, ძალიან თანაუგრძენეთ. დაენიშნეთ სამე-  
დიატორო სასამართლო, რომლის თავმჯდომარედ ფილიპე გოგია-  
ჩაიშვილი დაენიშნათ. ვაფამ დამსცველებად აგვავაგანა მე და სამსონ  
ფირცხალავა. გაჩეჩილაძემ თავის დამსცველებად დანიშნა კო-  
წია თქმანაშვილი (ქუთაისელი თავადიშვილი, კათოლიკე) და ზა-  
ქარია ქიქინაძე. დავიბარეთ მომიჯიან - მოპასუხენი, ორივე ცალ-  
ცავე დაეკითხეთ. ვაფამ ვულწრფელად ის გვიამბო, რაც პირველად  
გაჩეჩილაძემ კი იწყო მაკბულ - მაკბულობა.

— რატო უნდა მოცეც ახლა მაგას ფული, ეს ვერ გევიგე! — იმა-  
ბდა გაჩეჩილაძე წარა - მარა. — ჩვენ, ვაფას დამსცველებმა, დავამ-



ტყევა, რომ გაჩეხილადეს ვაგასათვის დანარჩენი ექვსი თუმანიც უნდა გადაეხადა. გაჩეხილადის დამცველებმა მის სასარგებლოდ აღიარება მოახდინეს.

— აი მე უნდა მოვახსენოთ, ბატონებო, რომ ჩვენი მწერლები სრულიად წახდნენ და მორალი საეჭებით შელახეს. — სოქვა ზაქარია ჭიჭინაძემ.

— რატომ, ზაქარია! — ბოხი ხმით ჩაქოთბა ფილიპე ვოგიაჩიშვილმა ჭიჭინაძეს.

— რატომ, ბატონო, და იმიტომ, რომ ჰონორარის აღება დაიწვეს. ეს არის მორალის შელახვა, დიად.

— პო-პო, ზაქარია, შენმა მზემ, იმიტომ აიშენე ოთხი სახლი, რომ წიგნების ბეჭდვაში არაფერი ავიღია! — უკბინა ფილიპემ.

— ვაჟამ იმ მხრივ დაარღვია პირობა, რომ ახალი ლექსები არ მისცა გამოცემელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაჩეხილადემ უნდა გადაიხადოს, ერთი-ორი თუმანი და არა ექვსი. — სოქვა კოწია თუმანიშვილმა. ბოლოს გაჩეხილადე და ვაჟა ერთმანეთს წაუყუენეთ პირ-ში. გაჩეხილადე სულ წახდა, როცა ვაჟამ მთელი სინამდვილე წინ გადმოიღვია, მაგრამ ის მაინც სულ „არა-არა“-ს გაიძახოდა.

— თქვენ რომ გადახდა გადამიწვევით და განაჩენი დამტკიცოდ, მე არ დაგემოხრილებით, წავალ და „სუდში“ ვამაჯლებ. — გვიოთხა გაჩეხილადემ.

— ვერ მოვართვეს, ახალი კანონით ეგ არ შეგიძლია. — უთხრა უცბად ფილიპე ვოგიაჩიშვილმა.

— რა ახალი კანონია მაგი? — დაცქვიტა ყურები გაჩეხილადემ.

— თუ სცნობ სამედიცატორო სასამართლოს და უკვე პროცესზე დადგები, უკვე აღარ გაქვს უფლება წახვიდე სახელმწიფო სასამართლოში. უნდა დამეპარჩილო სამედიცატორო სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამედიცატორო სასამართლოს აქვს უფლება თვით გიჩვილოს და მიგცეს სახელმწიფო სამართალში. ეს არის ახალი კანონი. — გარკვევით და დაბეჯითებით უთხრა თვალებდამპარწულ გაჩეხილადეს ფილიპე ვოგიაჩიშვილმა. ასეთი კანონი მართლაც ახალი გამოსული იყო რუსეთის იმპერიაში. მიხეილ გაჩეხილადეს კი ხელი მოწერალი ქონდა „პროტოკოლზე“ და ამის ძალით მას აღარ შეეძლო სხვაგან გადაეტანა საქმე. არ დაგვიყურა.

— დღეოჯერო ძლია ეგ? რაცხა არ მჯერა მაგი მე, წავალ ჩემს ადვოკატს ვიოთხა, რა ენახოთ მერე. — თქვა დაგუბებით.

— ამას არაფერი ნახვა არ უნდა, ვაჟა-ფშაველას უნდა მისცე თავისი კთონებული ექვსი თუმანი. აი ეს არის ჩვენი განაჩენი, თუ დაე-

მორჩილება ჩვენს განაჩენს კარგია, თუ არა და გადაგცემთ „ხელში“ და ისინი გაჩეენებენ თავის სიერს. — უკანასკნელად უთხრა სამედიკატორო სასამართლოს თავმჯდომარემ, ფ. ვოგინაიშვილმა. გავიგონიათ? გაჩეილადე „ჩემს ადვოკატს ვკითხავე“—ო გაიძახოდა და თან შუბლზე თით-მიღებული ამბობდა: „ეს ველარ გევიგე, რატო უნდა გედევინადო ეს ექვსი თუმანი“—ო. ველარ მოუთმინა ფილიძემ და წამოუხტა. ვალახავდა რომ არ გავგევიებინა.

ასე დამოაერდა ამ სასამართლოს ისტორია.



ვაჟა - ფშაველა

გაჩეილადეს მართლაც ვკითხავეს თავისი „ადვოკატისათვის“ იყო თუ არა მართალი ის, რაც ფილიძემ უთხრა. მიუღია დასტური. გულმოსული გაჩეილადე გაიძახოდა თურმე: „მანეთობით ვაძლევ ვაჟა-ფშაველას ამ ფულს, ერთად კი არასოდეს არ ჩვეუთელა ხელში“—ო. ეს გაუგია ვაჟას და ერთ მშვენიერ დღეს გაჩეილადე ქუჩაში გაუქანაეს.

— შენ, ეე. მშაო, რასა ფიქრობ, მიიტა ის ფული, თურემ იტი რას ვიზაე? შენ ვაჟა-ფშაველას ეერ მოატყვილებ, მირობა იყო, სა-

სამართლოში გადაგიწყვიტა და უნდა მამცე რაც მეკუთხის. ე მაგისტანებს თავი დაანებებ, მომეცი და თუ ვინდა იმ წამსვე უკან დაგიბრუნებ, მე შენი ფულის მოუცემლობა კი არ მომკლავს, მაგრამ ეგრე რად იქცევი.

— ახლა ჯიბაზე არ მატებს ფული, ჩემო ვაჟა, და მალე მოგცემ, პატროსან სიტყვას ვაძლევ. — შემუდარებია გაჩეჩილადე და გასძრო-შია ზელიდან ასეთი ხრკით.

ისე გარდაიყვალა ვაჟა-ფშაველა — გაჩეჩილადეს მისთვის ფული არ მოეცია.

გაჩეჩილადის დასახასიათებლად ერთ ეპიზოდს ვახსენებ. ეს იყო 1900 წელს, გაჩეჩილადე მამინ შუდარებით ახალგაზრდა იყო. ზესტაფონში პატარა მალაზია ჰქონდა. ერთხელ შევედი და მგონი ფანქარი ეიყვოდე.

— შენუ გრანიცში მიდიხარ, არაა? — მკითხა მან.

— მიედივარ.

— რაცაღა უნდა დავაბარო, გამოგე, შემომითვალე, ფულს გამოგეზავნი, მივიღე და გამოგიზავნე!

— რა ვინდა, რა არის ასეთი?

— შენე, იყო „პატარა ღმერთი“ რას ჭვიაა?

— არ ეიცო, სწორედ ვითხრა. — სიცილით ეუთხრა მე.

— ელიმე, ამა არაფერი არ გეოდნია შენე! — იმანაც სიცილით მითხრა და ჰვეშ-ჰვეშ გამოშვდა.

— რა არის „პატარა ღმერთი“?

— ფული, ბოზო, ფული. პატარა ღმერთია სწორედ, ის თუ არა ვატეს, არაფრად ეარგებარ, ააბა!

— ეი, მაგრამ პატარა ღმერთის უიდეას მამბარებ?

— პატარა ღმერთის მოსაქრელ მაშინას, ბოზო.

— ხა-ხა-ხა-ხა, — გამეცინა გულჩინად.

— რავე, არ კადრულობ თე!?

— კარგი, გიყიდი და გამოგიგზავნი, მაგისტანა მაშინები უოველ მალაზიაში იყოფება გრანიცში. — ეუთხარი მე, მან შემატყო, რომ მთლად სასაცილოდ ავივდე, მაგრამ მეტი ვეღარაფერი მითხრა. შემდეგ გაეიფე, რომ გაჩეჩილადე უაღბი ფულის მოჭრისათვის დაუჭირაეთ, უშოვნია სადღაც ასეთი მანქანა და მოუტრია ათ-შეუტრანებია.

ასეთი ეიცო სიწვეალ ვაჟას ფულს როგორ მისცემდა?

ვაჟაზე მაგონდება კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც თვით მან მაიმბო ერთი ღზინის დროს, ვაჟა თავის ძმას ვიოარგის „ჯივარჯის“ ეძახდა. ძლიერ უვვარდათ ძმებს ერთმანეთი. ორივენი პეტერბურგში სწავლობდენ პოლიტექნიკუმში, მაგრამ მგონი უსახსრობის ვა-



მა უმაღლესი სასწავლებელი ვერ დაამთავრეს. ფული ძლიერ უკლებიანა და ჰქონდათ, დიდი გაჭირვებით ცხოვრობდნენ. ძალიან ხშირად შიმშილობდნენ კიდევ „ერთხელ ჩემს ჯივარჯის ელთხარ, — მათხრა ვაჟამ. — პაი, ჯივარჯი, წავიდეთ გერმანელების ლუდხანაში ჩვენ მთის ხალხნი ვართ, ლუდს შეჩვეულნი. გერმანელები კარგ ლუდს აკეთებენ და ერთი კარგად შეესვით“. ძმები წასულან გერმანელების სასადილოში და კარგად გამოითვრლან ლუდით. სასადილოს ერთ კუთხეში გერმანელები თავის საყვარელ „კეგელს“ თამაშობდნენ. მხიარულ გუნებაზე მყოფი ძმები მოთამაშებთან მისულან და მიუხედავად იმისა რომ მათ ეს თამაშობა არ იცოდნენ, მაინც ჩაებნენ თამაშში და გაიმარჯვეს კიდევ თორმე წესი ყოფილა, ვინც თამაშში გაიმარჯვებს, მან ყველას წილ უნდა გადაიხადოს, ფული-ჩემი ჯივარჯიც და მეც ხელმარჯვენი ვოყვიით და ყველას ვაჯობეთ, შეგეგებს კიდევ, მაგრამ, როდესაც ფულს გადახდა მაგეთხოვეს მაშინ კი ფერი გვეცვალა რაც ჯიბეში გვქონდა ის კი მივეციოთ, მაგრამ ამან გერმანელები არ დააკმაყოფილა.“ მითხრა ვაჟამ. ამის გამო დეუნის პატრონს მათთვის გაურტყავს ვარტყმა აგრე არ უნდაო და გიორგის ისეთი გაულაწუნებია სასადილო პატრონსათვის, რომ იგი გულშემაყრბილი დაეშრულა ძირს. ამხედ მთელი იმ სასადილოს მოსამახტრენი და მოქვიფენი შემოსევიან ძმებს და გამართულა უთანასწორო ბრძოლა. „შაქნა ომი, მაკიდებთ ხელს კაცსა და შამაყახეთქებთ მეორე კაცსა და ცვივა ხალხი ძირსა.“ ამბობდა ვაჟა, ხალხი ორად გაყოფილა, ერთა ნაწილი გიორგის შემოხვევია, მეორე კი ვაჟას. „როგორა ხარ, ჯივარჯი,“ გადაეძახებდი ხოლმე ძმასო, შეუბნებოდა ვაჟა. „კარგად ვარ, ვაჟას ქირიმე“-ო, უპასუხებდა გიორგიც. ბოლოს მაინც ამ თუარება ხალხს, რასაკვირველია, თავისი გაუტანია და ძმები დაუციათ ძირა. წაუყვანიათ პოლიციანი ორივენი, რაცა პოლიციას გაუგია ყველაფერი, გერმანელები სულ ცემა-ბერტყით გამოუყრიათ ვარეთ, ორმა კაცმა როგორ ვაგულახათ ამღენი ხალხიო, შეუძლებელია, თქვენ რაღაცას ეშმაკობთო, ძმები კი გამოუშვიათ მაშინვე.



ზემოდ ვახსენე ალექსანდრე ყიფშიძე, ისტორიკოსი, ჩვენი ჯგუფის ერთერთი ბურჯთავანი, ერთ ხანს იგი მეფის ნაცვლის კანცელარიაში მუშაობდა და ამის გამო დიდი ნაცნობობაც ჰქონდა. 1909 წელს, ესე იგი როცა ჩვენთან მუშაობდა, მაქ მეფის ნაცვლის კანცელარიისათვის დიდი ხნის დანებებულ კაცი იყო. იმ დროს

მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორი იყო ვაიდენბაუმი, ვარსებულნი გერმანელია. იმპერატორის კარზე ნამსახური. ალ. ყიფშიძე მას კარგად იცნობდა და თითქმის, მეგობრობაც პქონდათ. ერთ დღეს ვაიდენბაუმი დაიბარა თავისი ძველი ნაცნობი და მეგობარი ყიფშიძე და საიდუმლოდ აცნობა ერთი მეტად საყურადღებო ამბავი. მეფის ნაცვალის ეარონსკოვ - დამავივი მეფეს სწერდა საიდუმლო მოხსენებას მთელი კავკასიის მდგომარეობის შესახებ და განსაკუთრებით პოლიტიკური მდგომარეობისა. ამ საიდუმლო მოხსენებშია გადაწერა ევალეზბადა კანცელარიის უფროსს, და ეინაიდან მოხსენებაში ბევრი რამ საყურადღებო ეწერა, ამიტომ ვაიდენბაუმი ამ მოხსენების ერთი პირი გადასცა ალ. ყიფშიძეს.

— აი. მეგობარო, წაიკითხე და იმოქმედეთ ისე, როგორც საქროა და კარგი თქვენთვის, თორემ დიდ საფრთხეში ჩასცვივდებით. უთქვამს ვაიდენბაუმს ყიფშიძისათვის. ალექსანდრემ მოგვიტანა წერილი და ჩვენ იგი წაიკითხეთ. სხვა მრავალთა შორის იქ აღნიშნული იყო დაახლოებით შემდეგი: -კავკასიაში არსებული რევოლუციონერებიდან ინტერნაციონალური პარტიები, სოც.-დემოკრატები და სხვანი, არ წარმოადგენენ საშიშროებას იმპერიალსათვის, რადგან ისინი მოითხოვენ მდგომარეობის გაუმჯობესებას და ვველანი მომხრენი არიან იმპერიის ფარგლებში დარჩენისა. მაგრამ ვველაზე საშიში არიან ჩვენთვის ნაციონალისტები, ე. წ. სეპარატისტები, რომელნიც სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ თავიანთი ერებისათვის. მათთან ერთად -ფედერალისტებიც" ნაციონალური იდეებით და დამოუკიდებლობის ქადაგებით გამოდიან. კავკასიაში ეს მოძრაობა ვველაზე მძლავრია საქართველოში. ქართული ნაციონალისტები მეტად მძლავრი გავლენისანი არიან და დიდ საშიშროებას წარმოადგენენ იმპერიის მშვიდობიანობისათვის. სხვა ერებში ასეთი მოძრაობა ძლიერი არ არის. ამიტომ საქროა ამ ძალების სასტიკი განადგურება საქართველოში"-ო.

აი რას სწერდა კავკასიის მეფის - ნაცვალის მეფეს პეტერბურგში. არ გაუელოა დიდ ხანს და მართლაც 1910 წლის დასაწყისში დაიწყო ჩვენი სასტიკი დევნა. დაიკენ -ფედერალისტებს" და დააწიოყეს. განადგურეს მთელი მათი პრესა, დაამატებეს აუარებელი ხალხი. ზოგი გააკომბირეს, ზოგი დაბურთეს და ზოგი ციხეებში გამოამწყვდიეს. ასეთი ბედი გვეწვია ჩვენც. ზოგი ვარდავიხევეთ, ზოგი ვანდარშორის ხელში ჩაყვივდა. ჩვენი მუშაობაც მაშინ სულ მოიშლა. აღარც ვაზეთი გამოდიოდა და აღარც სხვა რამ მუშაობა

სწარმოებდა. ერთი წელი, შეიძლება კოტა მეტი, ვმუშაობდით ვაზეთ „ერთ“-ს ირველივ. უმთავრესი საქმიანობა 1909 წელს ხდებოდა.

## შ ე ნ ი შ ვ ე ბ ი

მიხეილ წერეთლის ცნობა იაკობ გოგებაშვილის ფიცი ბუნების შესახებ, დასტუდება სხვა წყაროებიდანაც. აი რას სწერს თავის მოგონებებში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სოფრომ მგალობლიშვილი: „იაკობი ერთობ ფიცი კაცო იყო: თუ წერაღას რედაქცია მაშინვე არ დაუბეჭდავდა, შემოსწერებოდა და რომ ზეცქნივართ, აღარ მოგაწოდებდათ. მე მუდმივ ეთანამშრომლობდი „ვეფრიანი“ აღ, სარაჯიშვილის რედაქტორობის დროსაც ვა. ეფშიძესთან ერთად, რაღაც წერალი მოეტანა ეფშიძესთან დასაბეჭდათ. იმას მივიწვევბოდა და მე მომწერა იაკობმა სასტიკი წერილი: ვთხოვთ ვგ რვეული ჩემის ბიჭის ხელით უკან დამიბრუნოთ, მე მას „ვეფრიანი“ ველარ დაეჭვებდავ თუნდ ერთხმეგ მთხოვოთ. შერე წერილით 22 ივნისიდან 1903 წ. დამზარა ქაშუეთის ეკლესიის მღვანეთთან მოსალაპარაკებლად. ღამარაკი შეეხა იმის წერილს, რომელიც ეფშიძეს უერ არ წავეთხნა და დროზე ვერ დაბეჭდა.. ბერძი ვებეწე, ვარწმუნე, რომ ვანზარს არ მოგვესელია. მაგ წერეთლი დაუბეჭდაობა. კოტა შობდა, მაგრამ წერალი მაინც არ მომკა“. (ს. მგალობლიშვილი: „მოგონებანი“, ტფილისი, 1938 წ. გვ. 190-191).



ვაყას დავა გაჩეჩილაძესთან აღწერილი აქვს ს.ლ. კუბანეიშვილის თავის მონოგრაფიაში: „ეფა-ფშაველა“. დოკუმენტუ: და მასალები, 1937 წ. ამ ამბავზე, ვაყას ძმას — სანდრო რაზიკაშვილს, სახუმარო ლექსიც კი დაუწერია და ვაყასთვის მიუძღვნია. ლექსს ასეთი სათაური აქვს: „ეფა-ფშაველასა და გაჩეჩილას ბრალთა ვამო“. იგი საქმოდ დიდია, მისი მთლიანად მოყენა არაა საქირა. მოგვეყავს მხოლოდ ის ადგილები, რომელნიც თვით ამ ამბის მთავარ დეტალებზე მივეითოთებს:

„...შამაქძეებს ვაყი გაჩეჩილაძე ბაქსაო:  
რა უდავ, ბაქო ფულები, იმ ჩემი „ერეშლებსაო?“  
დავათუღვეინო მთლიანად მაღლმა ღამარის ჯერისაო,  
ამოდოოდეს კერელი მაგ შენი „სორაბნისაო“,  
მათარასაც ვარგადა ვხმარობ, ხანჯარიც ვარგად სჭრისაო,  
შენს დღეში დარდის უნახავს, ახლა ვაგაჩენ ქარსაო“..



ამავე ამბავზე ვაყვას დისწულმა, მიხა რაზიკაშვილმა, სახუმროდ მთელი პოემაჲ კი დასწერა თურმე! „აქა ბრძოლა ვაყა-ფშვეელისი და გაჩვილადისა“, — ასე ეწოდება პოემას, რომელიც მიხა რაზიკაშვილმა თავის ბიძას უძღვნა, ერთგნ აი რას ეკითხულობთ:

ვეღარა შეაგნებინა გაჩვილადეს ბიჭსაო:  
 უარს უშერება ფულეზზედ, ეისი რა მოგცე, რისაო:  
 ვინა მხარ, ვის დაჰკარგეიხარ, ანუ რომელი მზრისაო?“  
 ჰკარგავს ექვს თუმანს ვაეაი, ბრაზით იხოკავს პირსაო,  
 გულზე იმჯილავს მუშტებსა, „სორაბანს“ უკრეკს კბილსაო:  
 დაეკრავ, დავედრებ ღმერთს, ვფიცავ,  
 მუშტით დაეამტვრევ ცხვირსაო“.. (გვ. 250-51).



ვაყვასი და მისი ძმის გიორგის ბრძოლა გერმანელების ლუდხანაში, მ. შამანიურისა და ი. ბუქურაულის ნაამბობად მოყვანილი აქვს სოლ. ყუბანეიშვილს ზემოხსენებულ მონოგრაფიაში (გვ. 172-74). ეს ამბავი შამანიურისა და ბუქურაულისათვის თავით ვაყვას უამბნია, მათი ნაამბობი ზოგიერთ დეტალებში ვანსხეადდება მიხ. წერეთლის ნაამბობიდან, მაგრამ, საერთოდ კი ბევრი მსგავსებაა მათს შორის. მიხეილ წერეთლის ნაამბობიდან ვანსაკუთრებით ძვირფასია ვაყვასი და გაჩვილადის დაყვას ამბავი, რომელიც ვაყვას ცხოვრებით, მატთანეს პარველ-წყაროდ შეემატება და შეავსებს. (ვ. კ.)

\*\*\*\*\*

მ რ ი ს ი ზ მ ა რ ი

იოსებ გრიშაშვილი

ენახე სიზმარი: ვით ღამის ბინდი  
ჩემთან მოიჭერ, ჩამოიბინე,  
ჩემს ღალის ტუბებს მსწრაფლ ჩააფრინდი  
და, — ენებით სავსემ, — ენებით ჩაკბინე;  
კოცნით მომიძღვენ მსღებქი რული,  
ჩემსა ვულ-შერდზე ვეაგილებს პრებდი, —  
გამომეღვიძა... და, — ბედით კრული, —  
სულ ვიციხოდი, სულ ვხითხითებდი.

ენახე სიზმარი: ვით სოი ნელი  
ველს შემოგვტედე რივრაცზე ადრე,  
კოცნით დაგახრზე, და ბროლის ყელი  
ზეეცა - აღურსში მსწრაფლ გამოგლადრე;  
მოპყედი... და მკედარი ვერ შეგითვისე,  
ოცნებით საფლავს მიგაქანებდი, —  
გამომეღვიძა, და ისევ ისე  
სულ ვიციხოდი, სულ ვხითხითებდი.



## ფიქრთა ტალღაჲ!



ყვავილებში ჩამალული  
ძონუხტუხტებს ნაკადული;  
მუშე-ამბართა აღმა-გმევა  
ვერცხლის ცერებად მოიბნევა,  
და დედუნი გრილ სოოსი  
მშვენებაა მსოფლიოსი.

ფიქრთა ტალღავ! ხმა, ხმა გამე;  
გამინათე ბნელი ღამე,  
კოცნას კოცნით უპასუხე...  
დაქარ, ტალღავ, დაიჭუხე. —  
მსურს ეგ ხმები საფეხოვო  
ჩემს ნაღველში ამოქსოვო.

\*\*\*\*\*

## ულუ დავითის დაბრუნება

### გრიგოლ აბაშიძე

შედგა, დაწყველილ სიკბამუკეში  
უკვე მეორედ ნახა ჯეონი,  
გამოიღია ყველა ნეგეში,  
წააგო ყველა სანაძღეონი.

ადარ მიელის ქართლში არავინ,  
მაგრამ უღმერთოდ ვინ ვანწირულა!  
სახელდაბულოდ დადგეს კარავი  
და უნაგირზე თვალი მიღულა.

სძინავს და აერთობს სიზმარში წასულს,  
ზეირთი რომ ზეირთზე გაიხათქუნებს,  
სიზმარში ხედავს მონგოლის ასულს  
და უცხო ცეკვით დაღლილ ხათუნებს.

თამარის ტახტზე ჩონგური ართობს  
დედოფალს, დამწეარს მზის მკებუნეარებით,  
და უმღერიან უდამნოს მნათობს  
პირმშვენებური შიმუნეარებით.

და შედეგ დამზერს თითებს ჰატარებს,  
დამზერს და თვალებს ველარ აზორებს,  
შელი, ბეჭზე ნაზად რომ დაატარებს,  
წენარად რომ ხატავს ქართულ ასოებს.

მაგრამ თავდება წამსვე ზმანება,  
გამოიღვიძებს ზღაპრის მნახველი,  
ძიპოიზედაეს, დაეხარება,  
შეეზინდება თვალის გაბელის,

მერე ეყურად ცრემლი მოწვედება,  
შეუწვევადელი, როგორც ჯეონი,  
როგორ გაყრუდება ყველა ოცნება,  
წაფო ყველა სანადღეონი.

გასცქერს, აღარსად ჩანს ნატერფლები,  
და ქარი ისევ გრძელ გზას აგონებს,  
ისევ კაზმაიენ ცხენებს მხლებლები,  
მონატრებულნი ქართულ მთა-გორებს.

\*\*\*\*\*

მოსკოვის ქართული მუზეუმი  
და ბატონიშვილი დარეჯანი



თამარ და აკაკი შანიანი

მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთში და კერძოდ მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა წარჩინებული ქართველი ქალი, რომელიც თვისი აღზრდით, განათლებით, გამჭრიახობით და დარბაისლობით, საქართველოს ელჩის სახელს ამსახურებდა, თუმცა ის არასოდეს უფიქრა დაბლომატიური კორპუსისა და არც რაიმე ოფიციალური ტიტული უტარებია.

მეზღვევად ამისა. ეს ქალი სამართლიანად ითვლებოდა მოამბეგეთ და მოჭროის უფლეთ მაშინდელ მრავალრიცხოვან და სახელოვან ორ ქართულ ემიგრაციისა.

ეს ქალი ვახლდნათ ბატონიშვილი დარეჯან, ასეღო მეფე არჩილისა. დარეჯანმა თავბრანვე დამსახურა ვაეღენა და ბატონისკემა რუესეთის სამეფო ვარისა და ყოველგეპო წამალი მაშინდელი საქართველოს დაკოდელი სხეულისა, ამ ქალის უახლოესი მონაწილეობით და რჩევით უნდა მოძებულყო.

ბატონიშვილ დარეჯანს წილად ზედა უახლოესი შესაიდუმალე, მრჩეველი და დამსმარე ყოფილიყო ორ დიდ მეფეთა: არჩილისა (დარეჯანის მამისა) და ვახტანგ მეექვსესი (დარეჯანის ბიძაშვილისა), რომლებიც ორ მრავალრიცხოვან ემიგრაციას უძლოდენ რუსეთში და რომლებმაც იქ დიდი კულტურული და ეროვნული მუშაობა გასწიეს. ეს ორი მეფე ქეშმარიტად, ორ დიდ სვეტად ედგენ ქართული კულტურის აღორძინების ხანას და ეით ორი მნათობი, გზას უშუქებდენ მეთვრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის ცნობილ რენესანსს.

ა, ამ ორი ქართული კერის და ემიგრაციის სულიერი დედა და მფარველი, ღტოლილითა მოამბეგ, ეროვნულ საქმეთა მწე და მსახური იყო დარეჯან ბატონიშვილი. ქართული ემიგრაციის ეს უგვირგვიწი დედოფალი, უფროსი ძელი არჩილ მეფისა, იყო ორი გზით კუროთხელი: ერთის მხრეც ის იყო შვილისშვილი საქართველოს დიდი და ბრძენი მეფის, ვახტანგ მეხუთისა (შამაგაზისა), ხოლო მეორეს მხრივ — დედით — იყო შვილისშვილი არა ნაკლებ სახელოვან მეფის და მეოსნის თეიმურაზ პირველისა. ამრიგად, ამ დარბაისელ მანდილოსანს ორის მხრიდან მოდევდა შალაი კულტურა და მდიდარი ტრადიცია ქართული უძველესი და სახელოვანი დინასტიისა.

დარეჯანს უხეად მქონდა ათვისებული ის შალაი „ზნეობანი და სწავლანი“. რაც მისმა შესანიშნავმა აღმზრდელმა და მამამ დავგიტოვა „საქართველოს ზნეობანის“ სახით. არჩილ მეფეს, ამ ქართულ ზნეობათა კოდექსის ავტორს, აღწერია „საქართველოში არსებულ სამას სამოცდახუთ ზნეობათაგან“ უმთავრესი, რაც შეეხებოდა სოციალურ, ოჯახურ და ზნეობრივ-საზოგადოებრივ შალალ მცნებას და კოდნას.

ამ კოდექსზე აღზრდილს, და მამისა და პაპის მდიდარ ბატონობულ და კეთილშობილ პოეზიას ნაზიარები, დარეჯანი, უმძველია, შესაფერ კვალს დაამოწენდა მაშინდელ ჩვენს ცხოვრებას. არც თუ ბაგრატიონთათვის ჩვეულ სამწერლო სამსახურს და ნიქს იქმნებოდა ის მოკლებული. მაგრამ მისი ამ ხასიათის მოღვეწეობის ნაშთი, საღ-



აედროდ, არ შენახულა, არც მის სასახლეში — ესეც იატაკში  
 სადაც მის დროს ქართულ მწერლობა-ეულტურის ძლიერი მავნე სვე-  
 მდა, არც აქ აღმოჩენილი დღემდე რაიმე შესამჩნევი კვალი. დარჩე-  
 ნილია მხოლოდ ფრაგმენტები მისი ცხოვრებიდან და მოღვაწეობი-  
 დან, რაიც გაბნეულია აქა-იქ ჩვენს წყაროებში, ან არქივებში, საშუ-  
 ხაროდ, საჭმო მოცულობით ამას ვერც ჩვენ შევხებით, მაგრამ გვინ-  
 და ზოგი რამ მაინც ამოვკრიბოთ ამ ფრაგმენტებიდან, რაიც ამ ქალის  
 ბუნებას და დამსახურებას ახასიათებს.



პატრიონივილ დარეჯანს მხოლოდ ბავშვობისას ეხილა საქართვე-  
 ლო, როცა ის ათი წლისაც კი არ იქმნებოდა. მაგრამ მისი ცხოვრების  
 არც ეს პირველი ათეული წელი უფილა დამშვიდებული ისე, ეთ  
 იმ დროის საქართველო პატარა დარეჯანს აგორებული ტალღა მა-  
 შინდელ „ქართლის ცხოვრებისა“. ხან ზევით ამოატივტივებდა, ხან  
 კი უბსკრულში ჩაანარცხებდა, წამებულ და დევნილ მამის ოჯახთან  
 ერთად.

მომძლავრებელი მტრები ხან სპარსეთის, ხან ოსმალეთის მხრი-  
 დ ხან გამამძლიანებულ მთის ხალხთა შემოსევით ძალუმიდ და შეფ-  
 ჩრებლივ აწევბოდენ ქრისტიანულ საქართველოს და მისი რაობის  
 წალღვას და მამამძლიანური დანატიზმის ზღვაში გათქეფვას ლაშობ-  
 დენ. მაგრამ არჩილ მეფე მხედ იდგა და შემოსეულ მტრებს უმკლავ-  
 დებოდა, ეიდრე მას უძღვებოდა და პატრონობდა ქართლის დიდი  
 მეფე, მისი მამა, ვახტანგ მეხეთე (1658-1675წწ.), მაგრამ როცა ეს  
 ძლიერი დასაჯრდენი არჩილს გამოეცალა, მისი ბედიც უკლუმართად  
 დატრიალდა და მან მრავალჯერ მოპოებული ტახტი ისევ მრავალ-  
 ჯერ დაქარგა. მაგრამ მეფე მაინც არ ეშვებოდა იმერეთის ტახტს და  
 ხან ერთ მოკავშირეს გამოძებნიდა, ხან მეორეს და ასე ერთის კუთხი-  
 დან მეორეში გადაქონდა ბრძოლის ასპარეზო... (იხ. არჩილ მეფეზე,  
 სხვათა შორის, თ. პაპიას წერილი — „დიდი ემოვრანტი“, კრებ. „კავ-  
 კასიონი“-ს მეხეთე წიგნა, ისახარის ფსევდონიმით).

აი, ასეთ მამზე და აღვლვებულ გარემოცვაში იზრდებოდა მეფის  
 ასული — დარეჯანი, არჩილის შიერ ტახტის დაქარგვას მუდამ თან  
 ახლდა შწევევ გადაკიდება ფანატიკურ მამმდიან მეზობელთა, რომ-  
 ლებიც უღმობებლად და კვალ და კვალ დასდევდენ მეფეს და მთელ  
 მის ოჯახს.

ასეთ პირობებში არჩილმა ველარ შესძლო მცირე ძალებით გამე-  
 ლავებოდა უამრავ მტრებს. განსაკუთრებით მეფის მდგომარეობა ვამ-



წავადა, როცა მის სპარსეთის ჯარით შემოუტია საკეთიარმა ცოდნის მამ — ნიკოლოზმა, მამადიანობაში — ნახარალიხანმა, სპარსეთის მეორე ქართლ-კახეთის ტახტზედ რომ იქნა აყვანილი.

სამშობლოსა და ქრისტიანობისათვის უწყალოდ დევნილმა მეფემ ბილოს ამჯობინა — დროებით მიინც გასკლოდა შრძალის ეელს და ვადსულოყო ერთმორწმუნე რუსეთში და ეხა დახმარება მეფე თეოდორე ალექსისძესთან, რომელთანაც აღრიდანვე ქქონდა მიწერ-მოწერა ... მეფე არჩილაც ხომ იმავე მართლმადიდებლობისათვის აღწეოდა, რის ქომავად რუსეთს თავი მოქონდა ... და ქრისტიანობისათვის მებრძოლი საქართველო მის ბუნებრივ მოკავშირედ უნდა მიეჩნია. ამიტომ არ შეეძლო მოსკოვს, მამადიანთავე დევნილ მეფისათვის, კარები არ გაეღო და მისთვის ძმური დახმარება არ გაეწია.

ასე ფიქრობდა არჩილ მეფე, როცა 1682 წ. მან ოჯახით და დიდი ამალით საქართველოს საზღვრები დასტოვა და ბრძოლებით და დიდი გაქირვებით ოსეთი და მთა ვადიარა და ასტახანს მიაღწია, სადაც ის მოსკოვიდან შიბტიყეებს ელოდა. ამ მოზნით მას ადრე გაეგზავნა რუსეთის კარზე ელჩი თ-დი დამ. ქეაჩიანი, მაგრამ თეოდორე ალექსის-ძე იმ ხანებში ვარდაცულოყო. რუსეთის ტახტი ეხლა მის ერთ დას და ორ ძმით ერთად დაეკაეებინათ და ამ დროს ივერისისა და ქრისტიანობისათვის იქ აღატავის ეკალა... მოსკოვიდან წებართოვა არ მოდიოდა და ასტახანში მის მომლოდინეთ გული უღონდებოდათ...

ამ დროს პატარა დარეჯანი თავის სამ ძმასთან ერთად შშობლებთან ასტახანში იმყოფებოდა. მათ წარჩინებულები და საკმაოდ დიდი ამალი ახლდა. რა ხნის უნდა ყოფილიყო მამის დარეჯანი? ამის გამოჩევევა მხოლოდ დაახლოებით თუ შეევიძლია: ერთ-ერთი წყარო, სადაც ლამარაკია იმპერატორ პეტრე დიდის ბატონიშვილ დარეჯანთან დიდ დარბაზობა-ლხინზე, ესესეიატსკაში 1722 წელს რომ მომხდარა შეეღებზე გამოჩევევის გამო. — ნათქვამია, რომ დარეჯანი ამ დროს 50 წელს გადაცილებული იყო. მაშასადამე, მისი დაბადების თარიღი უნდა უახლოედებოდეს 1672 წელს, ხოლო არჩილსა და მის ოჯახს საქართველო 1682 წ. დაუტოვებიათ. ასე, რომ დარეჯანი მამის მიახლოებით ათი წლის თუ იქნებოდა.

არც არჩილის ეაეების შესახებ მოიპოვება ზუსტი ცნობები. ესაძე თავის „ლეტოპის გრუზიი“-ში ასახელებს ეაეებს: ალექსანდრეს, მათეს, დავითს და მამუკას. სხვა წყაროებში (ბროსე, ბუტკოვი და სხვ.), დასახელებულნი არიან დარეჯანი და შემდგომ ეაეები: ალექსანდრე, მამუკა და დავითი, რაც უფრო სარწმუნოდ უნდა ჩაეთვალათ. ამათში

მხოლოდ ალექსანდრეს დაბადების წელი მოკვავს ესაძეს, რომელსაც ნეკროპოლის წარწერაში ამოუკითხავს, რომ ღენ-ფელდცეხშია დაბადებული. რი ბატონიშვილი ალექსანდრე დაბადებულია თბილისში 1674 წელს.

\*\*\*

დაეუბრუნდეთ არჩილ მეფის და მისი ოჯახის ტრადიკულ ამბებს. როგორც ვნახეთ, მოსკოვში მიპატივების ცნობა დიდის ხნიდან ასტრახანში მომლოდინეთ მეფესა და მის ოჯახს არ მოსდიოდათ. ბოლოს არჩილის ვლს, თ-დ ქეარაანს შეატუბინეს, რომ რუსეთს უფრო სასურველად მიაჩნია მეფისა და მისი ოჯახის სამშობლოსთან ახლოს — თურგში დამკვიდრება. ამ ცნობამ, მრავალ დახმარებათა მომლოდინე სამეფო ოჯახი, დიდ სავონებელში ჩაავლო. მეფემ მაშინვე განსაკუთრებულის ღრამოტით მიმართა ტახტზე შევლომ ორთავ ძმებს — ხელმწიფეთ იოანესა და პეტრეს. ხოლო დედოფალმა ქეთევანმა ცალკე წერილი აახლა დედოფალ სოფიოს, რომელსაც მილოსლავსკების წვალლობით სახელმწიფო საქმეებში ძმებზე მეტი გავლენა ჰქონდა.


ქეთევანი სოფიო დედოფალს სხვათა შორის სწერდა, რომ საქართველოს მეფემ, არჩილმა სოფიოს უფროს ძმისაგან, ხელმწიფე თედორე ალექსისძისაგან, დიდის წყალობისა და იმედის წიგნი მიიღო, და რომ მეფე თავისის ქვეყნიდან მისის ბრძანებით წამოვიდა. „30 ივლისს თურგზე მოვედით. გვეკითხა ჩვენი აურაცხელი ცოდვა და ჩვენი მოწუხალის ხელმწიფის თეოდორე ალექსისშვილის მიცეალება აქ დავიდასტურეთ“... სწერდა დედოფალი ქეთევან. „ჩვენც წამოვედით თურგისაჲ და ჩვენ რომ ზღვაში საქმე გავვიჭირდა, ღმერთმან ასე დიდს ხელმწიფეების, მავათის ძმების შტერს გაუჭიროს, რომ აღარ მორჩომილ იყოს ვაი მე, თუ იცოდეთ ან ხმელეთზე ან ზღვაში ჩვენი გარჯა, შევიბრაღდებით. ხოლო, ღმერთმან არ გავგვიკითხა ჩვენი აურაცხელი ცოდვა და მოვრჩით. ერთს სეკდემბერს აქ, აშტრახანს, მოვედით. ეს რვა თვე გაათავდა და მეცხრეში ჩავდექით აქა ვართ და ხელმწიფეების ბრძანება არ გამოვიდა რა. ვართ უცხონი უცხოთა ქვეყანას, მავათიან ბრძანება უღირსებელი, შეწუხებელი, დალოწყბელი. აჲ, მავათიან მონაშან მეფემ, დიდსა და მაღალს ხელმწიფებს კიდევ თავი დაუტრა და ამას შეპოუტვეწა, შწვალობულნი ბრძანდებოდენ და მავათ ნახვას აღიოსონ.“ და სხვ. (იხ. წერილი დედოფალ ქეთევანისა 1683 წ. — „პერუბისკა ვარუზანისკობ ცარეი“, მ. ბროსეს გამოცემა, გვ.118).

ეს „ნახვა“ ეხლა ასე საშურო იყო, ქრისტიანულ დახმარების მისაღებად. ასე ევედრებოდა დედოფალი ქეთევანი, შვილის-შვილი თეი-



მერაბ პარეკლისა, იმე რუსეთის კარს წამებულ სამშობლოსა და დევნილ მეფისათვის. მაგრამ რუსეთი პასუხს ვხედავ ავღიანებდა და ბოლოს, მეფეს და მის ოჯახს მოსკოვში ჩამოსვლის ნაცვლად, თერგ-ზე დაბრუნებას ურჩევდა.

არჩილ მეფეს, რასაკვირველია, უკან გაბრუნება აღარ შეეძლო. მან მხოლოდ მსლებელთა ნაწილი გაისტუმრა საქართველოსაკენ და თან განმეორებით სთხოვა რუსეთს — მისი ვაჟები მაინც გაეხიზნათ მოსკოვში და ამით ისინი გათათრებას აეცდინა. „ამ ჩემს შეილებს თქვენ საფარველ ქვეშ მასლა აღიხსეთ“, სწერდა მეფე რუს ხელმწიფეებს იოანეს და პეტრეს, „რომ ამათის ურჯულოს ხელს ჩაკეცი-ნის იქვიდან გამოვიდე.“ (იხ. დრამატა მეფე არჩილისა 10 ოქტ. 1683 წ.). ბოლოსდაბოლოს რუსეთიდან შესაფერი დასტური მოვიდა მეფეს და სამა ვაჟი: ალექსანდრე, მამუკა და დავითა შეფე-დედოფალმა მოსკოვისაკენ გაისტუმრეს. (იხ. ბუტკოვა, „მასალები“, ტომი 1, გვ. 500). ასტრახანში არჩილიან მხოლოდ დედოფალი და ბატონიშვილი დარჩენი დაბრუნდნენ (რასაკვირველია, მსლებლებთან ერთად). ამ დროიდან იწყება უფრო დიდი მწუხარება და დარდი შორს გახიზნულ ბატონიშვილებზე, და მეფე დესანებით და ღრამოტებით მოსკოვს აღარ ასვენებდა. ის მოითხოვს, რომ ასე დაავღიანებთ დამპირების ერთი ნაწილი მაინც გაუნაღდონ და მოსკოვში მოსალაპარაკებლად მიიწვიონ. როგორც იქნა, ეს „შოპატიებაც“ მოვიდა და მეფე, დედოფალი ქეთევან და ბატონიშვილი დარეჯან მთელს ამალით მოსკოვისაკენ დაიძრნენ. სოფიომ და ხელმწიფეებმა არჩილ მეფეს მაღე აუდიენციაც დაუნიშნეს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დამპირებებს მოაგონებდა ამ აუდიენციის დროს, ტახტისა და სამშობლოს დამყარ-ველი მეფე, ერთმორწმუნე ხელმწიფეებსა და ვანა მარტო მეფე? საქართველოს მთელი წარჩინებულნი, ხალხი და სამღვდლოება ამ დაბ-მარებაზე და სპარსეთ-ოსმალეთის რბევითაგან დასხნაზე ევედრებოდა რუსეთს, რომელაც ბიზანტიის მემკვიდრედ და ქრისტიანთა დამცვე-ლად აცხადებდა თავის თავს. სხვათა შორის, მეფე არჩილის ლტოლ-ვის შემდეგ (1687 წ.) კათალიკოზი ნიკოლოზი რუსეთის პატრიარქ იოკიმეს სწერდა, რომ არჩილმა „ამდონი ავა საქმე ჩვენი რჯულისა ვერ დაითმინა, არც... დაემორჩილა და მომართა“ რუსეთსო. „ურჯუ-ლოთაგან ძალდამართებული ხელმწიფე ამერეთისა და კახეთისა, მართლმადიდებელი მეფე ბატონი, არჩილ ვახტანგის შვილი მანდ ვეა-ხლათ და შემწე იყავ მას... მამაშვილური საქმე მოუხდინეთ, რომ ეს ჩვენი ქვეყანა და ქრისტიანობა, მონასტრები და საყდარნი, ხატი, ჯგეა-რი, უსჯულლოთ ავარიანთაგან დასატაცება და წასახდენი არ შეიქმ-



ნას..." (იხ. მ. ბროსეს გამოკვეთილი „პეტრებისკა გრუზინსკის ცარეი...“ გვ. 128).

მალე რუსეთ-თურქეთის შორის ახალმა ვართლებამ იჩინა თავი, რაიქ 1688 წელს აშკარა ომის ხასიათის იღებდა და არჩილ მეფეს იმედებს უკოცხლებდა, და ის, ამერეთის ტახტის დაუფლების მიზნით, კვლავ საქართველოსაკენ მიემართება და თავისი ორი უფროსი ვაჟიც თან მიჰყავს. ეხლა ეს ცდა შესაძლო იყო — რუსეთისათვისაც სასარგებლო გამხდარიყო და პეტრე დიდმა არჩილი და მისი ვაჟები ზეიმით გააცილა და დახმარებაც მრავალი აღუთქვა, დარჩნენ ისევ მარტონი და სამშობლოს განთავისუფლების ახალი ცდების მაცურებელმა დედოფალი ქეთევან და ბატონიშვილი დარეჯან. მათ მდგომარეობას უფრო მეტად ის ამძიმებდა, რომ შიკრიკები ძნელად თუ აღწევდნენ მოსკოვამდე. 1689 წ. არჩილი უკვე საქართველოშია და საომარ ძალებს აგროვებს, სახიფათო მგზავრობის გამო ის თავის ორ ვაჟს ოსეთში დააბინავებს. მაგრამ ამ ახალმა ცდამაც უნაყოფოდ ჩაუარა მოუსვენარ მეფეს, იგი დამარცხებული უკან იხევს და ხან სამეგრელოში და ხან აფხაზეთში აფარებს თავს, მაგრამ საქურველს მაინც არ ჰყრის, მარტოდ დაშთენილმა არჩილის ვაჟებმა მამის მარცხის შემდეგ ოსეთიდან გზა გაიყაფეს და როგორც იყო ბოლოს მოსკოვში ჩააღწიეს. აქ მათ გულის ძვერით ელოდენ დედოფალი ქეთევან და ბატონიშვილი დარეჯან, საქართველოდან დამამშვილებელი ამბები აღარ მოსდიოდა მათ, მართალია, დაეღალავე არჩილს ერთხელ კიდევ გაუღიმა ბედმა: 1692 წელმა მას გამარჯვება არგუნა და ის დიდის ზეიმით შევიდა ქუთაისში, მაგრამ სწორედ იქ ფეხის მომაგრება ველარ შესძლო, და სწორედ ეხლა სჭიროდა მას მოსკოვიდან აღუქმული დახმარება, რაიქ ევრ იქმნა, ევრ მიიღო: ევრც მძიმე ხარკი გადაუხადა ოსმალეთს და შეფის მდგომარეობა უფრო გამწვავდა, ამ ხანებში, 1693 წ. მიტანეს მას გულსაკლავი ამბავი, რომ საყვარელი შვილი მამუცა მოსკოვში გარდაეცვალა, რუსეთმა მას დიდი და ზეიადი დასაფლავება მოუწყო, რასაც პეტრე დიდიც კი დაესწრო, მძიმე ყოფაში ჩავარდნილ არჩილს ევრც ეხლა მიამწვლა რუსეთმა ევრც უკარი და ევრც ხარკისათვის საქირო თანხა, რის გამო არჩილ მეფემ ტახტი ევრ შეინარჩუნა.

დედოფალი და დარეჯან ბატონიშვილი ისევ მწირად შთენილნი, დასტროდნენ სამშობლოსა და შეფის ბედს და თანდათან იმედს ჰკარგაუდნენ, რომ რუსეთის დახმარებით ისინი საქართველოს ხილვას მოეწივებოდნენ. დედა-შვილს ეხლა სანუგეშოდ მხოლოდ ბატონიშვილი აღუქსანდრე დაშთენიდათ, რადგან არჩილის ყველაზე უმცროსი

ვაგი — დავითი, მამულაზე ადრე გარდაცვლილიყო მოსკოვში 1683 წელს ამ ხანებში დედოფალი და დარეჯან ბატონიშვილი მათის მზღებლებით ესესეიატსკის სასახლეში ცხოვრობდნენ: ეს მამული ვუთვნოდა ალექსანდრეს პირველ მეფელს, მილოსლავსკის ასულს, რუსეთის სამეფო კართან დრად დაახლოებულს.



დიდხანს და მხნედ იბრძოლა არჩილმა იმერეთის ტახტის დაუფლებასათვის, საიდანაც საქართველოს გაერთიანებას საძირკველი უნდა ჩაეყრდა, დიდხანს ელოდა ალექშელ შვედს ჩრდილოეთიდან, ქრისტიანობის დასაცავად რომ შპირდებოდენ, ამ ლოდინში მრავალი დამარცხება მამაკურად გადაიტანეს მან და მისმა ერთგულებმა, რომლებიც ბოლოს პარტიზანულ შეტევებზე გადავიდნენ, მაგრამ ვაჟეიჯიკი ელებულ და მტერთაგან ასე აოხრებულ იმერთათვის შეუძლებელი ვახდა მომძლავრებელი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება და მეფემ, ბოლოს, 1696 წ. ზრმალი ქარქაშში ჩაავო და მოსკოვისაკენ, თავის ოჯახისაკენ, იბრუნა პირი.

და აქ მას ისე მოსწყურდა მათი ამბები, რომ ითხოვა გზაში, ასტრახანში შემოვივებებიანთ მოსივის ერთად-ერთი დაშთენილი ვაგი — ალექსანდრე, რომელსაც დედოფალისა და ასულის, დარეჯანის ამბები უნდა ჩამოეტანა მოსთვის, ვერც ეს თხოვნა შეუსრულეს მეფეს, რადგან ალექსანდრე ბატონიშვილი იმდენად დაახლოვებლი ქავედა პეტრე დიდს, რომ 1697 წ. ეერომაში სასწავლად გამგზავრებისას, ის თან უნდა წაეყენა (იხ. ამაზე, უფრო დაწერილებით ვ. ტატიშვილის „ქართველები მოსკოვში“ და სავანგებო წერილი ესაძისა „ლეტოპის ვრტხია“-ში.)

მარტოდ მიტოვებული და დამარცხებული მეფე, დიდის ვაივავლახით 1700 წ. მოსკოვს ჩადის და იქ ბრძოლის ვინს ლიტერატურულ მუშაობაში აცტობს, დიდი და ნაფიდიერა იყო მისი მწერლობითი შემოქმედება, წარუშლელი ვვალი დააშთინა მკოსანმა მეფემ ქართული აღორძინების ხანის მწერლობას, ამ „მოკალეობის“ წლებში გამახორციელა მეფემ თავისი დიდი ხნის ოცნება: ქართული სტამბის შექმნა და წიგნების ბეჭდვა, საამიოდ მან პეტრე დიდთან შეთანხმებით მოსკოვის სახელმწიფო სტამბაში ჩამოსახმევირა ქართული ლეტრები, 1703 წელს სტამბა ეცეე გამართული იყო, კოტა უფრო ადრე

არჩილი შეეცადა პოლანდიაში დაეყვითა ქართული ასოები, ამის შედეგად სახებ მოიპოვება ცნობა პოლანდიურ ენაზე.<sup>6</sup>

აქ ეს ლიტერატურული შემოაბა დასკალდა წამიბულ მეფეს თავის საყვარელ წრეში და ოჯახში -- ესესეიატსკიაში. სწორედ ესა უმზადებდა ბედი ვეღლაზე უფრო მწვავე მახელის ლტოლვილ მეფეს, რომელიც საქართველოს ტახტზე ოცნებას არც მწერლობის დროს სტოვებდა, ეს ოცნება ესა ელოლიაეებოდა საყვარელ შეილებს: ალექსანდრე და დარეჯან ბატონიშვილებს, ალიქ ანდრე ესა დადიან ჯებული და დავაეეეებული სამხედრო კოლნიოთ და საარტილერიო მეცნიერებით აღჭურვილი, დაბრუნებულყო ევროპიდან, სადაც ეს პეტრე დიდთან ერთად იქაურ სამხედრო კოლნიის მისალებად რამდენიმე წლით იყო მივლინებული, დაბრუნებისთანვე პეტრე დიდმა ალექსანდრეს რუსეთის არტილერიის უფროსობა ჩააბარა, მისცა მინისტრის ხარისხის თანამდებობა და მიავლეთნა წოდება ლენერალ-ფელდ-ეკსეპისტერისა, მაგრამ ალექსანდრესაც არ სწყალობდა ბედი, ასე სწრაფად მან ვერ მოასწრო რუსეთის მძიმე ინდუტრიის გამართვა და საარტილერიო საქუტველთა დამზადება, მტერმა ამის დრო მის აღარ დაუტოვა, იმავე 1700 წელს გაჩაღდა ომი შეეღებთან და ბატონიშვილ ალექსანდრეს სესტა არტილერიო მალე დაადღმა მტერმა, ბოლოს მისი სარდლობაც, ალექსანდრესთან ერთად, ნარვის ბრძოლაში შეეღებმა ტვეად ხელში იგდეს.

ამ დღიდან მთელი ათი წლის მანძილზე არჩილ მეფეს ეს უკანასკნელი დასაყრდენიც ზელიდან ეკლებოდა და მისი ოცნება: საიმარ მეცნიერებაში ვანსწაიღული ალიქსანდრე ირისა და სამშობლოს სახსნელად საქართველოში გაეშვა, მძიმე ღრუბლებით იბურებოდა.

ბევრს ცდილობდა არჩილი პეტრე დიდის დახმარებით შეიღ ტვეობიდან როგორმე დაეხსნა, საგანგებო წერილებიც მისწერა კარლოს მეთორმეტეს მხურვალე ვედებით (ეს წერილები მოვეანილი იქვს მ. ბროსეს და ავრეთეე ეზოეს), საკუთარი დესპანიე წარგზავნა სტოკპოლში (ათონის ივერიის მონასტრის ბერი, სალოდაშვილი), მაგრამ ვერ იქმნა, ეერპ კარლოს მეთორმეტის ვული ვერ მოიგო, აფვილი არ იყო შეეღებისათვის არტილერიის დიდი სპეკიალისტის და საქართველოს შემევიდრის ევლავ მტრისთვის დათმობა, ასე ცრემლში, და ვედრებაში დაშერენ არჩილ მეფე, დედოფალი ქეთევან და

<sup>6</sup> იხ. Wusten „Noord en Oost Tartarye“ (ამსტერდამი), სადაც მოვეანილია წერილი არჩილისა ამსტერდამის ქალაქის თავისადმო, რომელიც მისთვის ასოებს ასხმეინებდა ვერ კიდევ 1686 წ. (გვ. 529)

ბატონიშვილი დაჩეჯან. მაგრამ ალექსანდრეს ხილვა მათ აღარ ეძებოდა. სად, მართალია, პოლტავის ბრძოლის შემდეგ გამარჯვება რუსეთს დარჩა და დაჭრილმა კარლმა მეითარშეტემ ვაქცევა ძლივს მოასწრო, მაგრამ ბატონიშვილი ალექსანდრე ჯერ კიდევ ტყვეობაში დარჩა.

ბოლოს, დამარცხებული შვედები პეტრე დიდმა დიდის ვაიეაგლახით ზეზე დაიყოლია. რაძლის პირობებში ტყვეთა გაცვლაც იყო შეტანილი. ესაა უკვე აღარაფერი უდგა წინ ალექსანდრეს განთავისუფლებას და მოხეცო მამამსი, მეფე არჩილი. დედოფალი ქეთევან და მათი ნუგეში, ბატონიშვილი დაჩეჯან წაჩინებულ ქართველთა და რუსთა დაწერებით საზეიმო პარაადის იხდიდნენ მოსკოვის დონის მონასტერში. ეს მონასტერი არხილისა და მისი ძაღლის დაჩეჯანის, უახლოესის მონაწილეობით და ღვაწლით აქნა წამოწყობული და მთავალ წელთა დაედღადის შრომით დამთავრებული. ქართველი არქიმანდრიტის, ლავრენტის მიერ იქმნა აქ გადახდილი საზეიმო პარაადისი ზაეისა და ალექსანდრეს განთავისუფლების გამო. მაგრამ სულ მალე გადახდილი პარაადისი იმავე დონის მონასტერში პანაშვიდმა შესცვალა 1711 წლის ზამთრის მიწურულს თავზარდამცემი ამბავი მოუვიდათ არჩილ მეფეს და მის ოჯახს: ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც შვედებმა ავადმყოფობის შემდეგ მძიმე პირობებში, ზამთრის სუსტში სხვა ტყვეებთან ერთად ზომილდით წარმოგზავნეს, გზაში გარდაიცვალა 20 თებერვალს, 1711 წელს, როცა ის 38 წლის იყო. (იხ. ესაძე „ლუტაჰის ვრუსი“, გვ. 342).

არჩილ მეფეს ამ ამბავმა უკანასკნელი ღახვარი ჩასცა ორჯდაც დაკოდილ გულში. „ვაი, ჩვენ, უბედურთ“, სწერდა არჩილი პეტრე დიდს, „ყოველ კეთილისაგან ვაცარცული ვარ... სიკედილმა, ვითარცა მძინეარე ნადირმა, მოგვტაცა შვილი ჩემი, ალექსანდრე, ხოლო ჩვენ მწარე მოხეტევაში გვიმზადებს გზას საფლავთა შინა... დიდ ნუგეშით ჩამუგება, თუ მისი გვაში ვადმოვსვენეთ აქ“-ო.

ეტეობა, პეტრე დიდმა უდა არ დააკლო. რათა ეს ვედრება მაინც შესრულდებინა განაწამებ მეფისათვის, ამისათვის დიდად იღწეოდა თვით დარეჯანიც. მართლაც, ბატონიშვილის ნეშთის გადმოსვენება და დაკრძალვა დონის მონასტრის ქვედა საბთელში, მალე მოხდა. ეს მონასტერი იქნა ბაგრატიონთა და მოსკოვის წაჩინებულ ქართველთა ნეკროპოლად. არქიმანდრიტი ლავრენტი იყო მთავარი წესის ამგები და სამგლოვიარო ცერემონიაში დიდადი სამღვდელოება და წაჩინებულნი იღებდნენ მონაწილეობას. მალე აქვე გადმოსვენეს ადრე გარდაცვლილი მშენი ალექსანდრეს: დავით და მიმუცა და აგრეთ-



ვე პირველი მეუღლე ალექსანდრესი -- ფეოდოსია. მოხუცი-მეფე საქართველოზე და ესლა შემკვიდრე ალექსანდრეზე დიდმა სიყვამდამ ვაჟტება და დაასწულა. თითქოს მან სიყვადლის მოახლოება იგრძნო, 1712 წელს დონის მონასტრის გვერდით საგანგებო პატარა ტაძარი აავო და იქ ლოცვას შეუდგა დაკარგულ სამშობლოზე, საყვარელ მეუღლზე ქაოცებანზე და ერთადერთ შემკვიდრეზე — დარეჯანზე. მისი ამ უკანასკნელი შვილის ღირსეული დაგვირგვინებისათვის ვეუდრებოდა ის უფალს და თან ხელმწიფეს სწერდა და დახმარებას გამოსთხოვდა, რათა საყვარელი ასულისათვის მეფური წოდების ღირსი მეუღლე გამოეძებნა. ეს შეტად საჭიროათ, სწერდა არბილი, „რადგან გვარი ზეენი, რომელიც იყერიამი ხელმწიფობდა მრავალ ასულ წელთა მანძილზე, სხვა და დიდ გვართან შეუღლებით თრ გზით ყოფილა განახლებული. ასეთი წესი მიღებულ არს აზიისა და ევროპის მრავალ ხელმწიფეთა ოჯახებში“. (იხ. ე. ტატიშვილი, „ქართველები მოსკოვში“, გვ. 105). ვერც ეს უკანასკნელი საზრუნავი და ანდერძი შეესრულა წამებულ მეფეს და ის 16 აპრილს, 1713 წელს მოიკვალა. სპიღლის შემდეგ ამ დიდ ღტოლეილსა და მკოიანს გაუთხარეს სამარე მის მიერვე აგებულ ნეკროპოლში მის საყვარელ შვილების გვერდით-დედოფალ ქეთევანისა და ასულის დარეჯან ბატონიშვილის გარდა მის საფლავს უხვად აკურტეს ცრემლები წარჩინებულმა ქართველებმა. რომელნიც ბატონ მეფეს თან ეახლენ შორეულ რუსეთში. რათა ამ ერთმორწმუნე მთავრობიდან დახმარება მიეღოთ და სამშობლო დაკრობილ მამადიანთაგან დაეხსნათ. ესლა ესენიც მწარედ მოსტქვამდენ თვის უბედობაზე და ხედაედენ, რომ ამ „დიდ ემიგრანტთან“ დიდ იმედებსაც ეთხოვებოდნენ.

ამის შემდეგ ბატონიშვილი დარეჯანიც გამოეთხოვა თვის ოცნების სამეფო ოჯახის ვაგრძელებაზე და, ამ დღიდან მარტო შეენილი, საქართველოს მომავლის სამსახურს მთელი არსებით მიეცა.\*

\* კორნელ კველიძის ცნობით, დარეჯანს არჩილის გარდაცვალების შემდეგ, მის პატივსაცემად მამის საფლავზე (ესუსეიასტკაში) იუგია ეკლესია. „რასაც ამოწმებს ამ ეკლესიის საკუთხვეულში ადგილზე მოკრული წრწერა. (იხ. ამაზე მ. ბროსეს მოწმობა). 14 წლის შემდეგ ეს საფლავი ინახულა მოსკოვს ჩასულმა ეახტანგ მეექვსის მეუღლე რუსუდანიმა და ბატონიშვილ დარეჯანთან ერთად ცხატე ცრემლებით მოიტირა ის. (იხ. პოემა „ეახტანგიანი“). ეს ცნობა მოსყავს, როგორც ვთქვით პროფ. ე. კველიძეს; იხ. მისი „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. 2, გვ. 403.



# პ ა ო ლ ო ნ ი ა შ ე ნ ი ლ ს

## ნიკოლოზ მაღარაძე

ორთავეს გვესმის ქამთა გუგუნია  
 და მოძახილი დაქარვულ დღეთა.  
 ჩვენ დავიდაღეთ ამ სატუნით  
 და ვუზიარეთ სიყვარულს ერთად.  
 მადლი სქირდება პოეტის ზრახვებს.  
 ცუცქლში გამოწევა ფიჭვსა და ვარძობას,  
 თუ შთაგონება ჩვენ ნათელს გეგბევს  
 და ასხივოსნებს ამ წმინდა ძმობას.  
 შენ პოეზიით დამწევარს და დამთერალს,  
 გიხმობ, მომხედე, მითხარი რამე,  
 მითხარი, ძმაო, სიწმინდის სატერა  
 ვინ ჩაგვახატრა სულშია, ვით ნამი?  
 განა არ ცოცქლობს, განა არ ასმის  
 ქართულ მიწაზე ქართული სიტყვა,  
 და სათხოვბას არ მოსგერის ეინმეს  
 ლექსად დაღერალი ცრემლების სეტყვა?  
 განა ამ მიწას, სადაც აწია  
 ჩვენი ჟმანკო ბავშვობის, კვალი,  
 ისევ ის მადლი არ ვააწნია  
 და არ გვიცქერის მოწეაღე თვალით?  
 პაოლო, ჩემო სისხლო და ზორკო,  
 დაე, შე მომხედეს მრისხანე შეხი!  
 მინდა მაგ თვალზე ცრემლი მოგხოცო  
 და ძწარედ დაღლილს დაგბანო ფეხა.  
 მინდა რომ იდგეს და არ წაიქცეს  
 პირველი მგოსნის ფეხე და კრა

და პოეზიის სიმტკიცედ იქცეს,  
რაც ჩვენ გვახარებს, გვიყვარს და გვეჯერა!  
დიდების კარებს ჩვენ ვინ გაგვიღებს!  
ბედის განაჩენს ამაყად ვხვდებით,  
მაგრამ სამშობლო მაინც მიგვიღებს  
მომღერალ გედებს დაღუწილ ფრთებით.

„მნათობი“, აგვისტო, 1966 წ.

\*\*\*\*\*

### თ უ ე დ ე მ ს ი ძ ე ბ ...

მართლაც ეგ ზეცა საფირონს, აფრქვევს,  
ბადაგის ტბორში ყვინთაობს არც.  
თუ ედემს ეძებ — შეჭერდი აქვე,  
აქ, სადაც მიწა საკმეველს აკმევს  
და უკედეგობის ვზით გაიარე.  
ამა ვარდები, ცაში დარგული.  
ზღვის სარკე არწევს მწვერვალთა აჩრდილს,  
მზივ, ყაბსნადით ამოქარგული,  
სუნთქავს ყვავილი გულგათანგული  
და აკვირდება პალმების ნაჩრდილს.

მართლაც მღეროან აქაჩის მთები,  
ვუგუნო გააქვს უთვალავ საკრავს.  
ხეებს შეუსხამთ ცისფერი ფრთები,  
თითქოს მეორედ ამ ქვეყნად ეჩნდები  
თითქოს წარსული გულს აღარ აკრავს!...  
როდესაც მწუხრის ნაქსოვი ბადე,  
ზღვაზე გამოსილი ოდნავ შეკრთება, —  
სიზმრად იქცევა ბრწყინვალე ცხადა:  
რალაც სვეტივით იწევს ცამდე  
და იქ ეარსკულავენს შეუერთდება.

მართლაც ეგ ზეცა საფირონს აფრქვევს,  
ბადაგის ტბორში ყვინთაობს არც,  
თუ ედემს ეძებ — შეჭერდი აქვე,  
აქ, სადაც მიწა საკმეველს აკმევს

და უკვდავების გზით ვაიარე.  
თუ სულ მარტო ხარ,  
თუ ვერსად ვერ ძლებ,  
თუ ედემს ეძებ....

\*\*\*

როცა შეინვარი დედოფალ თბილისს  
გამოუგზავნის საჩუქრად სიოს, —  
იგი ვერ მალეებს გაივლის ხილის,  
შერე ეწვევა შეტებს და სიონს.

ნახავს მთაწმინდას, მძინარე მგოსნებს  
დუმილით მოკლეთ გულს განუგრილებს,  
და როცა მზე მთას აახეოსნებს, —  
მათ საფლავებზე შეარბევს ჩრდილებს.

შეშოველება აკლდამის კედლებს,  
რომ აქ მთაბეროს მადლი ცუერი  
ვა ჩვენი ერის დიდების მჭედლებს  
ამცნო, ამბავი ამქვეყნიურო,

ჩაეჭურჩულოს მშობლიურ ვნით  
მათთვის უტყუერი ქართული ნანა,  
ამცნოს რომ მათზე დოკუდობს ერა  
და ვლავ ილოკებს, არსებობს სანამ.

და როცა მთვარის შექი კურბანი  
ღრუბლებში აშლის გედებს და მხედლებს, —  
მოვა და ფურცლებს, ააშრიადლებს  
ჩემს მაგიდაზე ღექებდად დაყრილს,  
შემდეგ მომნახავს ფიქრებით დაღლილს  
და წამწამებზე შემოშრობს კრემლებს.

„მნათობი“, სექტემბერი, 1956 წ.

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

გიორგი კერესელიძე



გრიგოლ ორბელიანი

მოხსენება გიორგი კერესელიძისა. წაკითხული ქართულ მწერ-  
რალთა კავშირის კრებაზე, 1956 წლის 25 მარტს, ქ. პარიზში.  
იბეჭდება ოდნავ შემოკლებით. ავტორის სტილი დაცულია.

\*\*\*

ბრამსი ამბობს: „ნაწარმოები შეიძლება არ იყვეს სათაყვანებელი,  
მაგრამ იგი სრულქმნილი უნდა უნდა იყვეს“. ჩემთვის კი — გრიგოლ  
ორბელიანის, პოეზია თაყვანსაცემია. რადგან იგი სრულქმნილია. გრ.  
ორბელიანი პოეტია ამ სიტყვის სრულია შინაარსით. მის ნიჭში თანა-



სწორა სიღიადით არიან ჩართულნი მკოსანი, ხელოვანა, მუსტიკოსი, უსაზღვროა მისი ხელმწიფობა ქართული სიტყვისა. მას ზეგარდმარ ნაბოძები აქვს სრულმშფობილობა ფერადებისა, მუსიკალობისა. მის ლექსს, იწნება ის საზოგბო. სამიჯნურო, მუხამბაში, სიათონოვეული თუ პოემა პატრიოტული, ვერ შეეპარება ვერც ერთი სიტყვა ეულგარობისა, ისე მტკაცედ არის შეკრული, ჩამოქანდაკებული, არქიტექტორულად დამთავრებული, საკეთარაი სტილით მუხნოქავი. ვერ ეპოვებთ ვერც ერთ სურათს. ვერც ერთ სატყვისს, რომელიც ოდნავ მაინც ეხამუშოს ჩვენს სმენას, ჩვენს გრძნობას სიღამაზისას, ანდა თავის ადგილს არ იფოს ჩაეინძელი.

უმჯობესია ვერც განვიხილოთ ორიოდე ლირიკული ლექსი ჩვენი მკოსნისა, ორიოდე, რადგან ადგილი მეტის ნებას არ გვაძლევს და, შემდეგ მისი სამი პოემა, სადაც ეპოვებთ პოეტის მუშმერაზობას და შიგ ჩართულ სულის წამებას პატრიოტისას. დავიწყოთ ხოტბის ერთი ლექსის ერთი ნაწყვეტით:

**ვარდი მარ? — არა!**

**ზამბახი? — არა!**

**მაგრამ შენ დაწვითზე ალყავებულა**

**არაინ ორწივ შეზავებულნი.**

**ნეტარ მას ზულბულს, ვინც შენს ვარდს-ზამბახს**

**ზედ დაძღერს მარად, ვით ეშის მანაკს..**

ალყავებულნი ვარდი და ზამბახი ლამაზი ქალო, დაწვითზე შეზავებულნი — ის სურათი სინაზით სავსე, უაღრესად კელუცი, და რამდენია თქმული ორი სიტყვით: „ეშის მანაკი!“

ზან ნაზი, ზან რთული და ძლიერი მელოდია, სიღამაზე უმსკლო, ღრმა აზრი, ჩვენი მკოსნის უზადო ქართული სიტყვით ძვირფას სამკაულად არის ასმული ყოველი მისი ლექსი, მისთვის სიყვარული, ტრფობა სულ სხვა სიღრმის, სხვა ზუნებისა, ვადრე ენაწყლიანი, მაგრამ უხერხემლო ჩვეულებარავი ლირიზმისა. მიჯნური მკოსანი ჩივის სატრფას შორს ყოფნას და...

**ან გული რად ვერ გივიწყებს**

**ჩემი სიციცხლის შეენებას?**

**რომ უგრძნობლობით ქვა-ქმნილი**

**ვერ გრძნობდეს თვისსა ობლობას?**

**თვით სიშორეცა შემეკმნა**

**ცაცხლზედან ცეცხლის დამმარათი.**

მიყვირს ესდენ სიყვარულსა  
ვათარ აპურობს გული ერთი?



და შემდეგ:.....

ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა,  
დამბერველ ეშხის ცეცხლისა,  
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი  
უწამო სიყვარულისა...

დიდს სიყვარულს განუგრელად თან ახლავს დიდი ტანჯვა, როგორც კეთილს ახალი და ძალი ვერ ექნებოდა მის გვერდით ბოროტი რომ არ ასლებობდეს. — სიყვარული დაკარგავს თვის ბატონობას თუ ტანჯვა, ეშხის ცეცხლის გაღვივებით, ტრფობას არა ზრდის.

განვიხილოთ რამოდენსამე ამონაწერით კიდევ ერთი ხოტბის საოცარი ლექსი, (აღბომში ღრ. ოპ.):

შესტრფი საღამოს,  
ტაბილ-სუნნელ მუდროს,  
მის სიბნელესთან ხინათღე რეულს,  
ყას ვარსკვლოვანსა  
ლავეარდოვანსა  
და შორით კაკაბს სახედიდებულს!  
მე მდუმარებით  
ემწერ გაოცებით  
შენზე მოთვარის შუქსა მოდგმულად,  
და დამე ესე,  
სიტურფით ხავსე  
მრწამს, რომ შენგან არს დამშვენებულად...

და შემდეგ..

მაშ რამ გვახაროს,  
რამ გვანუგეშოს,  
ან კმუნვის ცრემლი ვინა მოგვხოცოს,  
თუ სიყვარული,  
ზეგარდმო მადლო  
ღვთისა კურთხევით არ მოგვეღვინოს?

სიყვარული ღვთისა კურთხევით ზეგარდმო მოვლინებული მადლია და ამიტომ სანუგეშოა. ამ ლექსში მგოსანი ჯერ ბუნების სიღამაზის აღწერით გვიკვირებს: მუდრო, ტაბილ სუნნელ საღამოს ცა-



ლავეარდოვანი, ვარსკვლავიანობით სიბნელესთან სინათლე შერეველია  
 ღი. — შორს სახედიდებელი ვაკეასი; სატრფოს მთიეთარის შერე  
 აქვს მიდგომილად, და ეს ასე მხატვრულად დასურათებული ფონი,  
 თითქოს სატრფოს მშვენიერების სარელიეფოდ უნდა შეექმნას ხელ-  
 ოეანს. მაგრამ არა: — მოჯინური მგოსანი ამ მელოდორ სერენადაში  
 სულ სხვა დასვენით გვაკვირებს: ეს სურათი ბუნებისა ამიტომ არის  
 ესოდენ მშვენიერი, რომ მას სატრფო თავისი ტრფობით ამშვენებს:


და ღაშე ესე  
 სიტურათო საესე  
 მარამა, რომ შემგან არს დამშვენებულად.

ღექსს „გაზაფხულში“, პოეტის სულს — სატრფოს მოკლებულს,  
 არღა რა ახარებს: არც თვით გაზაფხული. უოველთ სულთა საცხოფ-  
 რებლად, სასიამოდ, საშვეებლად რომ მოველინება ქვეყანას. მწეა-  
 ვედ მწეხარია მისი სულიერი ობლობა. უდავო ასტატობით აღწერს  
 გაზაფხულის წარმტაც სილამაზეს, როდესაც ბუნებური ვარდს ეშ-  
 უთ შესტრტის... და...

გაზაფხულის ეამს სახურტველს  
 უოველი იშვესს, უოველი მხარობსს!  
 მხოლოდ ჩემს გულს გამწარებულს  
 ხმა ბუნებულის ადარ ატკბობსს...

ვერ ახარებს სევდით ტანჯულ მოჯინურს გაზაფხულის სიტურტე  
 და მშვენება, მას ურჩვენის, მრისხანება ბუნებისა, ოდეს მღუმარე მი-  
 ჯინური სიამოვნებით ელის სიკედილსა...

რომ მას შევერთღე სამარედ  
 ვისთვისაც ვიყავ ხულდგმულის.  
 ამა ურწმუნო სიყვლისა  
 ადრე ვასწავე მუხთილობა:  
 მისსა უოველსა კეთილსა  
 აქვს მხოლოდ წამი მყოფობა.  
 მის ეამით არღა მამარტბა  
 არც გაზაფხული მოხვლითა,  
 და არცა გულსა მიწუხებს  
 მე ავი თვისის წახვლითა.



გრიგოლის ნიჭიდან თავისუფლად ვადმოსტეებს როგორც მისი პირადი, ისე სხვა ფორმა ლექსთა წყობისა. აი რამდენიმე სტრაქონის მისი ერთი მუხამბაზისა:

ვინდ მეძინოს, მაინც ხულში მიზიხარ,  
 თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!..  
 ...სადაც წახვალ მე მაშინვე იქა ვარ,  
 ვინდ ვერ მნახო, აცოდე რომ იქა ვარ!

აქ სრული სინათლით არის ვადმოცემული სხვ ეპარაოდელი მიჯნურისა და მუსიკა ლექსისა ქმნის საჭირო გარემოს.

„მუშა ბოქვლაძე“ ურითმო ლექსია, ხოლო რიტმით და შინაარსით მდიდარი. აღწერს ეს მუშა თავის მძიმე ზედღრს და გვეყობებება:

მაშ ვინა ვარ, რა მქვიან ამ სოფელში,  
 თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდებ?  
 სიქაბუცე ტანჯვით შრომამ წაიღო...

და ბოლოს — წაველა კაცთა მიერ ამა ქვეყნად ბოროტის დამყარებისათვის:

წაუღლ იუოს, ვინაც მუშა აკურთხა,  
 მოკლებული უოვედ-გვარის შევბასა,  
 კაცთა შორის, კაცად არ მიჩნეულა.

ჩვენი დიდი ილიაც გულის ღრმა ტკივილით განიცდის მუშის უმწურო ზედღრსა და სასტიკად ჰგმობს სოციალურ უსამართლობას. გრიგოლს სივანი უფრო მაღალ სფეროში გადააქვს და კაცთა მიერ შექმნილ საზოგადოებას ღვთის გმობისათვისა სწვევლის: უფალმა კაცი — მუშა, კაცად გაიჩინა და კაცთა შორის კაცთა მიერ კაცად არ არის მიჩნეულა.

უკვე 1834 წელს შვიტრა პატრიოტის სულში შჩაგერელი ეპეი, ვერ იტანს მგოსანი უცხოეთში ყოფნას, თუნდ ეს უცხოეთი იუოს რუსეთი, რომლის დიდებას ერთგულად ემსახურა, თავის დას, ეფემიას სწერს:

აწ ხად წავიდნენ ნეტარების წამნი ძვირფასნი,  
 რომე აჩრდილიც არა დამშთათ ზემდა ნუგეშად...

ვინ გვეტყვის: რომელნი იყვნენ „აწ წასრულნი ნეტარების წამნი ძვირფასნი“? იმედი შეთქმულებაზე დამყარებულნი?! — კმუნვათა დასნი შეუბრალებლად ჰგლეჯენ უღონო მსხვერპლს, ყოვლად ტანჯულ პოეტს. მის ღრმად მგრძნობიათ სულს საიმედო არაა რა აქვს და აღარც სურვილი, — ხოლო ნუგეშად:

დაო სასურველსა სოფელს შენ დაშოთ მხილდ...  
მისთვის ელაყ ცაბა, შავნი დღენი ჩემთვის შოთმიდნი  
არ შესწედნენ, ვადრე კვალად ჩემთა თვალთ არ გაზიდონ,  
და მაშინ, თდეს საუკუნოდ მივდუნლო თვალნი,  
მშობლიურ მიწა ზელთა შენთა ვულს დამაყარონ.

ვერა, ვერ უძლებს დიდი ქართველი სატრფო - სამშობლოდან შორს, ყოფნას, რუსთა უმწეო ცისა ქვეშ შთენილს, ქართული სუფრა, ლხინი ქართული, მეგობრებთან შეტყევა, ღვინო კახური, — ის, რაც ქართველს სევდის დაუცხრობს, სულს ვანუშტკოცებს, მოგონებით მაინც ერთ მუხამაზში გრავოლს ათქმეიწებს:

სულით ერთნი, მოღბინენო, აწ შეკრბით,  
თახით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით!  
ლხინის სუფრა მოპრათე უვაიღებით...  
„აღავერდა დასვით თარით ნაქებით,  
ყოჯა ზულზულ ტკბილის ხმით აღუდღენეთ,  
დაძლიბატო დამკარ - დაარაკუნეთ..“

ლხინი ქართული: თარით, დაძლიბატოთი, სულით ნათესავ მეგობრებთან სულ სხვა კულტურის მოვლენია, ვადრე:  
печку затоплю, чайку выпью...

ცხენი თუ რამდენად მახლობელია ჩვენი, იქიდანაცა სჩანს, რომ ჩვენთან დროითა და მანძილით უფრო დაახლოვებულ ურარტულ - ქალდეაში ცხენების გასახედნი საგანგებო სკოლები ჰქონიათ და პირველი სახელმძღვანელოც ამაზე დაუწერია ვინმე **კაკულიას**, რომელიც ასე საოცრად წააგავს მეგრულ გეაბს! (სამეგრელოში ეხლაც არსებობს გეაბი **კაკულია**) ამას შეიძლება ისღა დაეფიქროთ, რომ აზიაში განთქმული იყო ურარტუელთა ცხენის ჯიშები. სადაც მთელი პროვინციები ამ ხელობას მსადევდნენ და დიდი ჯოგები ჰყავდათ: ბარიაში, მესხეთში და სხვა. ამის შესახებ ცნობებს ბიბლიაშიც ვპოულობთ, ხოლო მეგრულთაგან ცხენების განსაკუთრებული სიყვარულიც იქნებ იმ განთქმულ მოგვარე — **კაკულიას**გან მოდიოდეს?

ბუნებაში არსებულ თუ ხელოვნურად შექმნილ ნივთიერების დამუშავება და ცხოვრებაში გამოყენება, — ერთერთი ნიშანია ყოფილ



თუ არსებულ საზოგადოების კულტურული დონისა და ამ მხრივაც გასაოცარ სიმდიდრეს წარმოადგენს ქალღმერთთა ისტატობა ორბელიანების პერიოდში.

პალეოლიტსა და ნეოლიტსაც რომ თავი დაეანებოთ, (რადგან ასეთი პერიოდები ყველა მოდგმას აქვს განვლილი) — ქვის დამუშავებას დიდი ადგილი უჭირავს თანდათან გაუმჯობესებით სხვადასხვა ეპოქაში, ამ მოდგმის სელაში ჩრდილოეთისაკენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ, მაგ., ცულები, ისრები, შუბის წვერები, წისქვილის ბორბლები და სხვა მრავალი ნივთი, ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან ფორმის სილამაზეში, მასალის ერთგვარობით, თუ გამოყენების შესაფერისებით ერთიერთმორის, მეტადრე სემერტლისა. — თრიალეთთან შედარებით.

ხის გამოყენება შენობისათვის, ავეჯისათვის, ეტლებისათვის, ჩუქრობულ ხელობისათვის და სხვა, არა მარტო მრავალ-ფერობითაა დამახასიათებელი, არამედ — კავკასიური წარმოშობისაც არის, როგორც ჯიშები ხისა (როგორც ომსიდიანისა).

უმნიშვნელოვანესია, რასაკვირველია, ლითონის დამუშავება, რითაც საერთოდ იყოფა ცივილიზაცია ეპოქებად: ქვისა, სპილენძისა, ბრინჯაოსი და რკინა-ფოლადისად. ყველა ამ ეპოქებში ჩვენს მოდგმას არა მარტო შეუტანია თავისი წვლილი არამედ, ამჟამად, ყოფილა პირველი თაობანი და აღმოჩენი ამ ხელოვნებისა, რომელიც ასე ეთქვას, რევოლუციებს ახდენდა მთელი კაცობრიობის მსელელობაში. ბიბლიაში ნახსენები რეალისა და რკინის უადრეს. — რომელთა დამუშავებას ჩვენი მახლობელი წინაპრები: თუბალ-კანს, მესხნი და ქალიბთა ტომები აწარმოებდნენ, სემერ ქალღმერთმა იკოდნენ ოქრო-ვერცხლისა და მათი შენადული „ელექტრონი“-ის ათასნაირად გამოყენება. მათი ნახელავი დღეს, მრავლათაა გაბნეული მთელი ქვეყნის მუზეუმებში.

გასაოცარი არ არის განა, რომ „ურ“-ში ევროპელმა მეცნიერებმა და საქართველოში — თრიალეთის ბორის კუთვნილება აღმოაჩინეს, მაგ., ოქროს თასი, არა მარტო ერთნაირად დამუშავებული, არამედ ერთნაირი გარსით, ერთნაირად მოხატული, ერთნაირად დამშვენებული ძვირფასი თვლებით? ეს ორი თასი, ნაპოვნი სხვადასხვა ადგილისა, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სწავლულთაგან. — ერთმანეთს ისე ჰგვანან, როგორც წვლის ორი წვეთი და განა მარტო ესა? — ძვირფასი ქვების კულონები, ჩამოქვნი ოქროს ჩარჩოში, ყელსამაგები, მძივები, ბუნებრივი ქვებისა და ხელოვნური შემადგენლობისა, ან და-

შერილი; ბებლები, სამაჯურები, შებლისა და უბრალო ქაბახთავერთ, აყურებები, და ქალთა და კაცთა სხვა სამაჯურები და სხ. და სხ. და ათასობითა აღმოჩენილი და მსგავსი საქართველოსა და სხვადასხვა ეპოქის ქალღიაში. იმ დროის ოქრომქვედლობა თითქმის არ ჩამოღვარდება ეხლანდელს.

მაგრამ კიდევ უფრო დიდია მსგავსებანი თიხის უოველგვარ გამოყენებაში, კერამიკაში: ფეხით, ხელით, ფორმით თუ ტრიალა დაზგაზედ დამუშავებულით. თვით ეს დაზგაც ხომ ქალღველთაგანაა აღმოჩენილი და დღემდე მსოფლიოში გავრცელებული და გამოყენებული. უფრო მეტად ვრცელდება ეს გამოგონება — წარმოების მსგავსება, შერქველზედ, პატარა ჯამისა და ზეთის სანათურადან დაწვებით, ლიტრა-ყოკა ეაზებით — უდიდეს ქვეყრებამდე. — მშატერობის, ქაშახნერის, ვარსისა თუ მასალისა და დამუშავების პრინციპებით.

რასაკვირველია, ამ ასე ესთქვათ, მატერიალურა ხასიათის მსგავსებათაც უნდა დავმატოს სავანგებოდ ურარტუ-ქალღიისაგან დამატებით შეტანილი წველილი მსოფლიო ცივილიზაციაში, მაგრამ მთავარი მინც დარჩება იქ სულიერი საზრდოს საწყისება, რაიც შეტანილი აქვს ჩვენს მოღვმას კაცობრიობის საღაროში, და რაზედაც ამ წერილის მეორე განყოფილებაში გვექნება საუბარა.

თუ რას წარმოადგენდა ამ მხრივ ურარტუ-ქალღია, (დღეს სომხეთად გამოცხადებული) — აქ მოლოდ სქემატურად შეგვიძლია ეთქვათ ზოგიერთი რამ.

ურარტუ - ქალღიის გუთუნის კარგა დიდი ნაწილი, თემცა სულ სამი სატყუნე არსებობდა ერთენულ-სახელმწიფოებრივად, როგორც ფეოდალური სამეფო და ერთი ბრწყინვალე დინასტიათ.

ამ ანტიურ ქვეყანაში მრავლად იყო ციკლოპური შენობები, კლდეში შეთხრალი სასახლე - ტაძრები, თავისი გვირაბებით. ბრწყინვალე ქალქ-სატატოებით და სხვა ასევე დღემდედელ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობენ იმავე სახის ნაგებობანი — ვარძია, უფლოს ციხე, საფარია და სხვანი. უყანაყენელ წლებში ბევრი ასეთი ნაგებობა-ქალქები და გვირაბები აღმოუჩენიათ ზემო იმერეთისა, რაჭმისა და სხვ. შენობებისათვის ურარტუ-ქალღია იყენებდა სხვადასხვა ფერის ქვას, სწორი კედლების ზოგზავა კბილანებით აღამაზებდნენ, ასევე ამკობდნენ ზეპურაშით, მშატერობით, ბუთებით; ქუჩებისა, ვუჩებისა, მოედნების და ეზოების მოკარწყელაც იკოდნენ, სახლების მოკენწევა (მოზაიკა) დიდად იყო გავრცელებული, ოქრო - ვერცხლის შერქვისა და იარაღის დამუშავების ზელოვნება მაღალ საფეხურზე იდგა და



რა სასაცილოდ გვეჩვენება, როდესაც ამ ხელოვნებას - ტულის ხელოვნებას“ უწოდებენ. ურარტუ-ქალღიაში ქვასა და ლითონს ხშირად ერთი და იმავე საგნის გასაყეთებლად ნარევიდ იყენებდნენ. საუცხოვო ბალ-ვენახების, ყვავილნარებისა და მიწდორ - ტყეების მოყვანა-გაშენება, არხებისა და წყალსადენების სამუშაოებით მათი შორწყვა და სხვა და სხვა, — იყო კულტურისწილის მამკვებელი სემკრბაბილონელთა და ურარტუ-ქალდეველთა. და განა ყოველივე ამის შესავსებას არ პოულობენ დღევანდელ საქართველოში?



შმა თუ იმ ერისა, ან მოდგმის ცივილიზაციის დონის დადგენსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს **დამწერლობა**. ამ მხრივაც პირველი და უძველესი დამწერლობა აღმოჩენილია სუმერო - ქალღიაში. ეგრედ წოდებული „ლურსმული“ დამწერლობა. ათასწიური დარგისა.

ქალდეველთა ვადმოცემით, ეს ხელოვნება ასწავლა მათ „ზღვიდან ამოსულმა **დმერო-კაცმა** - თამუზ“-მა. რომელიც ზოგიერთი ნაშნებით უახლოვდება ზენს „არმაზ“-ს, აი-ნანა (დედა-ღმერთი) და დანანა, მკეთათაშივე რომ უმშვენებდნენ მხარსა. **ქარდუ - ქალდუ**, რომლის სახელიდანვე მოდის ჯერ მთელი ამ არეს სახელი და მცხოვრებლებისაც, შემდეგ ბაბილონის მხარისა და ურარტუსი, უფრო გვიან, ქრისტეს შემდეგ შეათე - მეთერთმეტე საუკუნემდე — **ლანისტან-ერზერუმის** მხარეს, ერქვა ქალღია; და ქართული - ქართლოსითაც დღემდე. ოსმალეთის ერთ პატარა კუთხეს ქოროხთან დღესაც ქვია „ქალღია“.

მაგრამ მთავარი საქმე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ თვით ეს ლურსმული დამწერლობის ხელოვნება გადაიღეს ასურ - ბაბილონელებმა და განავრძეს ურარტუ - ქალდეველებმა, არამედ ის, თუ რა იწერებოდა ამ ენით და დამწერლობით! და აქ იშლება ისეთი სურათები, რომლის მნიშვნელობის ამოშტეტა ჯერ შორსაა დასარულები-საგან, დაწებული წერაკითხვისა და ანგარიშის სახელმძღვანელოებიდან, ვარსკვლავთ - მრისხველობის, გეომეტრია - ქიმი - მერწნალობისა, ღვთის სადიდებელ ჰიმნებამდე; უბრალო საეპრო, სამეშაო, საქორწინო, სამზითეო ხელშეკრულებიდან, უმაღლეს საკანონმდებლო ძეგლის წერასა და პოლიტიკურ ტრაქტატებამდე. მაგრამ გვიარგვიანად და იმავე დროს შედეგად უნდა ჩაითვალოს უცნობი იეტორის მიერ დაწერილი ისტორიული პოემა ურუკის მეფე **ვილგამეშ-ზედ**. ეს ისტორიული პოემა, დაწერილი დაახლოებით 3.000 წლის წინ ქრისტეს დაბადებამდე, ვადათარგმნილ იქმნა ჯერ კიდევ მაშინ-

დღეს მომდევნო ენებზე, ხოლო დღეს ყველა თანამედროვე ენაზედ. კართულად ეს პოემა ბაბილონურითგან თარგმნი და გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა ბ.მიხეილ წერეთელმა 1924 წელს სტამბოლში. უნდა წაიკითხოთ ეს თარგმანი, რომ არა მარტო დაჩწმუნდეთ მის კართულ სულიერებაში, არამედ დასტბეთ, როგორც წმინდა ლიტერატურული ნაწარმოებით და დაინახოთ შიგ მრავალი ძირი უმრავლესი ამშებისა ჰომიროსის ალიადა და ოდისეისა; ბიბლიის მოთხრობებისა; „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ადგილებისა, თანამედროვე რომანების სიუჟეტებამდე. აგრეთვე ლეგენდების, ზღაპრების, სულის უკვდავების ძებნისა, თუ ბუნების ძალთა დაპირისპირებისა.

მ. წერეთლის წინასიტყვაობისა და განმარტებით რომ დაემატოს მისივე გამოკვლევა სუმერულისა და კართულის ნათესაობაზედ, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ პირველი პოეტი - მწერალი ამ ხუთი ათასი წლი, წინად — იყო კართველი, ენით და მოდგმით.. და მას უკვე მამინ დაუყენებია მრავალი ფილოსოფიური საკითხი და თემა განუეთარებია.

\*\*\*

განვიხილოთ მოკლედ სარწმუნოებაც. მისი დამახასიათებელი ფილოსოფიური შინაარსი, გამომედგენების წესები — რიტუალი და სხვა არის აგრეთვე ერთ-ერთი მანქანებელი ცივილიზაციის დონისა, და, მათი ხშირი შეხვედრა სხვადასხვა ეპოქასა და ადგილზე, — ნათესაობის მომსწავებელიც. ამაზე დიდხანს არ შევჭრადებთ, რადგან სპეციალური გამოკვლევის საგანს შეადგენს. მაგრამ ზოგი რომ მაინც უნდა აღინიშნოს. გმირ - ბუმბერაზობის პატრიუსია და თავფანისცემა, ღმერთ-ვაკობა (როგორც, მაგ., თამუზისა), ცხოველების, მცენარეთა, ბუნების მოკლენათა, მნათობთა გაღმერთება გავრცელებული ყველგან და ჩვენშიც — აქ უფრო მწუხრს სახეს იღებს: ადი, სამებაშდგ. თქვენი განსაკუთრებული ვერადლება უნდა მივაქციო ამ გრემობებს, რომ ერთღმერთობაც ქალდიდანვე უნდა მოდიოდეს: იმავე ზიბლიაში შემონახულია ასეთი ცნობები, რომ პირდაპირ ვასაყვრველია როგორც მაწერდნენ ათასი წლების განმავლობაში ამ მსალაი ცნებების დადგენას სემიტ-ებრაელობას. მართლაც, დაბადებაში ერთხელ კი არა, მრავალჯერ და დაეინებითაა ხაზგასმული, რომ ამრამი არ იყო ებრაელი, არამედ მოვიდა პალესტინაში ქალდეველთა „ურ“-იდან (კართული სიტყვა ურიაც აქედან უნდა იფოს) და იყო პირველი მქადაგებელი ერთი და ერთად-ერთი ღმერთისა, ცათა და ქვეყანათა



მწყობრებისა, ადამიანისა და სხვა ყველაფრის დამზადებელ და ყველა  
 ლა იმ ძალთა და თვისებათა შექონი, რასაც არა მარტო ებრაელები, არამედ  
 არამედ მთელი ქრისტიანობა და ჩვენი ეკლესიაც დღემდე აღიარებს.

**სულაერი ტრადიცია და ვინების ანერცია** ყოველთვის უფრო გამ-  
 ძლე და ხანგრძლივია, ვიდრე რვალი-რკინა და ფოლად-ანდამატიც.  
 თორემ „დაზადებაში“ მართლა ის კი არ სწერია, რომ ერთი ღმერთის  
 პირველი მქადაგებელი იყო ქალდეელი აბრაამი, არამედ მოცემულია  
 ამის მტკიცე და მთელი რიგი დასაბუთება:

თვითონ ქალდეელებს, როგორც შემდეგში ებრაელებსა და ყველა  
 სხვა მოდგმათაც სწამდათ და ჰყავდათ სულ სხედასხვა. მაგრამ მრ-  
 ვალი ღმერთი, შორეული ქალდიიდან მოსული აბრაამი დაერინებით  
 იბეზრებს, რომ ის არ არის ებრაელი, რომ იგი უცხოელია, რომ იგი  
 არც ენით, არც წარმოშობით, არც ზნეობრივი ადათებით, და მით  
 უფრო არც რწმენით. — არ არის ებრაელი, იგი ერთი ღმერთის რჩე-  
 ული ადამიანია, რომელსაც ღმერთი თვითონ გამოეცხადა და ურჩია  
 წასვლა საჭადაგებლად.

„ებრაელებმა მას და მის ცოლს სახელებიც კი გამოუცვალეს, სწე-  
 რია დაზადებაში: მისი ქალდური (ქართული?) სახელი **აბრაამ**, გადა-  
 კეთეს **აბრაამად**, მისი ცოლის სახელი **სარაა** (ქალდური დამოლო-  
 ეებით) გარდაქმნეს **ებრაულ სარად**. არა მარტო აბრაამი არ ევლებოდა  
 ამ უცხოთა ადათებს და ზნეობას, არამედ თავის შვილებსა და შვილი-  
 შვილებსაც უკრძალავდა მათში შერევნას, — გარყენილები არიანო,  
 და რსლები, თუ სიძეები მათთვის ქალდიიდან მოჰყავდა, ქალდეელ-  
 თა და ქანანელთა ადათებისა და ზნეობის განსხვავებაზედ აბრაამი  
 ბევრჯერ მიუთითებს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ იგი მოვი-  
 და ერთი ღმერთის მქადაგებლად, ქალდური და ქანანელების სხედა-  
 სხვანაირი, მაგრამ მრავალ-ღმერთობის საწინააღმდეგოდ“

ბიბლიაში არა სწერია, თუ რა მიზეზით აიყარნენ აბრაამი და მისი  
 მამა შდიდარი, აყვავებული, განთქმული ქალდიიდან. — ცოლით,  
 ოჯახით, ცხვრის ფარითა და ეორებით და გადასახლდნენ ბრიოკას და  
 ლატაკს, მაშინ ველურ ქანაანში, — მაგრამ, საფიქრებელია, სწორედ  
 მისი ერთ-ღმერთობის ქადაგება რომ არ გაუვიდა თავის ქვეყანაში,  
 ან გაავდეს კიდევ ამისათვის. — წავიდა უცხო ქვეყანაში იქადავა და  
 იქ არა მარტო მოაღებინა, რამედ მათ ზაღბთან, ძალიან დაგვიანებით,  
 მხოლოდ ამ პირობით, თავისი გამრავლებული ტომის შერევნით, —  
 ახალი, ებრაელთა ერთი შექმნა, რადგან ცნობილია: „არა არს წინას-  
 წარმეტყველი თავისსა ქვეყანასა შინა“.




თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აბრამის გადასახლება დაახლოებით ემთხვევა იმ ხანას, როცა მეორე დიდი ქალღმერთი — ჰამურაბი — აარსებდა 2.000 წლებში ქრ. წინ ახალს სამეფოსა და დინასტიას, სახელდობრ ბაბილონისას, — შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ორ უდიდეს მოედნას კაცობრიობიკ განვითარებაში მჭიდრო კავშირი აქვს იმ ისტორიულ გარდატეხასთან, რომელიც ამავე ხანებში ხდებოდა ძველის-ძველ, პრეისტორიულ ცივილიზაციის — ქალღმერთის რღვევით. ეს ფართო მასშტაბის ცივილიზაცია — ვაკასიიდან შუამდინარემდე, შესუსტებული ჯერ წარღვნით, ათასი წლის არსებობის შემდეგ, მერე თავისი, თუ ითქმის ასე, — კოლოდალობით, — რაც ვერ ჩამოყალიბდა მტკიცე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად და შემოქმედებით ენერჯია დაეხარჯა შინაგან საქალაქო და სავაჭრო ომებში, — ირღვეოდა და ახალ-მოსულ მოდგმით და ზნეობა - გონებრიობას უთმობდა ასაბრუნს.

\*\*\*

ამით გადავდივართ იმ უკანასკნელ წელიწად, რომელიც მეტა-ნილი აქვს ზენეს მოდგმას საკაცობრიო ცივილიზაციაში: სოციალურ-სახელმწიფოებრივ-ეროვნულ ორგანიზმების ჩამოყალიბებაში.

სუმერო-ქალღმერთის მსოფლიო, უფართოესი მანძილებითა და გზებით: როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე გატყვევებული ვაჭრობით, შინჯ არა მტკიცე, — კოლოდალურს. — მდგომარეობაში იმყოფებოდა. უაღრესად განვითარებულ საქალაქო და სასოფლო მეურნეობასა და ელექტრის ქვეყანა, მაგრამ სახელმწიფოებრივ - ადმინისტრაციულად სუსტი სუმერო - ქალღმერთი ხასიათდებოდა ამითაც, რომ მის აუარებელ ქალაქებს თავისი საკეთარი მეფეები ჰყავდა, თავისი საკეთარი ღმერთები, რომელნიც ურთიერთ-შორის განუწყვეტელ ომებს აწარმოებდნენ პირველობისა და ძლიერებისათვის. მაგრამ, საკეთარეული, ეს ომები ზეღს არ უშლიდა მთავარ მასაზრობებულ ძალას ქვეყნის არსებობის განგრძობაში, ჯახები თუ იბრძოდნენ, ვლენი და მუშა, მთელი მოსახლეობა მოწინააღმდეგე ბანაკებიდან იმავე დროს აბხებდა და წყალსადენებს აწვნიებდა და სხვა საქმიანობას ეწეოდა **ერთად**: გამარჯვება ერთი ქალაქისა მეორეზედ, ცხე-სიმავარების აღებითა და დანგრევით ან ტყვეების წამოყვანით არ თვლესოდა საბოლოოდ, თუ ღმერთებს წამოღებას ვერ მოახერხებდნენ მათნი კი დამარცხებული დამორჩილებულიც ხდებოდა და მისი ღმერთებიც მეორე ხრისბოვან ადგილს იჭებდნენ უკვე გაუთიანებულ პანთეონში.

მეფის ძალაუფლება ლეოსივან მოდიოდა, ამიტომ სასულიერო წოდება მთავარი მოვეით მთავარი ღმერთისა და ტამრისა (კვა-ვორა,



ცის-კარი, თუ ცის-ქუჩატისა) — მუდამ შეზავებული იყო სამეფოს სამხედრო წოდებასთან და ქვეითი, ეტლოსანი თუ ეიროსანი ჯარი შეფეს ექვემდებარებოდა, როგორც მთავარ - სარდალს. „მუშა მიწვიე მუშაკობდა“, ვაჭარი ვაჭრობდა, ზელოსანი ზელოვნობდა — მოტაძრეთა გამგებლობით.

დაახლოებით ასეთი, შედარებით მშვიდობიანი წესწყობილებათა და შალაღი მშენებლობით, მიმდინარეობდა ქალდეველთა ტომების ცხოვრება მეორე ათასწლეული წლების დამდეგამდე. — როდესაც ვამოანდნენ ისტორიის ასპარეზზედ სხვა მოდგმანი და თითქმის ერთდროულად, სემიტებმა სამხრეთ-დასავლეთიდან, ინდო-ევროპელებმა ჩრდილო - დასავლეთიდან და ჩრდილო - აღმოსავლეთიდან მოსულთ, შეარღვიეს და დასერეს ვარდი - ვარდმო ეს თვალუწიდეწეული, აყვავებული არე-მარე და შემოკმედი ხალხი არიე-დარიეს.

თუმცა „ასურეთ-ბაბილონის“ ისტორია, როგორც იმპერიისა უკვე დიდი ხნიდანაა ცნობილი, თუმცა ამ იმპერიის სემიტური წარმოშობისად სთვლიან დიდი ხნითგან, მაგრამ უკანასკნელი დროის მეცნიერება მას სხვა შექით ანათებს და ზემის აზრით სახელიც უნდა შეეცვალოს, ეწოდოს ასურეთის, ან ქართულად აშურის ისტორია, ცივილიზაცია, იმპერია.

საქმე იმაშია, რომ აშურნი მართლაც სემიტები იყვნენ, როგორც ებრაელები, არაბნი და სხვანი, მაგრამ ბაბილონის დინასტიათა ცვლიში, მოსახლეობის უმრავლესობა და თვით ცივილიზაცია მთლად გადაღებულია ქალდეველებიდან. ფრანგი ისტორიკოსი მასპერო თავის მრავალტომიან „მსოფლიო ისტორიის“ ერთ ადგილზე ამბობს:

„აშურს არაფერი შემოკმედებითი რამ არ დაუტოვებია კაცობრიობისათვის, — ხელოვნება, კულტურა, დამწერლობა, მეცნიერება თუ სარწმუნოება ნასესხები აქვს ქალდეველთაგან და თვითონ ვერაფერსა ღწერს, სასტიკი სისხლის მსმელი ჯარისა და მათგან ნგრევა-განადგურების მეტი არა უწარმოებიათ რა. და თუ ცივილიზაცია მაინც გადაარჩა, უნდა უმადლოდეთ არა - სემიტურ მოდგმას, რომელიც ათასი წლის განმავლობაში სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ამ ბარბაროსებს და ბოლოს ვასტება მათი ძალა“-ო.

ამ სასტიკს და სამართლიან მსჯავრს, ორი შენიშვნა უნდა გაუეთდეს ზემის აზრით: 1. — რომ აშურმა თავისი სისასტიკის და დისკომლინის წყალობით პარველმა ჩამოაყალიბა დიდი სახელმწიფოებრივი ნამდვილი ერთეული, რაც ქალდეველებმა ვერ მოახერხეს, ან ვერ მოაძწრეს და 2. — ჯარის წყობის ელემენტები, მთლად იარაღი და ეტლები, რომელსაც ხმარობდნენ აშურელები, გამოგონილი და გაკე-

თებელი იყო ქალღვევლთაგან. სულ სხვაა, თუ როგორ უნდა შეფასო-  
დეს ზნეობრივ - სოციალური თვალსაზრისით, — ეს დამირისპირე-  
ბული მოვლენება, ერთერთ მხარეს ამისას ყურადღება მიაქცია ვან-  
სენებულმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც სწერდა: „აღმოსავლეთში  
ხელისუფლება ღვთისაგან ნაბოძებად იყო მიუღებ მიჩნეული და დასა-  
ველეთში ჯერ კიდევ ქ. შ. მეოთხე საუკუნეში, იდეოლოგიები აიტკი-  
ცებდნენ, რომ ხელისუფლება ეშმაკეულია და დაწყველილ კენიდან  
მოდის“-ო. — უბრალო მჯგულობიდან ფაქტებს რომ დაუბრუნდეთ,  
ორკვეთა, რომ მძლავრი მეფე და პირველი კანონმდებელი ბაბილო-  
ნისა იყო ქალღვეული ჰამურაბი. მისი, ქვაზედ საუკეთესოდ ამოჭრი-  
ლი ღერსმული ასოებით შედგენილი კანონება, ბაბილონის დანგ-  
რვეთ შემდეგ, სპარსელთაგან წაღებულ პერსეპოლში, როგორც სამ-  
ხედრო დაეღა. ფრანგმა მეცნიერმა აღმოაჩინა, წაიკითხა და დღეს  
ინახება ლუერში.

ამურელი უდიდესი მეფე და დამპყრობი სარგონი, თუ სემიტა იყო,  
სამაგიეროდ ნახუქოდონოსორების დინასტია, რომელთაგან დიდმა  
და რიცხვით მეორემ, დიპურა ეგვიპტე, არაბეთი და პალესტინა, დაა-  
ნგრია იერუსალიმი სოლომონის ტაძრისადა და ტყვედ წამოიყვანა  
მოელი ებრაელობა, — იყო აგრეთვე ქალღვეული და ჯარის უმრავ-  
ლესობაც მათი ქვაგდა. იქნება ძველს, ანტისემიტურ ჯავრსაც იფრი-  
და დამპყრობელებზედ? ყოველ შემთხვევაში, იგი მარტო მხეცი დამ-  
პყრობელი არა ყოფილა. აშენებდა ქალაქებს, ვზებს, არხებს და სა-  
ტაბტო ბაბილონი, რომელიც პარიზზე დიდი იყო ფართობით და მო-  
სახლეობით, უშალდეს ბრწყინვალებაზედ აივანა ტაძრებისა, სასახ-  
ლეებისა და სხვა ნაგებობათა აშენებით. განაახლა არა - ჩვეულებრი-  
ვი სილამაზითა და სიმდიდრით ენობილი „ბაბილონის ვადოლი“ —  
ცაგორა, და საუკეთესო ოქროს ძეგლებით მოართო. მის მიერ ეფრატ-  
ზე გადაბულ ხიდსა და საღეთო ვზის, განციფრებაში მოპყავდა მო-  
ფლიო. მართალია ისიც რომ 70 წლის ებრაელთა ტყვეობისათვის,  
იღოთამ დასაჯა ნახუქოდონოსორი 7 წლის სიცივით და „ხარითთ  
ბალახსა სძოვდა“-ო, სწერია ბიბლიაში, მაგრამ, შეიძლება ეს „ლი-  
ტერატურული“ ჯავრის ამოვრაც იყოს, და მეფისა და ლმერთის ძლი-  
ერების სიმბოლო რქები, უროებმა ცოცხალი ხარის რქებზედ გაასადეს.

ჰამურაბისა და ნახუქოდონოსორების დინასტიის დროს, ბაბილო-  
ნი ვაფურჩქენა და ძლიერება, უნდა ჩითივალის მეორე სახელმწი-  
ფოებრივ - ეროვნულ ცდად ქალღვეულთა მოდგმიდან, სუმერების  
ნაკლებად მტკიცე სახელმწიფო ორგანიზაციის შემდეგ.

მესამე ეტაფი ქართული მოდგმის მრავალი ტომის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა, მოცემული გეოქსი ტრარტუ ქალდიის სახით, მაგრამ წინასწარ, ორი სხვადასხვა გეოქსი და წინასწარ გარემოება უნდა გავიხსენოთ.

1. — ერთი მხრით ინდო-ევროპელთა შემოსევა მცირე აზიაში — ხეთების სახით, რომელთაც, სარგონ დიდისა და სხვა სუმერ მეფეთაგან ისედაც დაფლეთილ ქართველთა ტომების დაქვემდებარებას ხელი შეუწვევს; მათ ნამკვიდრეზე იმპერია შექმნეს, ერთერთი მათი ძლიერი ტომის სატახტო ქალაქი ხატი და მათი სახელიც კი მოსაკეთიერეს, სარწმუნოება და ენა თანდათან შესცვალეს და, როგორც დაეინახათ, ურარტუ - ქალდიის ჩამოქნას, ხან ნებლით, ხან უნებლიედ, ხან კეთილთ, ხან ომით, ხელი შეუწვევს.

2. — მეორე გარემოება არის ნაკლები მნიშვნელობისა რეალური ისტორიისა და მეცნიერებისათვის, მაგრამ მტრობისა და უღირსი პროპაგანდით მიმტყალია ჩვენ წინაპართა დეაქლისა და მსოფლიოში შეტანილ ცივილიზატორულ, სოციალურ და სახელმწიფოებრივ წყლილისა. ეს არის სომხებისაგან დაქერილი, 6-5 საუკუნეში უკვე დანგრეული ქალდიის ტერიტორიებისა და ამის შემდეგ 2,400 წლის განმავლობაში განუწყვეტელი ბრძოლა ვეღა უმგეანი საშუალებით ჩვენს წინააღმდეგ.

ხელთა შუა ზღვიდან ვინისა და ურმიის ტბაზე გაელით, დღევანდელი სპარსეთის საზღვრების შიგნითა ტერიტორიებამდე გაერკულებული მრავალი ტომი, — ერთი მხრით, დარღვეული აშურელთა შემოსევით, მეორე მხრით, — მსხვერპლნი ხეტების გაძლიერებისა, თანდათან და ხანდახან, ხამუშ-ხამუშად ახერხებენ, სხვადასხვა ზომის დაჯგუფებით წინააღმდეგობა ვაუწიონ ერთსა და მეორე ქორსაც, მშინიან ხან 10-ის, ხან 24, ხან 60 მეფის კონფედერაციებს და უცხოთა ნაწერებში ატარებენ საერთო სახელს **ნაირი**; (არც ცალკე სახელებს ქვარგავენ; თობალ, თობალ-კაინი, მუსკები, ქალიბები, კასხები, კოლხები და მრავალი სხვა სახელითაც). მათი ხანგრძლივი ისტორიის საბოლოო დადგენა ვერ მოხსნა ჩვენგან, მაგრამ უკვე 1500 წლიდან ქრისტეს წინ მათი კონფედერაციების თანდათან შემჭიდროება და ერთ სახელმწიფო — ქალდი - ურარტუს სახელით ჩამოყალიბება უკვე 10-9 საუკუნიდანაა ცნობილი, როგორც უმაღლესი ცივილიზაციის ქვეყანა, მაგრამ, ამ საუკუნოვოდ დაწვრილ საუკუნო ისტორიებს ვეღვას აწერია სათაფრად „სომხეთის ისტორია“, და რასაც ამ ისტორიაში მეცნიერნი სწერენ, არავითარი კავშირი არა აქვს

სომხეთთან, რადგან იმ დროს არა მარტო სომხეთი, არც ერთი სომეხი  
სიც არა მარტო აქ — ქალღიაში, არამედ ბუნებაშიაც არ არსებობდა.  
შხლოდ აკადემიკოსი რენე გრუსე აღნიშნავს და ხაზსაც უსვამს ტე-  
ქსტებში ფრანგული ფემორით, რომ ეს არის: „ასტორია სომხეთისა...  
სომხებამდე“, და როგორ ხდება ასეთი აბრუნდი, რომ ჩვენი ასტორია  
და ბიოგრაფია ჩვენი ერის პიროვნებისა, — სხვის ასტორია - ბიოგრა-  
ფიად გადაიქცევა ხოლმე?

ურარტუ-ქალღია შვიკშა ნაირის კონფედერაციისაგან, ერთი არ-  
ჩეული შეფით („ერილი-ერილი“- ფრანგულად) — „პარი-პარალო“  
ქართულად. იგი ფეოდალურა მონარქია, როგორც მოგვიანებითი სა-  
ქართველო 9 საერისთაოდ დაყოფილი, და რომლებიც თავიანთი  
სარდლებით და შეფის მთავარსარდლებით გადიოდნენ ომში პრე-  
ვიციალურა წყებებით.

ზემოდ თქმულიდან ამჟამა, რომ ურარტუ - ქალღიის მდიდართ  
მემკვიდრეობა გადაეცა უშუალოდ საქართველოს და შემდგარიც ის  
წარმოდგენაც ვითომ 6-4 საუკუნე, სანამ დაიწყო მთა და უკვე ჩვენი,  
როცხით მეოთხე ქალღიის ასტორია. — ჩვენი მოდგმის ხალხი ბარ-  
ბაროსობას განიცდიდა. ქსენოფონტეს ეს აზრი სრულიად შემცდა-  
რადაა გაგებულა, რადგან ბერძნული „ბარბაროსები“ იყენენ ბერძ-  
ნებისათვის „უცხოელები“ და „ბარბაროსი“ ნიშნავდა კიდევ - უცხო-  
ელს“ და არა ველურს და საუკეთესო ლეინისა და ზეთის მოყვანა, ჯა-  
რებო, შწყობრად და სამღერით გამოყვანა და სახელებამდე თვით  
ქსენოფონტეს 10.000-თან ლაშქრით გაყოლება და შენახვა, და სხვა  
და სხვა. — ელურობის ნიშნები არ არის სრულებით.

\*\*\*\*\*

მ რ თ ა რ უ ს თ ვ ე ლ ი ს ა ღ ა მ ი ს ი

პ რ ე მ ი ს პ ა რ უ მ მ რ

ირაკლი თახმეზური

[იხევედება შემოკლებით. ავტორს განზრახული აქვს მომავალში უფრო გაათავსოვინოს თავისი შრომა და ცალკე წიგნაკად გამოსცეს. ავტორი ჩამოედენიშე ორიგინალურ მისაზრებას გამოხატვამს, რომელსაც ჩვენი რედაქცია კრიტიკულად უფურცებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა წერილს სიამოვნებით ვბეჭდავთ, რადგან საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ეძლევა ავტორს, ვისაც უყვარს სამშობლო ისტორია და ლიტერატურა.]

არც უცხოეთში მეოფმა მეოცე საუკუნის გადმოხვეწილმა ქართველობამ დაივიწყა თავისი დიდებული მგოსანი რუსთველი. პირიქით, იგი იყო აველაზე მიმზიდველი საკითხი შათთვის. თვალსაჩინო შრომანი მ. წერეთლისა, ხ. ავალიშვილისა, ვ. ნოზაძისა, ნ. კორძანიისა, ა. მანველიშვილისა, ვ. გვაზავას, ლ. ბელიაშვილისა, — არის ამის საუცხოო მაგეწებელი.

თუ ჩვენც ვეხებით ამ საკითხს, ეს იმიტომ, რომ ხალგაზრდული აღმაფრენიდან შემოგვრჩა აზრი: — რუსთაველის პიროვნების აღმოსაჩენად ასეც და ასეც თვით „ვეფხისტყაოსანი“ ერთადერთი წყარო. იქ უნდა ვეძებოთ ოსტატი, სხვადასხვა წარწერათა და აღწერათა უკან. მისი ნაწარმოები, შეთხზული დიდი გემოვნებით, წარმოადგენს განსაკუთრებულ ნაგებობას. იგი იშვიათი ერთგულეებით ფარავს თვისი და ჩვენი სიყვარულის საგნებს. ერთერთი ასეთი არის მისი პიროვნება, რომლის გარშემო ბევრი ცდა დაიხარჯა, მაგრამ როგორც ვერცხლის წვალი დაეპარული — იგი მიუწვდომელი დარჩა. სამაგიეროდ, შთამომავლობაც ვერ მოეშვება მის ძებნას ასე ადვილად. და ბოლოს მისივე ნათქვამით: „თუ არ მოგვეეს საყვარელი, შენ მას მიჰყევ, რაცა სწავლეს. ბოლოს უოელი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს.“

ჩვენი საუკუნის მეცნიერებმა მართლაც ბევრი კითხვა „ე.ტ.-ს“ გარშემო „ცხადად გამოაცხადეს“. ბევრიც ვერ ვიცი ვინ ვინ მიუწოდებოდა და ალბად დიდი დრო გაივლის კიდევ სანამ ჩაწევდებით ყოველადვე საიდუმლოებას...

მაგრამ არც ერთი ქართველი მკვლევარი, დიდი თუ მცირე, უცოდველი არ დარჩენილა ამ საკითხების ირგვლივ. ყველას წამოყვდა ისეთი რამ, რაც ახლო განხილვას ვერ უძლებს. ბოდიშს არ ვახდით (ბოდიშით დაწვება წერისა შეცდომა ყოფილა!), მაგრამ არც ჩვენ ვევეთებით ალბათ უცოდველა წაეიდა ის „ძველი, კარგი დრო“, როდესაც სულხან სხაბა ორბელიანი იტყოდა: „ჯორჯმა ძაღლმა კურდღელი რომ მოაბრუნოს, დატერაში ჩაუგდეთო“. დღეს მოაბრუნებულ კურდღელს დატერაში არავინ ჩავიგდებს, უკეთეს შემთხვევაში შეიძლება გააცნო ვინმე.




ყველაზე „საინტერესო“ ცნობა „ე.ტ.-ს“ დამწერის ენსაობის შესახებ არის თეიმურაზ ბატონიშვილისა. ამ ცნობის საშუალებით მრავალი ქართველი მეცნიერი შეეცადა აესხნა და გამოერკვია დიდი შემომკმედის პიროვნება. იგი არის, ასე ვთქვათ, მიღებული ჩვენს მწერლობაში და მომდინარეობს ვახტანგ ბატონიშვილიდან, რომელმაც ის ალბად საუკეთესოდ მიიჩნია და რაიმე უფრო ძველი წყაროდან აქვს ამოღებული. თუ ეს ცნობა უსათუოდ მნიშვნელოვანია მგოსნის პიროვნების გამოკვლევისათვის, — იგი ასევე შეიძლება იყოს სათავე შეცდომებისა და აღრევისა.

მოგვყავს თეიმურაზ ბატონიშვილის ეს ცნობა, მოგვანილი მის მიერ 1843 წელს შედგენილი „განმარტება ვეფხის ტყაოსანისა“-დან<sup>1</sup>.

თი რას ამბობს თეიმურაზ ბატონიშვილი: „შოთა რუსთაველი იყო უაღრესად ენაზე უდაბნულდესისა დიდისა მის და ღირს სახსოვარისა მეფისა თამარ გიორგის ასულისა, თვით მშობობელიცა სრულიათ ყოვლისა გიორგისა, რომელ არს ივერია, ესე იგი ყოველი საქართველო და იყო იგი მებრძოლი უზრუცხი, ესე იგი მოღარეთ უზრუცხი (რომელ არს ფინანსის მინისტრი), იყო იგი მოავარა რუსთავისა. რუსთავი ძველად სამთავრო ქალაქი იყო და საზამთრო სადგურა მუდუთა. ქალაქსა ამას ძველად ეწოდებოდა ბისტან-ქალაქი“..

უკანასკნელი ცნობა, რომელიც „ე.ტ.-ს“ დამწერის შესახებ წაეიკითხეთ, ეს არის საბჭოთა კავშირის მეცნიერებთან აკადემიის ბიულენ-

<sup>1</sup> იხ. სარგის კაკაბაძე „ვეფხის ტყაოსანი“ შესახებ, 1913 წ.



ტინი № 3, 1938 წლისა, გამოსული რუსთაველის და მისი გენიალური თხზულების 750 წლისთავის აღსანიშნავად. ამ კრებულში მოთავსებულია რამოდენიმე ქართული მეცნიერის გამოკვლევა. ყველა მათგანშივეთ თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობის გაუღენა, სახელდობრ, რამ „შოთა რუსთაველი“ იყო რუსთავეიდან და ყველგან ამისათვის ნახმარია სახელწოდება რუსთაველი. ეს აზრი, ეტყობა, უღელასგან მიღებულია და გაბატონებული.

სინამდვილეში თვით „ე. ტ.“-ში მგოსანი თავისთავს რუსთაველს უწოდებს და არასოდეს არ ხმარობს სიტყვა რუსთაველს. რაც შეეხება სახელს — შოთას იგი არსად არ არის მოხსენებული. პროფ. პ. ანგორუცა იქვე ამბობს: „შოთა არის მისი სახელი. რუსთაველი — გვარი, წარმოშობილი სახელი გეოგრაფიული წერტიდან რუსთავეიდან“-ო (ჩვენი ნათარგმნი რუსულიდან) და იქვე სეამს კითხვას: „რომელი რუსთავეი იყო შოთას სამშობლო? საქართველოში, როგორც ცნობილია, იყო რამოდენიმე გეოგრაფიული წერტი რუსთავეის სახელით.“ და ჩერდება ორ რუსთავეზე: ერთს, რომელსაც თ. ბატონიშვილი იხსენიებს თბილისთან ახლოს და მეორეს შესხეთში. და კითხვას ღად სტავებს.

წინად გამოთქმული მისი აზრი, რომ „ე.ტ.-ს“ ავტორი იყო შოთა ერისთავი პეტრისა (რუსთავეის პატრონი), მანიჭეველი. — ეტყობა მან უკან წაიღო, რადგან თავისი მსჯელობის მართლყოფაში დავკედა. მას ხომ ზ. ავალიშვილმა უპასუხა თავის დროზე ამ საკითხზე<sup>2</sup>

რაც შეეხება სახელს — „შოთა“-ს, როგორც ზევით ეთქვით, იგი პოემაში არ იპოვება. ეს სახელი პირველად მოიხსენია კახეთის მეფემ თეიმურაზ პირველმა (+ 1623) თავის „იოსებ ზილიხანიანში“, და შეიძლება მოგონილი სახელი იყოს. შედეგი გაუგებრობისა, შექმნილი „ქართლის ცხოვრების“ მიერ და თ. ბატონიშვილის ცნობა რუსთაველზე იქედან იყო ამოღებული ბეგრათა და სახელთა მსგავსების გამო. (ეს ცნობა თავის შრომაში ზ. ავალიშვილმა აღნიშნა).

ჩვენ, როგორღაც ვანწყობილი ვართ იმ შეხედულებებისაკენ, რომ „რუსთაველი“ არის შეთხზული მგოსნური სახელი და მას შეიძლება არაფერი საერთო არ ჰქონდეს გეოგრაფიულ ადგილ-მდებარეობასთან. შეიძლება იგი იყოს წარმოშობილი ორი სიტყვის შედუღებიდან „რუ“ და „თავი“, ან „თვადი“-საგან. და ეს რუ იყოს მისი „ვეფხის ტყაოსანი“, რომელმაც ასე საუცხოოდ მოაწყო მთელი ჩვენი სიტყვა-

<sup>2</sup> იხ. ზ. ავალიშვილი „ვეფხის ტყაოსნის საკითხები“, თავი: „შოთა მანიჭეველი“, პარიზი, 1931 წ.

კანშილი მწერლობა. თავი, ან თვალი ამ თხზულებას, თვით დამწერის მისი! მართლაც, თუ დავეუკუიროდებით „ე. ტ.“-ს ხასიათს და მამასადავამისი დამწერის პიროვნებას. შევამჩნევთ, რომ შემომკმედი მგოსნური ცეცხლით აღგზნებული, სურათებში, ზგერებში და სახელებში იძლევა შინაარსს. ის არა მარტო უნდა ვაევიგოთ სიტყვა სიტყვით, არამედ, რომ სახელში — „რუსთველი“ — არის აზრისა და სიტყვათა თამაში, და არა უბრალო პირადობის მოწმობა მგოსნისა. ვინაიდან პოემაში ყველა გეოგრაფიული სახელები მოგონალია, გმირთა სახელები შეთხზული, ამიტომ, ბუნებრივია, ავტორი თავისთავსაც ასე მოექცა და არ გვიძლევს თავისი პირდაპირი ეინაობის შეცნობის საშუალებას. მაშ რა აინტერესებს პოემა დამწერს?

სიტებისათვის შექმნილ ნაწარმოებში, იგი მგოსნური აღმადგენით გატაცებული, იძლევა ცხოვრების ღრმა შინაარსს და ამ გაგებებს, რო-შელაც მწერალს და მის ღროს ახასიათებს, ეს არის მისი მთავარი საგანი. სახელების სიზუსტე, ადგილებს სისწორე მას არ ბოძკავს სურათებში და ვადაქარბებულ შედარებებში იგი გადმოგვეყვს მთავარს. და ყოველივე ამას იგი ანდობს ჩვენი გაგებისა და შეგნების ძალას. თ ერთი მშავალით მისი სულისცვეთების საჩვენებლად. როცა ავთანდილი ტარიელს ვაეცნობა, ასე წარმოუდგენს თავს: „შე ვარ არბი, არახეთს არს ჩემი დარბაზებია“ (საკაებაძის გამოცემა, ტაევი 262). ეს „არახეთის არახი“ ავთანდილი, როდესაც იწევს სულბარს, თერშე ტკბილი ქართულით ლაპარავობს: „ემა ტკბილი და ტკბალტკართული“.. „მწესა ასე ეუბნებოხ“.. (იქვე, ტაევი 271). როგორც ვხედავთ, ავთანდილის არახელი პირადობის მოწმობა, უბრალოდ რომ ვთქვათ, ყალბი ყოფი-ლა, და ამს არც გვიძალავს იგი.

\*\*\*

როგორც ვთქვით, მგოსნის აზრია ერთგული სამსახური მისი გმი-რებისა და ცხოვრების ღრმა კანონით ვადმოცემა: ლექსად, მარგალი-ტებად. ეს არის მთავარი. მაგრამ, თუ მხედველობაში უავს ეინშე მისი თანამედროვე პირი, იგი მას ფარავს და არ აშეღავნებს. ის ამბობს:

„მო, დავახდეთ, ტარიელისთვის ცრემლი ვავის შეუშრობელი“.

ამ გამოთქმაშია მთელი მისი პიროვნება ჩამალული და ეს ცრემლის რუს თავი, ან თვალი, მის შეჯამებულ სახელში არის შაცემული მგოს-ნური იერით: „რუსთველი“. მას რუ და ნაკადი ჩვეულებრივ საშუალებ-ბად აქვს აზრის გამოთქმისათვის. თუ რა ხშირად ხმარობს იგი სიტყვა „რუ“-ს „სისხლს“ და „ცრემლიან“ ერთად შეგვიძლია მისივე გამოთ-ქმებში დავინახოთ:



„ცრემლია სისხლი ერეოდა, გასდის, ვითა ნაგუზარი“ (ტაეპი 79).

„ტარიელს ეტყუის აეთანდილ: „რუ გახმა ცრემლის ტენისა“ (804)

„მას პაემანსა მოვიცდა, რაზომცა გაშდის რუები“ (810)

„ისმენდიან, ვაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,  
იმღერს ღექსთა საბრალოთა, ღუაროსაებრ ცრემლი ხდიან“ (825)

„მინდორს ვნახე, ტარიელ ჯდა, ცრემლთა ღურიდა, ველოა რწყევია“.  
(ტაეპი 840)

„ათანდილ მარტო ზღვის პირსა მივა ოთხითა მონათა,  
დღისით და ღამით მტირალი, იღურება ცრემლთა ფონითა,  
ჩაღად უჩნს უოვლი ქვეყანა, მისივე ჩაღის წონითა“ (ტაეპი 883)

„შინა შევიდა, მას წინა ედგობ ცრემლისა გუბები,  
შეგან შეღწისა შორევა ეყარის ვიშრის შუბები,  
შეღწისა ტბათათ იღურების სავეს სათისა რუები,  
შეა შოწსა და აყიესა სქუიარს მარგალიტი ტუფებში“ (ტ. 1098)

ბოლო სიტყვაშიდაც ხომ ასე თავდება ეს საუცხოო ნაკალი (თუმც  
ამ ადგილს ზოგიერთი ჩვენი შეცნობით ჩამატებულად თვლის):

„ტარიელ მასსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ შეუშრობედსა“.

ჩვენი დებულების დასამტკიცებლად მნიშვნელოვანია აგრეთვე გან-  
მარტება მგოსნისა: „მისი სახელი შეურქვევეით ქვემოთ შოთქვამს, მი-  
ქია“-ო. ე. ი. არაპირდაპირ შოთქვამსო, როგორც ეთქვით, იგი ვაფ-  
რბის თვისი გმირების პირდაპირ სახელების მოცემას და ამ კანონს  
თვითონაც ეშორჩილება. ამგვარად, მგოსანი თავისი შეთბზული, ნამა-  
ლვე სახელწოდებით თითქოს გვეუბნება: მე ვარ ამისი,ესე იგი „ე-  
ტ.-ის“ რუს თავი, ან რუს თვალი, ანუ წარმომდგენი, წარმომქვეფი. და  
იგი თავის მგოსნურ სახელში სრულიადაც არ გულისხმობს იღბად,  
რომ იგი რუსთაყვიდანაა, რუსთაყვის პატრონია, ან მცხოვრები ამ ქალა-  
ქისა. ესაა ჩვენი აზრი „რუსთველზე“.

ამავე კანონზომიერების მიხედვით სხვა სახელებიც შერჩეული და  
შეთბზულია პოემაში, ისინი გამართულნი არიან პიროვნების შინაარ-  
სით და მნიშვნელობით, ჩვენი ენის მუსიკალურა კილოთი და ამავე  
ენის აზრით. მაგალითად, ძნელი წარმოსადგენია მოცემებში თინათი-  
ნისა და მხნე და ძლიერი ნესტან-დარეჯანის სახელები შეეცვალოთ და  
ერთი-მეორას ადგილზე დაესვათ. ანკიდევ თავის თავზე დაყრდნობილი  
ტარიელი, თანმიმყოლი, უფრო ღბილი აეთანდილის ადგილზე.



თუ „რუსთველსაც“ მკონსურ სახელად მივიღებთ, მაშინ საქირო აღარ იქნება გვიგრაფიულ ტუსთავეში ვეჭებოთ იგი ამდაგეარმა მღელვოშამ შოთა შინიქველთან მიგვიყენა, ან კიდევ სხვადასხვა საუკუნოებში დაუწევს მას ძებნა...

უბრუნდებით ისევ თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობას რუსთველის შესახებ. ის ნაწილი ბატონიშვილის შრომაშისადაც რუსთველის ზოგადი დახასიათება მოკლებული, განმარტებული, უფრო საიმედოდ მიგვაჩნია, სახელდობრ, რომ რუსთველი იყო „დიდებულთა და აზნაურთა წარსინებულთა შთამომავლობისა“. მართლაც, ის განათლება, რომელიც პოეშის აეტორს უნდა ჰქონოდა და ის ზედმიწევნით ცოდნა ჩვენს სერო მაღალი წრის ცხოვრებისა, — გვარწმუნებს ამაში, რომ რუსთველი მაღალი წრის წარმომადგენელი იყო. „ვეფხის ტყაოსნის“ ზოგიერთი გამოთქმის ხასათი, მას საიმედო შინაურ კაცად წარმოადგენს. ბატონი მიხეილ წერეთლის შედარება „ვეფხის ტყაოსნისა“ „ისტორიანი და აზმანი შარაეანდედთანის“ აეტორთან და პატრიკემული შეკლეეარის მოსაზრება, რომ ორივე თხზულება ერთი და იმავე აეტორის მიერაა შექმნილი, — კიდევ უფრო გვაახლოეებს ამ შესაძლებლობასთან. რომ პოეშის დამწერი იყო სასახლის კარის შწერალი, თუმცა თვით ბატონი მიხ. წერეთელი ამას ვადატრით უარყოფს. ჩვენ მაინც ვუჭიკობთ, რომ ისტორიკოსობაც მოხელეობაა, მით უმეტეს დეოდალური მონარქიის სისტემაში.

რაც შეეება თ. ბატონიშვილის იმ „ზუსტ“ აღწერას, რომ „შოთა რუსთველი იყო რუსთავეის შთაეარი. მტურტლეთ უბეეესი“, შესაძლებელია ეს ზარისხა მაღლიერმა შთამომავლობამ შემდეგ დაუთმო თავის წარმოდგენაში ამ ბრწყინვალე ადამიანს, როგორც ჯილდო და არის შეედომით სებისდან მასზე ვადმოტანილი. სინამდვილეში, მისაც, ისე როგორც ეს სშირად დიდ შემომტქმედთა ცხოვრების ახასიათებს. აღბად დიდი თანამდებობა არ ეტირა. ასეთი თანამდებობა, მაგალითად მტურტლეთ-უბეეესობა. შეიძლება ზელის შემშლეელიც კი უოფილიეოს აზრის უკოდურესი განეითარებისათვის, როგორც ამას ადგილი აქვს „ვეფხის ტყაოსანში“.

რუსთველი გავს პიროენებას უკან მდგომ მეთვალყურეს ფაქიზი სელისა, რომელმაც ბეერი რამ იცის ცხოვრებაზე დაევირეების წყალობით. ის არ გავს პირეელი ადგილის მქონე უფროსს ან მებრძოლ გმირს. აბამედ ერთგულ და წენარ შწიგნობარ-ბრძენს, რომელიც თვის პიროენებაზე მაღლა თავის შემოქმედებას აეუნებს. მაგრამ ის არც ცარიელი სიტყვის ხელეენია, ამისათვის მისი ნაწარმოეები მეტად ღრმაა.

არის თუ არა „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენილი რომელიმე მიმკმედვი გმირის სახით თვით რუსთველი? ავტორი ჩვენი პოემისა? ვადმოკვშული მისი პიროვნება და ხასიათები? — ჩვენ გვეონია, რომ ასეთი გმირი პოემაში მოიძებნება ისეთს ბუნებურაზ ნაწარმოებში, რომელშიც ავტორი მთელ სულსა და გულს ათავსებს, ვერც თვისათვის დამალავდა. ასეთ პიროვნებად ჩვენ შერმადინი მიგვაჩნია.

შერმადინი „ვეფხისტყაოსანში“ უბრალო, საქმიან კაცად ცხადდება, სადაც ის სწირდებათ, ისე როგორც რუსთველი, ის მოვალეობის შემსრულებელი ზღაპრითია. მან ყველაფერი აცის, იგი მოციქულია და შეანდრძე, სასაბეტ ავთანდილის თანამშრომელი. შერმადინი არის წონასწორობის დასაყრდენი წერტილი ნაწარმოებში. მოგვეყვება რამოდენიმე მაგალითი, რომლებშიც უნდა გამოსჭვივოდეს მგოსნისა და შერმადინის მსგავსება. „ვეფხისტყაოსანში“ ორნაირად იკითხება ეს სახელი: „შერმადინი“ და „შერმანდინი“. „შერ“ უდრის რჩეულს (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით), მადინი, ან მანდინი ნიშნავს: მან აღინა ჩჩეული. ეს ჩჩეულის დინება თვისი შინააჩსით რუსთველს ემსგავსება.

„დრო ვარდაუწყედეს შერმადინს, შერჩა დაწვება ბანანი,  
მივიდეს, კადროს მეფესა საქმენი დასაგვანანი“. (ტაემა 170)

ვაიხსენეთ შემჩნევა „ვეფხისტყაოსანში“ რუსთველისა, რომ მას უბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა, აქ შერმადინის ჩალი გავს რუსთაველისას: კადრება დასაგვანი საქმეებისა მეფისადში.

შერმადინიც ახარებდეს, ფიცხლავ თაენი მისკენ არეს;  
მოვიდაო, აქანამდის ვისთვის ღზინა ვაგულმწარეს. (834).

„შერმადინ მახარობელი მივა მისუღისა მათისა,  
მას ღომსა ნახვა უხარის მის მზისა მოკამათისა“ (840)

ავთანდილის დაბრუნებით გახარებული მეფე, მახარობელ შერმადინს ეუბნება:

„ესტ დღე არის იმედი, ზეშისა გულის მღზენელი,  
შენგან თაფისა შენისა საჩუშოდ გამომჩენელი,  
მაქებრად აშბის მათისა მხამს მკითხავი და მსმენელი“. (734)

ამ წინადადებაშიდაც რუსთველსა და შერმადინის იგივეობა გამოსჭვივის: მაქებარი და გამომჩენელი მკითხავი და მსმენელი.

ეხე ესმა, ცრემლი ცხელი შერმადინსა თვალთა სდინდო.  
 მოახსენა: „მარტოობით კირსსა ხადმცა შეუშანი,  
 მაგრამ რა ვქნა, უშენოსა დაშეცემის გულსა შინდი  
 წამოტანე სამახურად, მოგებმარე რადაც ვინდი. (741)

ან კიდევ შემდეგი ტაგები:

მისცა ანდრძი შერმადინს, რა ვათავა წერითა,  
 უთხრა: კადრეო შეფესა საქშეთა შეცნოერთთა,  
 შუნ დადგმატებს ვერავინ სამახურითთა ვერითა  
 მოეხვია და ატირდა ცრემლითთა სისხლთა ფერთთა. (748)

როგორც მისი შერმადინი, შერჩეული და „შეფესა შემკადრი საქ-  
 შითა შეცნოერთთა“, აგრეთვე რუსთველი იყო სრული მოსამსახურე  
 შეფესა და „შემკადრი საქშითა შეცნოერთთა“, საუცხოოთი: „ვეფხის  
 ტყაოსანით“, რომელშიც სიჯვარულისა და სიბრძნის რე, დაუშვრტო-  
 ლია. თვალი მისი ცნობილია მის ნაწარმოებში, მაგრამ ჩვენთვის დღეს  
 მანც დაუტყრელი და მიუწვდომელი. ორივე ამ პიროვნების ხასიათი  
 უცნაურად მსგავსი ერთმანეთის: რუსთველი და შერმადინი, ორი სი-  
 ხელია ერთი სინამდვილის.

\*\*\*

ბოლოს გვინდა კიდევ ზოგიერთი გამოთქმების დამახასიათებელი  
 მხარე მოვიყვანოთ - ვ. ტ. - დან რუსთველის პიროვნების საჩვენებლად.  
 მაგრამ, სამწუხაროდ ზოგი ეს გამოთქმები სხვადასხვა შეცნოერთთა მიერ  
 ყალბ და ჩამატებულ ადგილადაა მიჩნეული. რასაკვირველია, „ვეფხის  
 ტყაოსნის“ შრავალ ხელთაწერში იქნება და არის კიდევ ბევრი ჩამო-  
 ტებელი სტროფები. ზოგი ადგილად შესამჩნევი, მაგრამ ზოგი მეტად  
 ანელი. მათი ნახვა და გარჩევა ადვილდება ჩვენს სფეროს და შესაძლებ-  
 ლობას, მაგრამ, მანც უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთი სუსტი მხარე  
 - ვეფხის ტყაოსნის“ ლექსისა, ანდა ზოგი ერთიერთმანეთის საწინააღ-  
 მდეგო აზრი ამას არ მოწმობს უსათუოდ, რომ ეს ერთი და აგივე პი-  
 როვნების ნაწარმოებები არ იყოს. ხშირად მწერალი აგებს თავის ნაშ-  
 რომს ისეთნაირად, რომ ხანდახან სუსტი მხარით ძლიერს უკეთ გამო-  
 აჩენს რუსთველს, როგორც ფილოსოფოს მწერალს. ცხოვრება რთულ  
 ფორმებში აქვს წარმოდგენილი. იგი არაა მარტო სიტყვის და ლექსის  
 სრული ხელოვანი ოსტატი. არამედ შეთვალეფრცვა და დამკვირვე-  
 ბელიც. ის ხედავს საწინააღმდეგო დამპირისპირებებს: ზოგს აღუხსნელს  
 და ზოგს ვაწინასწარბებულს ამიტომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ესა

თუ ის გამოთქმა მის არ ეკუთვნის, ან რაიმე უღლოლობაა მათ შორის, მაგალითად, რუსთველი ერთგან ამბობს „შაირობა სობრძნისა ერთი დარგი“-ო, მეორეგან კი ხმარობს გამოთქმას — „ეილაყბეთანი“. ან კიდევ: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“. იქვე ახლოს კი ამბობს: „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“. რუსთველს შეძლო თვისი „სობრძნისა“ და მშვენიერი ლექსის საწინააღმდეგეთ ეთქვა „ეილაყბეთანი“. ეს გავს მის ძლიერ პიროვნებას, მის გამოთქმებს. ცნობილი გამოთქმანი: „საწუთრო ნაცელად გვატარებს, რაც ოდენ გაგვიცნია“. — „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშვებებს“. — „უხეად ვასცემდის, ზღვასაცა შესდის და ვაედინების“. — „რალა იგი სოცოტლე რასაცა ახლავს ბნელია“, და მრავალი სხვანი, გვიჩვენებენ თუ რა სულიერ მდგომარეობაში ვითარდებიან მისი აზრები. იგი დაეჭვებულია ერთი მხრივ და ამავე დროს ბევრ რამეში დარწმუნებული. ყველაფერში სჩანს ერთგვარი ზომა და წონასწორობა, თუ პოეტის განცდა უღრმესია და ქმნის „სავგომანო მარგალიტებს“, როგორც ის გვეუბნება, მაინც მათი დაწყობა არის რყევის საქმე. ენა სობრძნისა, მეცნიერებისა, ისტორიისა და მხატვრული ლექსებისა, ვანსხვაეფებთან ერთი-მეორისაგან. მზესა და მთვარესავით მანათობელი ადამიანები, რომლებიც ვეფხვებს კნუტებივით იჭებენ და აღრბობენ, რომლებსაც ცრემლი რუსავეთ ვასდით, და სხვა ასეთი პოეტური შედარებები რუსთველისა. — სავსებით ვანსხვაეფება ბრძენ და მეცნიერ რუსთველისაგან, თვისი მეტად ზუსტი ვანსაზღვრებიდან. საჭიროა მისი უდიდესი გენია ამათ შესაგუებლად და ერთად წარმოსადგენად. მას უსათუოდ ებამუშება ის მრავალი დათმობანი, რომელიც უნდა აკეთოს თვისი აზრის და სიტყვის ქედვის დროს.

და ბოლოს, მთავარი საგანი მისი შრომისა. ესაა — ცხოვრება რალა რთული და გაუგებარი: „ეამ სოფელო რაშიგან ხარ, რას ვეაბრუნებ, რა ზნე ვკორსა“.. მისი „ქოკმანი“ არის მეტად ღრმა ბუნების, მოთვლილი კაეშანი ბრძენისა, უცოდინარობა ცხოვრების ბრუნვისა, მიზნისა და ზნისა. მაგრამ მათი დაწყობა და გადმოცემა ესაჭიროება თვის თხზულებაში.

გვირდა ვურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ გამოთქმას, რომელიც „ვეფხის ტყაოსნის“ შესავალში გვხვდება: „ესე აშბაეი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ზელი-ხელ სავგომანები, ეპოვე და ლექსად გარდაეთქეო, საქმე ექენ საქოკმანები“.

ბევრმა ჩვენმა მკვლევარმა ლექსის შინაარსი სიტყვა - სიტყვით წარმოიდგინა, მაგალითად, აკადემიკოს ნიკო მარს ეკონა, რომ „ვეფ“


ხის ტყაოსნის" ამბავი სპარსული იყო, ამ გამოთქმაშიდაც იგივე რუსო-თელური ხასიათი სჩანს. „სპარსული“ უნდა ნიშნავდეს: უცხოს, უცხოურს. იგი „სპარსულ“ ამბავს უძახის „ეფესოს ტყაოსნის“ ამბავს მოგონილი ადგილებით, დაფარული სახელებით და საერთოდ შიგელ ამ ნაშრომს. მაგრამ, რომ ის მართლა სპარსული ეყრდნობოდა, ეს სჩანს მისი შინაარსიდან, რომელიც აღებულია ქართული წყნ-ჩვეულებებიდან და ცხოვრების გავებიდან. სპარსეთში ის არ შეიქმნებოდა, სადაც ბატონობდა სხვა წარმოდგენები და სარწმუნოება. რუსთველის ხანაში საერთოდ ნაკლები იყო სპარსული გავლენა საქართველოში, რუსთველის კარგი მცოდნენაც მასში ხედავენ უფრო დასავლეთში განსწავლულ ადამიანს, ეიდრე აღმოსავლეთში.

სიტყვა „ეგოე“ არ უნდა ნიშნავდეს აქ იმას, რომ სხვისი იყო და ავიდყო, არამედ: ვიხილე, შევიხილე, მოვიგონე. როდესაც მოაზროვნე ბრძენი სინამდვილეს მიიგნებს, ან ვერ მიიგნებს და მერმე მას ლექსად გარდათქვამს ან გამოთქვამს, ეს მეტად რთული საქმეა სინდისის წინაშე, რადგან საქორთა დათმობების გაკეთება ქვეშაობებისა, სიზუსტისა და მხატვრულ წარმოდგენათა გადაჭარბებითან. მწერალს აეჭვებს თვით ღრმა შინაარსი ცხოვრებისა და მისი ცოდნა: უძახის მას უცნაურს, ანუ „სპარსულ“ ამბავს, და მის ლექსად გადამოცემას „საქუქმანის“.

„ეფესოს ტყაოსნის“ ძღენად მივთმევა მეფისადმი, არა გვეგონია იღოს მისი მთავარი საფიქრებელი, რადგან, როგორც თვითონ ამბობს: უბრძანეს რომ დაეწერა ეს ქება, მაგრამ მკოროს მხრივ. იგი დარწმუნებულია თავისი ნაწარმოების ღირსებაში და თავის ლექსებს მარგალიტებს უწოდებს.

რაც შეეხება გამოთქმას: „გასტეხს ქეასაცა მაგარსა ვრდემლი ტყეისა ლბილისა“, — ე. ნოზაძემ მას მისცა საწინააღმდეგო განმარტება ძვირფასი ქვის დამუშავების ზეჩიდან. უამისოდაც აზრი ამ გამოთქმისა რუსთველს გავს. მას შეეძლო ენახა ლბილი სოთხე, რომელიც მაგარ ნივთიერებას სტეხს და შლის.

„ეფესოს ტყაოსანი“ არც ისე ლოლიტურია წინაშეობივად, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ის უწინაა, ჩვენ მხოლოდ გვიჩინდა ეთქვათ, რომ მისი მთავარი აზრი უფრო სხვა ბუნებისაა. სიუჟეტულია ნაწარმოების ღერძი, რომელიც ხშირად ბრძმა და ულოლიტო. ცხოვრების კანონებიც არ არიან მარტივად ვასაგები და მათელი. მაგრამ რუსთველის არა ქრისტიან მწერლად გადაქცევა საესეებით დაუშვებელია. პირ იქით, იგი დამახასია-



თებელია ფრიად ქრისტიანული ხანისა და მეფეთა დროისა ჩვენი. წარმართული მასში არაფერია განსაკუთრებული გარდა იმისა, რომ ხმარობს თავისუფალ გამოთქმებს სხვადასხვა მგონიერი ვადაქარბებით. — „ქე, ღმერთო ერთო შენ შექმენ სახე ყოელისა ტანისა, შენ დამიფარე, ძლევა შეც დათრგუნვად მე სატანისა, — მომეც მჯენურთა სურვილი, სიკედიმდე ვასატანისა, — ცოდვათა შემსუბუქება მუნ თანა წასატანისა“. — არის ძირითადი ქრისტიანული წარმოდგენა ერთ ყოელად შემძლე შემომქმედ ღმერთზე, ანდა რუსთველის ცნობილი ტაეპი, რომელშიც გამოთქმულია სოფლის სიმუხთაღე და სამღერავი, თავდება ქრისტიანული იმედით: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“. —




## ახალი დოკუმენტები დიასპორიკეთა საგვარეულოს ისტორიისათვის

გივი კობახიძე

თავად დიასპორიკეთა გვარს საინტერესო წარსული ისტორია აქვს. ამ გვარის დამსახურება საქართველოს წინაშე, მისი როლი ერის შემოქმედების სხვადასხვა სფეროში, ყურადღების ღირსია და მასზე საკმაროდ დიდი მონოგრაფია შეიძლება დაიწეროს. დიასპორიკეთა გვარმა, ისე, როგორც საქართველოს მაღალი ფეოდალური არისტოკრატის სხვა საგვარეულოებმა, ქართველ ერს მისცა არა ერთი და ორი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მხედართ-მთავარი, დიპლომატი, სასულიერო პირი, მწერალი და სხვა. საკმარისია გავიხსენოთ ამ საგვარეულოდან გამოსული ორი დედოფალი: **თამარ**, — თანამეცხედრე იმერთა მეფის გიორგი მესამისა (1614-1639), ასული შერმაზან დიასპორისა. **ელენე**, — თანამეცხედრე დავით ბატონიშვილისა, კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის ძისა. თეიმურაზ პირველს (1605-1648) დავითი მემკვიდრეთ. კახეთის მომავალ მეფედ ჰყავდა მიწვეული, მაგრამ ბატონიშვილი ბრძოლაში მოკლეს მამამთილმა თავის რძალს — ელენე ლეონ დიასპორის ასულს მაისე დედოფლის წოდება მიანიჭა. დედოფლად ისენიება ელენე ყველა ქართულ და უცხო წყაროებში. იგი იყო დედა ერეკლე პირველისა (1688-1703), ბებია თეიმურაზ მეორისა (1744-1762) და დიდი ბებია ერეკლე მეორის (1744-1798). დიასპორიკეთი ოჯენენ მერქიდმეტე - მეთურამეტე საუჯენის მაღალი სასულიერო პირნი: კათალიკოს-პატრიარქნი ევდემოზ I, ევდემოზ II და იოვანე.

დიასპორიკეთა გვარი ცნობილია უკვე შეათე საუჯენიდან. ამ საუჯენში იხსენება ვინმე მშვენიერ დიასპორიკე, როგორც ეს ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა აღნიშნა ამ საგვარეულოსადმი მიძღვნილ საგანგებო წერილში.<sup>1</sup> საშუალო საუჯენეთა დასასრულისა და ახალი საუჯე-

<sup>1</sup> იხ. „თემი“. № 67, 1912 წ. თბილისი. რედაქტორი და გამომცემელი იყო ვრ. დიასპორიკე. შემოხსენებული ცნობა ამოვიღეთ ვრ. დარქვიდან.



ნების დასაწყისის მიჯნაზე ეს გვარი მოხანს შექნებში და იკავებს წამყვან ადგილს ჯაყელთა, შალიკაშვილთა, ავალიშვილთა და სხვა ცნობილ გვართა გვერდით. მერტილმეტე საუკუნეში მესხეთში გაძლიერებულ სარწმუნოებრივ დევნას გამოექცა დიასამიძეთა ერთი ნაწილი და ქართლში შემოიხვეწნენ. მათი საგვარეულო რეზიდენცია ქართლში იყო საქაშეთი. დიასამიძეებმა ქართველ მეფეთაგან საქათ აღგოლ-მამული და ყმები მიიღეს წყალობად. დიდი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონი ამ გვარზე სწერს: „მესხი ამილახორიშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაჭთაქიშვილი, შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდან“<sup>2</sup>. სამცხეში დარჩენილი დიასამიძენი კი უამთა სელაში გამამადიანდნენ.<sup>3</sup> მრავალ სიველ-ვეჯარებისა და უკარ-ხატებზე წარწერების გარდა, დიასამიძეთა შესახებ მრავლადაა გაბნეული ცნობები ძველ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში. წინამდებარე ჩვენს ნარკვევი მიზნად არ ისახავს ამ ცნობილი გვარეულობის სრული ისტორიის გადმოშლას, ეს მომავლისათვის გვაქვს განზრახული, ამ ნარკვევში გვეტრს შევებით მხოლოდ ზოგიერთ საყურადღებო საკითხს და გამოვამწეროთ ჩამოდენამე ისტორიული საბუთი, რომელიც აღმოჩნდა ამჟამად ნიუ იორკში მცხოვრებ, ცნობილ საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ნიკოლოზის-ძე დიასამიძის პირად არქივში. საბუთები პირველად ქვეყნდება.

მოუხედავად იმისა, რომ ეს ისტორიული გვარი კარგად იყო საქართველოში ცნობილი და იგი ურეტელ მეორისა და რუსეთის იმპერატორისა ეკატერინე მეორეს შორის 1783 წლის 24 ივლისს დადებულ ტრაქტატზე თანდართულ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სიაში სათანადო ადგილას იყო აღნიშნული. — რუსეთის სამოხელეო ბუროკრატიაშ ვასული საუკუნის ოციან წლებში დიასამიძეთა სახლს მაინც მთელი რიგი უსიმოვნებანი მოაყენა მათი გვარშთამოვების „ფორმალური“ დამტკიცების საქმესთან დაკავშირებით. „დიასამიძეთა საქმე“ ჩამოდენიშე ათეული წელი ვრძელდებოდა და ირჩეოდა ხან სა-

<sup>2</sup> იმ. „ღეოდრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკოსა პროსესტისაგან. ს.-პეტერბურგო, 1842.“ გვ. 44.

<sup>3</sup> „ჯაყელი... შალიკაშვილი, თადგირიძე, დიასამიძე, ქობულისძე გოციბაშვილი, ამილახორი, ავალისშვილი, სუმბატისშვილი, გოგობრისშვილი, თუხარელი, ლაღანიძე და სხვანი, არღა-რა იწოდებიან გვართოა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად“. იქვე, გვ. 46.



ქართულის კეთილშობილთა დებუტატების პალატაში, ხან სხვა რეპრეზენტაციულ ოფისებში დაწესებულებებში.

1820 წლის 14 დეკემბრის რაკეტით, გორის მაზრის, სოფელ საქაშეთის მკვირებლებმა, ძმებმა ლუარსაბ და დავით დიმიტრის-ძე დიასამიძეებმა<sup>1</sup> საქართველოს კეთილშობილთა დებუტატების საკრებულოს წარუდგინეს სავანგებო თხოვნა. „დიასამიძეთა საქმე“ სწორედ ამ დოკუმენტით იწყება. თხოვნა დაწერილია თვით (ეხლა უკვე შეყვითლებულ) თაბაბ ქალაქდზე, რომლის სიგრძე 35-ს, სიღრმე 22 სანტიმეტრს უდრის. საბუთის მარჯვენა კუთხეში მოთავსებულია საიმპერატორ ღერბი ასეთი წარწერით: «1820 года. Цина 50копеек листъ.» ქალაქის კვირისმანში მოხანსწარწერა: «Гербова бумага. Цина 50 копеек. 1818.» თხოვნა დაწერილია ლამაზი ქართული ხელით, შვიი მუღნით და ხელმოწერილია ორივე ძმის მიერ. ტექსტი მოგვყავს ქარაგმის გახსნით, მთლიანად:

საქართველოს კეთილ შობილთ დებუტატთ შეკრებილებსა შინა.

გორის უეზდის თავადთა ლუარსაბის და პრაპორშნიკის დავით დიასამიძეთაგან

თ ხ რ ვ ა

თვით უსატოვემუღესთა ჩვენთა ამა შეკრებილებისათა და საზოგადოებამან საქართველოსამან უწყიან რ(ომე)ლ: ოდეს სოფელი ჩტქნი საქაშეთი ერთხამად სახლათურთ ჩვენით 1784-სა წელსა აკლებულან უცებ მომხდომელის დეკის ჯარისაგან. სადაცა მოკლულ არს ბიძაცა ჩენი იოსანე და სხვანი უოველწოვე დატავივებულან, რომელნიცა ვზაზუდ წინ დაშვედრსა მხედრობასა როსსიისასა წაურთმევთა მტერთა კელთაგან მხოლოდ სუღნი, მაშინ უოველნი წეროლნი ჩვენნი ერთხამად ნიეთთა თანა დაეარგულან და ამის გამო არღარა ვვაქვს ჩვენ წეროლნი წარმოსადგენელად. ა(რამე)დ აღმოსაჩენელად თავადობისა ჩვენისა უსატოვემუღესად წარმოვადგენთ ამა შეკრებილებსა შ(ინ)ა I. — ბრძანებასა შ(ერმდგომ)ად აკლებისა მიწერილსა მეფის ირაკლისაგან აწ გარდაცვალებულის დიმიტრი დიასამიძისაგან

<sup>1</sup> დავით დიმიტრის-ძე დიასამიძე იყო პაპა ვრიგოლ ნიკოლოზის-ძე დიასამიძისა.



1795 წელს,<sup>2</sup> რომელსაცა შინ]ა ახსენებს დიასამიძეობას. შინ]ა მხოლოდ წმობასა თორმეტთა ჩინოვანთა კეთილ შობილთასა ვ[ითარმე]დ უკარს ზეენ თავადნი იყო, რომელსაცა მეფის ირაკლი მეორისაგან შირთმეულს 1788 წელსა როსსიის საიმპერატორის კარისა თანა დამტკიცებულს ტრახტატსა შინ]ა ზეენებულ არს. ამას თანავე წარმოვადგენთ შთამომავლობასა და ახალთა სიათაცა სახელეულთა, ყმათა და მამულთა ჩვენთასა და ვ[ოვლად]დ უმდაბლესად ვითხოვთ ჩათა შეტანილ ვიქმნათ ნათასავთ სიტყვაობითის წიგნის შესაბამსა ნაწილსა შინ]ა და მოგვეცეს ვეროვანი ღრამატა შეკრებილებისა ამისაგან.

თავადი დიასამიძე ლუარსაბ.  
თავადი დავით დიასამიძე.

დეკემბრის 14-ს დღესა,  
1820-სა წელსა



ლუარსაბ და დავით დიასამიძეთა თხოვნა, საერთოდ ამ საქმის აღძვრა, გამოლწვევია სრულიად გარკვეულ გარემოებას: ნათესავთ-სიტყვაობითს წიგნში შეტანილთა რუსეთის მთავრობა (და მასზედ დამოკიდებული „საქართველოს კეთილ შობილთ დებეტატთ შეკრებილებს“) მოითხოვდა ცნობილ საგვარეულოთა სიგელ-გუჯარებსა დამტკიცებლად იმისა, რომ ესა თუ ის საგვარეულო ქვეშმარტად ღირსი იყო ამგვარ წიგნში მოხსენიებისა. ენიიდან დიასამიძის სახლს, როგორც თხოვნაშია აღნიშნული, 1784 წელს დიდი უბედურება დასტეხია თავს, მთელი მათი საბუთები განადგურებულა, — ცხადია ძველი სიგელ-გუჯარების წარდგენა მათ აღარ შეეძლოთ. ერთადერთი საბუთი, რაც მათ ხელთ მქონიათ, ეს იყო აქლეების შემდგომ ერეკლე მეორესაგან მიცემული ბრძანება ლუარსაბისა და დავითის მამის დიმიტრი დიასამიძისადმი, 1795 წელს გაცემული.

<sup>2</sup> ტექსტში შეცდომით სწერია 1725 წელი. ამ „თხოვნის“ რუსულ თარგმანში, რომელიც ქართულ დოკუმენტს თან მოსდევს, განმეორებულია ეს შეცდომა. მაგრამ „დიასამიძეთა საქმის“ № 6 ქართულ საბუთში, რომელიც წარმოადგენს განმეორებით თხოვნას თავად დავით დიმიტრის-ძე დიასამიძისას იმავე დაწესებულებისადმი (დათარიღებულია 1834 წლის 21 მაისით), თარიღი სწორად (1795 წ.) არის ვახსნილი.

№ 344 no. 14 H. 1820  
 K. 1820  
 1820



Beginn des 18. Jhdts  
 1820  
 1820

Die Geschichte der Stadt Essen ist eine Geschichte der Entwicklung der Stadt von einem kleinen Dorf zu einer der größten Städte des Ruhrgebiets. In der ersten Hälfte des 18. Jahrhunderts war Essen noch ein kleines Dorf mit wenigen Häusern und einer kleinen Kirche. Die ersten Veränderungen kamen mit der Einführung der Bergbauernsteuer im Jahr 1725. Diese Steuer führte zu einer erheblichen Zunahme der Bevölkerung, da viele Bergleute in Essen ansiedelten. In der zweiten Hälfte des 18. Jahrhunderts wurde Essen zur Hauptstadt des Fürstentums Essen. Dies führte zu einer weiteren Entwicklung der Stadt, die sich in der ersten Hälfte des 19. Jahrhunderts vollendete. In dieser Zeit wurde Essen zur größten Stadt des Ruhrgebiets und einer der wichtigsten Industriestädte Deutschlands. Die Entwicklung der Stadt war eng mit der Entwicklung des Bergbaus und der Eisenindustrie verbunden. Die ersten Eisenwerke wurden in Essen im Jahr 1765 gegründet. Diese Werke wurden von der Familie von Essen gegründet, die auch die Stadt Essen regierte. Die Eisenwerke in Essen wurden zu den größten Eisenwerken der Welt. Sie produzierten Eisen für die Eisenbahnen und die Maschinenbauindustrie. Die Entwicklung der Stadt Essen ist eine Geschichte der Entwicklung der Stadt von einem kleinen Dorf zu einer der größten Städte des Ruhrgebiets. In der ersten Hälfte des 18. Jahrhunderts war Essen noch ein kleines Dorf mit wenigen Häusern und einer kleinen Kirche. Die ersten Veränderungen kamen mit der Einführung der Bergbauernsteuer im Jahr 1725. Diese Steuer führte zu einer erheblichen Zunahme der Bevölkerung, da viele Bergleute in Essen ansiedelten. In der zweiten Hälfte des 18. Jahrhunderts wurde Essen zur Hauptstadt des Fürstentums Essen. Dies führte zu einer weiteren Entwicklung der Stadt, die sich in der ersten Hälfte des 19. Jahrhunderts vollendete. In dieser Zeit wurde Essen zur größten Stadt des Ruhrgebiets und einer der wichtigsten Industriestädte Deutschlands. Die Entwicklung der Stadt war eng mit der Entwicklung des Bergbaus und der Eisenindustrie verbunden. Die ersten Eisenwerke wurden in Essen im Jahr 1765 gegründet. Diese Werke wurden von der Familie von Essen gegründet, die auch die Stadt Essen regierte. Die Eisenwerke in Essen wurden zu den größten Eisenwerken der Welt. Sie produzierten Eisen für die Eisenbahnen und die Maschinenbauindustrie.

aus dem Jahr 1820

1820  
 1820



გარდა ამისა, საქიზით გამხდარა რუსის ბიუროკრატიისათვის წარუდგინათ მოწმობა, საქართველოს კეთილშობილთა ხელის მოწვევით განეხილათ ვერ „თხოვნა“ და შემდეგ შეეხოთ მასში დასახელებულ ერეკლე მეფის „პრინციპს“ და კეთილშობილთა „მოწმობას“.

„თხოვნაში“ მოთხრობილი ამბავი დიასამიძეთა სახლის აკლემის შესახებ თავისთავად საყურადღებო და საინტერესოა. დიასამიძის სახლის აკლება იმ დროს ბევრს კიდევ ემბსოურებოდა, რადგან დიდი დრო არ იყო განელილი, სულ 36 წელს თუ ვაველო. მაგრამ საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ ამბავს ქართული ოფიციალური ისტორიის ფურცლებზეც ეხედებოთ. მაგალითად, „შედგვი კახეთის ცხოვრებისა“ მოკლედ მოგვითხრობს 1783 წელს ქართლ-კახეთის შესვლას რუსეთის „საფარველის“ ქვეშ, ხოლო შემდეგ, უფრო ვრცლად ეხება მისგან გამომდინარე ტრალიველ შედეგს, რაც მაშინდინური მეზობელი სახელმწიფოების საქართველოზე გამმქანვარებულ, შერის მათიებელ თავდასტმებში გამოიხატა.

წელსა ჩ დ კ გ . ქორონიკონს უ რ ა . შევიდა მეფე ირაკლი საფარველსა ქვეშე რუსეთისსა, რომელსაცა წარმოუგზავნა იმპერატორსა ეკატერინამ ნიშანნი სამეფონი, გრამმატა და ორი ბატალიონი მხედრობა, რომელნიცა შეიკრნენ უცვალებელთა პირობითა და წარგზავნა კარსა რუსეთისსა თრნი ძენი თვისნი ანტონი და მირიან.<sup>4</sup>

აღრაცელი მტრებით გარშემორტყმულ ქართლ-კახეთს ორი ბატალიონი რუსის უარისკაცო რა შესამწნეე დახმარებას გაუწევდა? მის მხოლოდ სიმბოლიური მნიშვნელობა პქონდა. ეს სიმბოლიური მნიშვნელობაც ხომ მალე გაქრა და ისეთივე ბატალიონებით რუსეთმა ძალით დაიპყრო საქართველო 1801 წელს, შესცვალა რა „უცვალებელი“ პირობა საქართველოსათვის მიცემული. 1783 წლის ტრაქტატის ძალით საქართველოში რუსის მხედრობის გამოჩენამ საქართველოს მაშინდინი მტრები კიდევ მეტად გააძელა და თავდასტმებმა, რბევამ აწიოკებამ უფრო იმატა:

ამას ზედა განქვიენდა ფაშა ახალციხისა სულდიშან ათბავი, აღუწოდა ღვთა და იყო ოხრობა ქართლისა. ფაშა ამას მოკვდა იარანალ-პორტნიკი პოტომკინი. ამან დაუტევა მეფესა-თანა იარანალ-შაიორი

<sup>4</sup> იხ. „ქართლის ცხოვრება. დასაბამიდან მეთექვრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, ახალი მოთხრობა, 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე გამოცემული თ. ჩუბინოვისაგან. სანკტპეტერბურღს, 1854.“ „შედგვი კახეთის ცხოვრებისა“, გვ. 310, ქორონიკონი უდრის 1783 წ.

სამხილოცი და თვით წარვიდა რუსეთადგუ. შეათქვენნ უამო ძენი ქარსა ზედა და წარვიდნენ საქართველოსა და რუსთა მხედრობითა. მიიწვიენნ რა ურდოს, მუნ შეეჩოხვა მცირედნი მხედრობანი ლეკთანი, სადაცა უქმნეს მათ მხედრობათა ქართველთა და რუსთასა მცირედ რამ ვნება და მოკლეს ბრისცი ღესენ რუნიფელისისა პოდპოდკოვ[ნ]ცა და მუნით, ვანადგვან ევრლა-რა ვანვიდნენ შინარესა ალაზნისასა სიდადისა გამო, უსმოქტნენ და წარვიდა სამხილოცი ქართველად. ვანვრცა უამო ტვეენვა ახალციხით ლეკთაჲს, სადაცა კვალად შეკრბენ უმეტეს ორა ათასისა მხედრობისა, მოვიდნენ და აღიღეს საქაშეთი და ტვეე მკვეს სახლეულთი დიასამიძისა. სცნეს სურამს მყოფთა რუსთა და ქართველთა მყოფთა შორივეთა, მოეგებნენ ქალს, იქმნა მუნ ბრძოლა, მხნედ ბრძვეს ქართველთა, იძლივნენ ლეკნი და ესრეთ მიმნეულ აქმნენ, რომელ მტკუართა შიგან შესრულნი მოიშოვნენ უმეტეს ათასისა კაცისა. მუნ დიაცმა ერთმან, ტვეეთა ქართველთამან შეიპურა შემპურობი თვისი ღესი და მოიუვანა მხედრობისა შინა ქართველთასა.

შემატიანის ეს საინტერესო ცნობა და გრიგოლ დიასამიძის არქივში შემონახული, ზემოდ მოყვანილი, „თხოვნა“ შინაარსით ერთმანეთს კარგად ეშთხვევიან და აესებენ კიდევ ურთიერთს ზოგიერთი ცნობებით. „დიაცი“, რომელსაც თავისი შემპურობი ღესი შერე თვით შექუპურია და ქართველთა ბანაკში მოუყვანია, უამჟველად დიასამიძის სახლს წივირი იქნებოდა, რადგან ისტორიკოსი გარკვევით აღნიშნავს: „მუნ დიაცმან ერთმან, ტვეეთა ქართველთამან შეიპურა შემპურობი თვისი“ — ტვეედ წაფერილნი კი, იმავე შემატიანის სიტყვით, იყენენ დიასამიძის „სახლეულნი“.

შემატიანისა და „თხოვნის“ შედარება სხვაობასაც გვიჩვენებს. მაშინ, როდესაც ოფიციალური ისტორია ქართველთა და რუსთა მხედრობას ერთად მომქმედად ახსენიებს, — რომელთაც შეერთებული ძალებით ვანთავისუფლეს ტვეე დიასამიძენი, — „თხოვნა“ განმანათავისუფლებლად მხოლოდ რუსის მხედრობას ასახელებს. ეს არ უნდა შეაწეროთ იმას, თითქოს „თხოვნის“ მიმცემლებმა არ იცოდნენ ქართველი და რუსი მხედრობის ერთად მოქმედების ამბავი, ლუარსაბ და დავით დიასამიძეებმა ეს ამბავი აღბად კარგად იცოდნენ თვით მათივე მამის — დიმიტრისაჲს, რომელიც აცლებს მსხვერპლი და განმსკდული იქნებოდა. „თხოვნაში“ მარტო რუსის მხედრობის მოხსენიება შესაძლებელია ჩადენალი იყო გარეგნული ეფექტის მოსაზდენად, რუს

<sup>1</sup> იქვე, გვ. 510.

მოხელეებზე ზეგავლენისათვის, ასე ვთქვათ, მისი „მოსათმუცლებად“ „მხნელის“ ჩოღაში გამოხატავნადა.

„შუდღეი კახეთის ცხოვრებისა“, მისი ავტორი, პირაქით, ქართველთა აქტიუობას ყველგან ხაზსაც კი უსვამს. „მხნედ ბრძვეს ქართველთა“—ო, სწერის იგი. ხოლო, როგორ „ბრძვეს“ რუსთა, ეს საერთოდ არ არის არსად ნათქვამი. ტყვე დიასამიძე-მანდილოსანმაც შეპერობილი ლეკო ქართველთა ბანაკში მიიყვანა და არა რუსთა მხედრობასთან. ამ მხრივ მატიაშის ცნობა ძვირფასია.

თავის მხრივ „თხოვნა“—ც ზოგიერთ ისეთ ცნობებს შეიკავს, რომელიც შემატიაშეს არ მოეპოვება. „თხოვნა“—ში აღნიშნულია, რომ დიასამიძის სახლის აკლებებისა ლეკებს მოუკლავთ იოანე დიასამიძე. ეს ცნობა არაა მატიაშეში. იოანე უტყვევლია წინააღმდეგობის გაწევისას, ბრძოლის დროს მოკლეს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ლეკები მასაც ტყვედ წაიყვანდნენ იმ იმედით, რომ შემდეგ დიდ თანხას გამოითხოვდნენ მისი თავდასხმისათვის ტყვეობიდან. ამგვარად, დიასამიძის სახლის აკლება მოხდა უთანასწორო ბრძოლაში დამარცხების შემდეგ. ბრძოლა იქნებოდა მწვავე, თუ მხედველობაში მივიღებთ შემატიაშის ცნობას, რომ ამ სახლში „ღიაციკი“ კი მამაცნი ყოფილან.

„თხოვნა“—ში გარკვევითაა აღნიშნული აკლების თარიღი, რაც შემატიაშეს არ მოეპოვება. საქაშეთზე ლეკების თავდასხმის ამბავი შემატიაშეს ორ თარიღთა შორის აქვს აღწერილი, სახელდობრ 1783 წელსა — ქართლ-კახეთის რუსეთის „საფარველს“ ქვეშ შესვლისა და 1785 წელს. — ესე იგი ომარ-ხან ავარელის ერთერთი თავდასხმის — შორის. მას სკოდნია, რომ საქაშეთზე თავდასხმა ამ წელთა შორის მომხდარა, მხოლოდ სწორი რიცხვის მოსაცემად ეტყობა ხელთ არ მქონია სანდო ცნობა. ესლა, ხელთ გვაქვს რა დიასამიძეთა სანდო დოკუმენტი. — უკვე დანიშნულებით ვიცით საქაშეთზე თავდასხმის თარიღი: ეს მომხდარა 1784 წელს.

ქართველთა და რუსთა ურთიერთობა, ლეკთაგან ქართლის აოხრება იმავე ხანაში, როდესაც საქაშეთი აიკლეს, მოკლედ აქვს მოთხრობილი ერეკლე მეფის ცხოვრების აღწერის, მსაჯულთ-უხუცესის ომან ხერხეულიძეს, მაგრამ დიასამიძის სახლის აკლებაზე არაფერს ამბობს, ამგვარად ხელთ არა გვაქვს დავით ბატონიშვილისა და მისი ძმების მიერ შედგენილი „საქართველოს ისტორია“, რომ იქაც შეგვემოწმებინა ეს თარიღი. ან ვაგვეგო ბატონიშვილებს აქეთ საერთოდ რამე აღნიშნული დიასამიძის სახლის აკლებაზე, თუ არა?



გადავიდეთ ერეკლე მეორის „ბრძანების“ განხილვაზე. იგი დაწერილია რილია ცისფერ ქაღალდზე. ნუსხა მხედრულის ხელით. შავი მელნით. სასვენი ნიშნებად სიტყვებს ზანდახან წერტილი უზის. ქაღალდის სიგრძე უდრის 30 სანტიმეტრს, სიგანე — თავში 16 სანტიმეტრსა და 4 მილიმეტრს, ბოლოში 13 სანტიმეტრსა და 4 მილიმეტრს. საბუთის ბოლო შეძრკენილია და საღებავი გაბაცებული. მაგრამ დაზიანებული წინადადების აღდგენს შესაძლებელი ვახდა. რამოდენიმე სიტყვა და ძეგლის ბეჭედი მეორე გვერდზეა გადატანილი. მოგვყავს „ბრძანების“ შინაარსი ზვენი სასვენი ნიშნებით.

„მ, ზვენი ბძანება არის, დიასამიძე მინზაშო დიმიტრი. მერე შენ ახლავ უნდა წახვიდე გორსა და, როგორც რომ გორის ციხეში მინზაშო მდგარხარ, ასევე ისე უნდა იმინზაშო და გორის ციხე ისე შეინზო და შენს მდგომარეობაში უნდა იყო. როგორც დღევანდლამდინ უოფილ[ხარ], ისევე ისე უნდა იმყოფებოდე. არც უწინ გამოგვიყვანინხარ მაგ ციხიდან და ახლაც ასე გვიბძანებია, მიდი და ციხეში დადევ და ციხე შეინახე. ბატონო\* ამილახვარო ოთარ, ციხეში შეუშვი და ციხე ამას დაინებე, რომ თავისი მდგომარეობა და საქმე შეასრულოს. თანურის (კო), ქლორნიკონს უკვ. როგორც მდგარა, ისევე ისე დადევს, საზღვიცა და კარშიცა“.

ბრძანების ბოლოს მოთავსებულია ეთხიხეებ ჩაყვეთილი ბეჭედი მე-  
ვე ერეკლესი შეზღვიე წარწერით:

„ქნარს მიცემს დავით მიქმოზს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს  
ერეკლემ“ (სახელი „ერეკლე“ მხედრულ ზღზღარულადაა გამო-  
ქრილი ბეჭედზე ვ.კ.)

ბრძანება დაწერილი ყოფილა 1795 წლის 29 იანვარს. ასეთი სხარტი, მოკვეთილი ბრძანებები, გაცემული ერეკლეს მიერ, ბევრთა შემორჩენილი ზვენი დრომდე და გამოქვეყნებულიც. მაგალითად, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გამოცემულ „საქართველოს სიძველენში“, და სხვაგან.

ბრძანების სიგელიდან ჩანს, რომ დიმიტრი დიასამიძე გორის ციხის გარნიზონის ათასის-თავი ყოფილა წინსადაც გორის ციხე და მისი მიმდგომი ერეკლე საწახები თავად ამილახვრებს ეკუთვნოდა. ამიტომია, რომ ერეკლე მეფე საამილახვროს ბატონს — ოთარ ამილახვარსაც აძლევს ბრძანებას, რათა მან დიმიტრი მინზაშოს ისევე გორის ციხის გარნიზონის ათასისთავა ჩააბაროს. ძველთაგანვე გორი ქართლის

\* „ბატონო“ მერვე მიმატებული იმავე ზღლით.





ცენტრალური, ადმინისტრაციული და სტრატეგიული პუნქტი იყო, ხოლო გორის ციხეს ქართლის თავდაცვის სისტემაში უპირველესი ადგილი ეჭირა. ეს ციხე მტრებისაგან ხშირად ყოფილა დაზიანებული და დანგრეულიც. მაგრამ მას ქართველი მეფეები ისევე გულმოდგინედ აღადგენდნენ ხოლმე. ერეკლეს ცხოვრების შემატანე, მთავარ-შაჰ-ჯული ომან ზერბეულიძე თავის თხზულებაში გაუწყებს, რომ ერეკლე შიორჯ, საზოგადოდ, ციხე-სამაგროთა აშენება-განახლებას დიდ ყურადღებას აქცევდა: „...მეფემან ირაკლი განახლა ციხე გორისა, გალავანი სიღნაღის, თელავისა, ბოქორძისა, ჭოეთისა, გალავანი სევირჯლისა, საუნისა, გრემისა, ფედისა, პატარძელისა და ნორიისა“.<sup>9</sup>

გორის ციხის გაჩინიზონის მეთაურობა, რომელიც ერეკლემ დიმიტრი დიასამიძეს დაავალა, მარეინებულია იმისა, რომ მეფე ამ თავის დიდებულს დიდად აფასებდა და საესეებით ენდობოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხეს და მის ბედს არ ჩააბარებდა მას, — გამოუცდელი და დაუშასტურებელი რომ ყოფილიყო ერეკლე, მართლაც, იმ ხანებში გაძალღებულ სამხადისში იყო აღა მაპომედ ხანის შემოსევის მოლოდინში. სპარსეთის პატრონი ერეკლეს რუსეთის კართან კავშირის შეკებისათვის მუქარას მუქარაზე უთავლდა. ქართლ-კახეთის მეფემ იკოდა, რომ საქტრისი მაპომედ ხანი ბოლოსდაბოლოს თავის მუქარას სისრულეში მოიყვანდა და საქართველოს თავს დაესხმოდა. განსაკუთრებით მწვავე იყო აღა მაპომედ ხანის უკანასკნელი უღტომატეში, რომელშიც დაუფარავად არის გადმონიხებული სპარსეთის შაჰის ვესლი: „...ახლა თქვენმა უმაღლესობამაც იცის, რომ ეს ასი თაობა არის, რომ ერანისანი ჰყოფილხართ“, — სწერს უღტომატეშის ტეკტის ერთ ადგილს აღა მაპომედ ხანი მეფე ერეკლეს, — „...ახლა გაცვრებით ვაბრძანებთ, ვითამც რუსებს მოკოდებოხართ ... ოთხმოცდა ათის წლის კაცი ხარ და ამისთანა საქმეებს პშტრები, რომ უსჯულონი მოგიყუანია და მითთან შეერთებულხართ. ჰყავს, რომ ... ეს საქმე არა ჰქმნა ... ახლა ჩვენი დიდებული ნება ეს არის, რომ თქვენ ერთი ჭყვიანი კაცი ხართ, ამგტარი საქმეები განიშორით ... რომ რუსების შეერთებულება დაჰქსნა. თუ ამას არ იქმ ... ამ ცოტას ხანში საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართველთ სისხლს

<sup>9</sup> იხ. „ქართლის ცხოვრება, დასაბამიდან მეთატხარამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, ახალი მოთხრობა, 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან. სანკტ-პეტერბურღს, 1854. ომან ზერბეულიძის თხზულება: „მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა“. გვ. 499.

ერთად დაეპყრეთ და მტყვრის მსგავსად მდინარეთა გაეცეთებთ.<sup>10</sup>

ულტიმატუმის წერილს თარიღი არ აქვს, მაგრამ იგი 1795 წლის სექტემბრამდეა დაწერილი. როდესაც ანა შაჰომედ ხანი მართლაც საქართველოში შემოიჭრა, ეს ულტიმატუმი უკანასკნელი გაფრთხილება იყო სპარსეთის პატრონის მხრივ, მაგრამ იგი მანამდეც ხშირად მიუთითებდა ერეკლეს რუსეთთან დადებული ხელშეკრულება დაერღვია. თანაც ეშუქებოდა. ერეკლემ რუსების ერთგულებაზე, სამწუხაროდ, ზედი ზედი არ აიღო. დაიწყო საომარი მზადება, ციხე-სიმაგრეთა გამაგრება და ძალების შემოკრება. ზემოდ მოყვანილი ბრძანება დაასაშინისა და ამილახვრის მამართ გორის ციხის გამაგრების („შენახვის“) თაობაზე, ერეკლეს სამზადისის ერთერთი ხტკლთაგანია.

რა შედეგი მოჰყვა ანა შაჰომედ ხანის მუქარას, რა მზავრობა ჩაიდინეს რუსებმა ერეკლეს მიმართ, რა გულგრილად მოეკიდენ მოხუცი მეფის სამზადისს თვით მისი შეილები და ქვეშევრდომ დიდებულთა უდიდესი ნაწილი, — ეს კრწანისის ბრძოლის ველზე გამოჩნდა. ამ საზღვისწერო ომში ერეკლეს ბევრი არაეინ მიშველებია, რუსები ხომ განგებ ყურსაც არ აბარტყუნებდნენ. მაგრამ საამილახვროს და გორის ციხის ბატონი ოთარ ამილახვარი კი მეფეს თან მძღებია ომში: „განძვინებული ხოჯა წარმოემართა ტფილისსა ზედა: ეამსა მას ძე არჩილისსა, მეფე იმერთა სოლომონ იმყოფებოდა ტფილისს შემწედ პაპისა თვისისა. პირველსა დღესა იჯეონენ ველსა კრწანისისასა მეწინავენი სპარსთა და ქართველთანი, სადაცა მეწინავეთა შორის იმყოფებოდა მეფის ძის ძე დავით, წერეთელი ზურაბ, მუხრანის ბატონი იოანე, მოურავი ქისიყისა ზაქარია და ამილახვარი ოთარი. დღესა მას იჯენენ მხნედ ქართველნი, რომლითა ძლით იძლიებენ სპარსნი“<sup>11</sup>. მაგრამ საბოლოო ბრძოლა კი წააგვა. უნდა ვივლდისებოდ, რომ „მინბაში“ დამიტრი დისასმიძე ამ დროს ფრონტის ზურგს ამაგრებდა და გორის ციხეს იცავდა, ან, შეიძლება, მონაწილეობდა კიდევ კრწანისის ომში, ამილახვრის გვერდით. სამწუხაროდ, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება.

განსახილავი დავებრა „მოწმობა“ „თორმეტთა ჩინოვანთა კეთილ შობილთა“, რომელიც ლუარსაბ და დავით დასასამიძებმა თავიანის

<sup>10</sup> იხ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ხელნაწერთა აღწერილობა“, „სპორნიკ მატერიალოვ...“ ტომი 29, გვ. 146-148.

<sup>11</sup> იხ. ზემოდ დასაზღულებულ „ქართლის ცხოვრება“-ში „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“, გვ. 515.



„თხოვნა“-სთან ერთად წარუდგინეს საქართველოს კეთილშობილთა დეპუტატთა შეკრებილებს, დასამტკიცებლად იმისა, რომ ასანი მართლაც სწარმოებენ სათავადო გეაჩისაგან. „მოწმობა“ დაწერილია სწორედ ასეთსავე თაბას, ამავე ზომისა და ჭეარნიშანის შქონე ჭაღალღზე, რომელზედაც „თხოვნა“ დაწერილი, ხელიც და მელანაც იგივეა. „მოწმობას“ ხელს აწერს თორმეტა პირა. ტექსტი მოგვეყავს მთლიანად:

**მ რ წ მ რ ზ ა**

მეცა ესე გორის უეზდის თავადს ლუარსაბს და პრაპორშნიკს დავითს დიასამიძეთა, ძეთა დიმიტრი დიასამიძისათა, ამისთვის, რ[ომე]დ იგინი სწარმოებენ ნამდვილად იმა სათავადოს გვარის დიასამიძეთაგან, რომელთაცა განსვენებულის საქართველოს მეფის ირაკლსაგან არს მოსხენებულნი ტრახტატსა შინა ჩ დ პ ვ -სა წელსა ჩუსეთისა თანა დაშტკაცებულისა და არიან ხსენებულნი იგი პირნი ნამდვილად თავადნი დიასამიძენი, რომლისა დასაწმუნებულად მოვაწერთ საკუთრითა ხელითა ჩვენითა. დეკემბრის 7-სა დღესა, 1820-სა წელსა.

გორის უეზდის კეთილშობილთ მარშალი პოლკოვნიკი თავადი შანშე ერასთოვი.

სტატკი სოვეტნიკი თ[ავად]ი ელიაზარ ფაღვანდოვი.

პოდპოლკოვნიკი იოსებ კალატოზოვი.

პოდპოლკოვნიკი თ[ავად]ი ასლან ახვერდოვი.

მაიორი თავადი დავით თარხან მოურაოვი.

მაიორი თავადი დავით ცაციშვილი.

თავადი ანტონ ავალოვი.

მაიორი იოსებ გუდუვანოვი.

თ[ავად]ი[და] გიორგი ვეზიროვი.

თავადი იოანე მახაბელოვი.

თავადი იოანე ზეგთაბეგოვი.

კოლეჯკის რედისტრატორი თავადი რევაზ თუმანოვი.

„დიასამიძეთა საქმე“, როგორც ჩვენი წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა და საკმაო მასა-



## ხ რ ე ს ი ლ ი ს ო შ ი

[200 წლის თავთან დაკავშირებით]

გივი კობახიძე

ამერთა მეფის სოლომონ პირველის (1751-1784) მეფობის ხანა დიდი და მნიშვნელოვანი ომებით ღარიბია. ეს ხანა ეფერო წერტილ-წერტილი, პარტიზანული ბრძოლებით და შეფე-შთავართა შორის მამ-ტომ-მოხტომით ხასიათდება. ამერთაში (ამ საგეოგრაფიო სახელწოდებისა და სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ფართო გაგებით), ბოლოს და ბოლოს, სამი ომი გადაიბადდა, რომელთაც მართლაც ომი შეიძლება ეწოდოს. ესენია: ხრესლის (1757), რუხის (1780) და ქიზუღეთის (1782) ომები. ამთავან, რუხის ომი არ წარმოადგენდა ერთგულ-გან-მანათიისუფლებელ ბრძოლას, ის იყო, სამწუხაროდ, ტიპური შანა-ფეოდალური, ძმთა-სისხლის მღვრელი ომი აფხაზეთის სამთავროს წინააღმდეგ, რასაც არავითარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგი და მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება არ მოჰყოლია. ეს ომი ძლივს ვათავება მეფის ჯარების — რომელიც რიცხოვნობად გაუილებით სჭარბობდა მოწინააღმდეგეს — გამარჯვებით ბრძოლის ველზე. ეს იყო და ეს აფხაზეთის სამთავრო და მისი მთავარი განაჯრ-ძობდა სრულად დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას ამ ომის შემდეგაც. მთავრებთან დამოკიდებულებაში სოლომონი იყო პრიმი-ტიული, უხეშო, მოუქნელი. იგი უმთავრესად მარბაროსული მეთოდე-ნით ედილობდა ქვეშევრდომების დამორჩილებას და გონიერ დიპლო-მატიას გვერდს უვლიდა, არც შეეძლო ამგვარი დიპლომატიის წარ-მოება. რუხის ომს სოლომონის მფარველობის ქვეშ შეზიზნულმა ნი-ქიერმა მგოსანმა ბესარიონ ვახაშვილმა მეტად გადაქარბებული ხოტ-ბა უძღვნა, რომელშიც აფხაზები უცხოელებად, ურჯულელებად არიან გამოყენილნი, ხოლო სოლომონი მსხნელად და რაღაც შეუდარებელ, ზღაპრულ გმირად. ასეთი მიდგომა სწორი არ არის, მაგრამ სოლო-მონმა, რომელსაც მეფური, რაინდული, თავდაბლობა აქვდა, ეს ხოტ-ბა შეიფერა.

ქობულეთის ომში სოლომონი სამარცხეინოდ დამარცხდა და სწორედ მაშინ გამოჩნდა, რომ მისი სახელი ზელოვნურად ვაზუაიდებული, ხოლო მისი ძლიერება სინამდვილეში ფუფე საფუძელისა იყო. ამ დამარცხებაზე გამოაყენებინა სოლომონი, როგორც სესტი სარდალიც. იგი პირადად საკმაოდ მამაცო მეომარი და კარგი პარტიზანი იყო, მაგრამ სარდლის ნიჭი მას ნაკლები ჰქონდა. ქობულეთის ომში დამარცხებას საშუალებას შედეგი მოჰყვა: მთელი ქობულეთის მხარე მოსწვდა საქართველოს და გამაჰმადიანდა.

ერთადერთი ომი, რომელიც მართლაც ერთნულ - განმათავისუფლებელ ელფერს ატარებდა, იყო ხრესალის ომი. ამ ომმა იმდენად გაითქვა სახელი, რომ მას არც დღეს იფიქრებს ნთამომავლობა, ხოლო საქართველოს ისტორიის ფურცლებზე სოლომონ პირველთან ერთად უსათუოდ ამ ომსაც იხსენებენ.

ხრესალის ომის დაწერილობითი აღწერა, ვრცლად შედგენილი პირველწყარო არ მოგვეპოვება, რომელიც თანამედროვეის მიერ იყოს და-

---

<sup>1</sup> მან ბრწყინვალე პარტიზანული ბრძოლით სასტიკად გაანადგურა თურქთა და ლეკთა რამოდენიმე ათასიანი ლაშქარი ჩხერაან 1773 წელს. ამ ბრძოლას ზოგიერთი კინკლასურა მასალა ომდაც კი სთელის „ჩხერის ომის“ სახელით. იმ დროს რუსეთ-თურქეთს შორის დიდი ომი იყო ატეხილი, სოლომონი და ერთგულ რუსებს მოკავშირენი იყვნენ, რის გამოც გამწვრალი ოსმალეთი ხშირად პატარ-პატარა მოთარეშე რაზმებით იმერეთსა და ქართლს მოსვენებას არ აძლევდა. ერთი ასეთი სათარეშო ლაშქარი გამოუშვა ახალციხის ფაშამ, ყოფილმა ქართველმა — თურქეთის ერთგულმა აგენტმა სამხრეთით, — იმერეთის ასაოხრებლად. სოლომონმა ჩხერთან დიდი ზარალი მიაცენა მტერს, მოკლა და დაუტოვა ორი ათასზე მეტი მეომარი, თვითონ კი ძლიერ კოტა ზარალი განიცადა. ასეთი პარტიზანული ბრძოლები არა ერთხელ ჰქონია სოლომონს გადახდილი, მაგრამ ჩხერთან მომხდარი შეტაკება რუსის დიპლომატებმა და სამხედრო წარმომადგენლებმა, რომელნიც იმერთა მეფის კართან იყვნენ წარმოგზავნილნი, შეტად გააზვიადეს, პეტერბურგს მოსწერეს აღტაცებული „რაპორტები“, რათა ამით წყალობა და ჩინამედლები დაემსახურებინათ, ხოლო იმავე დროს სამხრეთის ფრონტის მნიშვნელობის მირაციუ შეეცმნათ, რომელიც სინამდვილეში თურქეთის მხრივ უყურადღებოდ იყო მიტოვებული, როგორც ნაკლებ მნიშვნელოვანი პუნქტი სავრთო. საომარი მოქმედებისა.



წერილი არა მარტო ამ ომისა, არამედ, საზოგადოდ, არ მოგვეპოვებია სოლომონ პირველისა და მისი მომდევნო მეფეებს — დავით მეორის (1784-1790) და სოლომონ მეორის (1790-1810) ცხოვრების აღწერილობანი, მაშინ, როდესაც ერეკლე მეორისა (1744-1798) და გიორგი მეორემეტის (1798-1800) ცხოვრება საკმაოდ და დაწვრილებით არის გაშუქებული ისტორიკოსების — პაპუნა ორბელიანის, შაჯერლთ-უხუცესი ო. ხერხეულიძისა, „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“-ს ავტორისა და პლატონ ოსელიანის საისტორიო თხზულებებში. ხრესილის ომზე მხოლოდ ძველი კინკლასები, ქრონიკები, მინაწერები გვაწვდიან ცნობებს, ისაც მეტად მოკლედ, სულ რამოდენიმე ფრაზით. ხრესილის ომზე საწერილთა აგრეთვე რამოდენიმე ხალხური გადმოცემა. აი, ესაა, რაზედაც უნდა დაეამყროთ ჩვენი ცოდნა ხრესილის ომზე. ქართულ არქივებში, უცხო წყაროებში ძიება უსათუოდ მოგვეცემა ერთგვარ სასურველ მასალას, მაგრამ ამაზე, როგორღაც, ჯერ არავის უფიქრია. არ ყოფილა ცდა ხრესილის ომზე ცალკე ნაბეჭდის, ან მონოგრაფიის დაწერისაც. ამგვარად, ისევე ხელთუქონებულ, ნაწვევტ-ნაწვევტ მასალას უნდა მივმართოდ და ჩვენი მსჯელობაც მასზე დაეამყროთ.

ჯერ მოვიყვანოთ რამოდენიმე საინტერესო ქრონიკის, რომელნიც ძველ ქართულ ხელნაწერებზე მინაწერების სახით გვაქვს შემორჩენილი. ყველაზე მნიშვნელოვნად მოგეპოვება შემდეგი მინაწერი:

„1757. ამა ქორონიკოსი იქმნა ხრესილის ომი. თათრების ვეზირის ჯარს ახლდნენ ერისთავი და აბაშიძე, წულუკიძე და მეფის შემოებენ და გაემარჯვა მეფე სოლომონს. აბაშიძე მოკლეს, ერისთავი ვაჟკაცის, წულუკიძე დაიჩინეს, ქეზა და ბაშლა მოკლეს. სხვაა უანგარაშო მოკლეს და დაიჩინეს: დევეშერხა: იდ: დღესა კვირიაკესა.“<sup>2</sup>

ამ ისტორიული ქრონიკის დიდი ღირსება ისაა, რომ იგი გვაწვდის ომის თარიღს: წელს, თვეს, რიცხვს და კვირის სათვალავ დღეს, აგრეთვე ადგილ-მდებარეობის სახელს, სადაც ომი მოხდა. რაც შეეხება შინაარსს, იგი გვიჩვენებს, რომ ქორონიკოსი მეფის მომხრეთა წარადანა და გამარჯვების მაღალი ვრძნობით შეპყრობილია. ამ მოკლე ცნობაში მოკლებული სურათით, როგორც ქვემოთ დაეინახავთ, საკმაოდ სწორია, მაგრამ მასში არ არის მთლიანად დაცული სინამდვილაც. განსაკუთრებით მეფის მოწინააღმდეგეთა ჩამოთვლის შემთხვევაში, თუმცა აქვე უნდა დავხსნოთ, რომ ამაში შეიძლება ქორონიკოსი მთლად თეი-

<sup>2</sup> იხ. „ძველი საქართველო“, ტომი 2, გვ. 72, ტფილისი, 1913 წ. - დევეშერხა: იდ: უდრის დევეშერხის 14-ს. ხაზი ჩვენია.

თონ არ იყოს დამნაშავე, არამედ ის წყარო, რომელსაც მინაწერის შესრულების დროს იგი ემყარებოდა.

ქრონიკაში დასახელებულია მხოლოდ მეფის მოწინააღმდეგე ძალები, ხოლო რა ძალებს ემყარებოდა თვით მეფე, არ არის ნათქვამი. მოწინააღმდეგეთა რიგში დასახელებულია: ერისთავი (ივლისისძეობა რაჭის ერისთავი როსტომ), ამაშიძე (ივლისისძეობა არგვეთის, დღევანდელი ზემო-იმერეთის, თავადი ლევან), და წულუკიძე (ივლისისძეობა თავადი პაატა, საწულუკიძის, დღევანდელი ქვემო რაჭის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის ბატონი), რომელნიც თათქოს თათრების ვეზირის ჯარს ახლდნენ საკუთარი მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სანამ საერთოდ საკითხის გაშუქებას და სინამდვილის გამოკვლევას შეეუდგებით, გვინდა კიდევ რამოდენიმე ისტორიული მინაწერი მოვიყვანოთ. ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ გურია-აჭარაში თავისა საინტერესო და ნაყოფიერი არქეოლოგიური მოგზაურობის დროს შემოქმედის გულანზე შენაშნა რამოდენიმე საეურადღებო ისტორიული მინაწერი, რომელიც მან გადმოსწერა და შემდეგ გამოაქვეყნა კიდევ. იმ რას ეკითხულობთ ერთერთ ასეთს მინაწერში:

„1758. ამა ქორონიკონსა იმერეთს თათრის ლაშქარი მოვიდა. მეფეს სოლომონს გაემარჯვა. ლევან ამაშიძე მოკლეს. გობა პაშა და შ[ა]შ[ა]ლი დაიჩინეს და მერე მოკლეს თვეს დეკემბერსა იდ-სა.“<sup>2</sup>

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მინაწერის ავტორი ომის დღედ 14 დეკემბერს ასახელებს, — რაც აგრეთვე ზემოდ მოყვანილ ქრონიკაშიც არის აღნიშნული, — უნდა ვივლით, რომ მან უნებლიე შეცდომა დაუშვა თარიღის აღნიშვნაში და 1757-ის ნაცვლად 1758 დასვა. ამაში ისიც გეპარწმუნებს, რომ შემოქმედის გულანის ზემო ხსენებულ მინაწერს იქვე მისდევს მეორე ისტორიული ცნობა, რომელსაც წინ ჩვეულებისამებრ არ უძღვის წელი, არამედ ემყარება წინა მინაწერში აღნიშნულ თარიღს.

„ამასვე ქ[ო]რ[ონი]ქ[ონ]სა (ივლისისძეობა 1758 წელი.გ.კ.) იმერეთს ლევის ლაშქარი მოვიდა, მრავალი სული ქრ[ისტიან]ი იშოვეს, გელათი და სოსიანის საეღარი დასწვეს ი-სა აგვისტოსა.“<sup>3</sup>

<sup>2</sup> იხ. დიმიტრი ბაქრაძე: „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიაში და აჭარაში“, სასტატეტიკობურავი, 1878 წ. გვ. 152. რუსულ ენაზე. დეკემბრის „იდ“ უღრას 14-ს.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 153. ხაზი ჩვენია.



მაშასადამე ეს ამბავი 1758 წლის 10 აგვისტოს მომხდარა. ავტორს მინაწერისას სცოდნია, რომ გელათის დაწვა და ლეკთა ლაშქრობა მხოლოდ ერთში ხრესილის ომის შემდეგ მოხდა, სწორედ ამიტომ მისდევნენ ეს ისტორიული ამბები ერთმანეთს ქრონოლოგიური თანრიგით, ფაქტობრივი თანმიმდევრობით. ხოლო წელიწადის აღნიშვნა ხრესილის ომის შემთხვევაში უნებლიედ შესცდა, იქ უნდა დაესვა 1757 წელი, ხოლო 1758, რომელიც მან აღნიშნა, ეკუთვნის მომდევნო ცნობას: ლეკების შემოსევას და გელათ-სოსეჯენის საედრების დაწვას.

შემოქმედის გულანის მინაწერში არ იხსენიება ომის ადგილი, მაგრამ შინაარსიდან ჩანს, რომ ავტორია ხრესილის ომს გულისხმობს. მინაწერში დასახელებულია სოლომონ მეფე და ლევან აბაშიძე, არც ერისთავი და არც წულუკიძე მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში არ მოხანან. თურქეთის მხედართმთავრების სახელებიც დამახინჯებულადაა გადმოცემული. ქოჩია ნახჭრევი მინაწერის შთაბეჭდილებას სტოვებს. შეიძლება სწორედ ეს იყოს მიზეზი მინაწერში უნებლიე შეცდომების გაბარვისა. ჩვენი ვერაღდება მიიხერხო შემოქმედის გულანის კიდევ ერთმა მინაწერმა:

„1768. ამას ქორონიქონ]სა მეფე სოლომან თათარს და აბაშიძეს ლეკას შეება ოკიბას, დღესა კვირაიკესა, თვისა დეკემბერსა იდ-სა. აბაშიძე ლევან მოკლეს, თათარი ქემსა დაიბრინეს და მოკლეს.“<sup>2</sup>

გარდა მცდარად მოცემული წელიწადისა, ამ მინაწერის შინაარსი საკვირველად ემთხვევა განსაკუთრებით „ძველ საქართველოში“ გამოქვეყნებული მინაწერის ცნობას. აგრეთვე სხვა მინაწერებსაც (იხ. ზემოთ მოყვანილი მინაწერები). უკანასკნელ ქრონიკაში არ არის აღნიშნული საგეოგრაფიო სახელი „ხრესილი“, მაგრამ, სამაგიეროდ, ომის ადგილად დასახელებულია ოკიბა, პროვინცია, სადაც სოფელი ხრესილი მდებარეობს. ეს გვაფიქრებინებს, რომ ქორონიკის ავტორის მხედველობაში სწორედ ხრესილის ომი იქვს. რასაც თვით ქორონიკის შინაარსიც საფუძველს უმაგრებს. ომის დღით აქაც 14 დეკემბერი, კვირა-დღეს დასახელებული, ხოლო 1768 წელი შეცდომაა, დაშვებული ან შექანიერად მინაწერის მიერ, ან სხვა მცდარი წყაროდან ამოღებული და გამეორებული. საერთადად ისიც, რომ ამ მინაწერ ქორონიკაში არაა მოხსენიებული ერისთავი და წულუკიძე. მასში ვერ ვხედავთ ვერც მეფის მომხრეთა დასახელებას. ამ უკანასკნელი გარე-

<sup>2</sup> ტექსტში მცდარი გრამატიკული ბრუნვით სწერია „მეფეს სოლომანს“.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 153, ხაზი ჩვენი.

მოების გამოსარკვევად მოგვებოება კიდევ ერთი ისტორიულ მინაწილს წერი, რომელიც უნდადღების ღირსია:

„1758. აქა ვაქმარჯეა ხრესილზედ მეფე სოლომონს. დადიანი თან ახლდა.ახალციხისა და აქარის ჯარი სულ იყო. ერისთავი, აბაშიძე, წულუკიძე ახლდენ, ვოლა-ფაშა დაირჩინეს, აბაშიძე მოკლეს, წულუკიძე დაიჭირეს თათარი ვასწყვიდეს და ზოგი ცოცხალი შეიპყრეს.“

მინაწერიდან ჩანს, რომ სოლომონს შემწედ სამეგრელოს მთავარი დადიანი ჰყოლია. ხოლო მეფის წინააღმდეგ ამხედრებული ყოფილა „ახალციხისა და აქარის ჯარი“. აგრეთვე ერისთავი, აბაშიძე და წულუკიძე, მასში ნათქვამია აბაშიძის მოკვლა, წულუკიძის შეპყრობა, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზედ, თუ რა ბედი ეწია ერისთავს. სერთოდ, ვგვლა ზემოდ ჩამოთვლილ ისტორიულ მინაწერებში შეიპყრებოდა ზოგიერთი ვაჟგებრობა, სხვადასხვაობა და ბუნდოვანება. ზოგიერთ მთავანში ერისთავი სულ არ არის დასახელებული, ზოგიერთი კი მას მეფის მოწინააღმდეგეთა სიაში ათავსებს. ისე რომ, მკითხველი ვაურკვევლობაში ვარდება და არ იცის რა მოზიკთა ეყავა დასავლეთ საქართველოს ამ დიდებულს ხრესილის ომში, იყო ის მტრის მხარეზე სინამდვილეში, თუ არა. ვგვლა ჩამოთვლილ მინაწერში ლევან აბაშიძე მოხანს მეფის მთავარ მოწინააღმდეგედ, რომელიც ხრესილის ომში მოიკლა კიდევ. მინაწერებს მთელ რიგ საკითხებში ახასიათებთ ერთი იგივეობა, ზოგჯერ ერთი-ერთმანეთისაგან ვადაწერილობის შთაბეჭდალენასაც კი სტოვებენ. მაგრამ რიგ საკითხებში გამსხვავებაც ბევრია. ამიტომია, რომ მეტბრძოლი ძალების სინამდვილით ვარკვევა და ბრძოლის სერათის ნათლად აღდგენა საქმოდ რთულდება.

ჩვენს მიერ მოვევანილ უკანასკნელ მინაწერში, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს აქვს ვამოკვევრებული სხვა ისტორიულ მინაწერებთან ერთად, თარიღი — 1758 წელი — შეცდომაა. სხვათა შორის, ექვთიმე თაყაიშვილი, აკეთებს რა შენიშვნას ამ მინაწერთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ ისტორიკოსი პაატენა ორბელიანიც 1758 წელს სავლას ამ ამბების (ესე იგი ხრესილის ომის) თარიღადო<sup>1</sup>. პატრიცემული მეცნიერი სცდება. შევებოთ ამ საკითხს უფრო დაწერილებით.

<sup>1</sup> იხ. „კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერილობის მასალათა კრებული“, ტომი 21, ტფილისი, 1896. ექ.თაყაიშვილის წერილი: „ისტორიული მინაწერები ორი კინკლისისა...“ ვ. 16. რუსულ ენაზე.

<sup>2</sup> იქვე, ვ. 16.




მე-18-ე საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი თავის ვრცელ და საინტერესო ისტორიულ ანბულებაში, რომელიც შეიცავს 1739-1758 წლებს შორის ქართლის ცხოვრებაში მომხდარი ისტორიული მოვლენების დაწვრილებით აღწერილობას, — ხრესილის ომზე საერთოდ მეტად ძუნწ ცნობას გვაწვდის. ამასთანავე, უნდა შევნიშნოთ, რომ მის ცნობაში არ არის ომის ადგილი (ე.ი. ხრესილი) დასახელებული, მაგრამ ავტორი უძველესად გულისხმობს სწორედ ხრესილის ომს. აი თვით ცნობა:

„დაუმარცხა იმერეთის მეფემ სოლომონ ურუმის ჯარს, რომ ლევან ამაშიძეს და ჩაქვის ერისთავს მოვეყანათ მის წასახდენათ, მოკლეს ლევან, ამოწყვიტეს ჯარი მისი და ურუმნი სულ ხელთ დარხათ, სამი ფაშები ცოცხალნი დაიპარეს.“<sup>2</sup>

პაპუნა ორბელიანი ამ ამბავს გარკვევით ათავსებს 1757 წლის ამბებში. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წელს მომხდარი ამბები მას ძლიერ მოკლედ აქვს აღნიშნული და ასე იწვევს: „ქორონიკონსა უ მ ე დიოცელა საბარათაა შეილო, სომხითა, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო-ქართლში და სავრისთაოებში, აღარ-სად დარჩა შენობა იმ მხარეს“...“ და სხვა. ქორონიკონი უ მ ე ე უდრის 1757 წელს ქრისტესით [1312+445=1757] და არა 1758-ს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ პ. ორბელიანი ზემოხსენებული ომის ე. ი. ხრესილის ამბავს ათავსებს 1757 წელს მომხდარი ამბების სულ ბოლოს. მას კარგად სკოდნია, რომ ხრესილის ომი წლის დასასრულს მომხდარა. ეს კი სწორედ კარგად უდგება ბევრი მინაწერი ქორონიკის ცნობებს, სახელდობრ — რომ ხრესილის ომი 1757 წლის დეკემბერში მოხდა. პაპუნა ორბელიანი ხრესილის ომის შემდგომ ამაღ კიდევ ერთ მოვლენას ასახელებს: — „ქარელნი შერიგდნენ კახ ბატონს“—<sup>3</sup> (იქვე, გვ. 473) და გადადის უკვე 1758 წლის ამბებზე: „ქორონიკონს უ მ ე მოვიდა ბაბა-ხან, ქართველს ბატონს შერიგდა, მისცეს ბორჩალუს ხანიობა“.. და სხვა (იქვე). ამგვარად, მეტად სერიოზული და კარგად ინფორმირებული პაპუნა ორბელიანი ხრესილ-ის ომს 1757 წლის ბოლოს მიაწერს და არა 1758 წელს, როგორც ამას უკვათიმე თავაიშვი-

<sup>2</sup> იხ. „ქართლის ცხოვრება, დასაბამითვან მეთაუცხრამეტე საუკუნემდის“, ნაწილი მეორე, ახალი მოთხრობა, 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან. სანკტ-პეტერბურღს, 1854. გვ. 473.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 473.



ლი ფიქრობდა. პ. ორბელიანი მეტად სანდო და კეთილსინდისიანი ისტორიკოსია. მან ძველი ქართველი ისტორიკოსებისათვის უჩვეულო სიერეებით გადმოგვცა სულ რაღაც ოცი წლის გამაველობაში მომხდარი ამბები, როგორც ეს ზემოდ აღვნიშნეთ. მისი ცნობები დიდ უმბრავლეს შემთხვევებში, თუ მთლიანად არა, კარგად არის ისტორიკოსის მიერ შემოწმებული და ამდენად სავსებით სწორი. დასავლეთ საქართველოს ამბებს იგი ძლიერ მოკლედ და იშვიათად ეხება, არც ყოფილა მისი მიზანი დასავლეთ საქართველოს ისტორია მოკცემულ ხანაში დაწერილებით გადმოეცა თავის თხზულებაში, მაგრამ, ის, რაც გადმოგვცა, არის სრულღირებულოვანი და მეტად ძვირფასი ცნობების შემკული აქამდე სუსტად შესწავლილი დასავლეთ საქართველოს ისტორიის გასათვალისწინებლად. ამდენად, მის მიერ ხრესილის ომის დათარიღება ზუსტ ცნობად უნდა მივიჩნიოთ. ასედაც მოქცეულა ცნობილი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი, რომელიც სწორედ ასევე ათარიღებს ხრესილის ომს<sup>11</sup>. ასევე აქვს დათარიღებული ხრესილის ომი ქრისტეფორე რაჭველიშვილს<sup>12</sup>.

ორივე ისტორიკოსს დიდი ვაჯუნა ეტეობა ქრონიკოსების მინაწერებშია. ეს გასაგებოცაა, რადგან ხრესილის ომზე მხოლოდ ასეთი მოკლე მინაწერი ისტორიული ცნობები მოგვცაობდა. — თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამოდენიმე ზეპირ-სიტყვაობით მასალებს. — საინტერესო ისაა, რომ ორივე ზემოხსენებული პატივცემული ისტორიკოსი უჯერებს და ემყარება მხოლოდ იმ ქრონიკებს, რომლებშიც მე-

<sup>11</sup> იხ. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია: „საქართველოს ისტორია“, ნაწილი 1, უძველესი დროიდან 19 საუკუნის დამდეგამდე. ს. ჯანაშიას რედაქციით. თბილისი, 1946 წ. გვ. 391. პარაგრაფები 112-149 გუთენის ნ. ბერძენიშვილის კალამს.

<sup>12</sup> იხ. ქრისტეფორე რაჭველიშვილი: „საქართველოს მოკლე ისტორია“, დასაბამიდან 1917 წლამდე. ტფილისი, 1925 წ. გვ. 176. რაც შეეხება იმ ვარაუდებს, რომ ზოგიერთი, ჩვენს მიერ ზემოდ ჩამოთვლილი ქრონიკები ხრესილის ომს 1758 წელს მომხდარად თვლიან, აქ აღბად იმ ვარაუდებსაც პქონდა ვაჯუნა, რომ წინა წლის დეკემბრის შუა რიცხვებიდან მომავალი წლის დამდეგამდე ძლიერ ცოტა დრო-ლა იყო დარბნელი, შესაძლებელია მთავარი შეტაკების შემდეგ წერილ-წერილი ბაძოლები კიდევ გრძელდებოდა და ვადაატანა 1758 წელსაც. ამიტომ, ზოგჯერ ქრონიკოსს შეიძლება ეს ომი სწორედ ამ წელს მომხდარად მიაჩნდა.

ფის მოწინააღმდეგეთა შორის რატის ერისთავიცაა მოხსენებული. არც ერთი, — არც ნ. ბერძენიშვილი და არც ქრ. რაჭველიშვილი, არ აქტუცებს უფრადლებას იმ მინაწერი ქრონიკების ცნობებს, სადაც რატის ერისთავი მოხსენებული არაა, და არც კი ცდილობენ ეჭვის ქვეშ მიაწვ დააყენონ საკითხი: იღებდა სინამდვილეში მინაწილეობას რატის ერისთავი ხრესილის ომში, თუ არა? ასეთი ეჭვი კი არსებობს, უფრო ერთი, მინაწერი ქრონიკების უშრავლესობა რატის ერისთავს ხრესილის ომში მონაწილედ საერთოდ არ ასახელებს. მეორეც ის, რომ, ფრიად სანდო ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი ზემოხსენებულ მის მონაწერში აღნიშნავს, რომ თურქეთის უჯარი ლეიან აბაშიძემ და რატის ერისთავმა მოიყვანეს სოლომონის „წასახდენად“, მაგრამ იმას კი აღიარებდა აზრობს მთლიან თვით ომში მონაწილეობა ერისთავმა, თუ არა. თურქეთა ლაშქრის მოყვანა ერთია, ხოლო ბრძოლაში მონაწილეობის მიღება მეორე! შეიძლება როსტომ ერისთავმა უკანასკნელ მომენტში უარი თქვა თურქების დახმარებაზე? შეიძლება რაღაც მოსაზრებით თუ რაიმე მიზეზით მან ვანზე გადაგომა არჩია? ამის შესახებ სინტერესო ცნობა მართლაც მოიპოვება, რომელიც ნ. ბერძენიშვილმა და ქრ. რაჭველიშვილმა აღბად ყარგად იკოდნენ, მაგრამ, რატომღაც, მას გვერდი აუარეს! (ამ ცნობის ირგვლივ ქვემოთ გვექნება მსჯელობა). მათ ვერ გამოიხიზნეს ის სიფრთხილე, რომელიც ძველმა ისტორიკოსმა პ. ორბელიანმა და სხვა ქრონიკოსებმა თავის დროს ჰქმნეს. ორივე ეს ისტორიკოსი როსტომ ერისთავს გადაქრით თვლიან ომში მონაწილედ და დამარცხების შემდეგ ომიდან გაქცეულად. მოუსმინოდ უფრო ნ. ბერძენიშვილი:

...ოსმალეთის ხონაქარმა სოლომონის დასჯა ბრძანა. ლეიან აბაშიძეს და როსტომ ერისთავს თავისი დრო დაუდგათ. აბაშიძე ახალციხეს გაიწა და მტერს სოლომონისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ წამოუძღვა. მეფეს დადიანისა და გურჯისტის უჯარები მოეშველენ. დეკემბერში 1757 წელს ოსმალთა დიდი უჯარი იმერეთში შემოვიდა. ქვეყნის მოღალატეები თავისი რაზმებით მტერს მიუვიდნენ. ახალგაზრდა სოლომონი, შესანიშნავი სარდალი და ყოველად უშიში მეომარი აღმოჩნდა. ადვილად შეიტყუა. სიმრავლეს მანდობილი ოსმალეები მოხერხებულ ადგილას, ოკრიბაში, ხრესილის მინდორზე და ისე გაბედულად დაესხა მტერს თავს, რომ სულ ერთიანად მოშალა იგი. ოსმალთა სარდლები დაატყვევეს, ან დახოცეს. მათი უჯარის დიდი ნაწილი გაწყდა, მრავალი ტყვედ იგდეს ხელში. ამ ომში მოკლულ იქნა ლე-



ვან აბაშიძე, ზოლო როსტომ რაჭის ერისთავმა და ოსმალთა ჯარის მცირე ნაწილმა თავს გაქცევით უშველეს.<sup>12</sup>

მოუსმინათ ისტორიკოს ქრისტეფორე რაჭველიშვილსაც:

...**ლევან აბაშიძე** ვაიქცა ახალციხეს, წამოუძღვა ოსმალთა ჯარს და სოლომონს დამხობას უპირებდა. **ბრესილის ველზე** (ქუთაისის მხარაშია) 1757 წელს მოხდა დიდი შეტაკება ოსმალთა ჯარსა და იმერლებს შორის. ამ ბრძოლაში მტრებს ეხმარებოდნენ რაჭის ერისთავი როსტომ, ზოლო სოლომონს სამეგრელოს მთავარი ოტია დადიანი და მარცხდნ ოსმალები, თვით ლევან აბაშიძე მოკლულ იქმნა, რამდენიმე ფაშა ტყვედ წამოიყვანეს, ერისთავი როსტომ გაიქცა.<sup>13</sup>

ამგეარად, როგორც მეთხველიც ვარგად შეამჩნევს, ორივე ისტორიკოსი ვერდნობა მხოლოდ იმ ისტორიულ მინაწერ ქრონაყებს, რომლებშიც როსტომ ერისთავის მტრის მხარეზე და სოლომონის წინააღმდეგ ბრძოლა აღნიშნული, ზოლო საესებით უფულუებულყოფილია საბარისპირა ქრონიკები.

როსტომ ერისთავი და ლევან აბაშიძე მრავალი წლების განმავლობაში ერთად მოქმედებდნენ **ჯერ კუნდრუჯ** და ტყვის უწყალოდ გამყოფველ ალექსანდრე მე-5-ის (1720-1751) წინააღმდეგ და შემდეგ მისი ძის, ეპილეპსიითა და განდიდების ავადმყოფური მართი შეპყრობილი სოლომონის წინააღმდეგაც. მათი ბრძოლა მეფეთა წინააღმდეგ გამოწვეული იყო რთული პოლიტიკური ვეგვებით. პოლიტიკური ორიენტაციების სათუთი სარბელით, დინასტიური პრობლემებით და ბერი სხვა საყურადღებო მოხეზებით, ზოლო არა პიროვნული ინტერესებით, ან ვამდიდრებისა და განდიდების სურვილით, ანდა, მითუმეტეს, მათი თითქოს ანტი-ქრისტიანული, ანტი-ეროვნული განწყობილებით, ან, თუ ვნებათ, ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის წინააღმდეგობით, ყოველივე ეს, მათი დიდების მოშურნე სხვა ფეოდალთა მიერაა გამოვინილი და მათზე მიკერებელი, ყოველ-შემთხვევაში, ძლიერ გადაქარბებული და ტენდენციურია. ბრძოლა როსტომ ერისთავისა და ლევან აბაშიძისა ერთის მხრივ და სოლომონ მეფისა მეორეს

<sup>12</sup> იხ. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია: „საქართველოს ისტორია“, ნაწ. 1, უძველესი დროიდან 19 საუკუნის დამდეგამდე. ს. ჯანაშიას რედაქციით. თბილისი, 1946 წ. გვ. 391.

<sup>13</sup> იხ. ქრისტეფორე რაჭველიშვილის ზემოდ დასახელებული შრომა, გვ. 176.

მხრივ, — მეტად ღრმა მოტივებით იყო გამოწვეული და ამ ბრძოლის თავისთავად სამწუხარო და მანვე ბრძოლის მარტივად, პრიმიტიულად წარმოდგენა და განსჯა აღარ შეეფერება თანამედროვე ისტორიათმცოდნეობას, თანამედროვე მეცნიერებას, რომელსაც საკითხისადმი მეტი მიუდგომლობა და მკაცრა, კვი გონებით მიდგომა მოეთხოვება.

როსტომ ერისთავი და ლევან აბაშიძე თავიანთი მოქმედებით ისე იყვნენ ერთმანეთთან გადაჯაჭვულნი, რომ მათი დროის საზოგადოებრივი აზრი სადაც ერთს მოიხსენებდა, ის მეორესაც არ იფიქრებდა, და ეს ხდებოდა ხშირად შექანაკურად, გამოუძიებლად, ანერკითო, გაუთვალისწინებლად იმისა, რომ შეიძლება ამ ორ დიდ ფეოდალს შორისაც ჰქონოდა აზრთა სხვადასხვაობას ადგილი, ერთგვარ წინააღმდეგობასაც კი. — რაც მართლაც, ბოლოსდამოლოს, გამოირკვა ხრესილის ომში. — ამ ორი ძლიერი ფეოდალის ერთად მოხსენიებას ისე იყვნენ შეჩვეულნი ისტორიკოსები და მთხარისე ჟრონიკოსები, რომ ზოგ მინაწერში ამიტომაც აღბად აღნიშნული ხრესილის ომში როსტომ ერისთავის მონაწილეობაც.

\*\*\*

აღებულ საკითხში შემდგომი გარკვევისათვის გვირდა შევხვით ხალხურ მინაწერებსაც, რომელიც ხრესილის ომს შეეხებოდა. ხალხური ზეპირ-სიტყვაობის მასალებს ხშირად უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისათვის. ხშირად ხდება ისეც, რომ ხალხი თავის ზეპირ-გადმოცემაში უფრო საღად ინახავს სინამდვილის სურათს, უფრო სწორად ამტკებს მდგომარეობას, უფრო მიუდგომელი და პირუთენელია, ვიდრე განათლებული ისტორიკოსი, რომელიც ძალიან ხშირად თავს ვერ აღწევს ტენდენტურობას და სინამდვილეს გულღეარძლიანად ამახინჯებს პირადი რწმენის და გრძნობის დასაკმაყოფილებლად. ცოტაა ისეთი მეცნიერი ისტორიკოსი, რომელიც მეტ-ნაკლებად ტენდენტური არ იყოს.

დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი, ბატონიშვილი ვახუშტი ხალხურ ზეპირ-სიტყვაობით მასალას დიდი პატივისცემით, გულისცურით ეძეოდა და ხშირადაც იყენებდა, რაგორც წყაროს, თავის ისტორიულ თხზულებაში. მას აღნიშნული აქვს ერთი ფაქტი, როდესაც წერილობითი დოკუმენტის ცნობა ვალბი გამოდგა და ხალხის გადმოცემა კი საცხებით სწორი. 1522 წელს სპარსეთის შაჰი — შაჰ-ისმაილი ქართლს თავს დაესხა. ქართლის მეფე დავით მეორე და მისი ძე — ლუარსაბი მძლავრად შეეჯახნ მტერს. პირველ და მეორე ბრძოლაში ქართველებმა უკუ აქცეს მტერი, მაგრამ მესამეჯერ და-



მარცხდეს მიზეზი ამისა იყო შაპ-ისმაილის მოულოდნელი შემოვლამა ზურგედან და თავდასხმა გამარჯვებით გახარებულ ქართველებზე. მან გადმოვლო მთა იაღლუჯისა და ღელეში დაიშალა. აი აქედან და-ცხრა თავს ქართველებს. შემატანე იაღლუჯის მთის ნაცვლად კუმი-სის მთის ასახელებსო, აღნიშნავს ეახუშტი, მაგრამ „ზეპირ-სატყუა არს, — წარმოვლო იაღლუჯა და დაიშალა ღელესა შინა, — ჩვენ ეს უშეტეს გაიქვეშმაროტა, ვინადგან იაღლუჯა უფრო მარჯვე გზა არს აღჯაყალისა, ვიდრე კუმისის მთა და ეს დავსწერეთ“-ო. <sup>11</sup>

რა თქმა უნდა ხალხის ნაამბობიე დიდი უტრადღებით უნდა იქმნეს შესწავლილი, გაეჭრილული, რომ შეეცდომა არ ვაეპაროს მცვლეყარს და პირუთენელმა ისტორიკოსმა ქეშმაროტების ნაცვლად უქეშმარო-ტობა არა თქვას.



ჩვენს ზელთაა ორი ზეპირთქმულება ზრესილის ომზე. ჯერ შეეცე-ბით ერთ მათგანს, რომელიე თ. შავშაძის (იგივე ილია ჭყონიას) ზელ-მოწერით დაიბეჭდა „ძველი საქართველო“-ს მეორე ტომში, 1913 წ. (იხ. განყოფილება მე-4-ე, გვ. 36-42) და ასეთი სათაური აქვს: — „**ზეპირთქმულებაანი იმერეთის მეფის სოლომონ დიდის დროიდან. I. ხ რ ე ს ი დ ი ს ო შ ი ა**“.

თ. შავშაძეს მართალია უსარგებლნია ხალხში დარჩენილი თქმულე-ბებით, დასახელებულიე ქეავს ზოგიერთი მოქმელიე (სოფრომ ზენ-დაძე, რაფ. ერისთავი და იაკინთე უფიანი), მაგრამ მთელი ეს ამბავი მის მიერაა დაწერილი და არ ატარებს სუფთა ხალხური თქმულების იერს. ენა, სტილი თ. შავშაძისაა და მთელ წერაღს მკვეთრი ემოციო-ნალურ-პროპაგანდისტული სარჩული ეღვეს, რაც, ჩვეულებრიე, ხა-ლხურ მოქმულებს არ სწევია. ან თუ სწევია, — მეტად ზომიერად და თავდაკერილად. თ. შავშაძის „ზეპირთქმულებაში“ აშკარად ჩანს მისი ტენდენციური განწყობილება მთელ რიე საკითხებში, აშკარად ეშინევა განათლებული ინტელიგენტის ზელი, რომელსაც ხალხური თქმულება შეღამაზებული და გაიდიალებული აქვს თავისი საკეთარი რწმენის და ვრძნობების შესატყვისად.


ხალხური თქმულების ჩაწერასას დიდი გულმოდგინება და მიღუ-ბული, განსაკუთრებული წესის დაცევა სკირო. ყველაზედ უკეთუ-სა, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, ხალხურმა მოქმელმა თვით

<sup>11</sup> იხ. ზემოდ დასახელებული „ქართლის ცხოვრება“, ჩუბინა-შვილის გამოცემა, გვ. 20.

ჩაწეროს თქმულება. ზღაპარი, შიორი თუ ლეგენდა თავისი საკუთარი სტილისტური და ენობრივი თავისებურებებით. თუ მომთხრობელმა წერა არ იცის, მაშინ მოგან ნაამბობის ჩაწერა უნდა დაიწყოს მომთხრობის ენაც და სტილიც. ამხვე დროს აუცილებელია ჩაწერილი მასალა მომთხრობელის გასაგონად იქმნას წაკითხელი, დასარწმუნებლად იმისა, რომ ნაამბობი სწორად არის ვადატანილი ქალაქდზე. სასურველია მომთხრობელმა ზელი მოაწეროს თავის ნაამბობს, ან, თუ წერა არ იცის, დასვას ჯგერა ან ნახშარით გამურული თითის ანბებტი ვაეკეთოს ჩაწერილ ტექსტს. ასეთნირად შედგენილი საბუთი უკვე ღირებულოვანია და სანდოც. დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მომთხრობის პაროვნებასაც — რამდენად სანდო და სინდისიერია იგი საზოგადოდ. შორწმუნე კვეენებში მომთხრობლებს ჯვარსა და სახარებაზედაც აფიცებენ.

ხოლო ზეპირთქმულება კარგავს სრულ ღირებულოვანებას, თუ იგი ვამოგონეშ, ვამოკეტოლ ოთახში, საწერ შავიდასთან მიმჯდარაში, წინასწარ ვამომუშავეებული ვეცმით, საკუთარი გრძნობებით ვადააკეთა და დაამახინჯა. ზრესილის ომზე ზეპირთქმულებების შემკრებს და შემდეგ დამწერს თ. მაგშამეს ეტყობა ცოდნა და ვაეღენა საქართველოს ისტორიისა მოკემულ ხანაში. მის წაკითხელი უნდა ჰქონოდა, ასეთთა ზეენი შთაბეჭდილება, ყველა ქონიკება, მინაწერებები და სხვა ისტორიული მასალა ამ ომის შესახებ. წაკითხელი და ხალხში ვაგონილი მან შერწყმით წარმოვეიდგინა თავის ზემოსხენებულ წერალში, როგორც „ზეპირთქმულება“.

მეღებდავად ამგვარი ზოგიერთი ნაკლისა, თ. მაგშამის „ზრესილის ომი“ მინც საკმაო ეღებმენტებს შეიცავს ხალხურობისას. ბეერა მასში მოთხრობილი ამხავი, სხვა დროსაც და სხვათა შერ ჩაწერილი თქმულებებითაც დასტურდება. მისი ჩანაწერიდან ჩვენთვის უმთავრესად საინტერესოა ზრესილის ომში ორივე შხარზე მონაწილე ძაღების ვარკვევა. ამ „ზეპირთქმულებით“ სოლომონმა „მთავარი ჯარი, რომელშიაც იყენენ თავიანთი მხედრობით ოდიშის მთავარი, ცოლის ძმა მეფისა, და გურიელი ერისთავითურთ (გურიის ერისთავია ნაგუღლის-მევი. გ. კ.) დაამანაკა ქეთის ზემოთ, ოკობაში, სოფელს ზრესილს...“ (იხ. იქვე, გვ. 37.). პირველად ამ ამონაწერში ვებდავთ გურიელს, როგორც მეფის მოკავშირეს, დასახელებულს. სხვა საისტორიო მასალებში, რომელზედაც ზელი მოგოწედა იგი არაა დასახელებული არსად. ისტორიკოსი ნ. ბერძენიშვილი, როგორც უკვე აღენიშნეთ, მეფის მოკავშირეთ გურიელსაც თელის (იხ. ზემოდ დასახელებული შოთ-



მა: „საქ. ისტორია“, ნაწილი I, თბილისი, 1946 წ. გვ. 391). ხოლო ისტორიკოსი ქრისტეფორე რაჭველიშვილი მეფის მოკავშირედ მარტო დადიანს თვლის და გურიელს არსად ასენებს (იხ. მისი „საქართველოს მოკლე ისტორია“, ტფილისი, 1925 წ. გვ. 176). არსებობს კი შესაძლებლობა ვარაუდისათვის, გურიელიც მეფის მოკავშირედ ჩავთვალოთ. მაშინ გურიელი იმ ხანებში სოლომონ მეფესთან ახალი შერიგებული იყო, რაც ქართლ-კახეთის მეფის — ერეკლეს ჩარევით და შუამდგომლობით მოხდა, ხოლო თვით ერეკლესთან მაშინ გურიელს უშუამდგომლა როსტომ რაჭის ერისთავმა, რომელმაც შემარჩევბელი მისიით ერეკლეს წინაშე თავისი ძმა — იმერ-აფხაზთა კათალიკოსი ბესარიონ ერისთავი გაგზავნა. ორივე ძმას — როსტომსა და ბესარიონს ერეკლე მეფე უაღრეს პატივს სცემდა, როგორც ეს კათოლიკე პატრების ცნობებიდან ჩანს. (იხ. მიქელ თამარიშვილი: „ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის“. ტფილისი, 1902 წ. გვ. 386). შერიგება გურიელისა სოლომონ მეფესთან 1756 წელს მოხდა, რაც ისტორიკოსს პაპუნა ორბელიანს აქვს თავის თხზულებაში გადმოცემული. იდეული შესაძლებელია, რომ სოლომონს ახლად შერიგებული გურიელი მართლაც ემხარებოდა ზრესილის ომში, თავისი ერთგულების და ლოიალობის დასამტკიცებლად.

მეფის სხვა მოკავშირენი „ზეპირთქმულებაში“ არაა დასახელებული. ხოლო მტრის ბანაკში იგი ოსმალთა მხარეზე მხოლოდ ლევან ამაშიძეს ასენებს და ერთი სიტყვითაც არაფერია აქვს აღნიშნული როსტომ რაჭის ერისთავზე. „ზეპირთქმულებით“ ისე გამოდის, რომ რაჭის ერისთავი არც ერთ მხარეზე არ იღებდა მონაწილეობას, ვანზე გამდგარად მოჩანს. ეს ცნობა კარგად ემთხვევა ბევრ ისტორიულ მონაწერე ჭრონიკას, რომელნიც აგრეთვე არ იხსენიებენ ერისთავს ომის მონაწილედ. საყურადღებო მარტო ეს კი არ არის, არამედ ისიც, რომ „ზეპირთქმულებაში“ აღნიშნულია გარემოება, რაც გვაფიქრებინებს თურქეთისა და ერისთავის ურთიერთობის გამწვავება-გართულებას. თქმულებაში ნათქვამია: „სერასკიარმა მოინდომა ქუთაისში ფეხის მოდგმა. მას უნდოდა ქუთაისი ოსმალეთის ციხე-ქალაქით გადაეცოცა, აქედან განეგო... ზეგანი და ქვემო-იმერეთი, გაეტება გურია და ოდიში, და რაქა-ლერხუმის და ზემო-იმერეთის დაპყრობას კი მერმე შესდგომოდა“-ო. (იქვე, გვ. 37, ზაზი ჩენი). ამ ცნობით თურქებს რაჭის დაპყრობაც განზრახული ჰქონიათ, მაგრამ საკითხავია, რატომ? თუ კი რაჭის ერისთავი მათი მომხრე იყო, თუ ბერძენიშვილ-რაჭველიშვილის ცნობით, იგი თითქოს ზრესილის ომში სოლომონს წინააღმდეგაც კი იბრძოდა, — მაშ რატომ-ღა

უნდა დაეპყროთ თურქებს რაჭა? თქმულების ეს ცნობა თავისთავად საგულისხმოა და მას ქვემოთ კიდევ დავებრუნდებით.

ბატონო მკვლელ მცნობის ნ. ბერძენიშვილის მსჯელობაზე, ეტყობა, ამ ზეპირთქმულებას საკმაოდ ძლიერი გავლენა მოუხდენია. სოლომონის პიროვნების დახასიათება ორთვეგან თითქმის ერთი და იგივეა. მეორე მსგავსება (ანუ გავლენა ზეპირთქმულებისა ნ. ბერძენიშვილზე) იმაში გამოიხატება, რომ ერთი და მეორეც აღნიშნავს, თითქოს სოლომონმა თავის სიმრავლეზე მინდობილი მტრის ლაშქარი მობერბებულად შეიტყუა ხრესილის ველზე, როგორც სტრატეგიულ და მაგარ ადგილას, და სასტიკად დაამარცხა. სინამდვილეში სულ სხვა მდგომარეობა იყო შექმნილი. ხრესილზე მუდმივად იდგა ოსმალთა საოკუპაციო ჯარის ნაწილი უკვე დიდი ხნიდან, ასე, როგორც, მაგალითად ქუთაისში, ბაღდადში, შორაბანში და სხვა ციხეებში. ოსმალები მანამდე არიან საუკუნის განმავლობაში დათარგმობდნენ და ბატონობდნენ დასავლეთ საქართველოში. ამიტომ მათ, ბუნებრივია, კარგად ჰქონდათ შესწავლილი ამ ქვეყნის ადგილმდებარეობა და ბუნებრივი პირობები, თვით ხალხის ფსიქოლოგია და ცხოვრების აეკარგი. მათი ასე იოლად მოტყუება, ხელანგში გაბმა და სხვა, — არც ისე ადვილი იყო, როგორც ნ. ბერძენიშვილსა და თ. შავმაძე-ჭყონიას ჰგონიათ. სოლომონმა არცაა თავს დასძმოდა ხრესილის სიმაგრეებში მდგომ ოსმალეთის ლაშქარს, რადგან იგი თავისი ქვეყნის საზღვრიდან შორს იყო, მტერს ზურგი შორს ჰქონდა, ხოლო მეფეს კი ამ მხრივ უფრო ხელსაყრელი პირობები მოეპოვებოდა. რასაც გეოგრაფიული ადგილმდებარეობაც ხელს უწყობდა. სოლომონის მახვილ-გონიერებისა და „შესანიშნავი“ სარდლური ნიჭის დასამტკიცებლად „შეტყუების“ ზერხი სუსტია და სინამდვილეში არაერთაზრ შეტყუების ადგილი არ ჰქონია, რადგან ხრესილზე უკვე იდგა ოსმალთა საოკუპაციო ჯარის ნაწილები!

თუ ნიკო ბერძენიშვილი ზეპირთქმულებას ბევრ რამეს უჯერებს, მეორეს მხრივ არაერთაზრ უტრადლებას არ აქცევს იმავე ზეპირთქმულების სრულ სიმწმეს რასტომ ერისთავზე და მის მონაწილეობა-უზონაწილეობას ხრესილის ომში. ხომ არა გვაქვს აქ საქმე რაიმე ტენდენციასთან? ამაზედ მოკლედ ქვემოთ, დასკვნით ნაწილში ვიტყვით ჩვენს აზრს.

მეორე ხალხური თქმულება, რომელშიც ხრესილის ომის ამბავიც არის მოთხრობილი, ეკუთვნის ეინში სკო კანდელაკს. მას თავის მხრივ პაპისაგან მოუსმენია სინტერესო ვადმოცემა და ჩაუწერია კიდევ გასული საუკუნის შუაში. ხელნაწერი ზეპირთქმულებისა



მეუღენია აკაცი წერეთელს. ეს ყოფილა 1895 წელს ამის შესახებ  
 ჟურნალ „ეკალი“-ს იმავე წლის მე-14-ე ნომერში აკაცი შენიშავის  
 ...ამ ხელთნაწერს დიდი ისტორიული მნიშვნელობაა აქვს და მალე  
 გამოვა“-ო (იხ აკაცი წერეთელი: „მოთხრობები“, ტომი მეოთხე, გვ.  
 473, თბილისი, 1948 წ. პ. ინგოროვეს რედაქტორობით). ხელთნა-  
 წერი მართლაც იმავე წელს დაიბეჭდა ჯერ „ეკალში“ და მერე ცალკე  
 წიგნადაც. წიგნს სათაურად აქვს: „სოლომონ პარცელი დიდი, იმერე-  
 თის მეფე. ზეპირგადაცემული თანამედროვისაგან, რომელიც იყო  
 სიკო კანდელაკის ძაბა და ჩაწერილი მისი შვილი-შვილის სიკო კან-  
 დელაკის მიერ“ (იქვე). მერეც სამოდენიმეჯერ გამოვიდა ეს ქრონი-  
 კა ცალკე წიგნად და ბოლოს აკაცის თხზულებებშიც კი შეიტანეს.  
 საკვირველი არის, რომ სხვა ავტორის თხზულება აკაცის თხზულე-  
 ბათა კრებულში მოათავსეს, საქმე იმაშია, რომ სიკო კანდელაკის  
 მიერ დატოვებული ხელთნაწერი აკაცის ჩაებრუნა ზელთ და ისეთ  
 სასტიკ წმენკში გაეტარებია, ისე გაუწურავს, გადაუკეთებია და შეუ-  
 ცვლია მისი სტილი და აღბად შინაარსიც, რომ გამომცემლებს ეს  
 თხზულება აკაცისად მიუჩნევიათ და შეუტანიათ კიდევ მას  
 ნაწარმოებთა კრებულში. როგორც ცნობილია, სოლომონ მეფე აყო  
 აკაცის წინაპარი დედის მხრიდან. დიდი შგოსანი თავიანს სცემდა თა-  
 ვის ძველს. ამ ემოციონალურ - პანეგორიკულმა თავინისკეპამ თა-  
 ვისი წინაპრისადმი, აკაცი იქამდე მიიყვანა, რომ ზემოხსენებული ქარ-  
 თული ხალხური თქმულება თავის ნებაზე გადაიყვანა და დაეყარვა  
 მას, — ნაწილობრივ მანკე, — ხალხური ზეპირსიტყვაობის დოკუ-  
 მენტალური ხასიათი და ღირებულება. სიკო კანდელაკზე, მის ჩანა-  
 წერ შრომაზე ცალკე ნარკვევს ვამზადებთ და დაწვრილებით იქ გვექ-  
 ნება საუბარი ნაწარმოების ღირებულებასა, მის ნაკლოვანება-საწლო-  
 ობაზე. ასეა თუ ისე, შეაკრი ეპოტოკული გაცხობილვის შემდეგ, ამ  
 ძველს მანკე რჩება ღირებულება, როგორც საისტორიო წყაროს.  
 მასში ბევრი სამ არის დამაჯერებელი, სწორი და საყურადღებო. მას-  
 ში მანკე ჩარჩა ზოგიერთი სამ პირველყოფილი სახით (ეგვლისხმობთ  
 შინაარსობრივად და არა ენობრივ-სტილისტურად, რომელიც მთლი-  
 ანად აკაცის ზელს ეკუთვნის), ისე, როგორც მომთხრობელი და ჩამ-  
 წერი ფიქრობდნენ. ამ საყურადღებო წყაროში საკმაოდ ვრცლად  
 არის აღწერილი ზრესილოს ოში, მისი თითქოს გამომწვევეი მიზეზები,  
 მისი შედეგი და სხვა ცნობები. ვრცლად მოვიყვანთ მხოლოდ შემდეგ  
 ცნობას, რომელიც გვიშუქებს შეფისა და რაქის ერისთავის ურთი-  
 ერთ ვანწყობილებას ხრესილის ომთან დაკავშირებით:

„სოლომონი რომ სამეფო ტახტზე ავიდა, სულ თვრამეტი წლისა იყო. ამ დროს ოსმალეთის ჯარები იყო იმერეთში შემოსული და ციხე-სამაგრებშიც იმით ეჭირათ: პირველი ფაშა მამულა-ალი კიკიანი ქუთაისის ციხეში იდგა დიდძალი ჯარით და მბრძანებელიც იყო დანარჩენი ფაშების, მეორე ფაშა უსეინ იდგა ბაღდადის ციხეში, მესამე ფაშა ახმედა შორაპნის ციხეში, მეოთხე ფაშა ალი-ბეგი იდგა ხრესილზე...“ ამ დროს ცხოვრობდნენ იმერეთის სამეფოში ორი თავადი: ერთი რაჭაში, რომელსაც უწოდებდნენ დიდ როსტომ ერისთავად და მეორე არგვეთში თვით მეფის დედისძმა ლევან აბაშიძე“.. — ესენი უჭერდნენ შაჰს თითქოს ოსმალებს და სურდათ სოლომონის მოსპობა. თურქების ძალადობით მოთმინებნიდან გამოსული სოლომონი ლაშქრის შეკრებას იწყებს და სურს ოკუპანტებზე განდევნოს იმერეთიდან. ავტორი, სიკო კანდილაკი, გვეუბნება, რომ მეფის ეს განზრახვა როსტომ ერისთავმა და ლევან აბაშიძემ კიკიან ფაშას აცნობეს. მოვიყვანოთ უფრო საეურადღებო ამონაწერს ამ ხალხური თხზულებიდან, რომელიც ნათელ წარმოდგენას მოგვცემს ხრესილის ომის შესახებ:

„მეფის სურვილი იყო, რომ თათრებთან ომი ყოველ ადგილს ერთსა და იმავე დღეს, რაც შეიძლება, საჩქაროდ დაწყებულყო, მაგრამ პაპუნა წერეთელმა მოუშალა და ურთია როსტომ ერისთავთან წასვლა და იმასთან მოლაპარაკება. ამ რჩევაზე დათანხმდა მეფე და მიულოდნელად მიბრძანდა ბარაკონს ერისთვისას. როსტომი იმ დროს საღალატოდ ეშინებოდა: უნდოდა, რომ ლევან აბაშიძესთან ერთად თათრებს მიხმარებოდა და, რასაკვირველია, მეფის მიბრძანება სასიამოვნოდ არ დაურბა. იმ დამეს სასტუმროში მიიღო, თვითონ არ ნახა მეფე, ბოდინში მოითხოვა: ავად ვარა. ვახშაში დაბ საკადრისი მოღმწადა: სხვათა შორის იტყვიც დაუელა და ქაშის გათავებამდის, როგორც მეფის სადღევრძელაზე, ავრთვე ისეც დროგამოშეებით ზარბაზანს ისროდნენ ციხიდან. ორივე კარებზე ოსმალური წესით ორმოც-ორმოცი კაცი ზელჯობანება იდგენ უიარაღოდ და ქაშის გათავების შემდეგ შეიარაღებულნი — გათენებამდის. დილას, მეფის პირის დაბანის შემდეგ ვაეიდა როსტომ მეფის სანახავად განძრას მოურიოდლად და თავხედად: ახალუბზე ტალიმოწამოსხმული, წითელი ჯამფისის ნიფხებით და ქოშებით. მეფემ ეს არაფრად შეიშინა: „როგორც გოჭორდეს, ისე ვიღირდესო“ — სიტყვა თავის გუნებაში და ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ საწმეზე დაუწყო ლაპარაკი, და თხოვა, რომ თავისი რაქველებით ხრესილზე მოსულიყო და მიხმარებოდა. ერისთავი დიდი შორჩილებით დაეთანხმა, აღუთქვა ოთხი ათასი კაცის გამოწვევა. გავზავნა ყოველი



მხრით მისი შვილები ჯარის გამოსაწვევად: რაჭაში და თუშეთში კუდაროს და თხოვა მეფესაც მასთან დაბრუნა, სანამდის ჯარი სულ არა შეგროვდებოდა.

გამოწვეული ჯარები წებოლ-წებოლად იკრიბებოდნენ ბარაკონში ერისთავის დიდ ეზოში. მეფე დიდ შექცევამი ჰყავს: დილაობით ყოველ დღეს ყაბახზე სროლა არის, საღამაობით ჯარითი და სადილ-ვახშამზე ზარბაზნების სროლა. მეფე ვაკეირებულა ამ კაცის ცხოვრებაზე და პაბუნას უბრძანებს: „მადლობა ღმერთს, გურიელსა და დიდანს გარდა კიდევ მყოლია დიდებული ქვეშევრდომებიო“. ამ ყოფაში იუყესენ ჩამდენიშე დღე, რომ შესამე დღეს ორმა კაცმა ცხენი მოაბუნა ხიდისკარიდან. მივიდნენ პირდაპირ ერისთავთან და აცნობეს: ნაქერალს მთაზე თათრის ჯარი ამოვიდა და შორის მდინარეზე დაბინავდაო, როგორც ვაკეირეთ, ხრესილზე მდგომი ჯარის ოცდაათი ათასისაგან ნახევარი აქეთ წამოსულაო. ეს ლაპარაკი მადლი ხმით იყო. მეფემ მოკრა უფრი და უბრძანა ერისთავს: რა ამბავი არისო? ერისთავმა მოახსენა: რაჭაში მტერი შემოგვეყვია და ათბრვას მიპირებსო, მაგრამ მადლობა უფალს, რომ მეც მომზადებული ვარ, იმას რაჭაში არ შემოუშვებ, ნაქერალაზე გადმოვყრი და მერე თქვენ მოგეშველებითო. ახლა ეს წაბრძანდით, დროს ნულარ კარგავთო. მეფემ მადლი უბრძანა და დაიმედებული გამობრუნდა. თათრების ჯარის შესვლა რაჭაში თურმე გამოგონილი იყო ერისთავისაგან. მეფე მოატყუა და დროც დააკარგვია, რომ მანამდი ხრესილზე თათრებისათვის შეფის განზრახვა ეცნობებოი“. (იხ. დასახელებული შრომა).

ამ ცნობაში მეფესა და ერისთავს შორის მომხდარ მეტად საყურადღებო დიალოგატიურ გათამაშებას ვხედავთ. სოლომონი თავისი ფეხით მისულა მისგან გამდგარ ერისთავთან. იმდენად აფასებდა და იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ერისთავის შეიარაღებულ ჩარევას მის მხარეზე, რომ თავიც კი დაუმდაბლებია და უთხოვნია მისთვის დახმარება. მათი მოლაპარაკება კიდევ მეტი სიღრმის იქნებოდა, მაგრამ ხალხურ თქმულებაში მეტის და უკეთ გადმოცემა ძნელია, ხოლო ის რაც ამ ქრონიკამ შემოგვინახა, მაინც დიდი ვერადღების ღირსია. დაუშვათ, რომ ერისთავმა სტუმარ მეფეს მოატყუა, რაჭაში მტრის შემოსევა გამოიგონა და ბოლოს მეფე თავიდან მოიცილა, რა მოხდა შემდეგ? ჩამოვიდა ერისთავი ლაშქრით ხრესილზე? თუ ჩამოვიდა, — ეის მიემხრო: ანაშიძეს თუ სოლომონს? ამის გარკვევის საშუალებასაც იგივე ქრონიკა ვუძლევს. არსად ტექსტში არა ჩანს, რომ რაჭის ერისთავი ხრესილზე ჩამოვიდა და მიემხრო ამა თუ იმ

მხარეს. პირიქით, ჩანს მას სურათოდ გადაუწყვეტია არ ჩარეულიყო არც ერთ მხარეზე. მას არ სურდა ლეევან აბაშიძესთან და თურქებთან ძალიან გაეშწინებინა თავისი დამოკიდებულება. რაც იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ როსტომი სოლომონს დაუჭერდა მხარს და ლაშქარს მიაშველებდა. მაგრამ, ვინაიდან შეფე მისი ფეხით მიადგა კარს და სახოვა დახმარება, არც მოსთვის სურდა მკვეთრი უარი ეთქვა. როსტომსა და სოლომონს შორის ყოველთვის ცუდი განწყობილება როდი სუფევდა. აუ ხოლმე შემთხვევები, როდესაც ამბიციებ-დაცმყოფი-ლებული დიდი ფეოდალი სოლომონს ერთგულად ემსახურებოდა. ეხლაც აღბაღ. მასში გაიღვიძა ერთგვარმა თანაგრძნობამ ავადმყოფი მეფისადმი და ერთად ერთ გამოსავლად იმ რთულ პოლიტიკურ მი-რობებში ნეიტრალიტეტი ამჯობინა. ასეთა შემთხვევები ხში-რად ხდებოდა საქართველოს და დასავლეთ ევროპის ფეოდალუ-რი მონარქიის სისტემაში. როსტომ ერისთავი, ამგვარად, შეფეს თუმც არ დაეხმარა პირდაპირ, ახდითად, მაგრამ არც წინააღმდეგა, როსტო-მის ამგვარი ნაბიჯი მაინც შეფის ირბ დახმარებას უდრიადა. ვინ იცის, ვგებ მეფისა და ერისთავის მოღაპარეების დროს ბარაკონში, შეფემ ისიც სახოვა თავის მძლავრ ერისთავს, რომ, თუ მას არ მიემ-ხრობა, ნურც მტრის მხარეზე გადავა, და სწორედ ამაზე შეთანხმდენ? რაჭის ლაშქარი რომ თურქეთის და ლეევან აბაშიძის მხარეზე ომში ჩარეულიყო. რა თქმა უნდა, სოლომონი გამარჯვებას ვერ ეღიარე-ბოდა. მან ხომ ისედაც ძლიერ გაიმარჯვა, გეოგრაფიული პირობების წყალობით? და ერისთავიც რომ მტრის მხარეზე ჩარეულიყო, წონას-წორობა კატასტროფულად დაირღვეოდა შეფის საზიანოდ. რასაკეი-რველია, რაჭის ერისთავი რომ მიმხრობოდა შევიარლებული ძალით მეფეს, ამ უკანასკნელის გამარჯვება მართლაც პრწინვალე იქნებო-და. მაგრამ იმდროინდელმა ფეოდალურმა ქიშპობამ შეტად ველარ დაახლოვა მეფე და ერისთავი!

როსტომ ერისთავს რომ ხრესილის ომში მონაწილეობა არ მიუღია, ჩანს იმავე ზეპირგადმოცემის ამ ადგილიდან, სადაც როსტომისა და მასთან შესაბრებლად მეფისაგან ვაგზაენილ იმერ-ავხაზთა კათალი-კოზს შორის გამართული სატბარია აღწერილი. ისტორიული წყარო-ებით ეიცობ, რომ ეს მოხდა 1769 წლის ზაფხულში. ამ სატბარის დროს იმერ-ავხაზთა კათალიკოსმა ბესარიონმა (ზეპირათქმულება შეცდო-მით მას იოსებ — მეფის ძმად თვლის, ამ უხეში შეცდომის გასწორება არც თავის დროზე აკაკის უცდია და არც შემდეგ სხვას) თავის ძმას — როსტომს უთხრა: „ნუ დაგაეიწუდება ხრესილის ომი, როდესაც მე-ფეს უშებთლე და დაატყუე“ (იქვე, გვ. 414). როსტომს რომ ამ ომ-



ში მიეღო მონაწილეობა და თათრების მხარეზე ყოფილიყო. კათალიკოსს იმას კი არ ეტყოდა, „მეფეს უმზეთლუ და დაატყუო“ არამედ მის წინააღმდეგ იბრძოდი თათრებთან ერთად. შესაძლებელია თ. მაგმაძე-კეკელიას ჩაწერილ-დაწერილ ზეპირთქმულებებში მოყვანილი ცნობა, რომ სერასკიის განზრახული ქონდა რაქის დაპყრობა, სწორედ ამ გარემოებას უკავშირდებოდეს? როსტომის მიუსვლელობამ ღვეან აბაშიძესთან და თურქებთან, უძვეელია სერასკირი და მისი ზონთქრის მთავრობა ვაავღლისა და გაამწყრაღა. აქედან — შეიძლება შათ როსტომის დასჯა მართლაც მოინდომეს. იმდროინდელი სულსკვეთებისათვის ასეთი რამ ლოლიერო იყო.

არც ნიკო ბერძენიშვილი და არც ქრისტეფორე რაჭველიშვილი სიკო კანდელაკის ზემოდ მოყვანილ ცნობებს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და არც გამოუყენებიათ თავიანთს ისტორიულ თხზულებებში, თუმცა ისინი ამ შრომას უძვეელია კარგად იცნობენ, რადგან სხვა საკითხებში უსარგებლიათ კოლეც. როგორც მათს მთელ რიგ მსჯელობებს ემჩნევა.



როგორი თვლით შეხება როსტომ ერისთავის მოქმედებას ხრესლზე გამარჯვებულმა სოლომონ მეფემ? თუ მისი გამარჯვება ასეთი ბრწყინვალე იყო, როგორც ამას ზემოხსენებულ ისტორიკოსთა და ხალხური მოქმედების ცნობებში ვხედავთ. — მაშინ, სავლდისხმებელია, რომ გამარჯვებით აღზევებული და ამპარტავანი ბუნების სოლომონი ერისთავს პასუხს ვასცემდა, ასე თუ ისე აგრძნობინებდა თავის ძალას. ნიკო ბერძენიშვილი გვუტბუნება, რომ „როსტომ ერისთავი ამჯერობაზე დაუსველი ვადარჩა: ფეოდალებმა შემოარიგეს მეფეს ეს ძლიერი თავადი, რომელმაც მეფეს ერთგულება შეჰფიცა“ (იხ. ზემოდ დასახელებული შრომა, გვ. 391). სიკო კანდელაკის ხალხურ თხზულებებში კი აღნიშნულია, რომ როსტომ ერისთავი თვითონ მიბრძანდა მეფესთან და ერთგულება შეჰფიცა, ხოლო რომ თითქოს იგი ფეოდალებმა შეარიგეს მეფეს, არსადაა ნათქვამი (იქვე, გვ. 406). ამავე თხზულებებში ისიცაა აღნიშნული, რომ მეფესთან მისულ როსტომს და მის შვილებს სოლომონი შეპყრობას და დასჯას უპირებდა. მაგრამ როსტომმა ეს შენიშნა და მოხერხებულად გაუძერა ხელიდან. (იქვე, გვ. 408-410). ჩვენ გვეგონია, რომ სოლომონს საზეიადო პირობები ხრესლის ომის შემდეგ არ ქონდა და როსტომის ჩაურევლობა ომში მან ერთგვირად მართლაც დააფასა. უოველ შემთხვევაში, ამ

ამის შემდეგ როსტომი მეფის კარზე ისევ დაახლოებული და თანამდებობის მქონედ ჩანს. სარგის კაკაბაძეს გამოქვეყნებული აქვს ერთი სიგელი, რომელშიც როსტომ ერისთავი მეფის „ეპიტროსად“ (მის წინაშე მდგომელად) და „ატრატოლატად“ („არდად, სტრატეგად“) არის დასახელებული. სამწუხაროდ აქაურ ბიბლიოთეკებში ვერსად შევხვდით სარგის კაკაბაძის გამოცემულ ამ სიგელს. მაგრამ შესაიგრებაზე სრული დანდობით ებედაეთ ამ ცნობის მოყვანას. ხოლო დანამდილობით ვერ აღვადგინეთ სიგლის დაწერის წელი. ეს უნდა ვიფიქროთ ან 1758 ან 1759 წელს, უფრო კი ამ უკანასკნელს. ვისაც საშუალება შეეცმა სიგელის ნახვისა. იგი ჩვენს ცნობას შეამოწმებს. დიკის სიგელში, რომელიც მოსცეს მეფე სოლომონს საერო და სამღვდლო ხელისუფლებაში ტყვის გაყიდვის აკრძალვის შესახებ 1759 წლის 30 დეკემბერს, დადიან-გურიელისა და ორი ბატონიშვილის შემდეგ დასახელებულია როსტომ ერისთავი, ხოლო მის შემდეგ კი სხვა გვაროვნების დიდი და მცირე თავადები და აზნაურები. ასეთ საბაბთი ადგილას როსტომ ერისთავის მოხსენიება იმაზედაც მოკეთილთესებს, რომ მისი მდგომარეობა მეფის კარზე არ შერყევდა.<sup>16</sup> არსებობს მეორე სიგელი მოცემული როსტომ ერისთავის მიერ ქუთაისის საეპროქოსადმი 1760 წლის 29 ივლისის თარიღით.<sup>17</sup> როსტომი კათედრალურ საყდარს სწირავს რამოდენიმე კომლ ვლებს. რაკაში მცხოვრებთ, ქუთაისი ამ დროს ავარიანთა ხელაღან იყო განთავისუფლებული და ქუთათლობა განახლებული. როსტომის ქველმოქმედებას იმაზე შეტყუველეს, რომ სატატო ქალაქში მას ასეთივე დიდებით უყურებდნენ, როგორც აღ-

<sup>16</sup> იხ. „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“, ტომი 1, გვ. 56-58, ტფილისი, 1866 წ.

<sup>17</sup> აქვე, გვ. 28-30. სიგელის თარიღი, უკეთ წელი, გამოშვებებს შეცდომით აქვთ აღნიშნული. შესაძლებელია დედანში ვერ ვაპროჩეს, ან თვით ვადმოსწერეს შეცდომით. სიგელის დაწერის წელად დასახელებულია ჭრისტეს აქეთ ჩ დ ი. რაც 1710 წელს უდრის. ამ დროს როსტომი არ იყო ერისთავად რაკისა, არამედ ერისთავობდა მისი უფროსი ძმა შიშიტა შესაგე (1696-1734). უნდა ვიფიქროსხმით, რომ ასო „ა“-ს ნაცვლად, რაც რაკზე, ს.შ. 50-ს უდრის, სიგელის ვადმოსწერლებმა, ან თვით დამწერმა შეცდომით დასცეს ჩვეულებრივი მაგარი „ი“, რაც რაკებში 10-ს უდრის. შეცდომითაა სიგელში აღნიშნული მეორე თარიღი — ქვეყნის გაჩენიდან. იქ სწერია: „ესამ“. რაცების სათვალა-

რე. გვაქვს სხვა საყურადღებო ცნობაც, რომელიც გვიჩვენებს, რომ რაკის ერისთავი მეფეს მეტად სერიოზულ ომებშიც დასველებოდა. ასეთი ცნობა მოიპოება მიქელ თამარაშვილის ზემოდ დასახელებულ წიგნში. ავტორს მოსყავს პატრი ლეონარდოს წერილის შინაარსი. ლეონარდო 1760 წლის 18 აგვისტოს რომს ატყობინებდა: „...ერეკლე საქართველოს მეფემ ორგ ზის მეტად აღერსიანი წერილით მიმიწვია. შემდგომ ერთი თვისის ნათესავი თავადი 60 ჯარისკაცით გამოგზავნა ჩემს წასაყვანათ. ამ თვის 14-ს რა მიეუახლოვდით ტფილისს, მისივე ბრძანებით, მოგვეგება ჯარი... თვით მეფემაც სიყვარული გამომოცხადა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, იძულებული ვახდა წასულიყო იქიდან იმერეთის მეფის მისაგებებლად, რადგან დადიანთან და ერისთავთან ერთად შოდის თეთხმეტე ათისი ჯარისკაცითა. უნდა წაეიდენ განჯის ასაღებად...“<sup>18</sup>. მართალია როსტომი ისედაც დიდ პატივს სცემდა ერეკლეს და მის დასახმარებლად საიმოუნებით წაეიდოდა, მაგრამ მისი და დადიანის ჯარების სოლომონთან ერთად ერეკლეს დასახმარებლად წასვლა თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ერისთავი უკვე სოლომონის მძლავრი მოკავშირე იყო იმ ხანად. ეტყობა, სოლომონს ეს არიბი დახმარება, რომელიც როსტომმა მას თურქეთის მხარეზე ჩატრეკლობით ხრესილის ომში გაუწია, — დაუფასებლად არ დაუტოვებია.

\*\*\*

შინც რა შედეგი მოსყვა ხრესილის ომს, რამდენად მნიშვნელოვანი გამოდგა იგი სამეფოს შემდგომი გაძლიერების საქმეში, მოსყვა მას თურქთა ბატონობის მოსპობა? ნ. ბერძენიშვილი და ქრისტეფორე ჩაქველიშვილი თავიანთს თხზულებებში ხრესილის ომის შედეგს დიდ მნიშვნელოვნად სთვლიან. ჩაქველიშვილი უფრო თავდაპირვლია ამ

ვი ასოებია აღჩრეულია, რადგან ზოგიერთი არქაული ასოებია ერთმანეთს წააგვანან და თუ ყურადღებით არ დააკვირდა მკვლევარი ან თვით სოფლის მწერალი, შეიძლება ადვილად დაუშვას შეცდომა. ნახსენები რიცხვის ნაცვლად უნდა იყოს „კსაჲ“, რაც ქვეყნის გაიენიდან 7268 წელს უდრის, ხოლო ქრისტესით იგი შეესაბამება იგივე 1760 წელს, სოფლის ენაც და მასში დასახელებული ასტორიული პირებიც სწორედ ამ ხანას ეკუთვნიან.

<sup>18</sup> იხ. მიხეილ თამარაშვილი: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, წამდვილ საბუთების შემოტანით და განმარტებით. 13 საუკუნიდგან ვიდრე 19 საუკუნემდე. ტფილისი, 1902.“ გვ. 378.

შემთხვევაში, მაგრამ, საზოგადოდ, ისიც იმავე აზრისაა. პატივცემულ მღვდელსტორიკოსთა ასეთი გადაჭარბება არ მართლდება ისტორიული სინამდვილით, როგორც ამას ქვემოთ დაეინახავთ. ჩვენს მიერ ზემოდ მოყვანილი ორი ხალხური თქმულებაც, მეტის მეტად აზვიადებს ხრესილის ომის წინაშეწელობას და შედეგებს. მათში არსად ჩანს, თუცის ოდნეადაც, რომ სოლომონს ოდესმე უძღურებინ ხანაც ქჷონია.

1757 წელი მეტად მძიმე იყო არა მარტო დასავლეთ, არამედ აღმოსავლეთ საქართველოსათვისაც, სადაც ძლიერი მეფეები — თეიმურაზ მეთრე და ერეკლე მეორე განაგებდნენ ქვეყანას. ლეკთა თავებში, რომელსაც ახალციხის ფაშა უსისინებდა საქართველოს, ძლიერი აწუხებდა ქვეყანასა ეკონომიურად განსაკუთრებით იმერეთთ იყო დაეყმული. ფეოდა უბედურობას ზედ დაემატა დიდი შიმშილი. ილაჯ გაწვევტილი ხალხი ვახლობასაც კი მიმართავდა. „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“ გვაუწყებს: „ხოლო წელსა ჩ ლ ნ ზ. ქობინიკოს უ მ ე, იქმნა ფრიად სყმილი, ესრეთ რომელ ერწა აზრდებოდენ მდელითა და ვანიბზენენ შრაეაღნი მცხოვრებნი“ (იხ. ზემოდ დასახ. შრომა, გვ. 304.) შიმშილი უფრო ნაკლებ აწუხებდა თურქებს, ოკუპანტებს. ასეთ ვარემოებაში სოლომონი შეიძლება იძულებულიც გახდა თავს დასხმობდა მათ ჯარებს. უოველ შემთხვევაში, ხრესილის ომის წინა და მომდევნო ხანა მეტად მძიმე იყო და როგორც მეფე, ასე ხალხი თავგანწირულებამდე მიდიოდა. ისტორიკოს პაპუნა ორბელიანს მოთხრობილი აქვს: „დაიშმა ჯავახეთი, მოვიდა ქარაეანი ჯავახეთიდან პურსათვის, დიდად ბევრი იყიდეს ქართლში, წაეიდნენ, დახედენ ქართლის მიწაში იმერელნი, ამოწვეიტნეს ჯავახნი, აიკლეს საქონელი..“ (იხ. პაპუნა ორბელიანის დასახელებული შრომა, გვ. 414). ეს ამბავი მოხდა ხრესილის ომის შემდეგ. 1758 წელს, რაც მარეენებელია ამ ომის შემდეგომი იმერეთის მძიმე მდგომარეობისა.

დასტოვა ისმალეთმა სოლომონის მოქმედება დაუსჯელად? რა მოხევა მათს მხრივ ხრესილის ომში მათს დამარცხებას? მიემართოდ ვერ ქართველ ისტორიკოსს. პაპუნა ორბელიანი ამაზედ შემდეგ საინტერესო ცნობას გვაწედას, თუმცა არ ამბობს, რომ ეს ამბავი ხრესილის ომში სოლომონის გამარჯვებასთან დაკავშირებით მოხდა. იგი სწერს: „ქენძახის ბატონი.. ლეკის ჯარით გაუსივა ფაშამ იმერეთის ქვეყანასა და დაპირდა ჯამავირსაც, ჩავიდა, ქუთაის(ს) ქვეით და ზეით სულ დაატყვეიეს, გააობრეს იმერეთი, შრაეალი იშოვეს. მეფე სოლომონმა შეხმა ვერ გაბედა, არც ქართველთ სთხოვა ჯარი, გელათის ეკლესია მამინ წახდა. ეს ნაშოვარი მოიტანეს ახალციხის ქვეყა-

ნსა, მისცა ფაშამაც ბევრი ლეკთა და გაისტუმრა დაღისტანსა (შანაშუნი  
(იქვე, გვ. 474).

ამგვარად, ბრესილის ომი რომ ბრწყინვალე გამარჯვება ყოფილიყო და მას ოქტანტებისაგან გაეწმინდა ქვეყანა, — ასეთ თავხედობას ფაშა როგორ გაბედავდა? ის გარემოება, რომ სოლომონმა მტერს შებმაჲ კი ვერ გაუბედა, საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ მისი ძალღონე ამოწურული იყო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებს მაშველი ჯარები ვერ საბოგა. რადგან საქართველის დროს მასაც საბოგდნენ ხოლმე თეიმურაზ-ერეკლე მაშველ ჯარებს, მაშინ კი ამის შესაძლებლობა სოლომონს არ ჰქონდა. ბრძოლაში შეუბედაობა იმასაც გვიჩვენებს, რომ მეფე და როსტომ ერისთავი კიდევ არ იყვნენ შერაგებულ-შეკავშირებულნი, რადგანც მავალითად ეს მოხდა ერთი-ორი წლის შემდეგ, როდესაც სოლომონმა დაღიანთან და ერისთავთან ერთად ერეკლეს ეშველა. 1759 წელს სოლომონის, ერეკლესა და თეიმურაზის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ლეკთა ბელადი კობტა. მაშასადამე, ამ დროისთვის სოლომონი მოძლიერებული ჩანს და ეს მოძლიერება უკავშირდება როსტომ ერისთავთან შორიგებას და შეკავშირებას. ოსმალთა მხრივ სოლომონის წინააღმდეგ წარმოებული რეპრესიების შესახებ უცხო წყაროებშიც მოიპოვება ცნობები. დიდი თურქოლოგი იოზეფ ფონ ჰამშერი გვაუწყებს, რომ აჩქარაშები ასე იმერლები პორტის უხდიდნენ სამას ქისას ფულად და აგრეთვე ვალდებული იყვნენ მონების გაყიდვისა. რომელთა რიცხვს ზღვარის ფაშა აწესებდაო. რამოდენიმე ხნის წინად ამ ხალხმა ტყვეების გაყიდვაზე უარი განაცხადა. თუმცა ხარკის ძლევის ისევ აღუთქვამდნენ პორტასო. იოზეფ ფონ ჰამშერი თავის ცნობებს იღებდა თურქი ისტორიკოსების თხულებებიდან და საარტივო მასალებიდან. ეყრდნობა რა თურქ ისტორიკოსს — ეასიფ ეფენდის, ჰამშერი გვაუწყებს, თითქოს ტყვეების გაყიდვაზე ქართველებმა უარი თქვეს რუსების ზეგავლენით, რაც, რასაკვირველია, სრულიადაც არ შეეფერება სინამდვილეს და თურქი ისტორიკოსის შეთხზულ მოსაზრებას წარმოადგენს. ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ჰამშერს არ აქვს აღნიშნული არსად ოსმალთა და იმერთა ომი ბრესილზე. ამის მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ ტყენდენციური ვრწოებებით გამსჭვალულმა თურქმა ისტორიკოსებმა თავიანთი დამარცხების ამბავი განგებ არ შეიტანეს საისტორიო თხულებებში. წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანელი ისტორიკოსი იოზეფ ჰამშერი ამ ამბავს არ გამოტოვებდა და თავის შრომაში მოიხსენებდა, რადგან საქართველოს შესახებ იგი ყოველთვის




ძალევა ცნობებს, თუ ეს ცნობები თავის შიდა თურქი ისტორიკოსების შრომებში მოიპოვებოდა. ჩვენ ვგვონია, რომ მის მიერ მოყვანილი ცნობა იმართა მიერ ტყვეების ვაჟიდის აკრძალვის შესახებ, ველის-ხმობს უმთავრესად ხრესლის ომს. (იხ. იოზეფ ფონ ჰამპერ „ოსმალეთის იმპერიის ისტორია“, ტომი მე-8-ე, გვ. 268, პესტ. 1832 წ. გერმანულ ენაზე).

მაგრამ მის შრომაში ცვათხელობით საინტერესო ცნობას ტყვეების ვაჟიდის აკრძალვით გამწვანალი ოსმალეებს რეპრესიების შესახებ. ევრდნობა ჩა იმავე თურქ ისტორიკოსს ვასიფ ეფენდის, ჰამპერი სწერს, რომ 1758 წელს ახალციხის ფაშა ჰაჯი ახმედი ლეკების დამხმარე ჯარებთან ერთად იმერეთს შეესია და მოსახლეობა ჩვეულებრივი ხარკის გადახდაზე ძალით დაიყოლია. მეფე სოლომონი ამის თაობაზე, ესე იგი ხარკის საკითხების მოსაგვარებლად ახალციხეში წასულა. მისთვის გამოუტყენიათ სამი ათასი თურქი, როგორც ხარკის ამკრებნი. გზაზე თურქები ძლიერ ცუდად ექცეოდნენ თურმე სოლომონს. მოაშინებინდნენ გამოსულმა მეფემ თავის ქვეშევრდომებს საიდუმლოდ გაუგზავნა სიტყვა, რომ უკენ ღამეში თავს დასაშობდენ თურქებს და კლდე-ღრეში გადაეჩეხათ ისინი. ასეც მოხდა. ამის გამო ჰაჯი ახმედ ფაშა ახალციხელი პორტამ ვადაიყენა. (იქვე, გვ. 268-69).

ეს საინტერესო ცნობა ემთხვევა ქართულ წყაროებს და დამატებით ნიუანსებსაც ვაწვდის, მაგალითად, სოლომონის წასვლა ახალციხეში და მისი შემდგომი მოქმედება. მიუხედავად ამისა, არც მომავალ წლებში ვიხილა სოლომონის მდგომარეობა მყარი და სახარბიელო. მის ბეჭედზე კიდევ ძველებურად ეწერა: „მონა ღეთისა, ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ“. ხარკსაც იხდიდა და იძულებით ხანდახან ტყვეებსა ჰყიდდა. ამიტომ სრულიად უმართებლოდ გვეჩვენება ნ. ბერძენიშვილის შემდეგი სიტყვები: „ხრესლის ომის შემდეგ მეფე შესამჩნევად გაძლიერდა. მისი ავტორიტეტი ძლიერ გაიზარდა“ (იხ. ზემოთ ნაშენები „საქართველოს ისტორია“, გვ. 391).

სოლომონის გაძლიერებაზე ლაპარაკი უნდა ეგუებოდეს და ემთხვეოდეს კიდევ ფაქტებს. ასეთი ფაქტები კი ამგვარი დებულების წინააღმდეგ შეტყველებენ. სოლომონი ხრესლის ომის წინა ხანაში შეიძლება მართლაც უფრო სუსტი იყო. ვიდრე 1758-1765 და 1770-1784 წლებში, მაგრამ განსხვავება ძლიერ უმნიშვნელოა. ვერ კიდევ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როდესაც იგი ახალი გამფლებელი იყო, მან ტახტი დაკარგა; იგი განდევნა საკუთარმა მშობელმა დედამ, საკუთარმა პაპამ — ლეენ აბაშიძემ და როსტომ ერისთავმა. ორი თუ



სამი წლის განმავლობაში იმერეთს განაგებდა ეს ორი მთავარი, დედოფალ თამართან ერთად (თამარი იყო ასული ლევან აბაშიძისა, ესე იგი სოლომონი დედის მხრივ აბაშიძე იყო). ამ გარემოებას თანამედროვე ისტორიკოსები რატომღაც უპერადღებოდ სტოვენენ. სოლომონი დედნულუბის ხანაში თავს თურქების ფრთების ქვეშ აფარებდა და სთხოვდა შათ ტახტის უკან დამბრუნებას, ხალხი აღუთქვამდა სამაგეროდ თავის უძურ ერთგულებას. თურქები ზედაედნენ რა, რომ იმერეთის მმართველი მთავრები — როსტომ და ლევან უკვე საკმაოდ გაძლიერდნენ და თურქთა ერთგულებაზე ხელის აღებას ლამობდნენ. ვადასწყვიტეს სუსტი ნებისყოფის, ბნედით შეპყრობილი სოლომონის კვლავ გაშეფება. გამოატანეს დიდი ლაშქარი იმერთა წინააღმდეგ და მშათა სიხლის მღვრელი ომის შემდეგ სოლომონმა ტახტი დააბრუნა 1753 წელს. თურქების „დაბმარება“ სოლომონმა არ დაიფიქცა და თავის ბეჭადზე დააწერა ის სიტყვები, რომელიც ზემოდ უკვე ეთქვიო. ამის ნაცვლად, რომ ამ ორ მძლავრ მთავართან მორიგებულყო, თურქების და ლევთა ბრბოებით სოლომონი შათ სანაპირო სოფლებს აობრებდა. (რატოს ერისთავს ქვემო იმერეთში 14 სოფელი ჰქონდა გარდა ამისა, რაც რაჭაში ეკუთვნოდა). მეფეს უგნური მიმოხეთქებით ვაგფულისებული ეს მთავრები არც სოლომონს აყრიდნენ ზეარს და ასე ნადგურდებოდა ისედაც განადგურებულ - აობრებული იმერთა ქვეყანა. შარტო ის გარემოება, რომ მშობელი დედა და პაპა არ თელიდნენ სოლომონის შეფობას სასარგებლოდ. — უნდა კმარებელიყო თანამედროვე ისტორიკოსებისათვის ფრთხილი მსჯელობისა და მიუდგომლობის გამოსამკლავებლად. ნაცვლად ამისა, ისინი საერთოდ უვლიან გვერდს ზემოხსენებულ ფაქტებს.

სოლომონის დროებითი გაძლიერება, ისიც ძლიერ უმნიშვნელოდ, ზრესილის ომის შემდეგ განაპირობა როსტომ ერისთავთან მორიგებამ და ზემა, მაგრამ როდესაც ეს კავშირი დაირღვა, სოლომონი ისევ დასუსტდა და ბოლოს ტახტიც დაეარგა. საქმე ამაში იყო, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი, ძე მამუკასი და მკვიდარი ბიძაშვილი სოლომონის, უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენდა დასავლეთ საქართველოს მთავრებზე, ვიდრე ავადმყოფი სოლომონი. დაიწყო რევოლუცია, რომელსაც სათავეში უმთავრესად ერისთავი და დადიანი უდგნენ. როსტომმა თეიმურაზს თავისი უფროსი ასული ანნა შერთო შეეღლეოდ და იგი ვეღვა მთავრების თანხმობით ტახტზე აიყვანა. სოლომონი ვაიქცა და ამგერად კლდე-ღრეში იმალებოდა, რადგან პორტამ ოფიციალურად, სავანგებო სიგელით იცნო თეიმურაზი იმერეთის მეფედ. ამგერად,



1765 წლიდან 1768 წლამდე თეიმურაზი მეფობდა იმერეთში და ამ იყო რუსტომ ერისთავის ძლიერების უმწვერვალესი ხანა. დედოფლად იმერთა ბრძანდებოდა მისი მშვენიერია ასული ანნა. ყოველი ღიდი ფეოდალის ოცნება ის იყო, რომ თავისი ასული დედოფლის ტახტზე შეკდომარე ეხილა და ამ მხრივ არც რუსტომი იყო გამონაკლისი, საკვირველი ისაა, რომ ნ. ბერძენიშვილს ერთი ხატყვად არა აქვს დამტული მთელს ამ ამბებზე, მიუხედავად იმისა, რომ მასალები საკმაოდ არსებობს, ქართულადაც და უცხო ენებზედაც (ვიულ-დენშტედტი, ვლაროტი, ჰამპერი, ბუტკოვი და სხვ.). როგორ შეიძლება სამი წლის ნათელ ამბავს ხაზი გადაუსვა და ისე წარმოადგინო, თითქოს მას ადგილი არც კი ჰქონია ცხოვრებაში? თეიმურაზი მეფობდა თითქმის სამი წლის განმავლობაში! და თუ ეინშე იტყვის, რომ იგი, როგორც თურქთა მიერ შეფედ ცნობილი, ქართველთა მიერ კანონიერი მეფის წოდებას არ იმსახურებს, — დიდი შეკდომა იქნება. განა თეთი სოლომონი თურქებმა არ დააბრუნეს ტახტზე 1753 წელს? ისტორია არ უნდა ივიწყებდეს არც ერთ დღეს ხალხის ცხოვრებასა, თუ ეს შესაძლებელია, განსაკუთრებით დაუშვებელია სამი წლის ისტორიული მოვლენების გაბიაზრება და მიჩქმალვა. დიმიტრი პირველის უფროსმა ვაჟმა დავითმა მამის შემდეგ მხოლოდ ექვსი თვე იმუფა და მოულოდნელად გარდაიცვალა, მაგრამ იგი ისტორიის მოუხსენიებელი არ დაუტოვებია. რამდენი შემთხვევა ყოფილა შემდეგაც მეფეთა ტახტზე ხანმოკლე ჯდომისა, მაგრამ ისტორიკოსებს ისინი არ დაუვიწყნიათ, მიუხედავად იმისა კარგნი თუ ცუდნი იყვნენ ის მეფენი. ქართლ-კახეთის მეფემ, ვიორგი მეთორმეტემაც არა სრული 3 წელი იმუფა. განა დიმიტომ მასზე არაფერი უნდა დაწერილიყო? ვიორგი მეთორმეტესაც სამეფო ნიშნები და „ღრამატა“ მეფედ ცნობისა უცხო რუსთა იმპერატორმა არ გამოუღზავნა?

1768 წელს სოლომონმა ტახტი დაიბრუნა უკან, მაგრამ საკუთარი ძალებით კი არა, როგორც ეს დღემდე მკვდაადაა გაბატონებული საისტორიო მეცნიერებაში, არამედ იმავე თურქთა დახმარებით! საქმე იმაში იყო, რომ მამინ თურქეთსა და რუსეთს შორის ძლიერ დაიძაბა მდგომარეობა, რაც ბოლოს ომის დაწყებით დავეირვებინდა. სოლომონი ამ მომენტში მივიდა თურქებთან. თავდაბლად შორჩილება გამოუცხადათ. დაიღვა ხარკი, ხოლო სამაგიეროდ შოთხოვა ტახტზე მისი აყვანა. პორტა ზედავდა რომ თეიმურაზი, რუსტომი და კათალიკოზი ბესარიონი მათთვის არ იყო სასარგებლო მმართველები იმერეთისა ამ მძიმე ხანაში, რომ სოლომონი მათ უფრო თავის ნებაზე დასაყოლიე-



ბელ პირად მიაჩნდათ, ამიტომ უმუხბოლეს, — როგორც შათ სტევი-  
დათ, — იმერეთის მეფე თეიმურაზს და სამხედრო ჩარევით ტახტი  
ისევ სოლომონს დაუბრუნეს. ეს იყო მათი დიდი შეცდომა, რაც სო-  
ლომონმა მტრე მათს წინააღმდეგ გამოიყენა და თავი საყმოდ რუსებს  
დაუდო. ამ ამბებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის იგივე თურქი  
ისტორიკოსი ვასილ ეფენდი და მასზე დაყრდნობით იოზეფ ფონ  
ჰამშერა (იხ. იგივე შრომა, გვ. 291-292 და 300).

ამგვარად, სოლომონ პირველის ძლიერებაზე ლაპარაკი ხრესი-  
ლის ომის შემდეგ, სადღეცელს მოკლებულია. იგი, შედარებით წინა  
ხანებთან, ძლიერი ჩანს რუსეთ-თურქეთის ომის (1768-1774) ხანაში.  
როგორც ზემოდ ვთქვით, სოლომონის პაროენების გაზვიადებას  
თვით რუსები და მათი მომხრე ქართველები უწყობდნენ ხელს. ასეთი  
მდგომარეობა გრძელდება დღესაც და თანამედროვე ისტორიკოსება,  
ზოგი ნებით, ზოგი იძულებით, სოლომონს ხატბას ასხავენ. სოლო-  
მონის რუსოფილური პოლიტიკა დაუდეს ამ ისტორიკოსებმა საფუძ-  
ვლად სოლომონისავე ქება-დიდებას. დღევანდელი საქართველოს  
ისტორიოგრაფია მოკლებულია თავისუფალ აზროვნებას; რუსეთ-  
საქართველოს დამოკიდებულება გამოცხადებულია პროგრესიულ  
მოვლენად, ვეღაფხერი რუსული — გაიჭალებული, ცამდე აყუ-  
ნილი! ასევე „ცამდე“ აყუანეს სოლომონიც, რომელიც უპირობოდ  
და არა საკადრისად ეწეო რუსეთს, როგორც ერისთავი და მისი ძმა —  
კათალიკოს-პატრიარქი სრულიად იმერ-აფხაზთა, რომელთაც წმინ-  
და ევროპული ორიენტაცია ჰქონდათ და ამიტომ რომის კათოლიკო-  
საც კი მიიღეს (მარტვი, 1751 წელს). — დღეს ქვეყნის მოღალატე-  
ებთან არიან გამოცხადებულნი! მართლმადიდებელი კათალიკოსი,  
ბესარიონ ერისთავი, იღებს კათალიკოსას! რატომ, რა მიზნით? მი-  
სი და მისი ძმის — როგორც ერისთავის ერთადერთი მიზანი იყო, რო-  
მის დახმარებით გამაგრებოდნენ თურქეთს და ხელში არ ჩავარდნოდნენ  
რუსეთს! ძველი იმპერია თურქეთისა შერყეული იყო და ინგრეოდა,  
მისგან თავის დახსნა რამოდენიმე ათეული წლების საქმე იყო. ხალხ  
ჩრდილოეთით შექმნილი ახალი იმპერია რუსეთისა კი სწრაფად აზ-  
რდებოდა, ძლიერდებოდა და მის უღელში თავის გამყოფი ადვილად  
ვეღარ გამოიძვრებოდა ქედს სათავისუფლოდ! ამას კარგად ხედავენ  
გონიერი და შიშის გამჭვრეტი ერისთავები, რომელთა სამთავურო ზედ  
ეჭრა ჩდილო კავკასიას, სადაც რუსეთმა თავისი დიდმკერობელური  
მოქმედება აშკარად გამოაჩინა და რასაც დაკვირვებულნი, დინჯნი  
რამდენნი კარგად ხედავენ, თუ არა დღევანდელი პოლიტიკური  
ვითარებით გამოწვეული ზედდაწილა ქართველ ისტორიკოსებზე,

სწავაიორად აუხსნელია რატომ აზვიადებენ რუსოფილ სოლომონს და რატომ ამბობენ რუსტომს.

საჭიროა კი არას სოლომონ პირველის მოდერნიზაცია სინამდვილით აღიწეროს. მოდერნიზაცია კვლევა-ძიება არა ერთსა და ორ დადებით მხარეს მოუწახვავს სოლომონს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს მისი სუსტი მხარეები ჩრდილში დაეყენოთ. მეორეხარისხიანი საუკუნის დიდი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი ვერ კიდევ მაშინ ავიდა ისტორიკოსის სინიდასის მაღალ საფეხურზე, იგი მეფეების კრიტიკას არ ერიდებოდა! მას ე.წ. მოდა, რომ სინამდვილის სწორი გადმოცემისათვის საჭიროა არც მეფის ნაკლი დაიფაროს, ისე, როგორც არ შეიძლება დაიფაროს ნაკლი დიდ ფეოდალთა, სოლომონის მამა-პაპის ვახუშტი არ ზოგავს იქ, სადაც ქვეყნისა და ხალხის წინაშე ისინი დამნაშავენი იყვნენ. ამ დიდ ისტორიკოსსაც ახასიათებს მთელი რივი ტენდენციური მსჯელობანი, მაგრამ მაინც ის იყო პირველი და ერთადერთი მონარქისტული ისტორიკოსი, რომელმაც დღის სინათლეზე გამოიტანა მეფეთა და მთავართა ნამდვილი რაობა. ამით მან გააჩლივტრადიციული მონური მორჩილების ფსიქოლოგიური ზღუდე, რომელიც ანტიურ და მის წინამორბედ ისტორიკოსებს ახასიათებდათ. სამწუხაროა, რომ ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსების უმრავლესობა ვახუშტის სიმბოლოებზე ვერ ავიდა. გამონაკლისია ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც ისევე ვარგად ესმოდა ისტორიკოსის მოვალეობა, როგორც ვახუშტს პარამიტრიაზმის ნატამალიც კი არ მოეპოებოდა ამ დიდ მეცნიერს. მას უნდა მიზიადოს ყველამ, ვინც ისტორიკოსობის კლამს ხელს მოკიდებს.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXX

## ა ქ ა ქ ი ს მ ო ზ ზ ა უ რ ო ზ ა

### რ ა ზ ა - ლ ი ბ ი მ მ შ ი

[44 წლისთვის აღსანიშნავად]


#### ა ე ვ ი შ ა ო რ ე ლ ი

დიდი მკონისა და მამულიშვილის ა ქ ა ქ ი ს მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში ისეთი გრანდიოზული და დიდებული იყო, რომ მასზე ხსოვნა, მოგონება, წერა, დღემდე არ შენელებულა კითხულობ ამ მოგზაურობას აღწერილობას, შესცქერი მაშინ გადაღებულ კანო-სურათს, უსძენ მომსწრეთა, მონაწილეთა და თანადამხდურთა ნაამბობს და აღტაცებული ხარ, სიამოვნებას გრძნობ, ჩემშიც, როგორც რაჭველში, დიდი იყო სიამაყის გრძნობა. მიხაროდა, ვტყუებოდი ვაგონილით და წაკითხულით. მაგრამ, ბედს ვემდებოდი, რადგან მე თვით ვერ მოვესწარი იმ დიდ ეროვნულ ლიტანიობას, ამ მშვენიერ სახალხო დერბულს, რომელიც ჩემმა სავაგარელმა რაჭამ ჩვეული გულწრფელობით და სტუქმართოვეარების მალალი შეგნებით ა ქ ა ქ ი ს ირგვლივ ჩაბა. ეწუხდი და ენანობდი, რომ ის ეროვნული აღფრთოვანება მეც ვერ განვიცაღე. სამაგიეროდ, ჩემი მშობლები, ნათესაები და მეზობლები, ჩემი თანამეტომენი და თანასოფლელები, როგორც რაჭაში, ისე თბილისში, მიაშობდნენ ამ არაჩვეულებრივი სახალხო ზეიმის ამბებს ისე ცოცხლად, ისე კარგად და ისეთი გრძნობით, რომ ყოველივე ცხადად შეხატებოდა თვალწინ. სადაც ზელი მიიწედა, ეისაც კი შეეხვედი და ვესაუბრე, ვეელასაგან ეიწერდი ნაამბობს და ცალკე რვეულში ვაგროვებდი მთელ მასალას. უხლაც ზნორად ვფიქრობ და გონების თვლით ვზომავ ა ქ ა ქ ი ს რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის ამბავს. ამ ფიქრებს იმავე ძველ, ქაბუჯურ სიხარულთან ერთად, ხანდახან სეუდა-კაფშნის ბინდი მოიცავს ხოლმე.

რატომ უნდა გვიკვირდეს საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში მოგზაურობის ამბავი? განა რა არის აქ ისეთი უჩვეულო და გასაოცარი, რომ ერთი აერზაური და ჩოსტოლი ატტებოთ? ჩვენი უბედურება, ჩვენი ეროვნული ნაკლი ისაა, რომ სხვადასხვა კუთხის ქართველები

ერთმანეთს კარგად არ ვიცნობთ, ერთი კეთილ მცირისაგან მოწყვეტილი და კარხაკებულია. ერთმანეთზე ძალიან ხშირად გამბრუნებული წარმოდგენისანი ვართ და ერთმანეთის ძმურა პატივისცემის გრძნობა გვაკლია. ამ მხრივ ისევე რაჭველები სჯობიან სხვებს! ისინი სხვა კეთილებს ავკარგს ისევე კარგად იცნობენ, როგორც თავისას. ისინი ყველგან მიდიან, მათთან კი თითქმის არაინი!! თუ რაჭველი სხვა კეთილს ქართველს მისსავე სამშობლო კეთილში, ადგილზევე აცნობს, თვით რაჭველს მხოლოდ რაჭიდან გასულს იცნობენ სხვები. ამიტომ, მათზე წარმოდგენა და დაფასება ხშირად უსრულაა. სამუშაოდან უკან დაბრუნებულ რამველ ღერგლებს, შვედლებს, ბეროებს, მხარხავეებს, მტვროავეებს, მეტურებს და სხვა ხელისნებს, თავის კეთილში თან მოაქვთ ამბები საქართველოს სხვადასხვა კეთილთა, უამბობენ შინაურებს, მეზობლებს, საზოგადოებს. თავიანთი კეთილური სამღერებისა და ცეკვების გარდა, სიამოვნებით მღერაან და ცეკვავენ მოძვე ტომებისასაც. მათ დადებით თვისებებს აქებენ და ბაძავენ, უარყოფითს ჰკილავენ და უკუაგდებენ. ასე იწრთენებოდა საუკუნეთა განმავლობაში საუკეთესო ქართული ბუნება რაჭველში. ამიტომაც რაჭველი ეროვნული შვენებით უფრო მალეა მდგომა. ამიტომაც, რომ მას ასე ადვილად ვერ ათქმევამბებ ძვირს სხვა კეთილზე, ამიტომაც მისთვის საქართველო ერთი და მილიანი. არც სხვა კეთილს შეილება აწყენდით რაჭველების სამავალითო თვისებებისათვის წაებათ, ამით თვითაც მოიგებდნენ და მთელი ერის წარმატების საქმესაც დიდად გააღონიერებდნენ. ამის ნაცულად ყველამ კარგად ვიცით შრომულ ადამიანთ რა კუდაბოკურად დასცნობან კიდევ, თაკილობენ მათსავეთ შრომის-მოყვარეობას და რაჭველების სიძინჯე-თავდაბლობას უკედო ამბარტენობასა და ენატარტალობას ამჯობინებენ! ამინ, გუტყვათ თქვენ, ის ერი ვერასოდეს ნამდილ წარმატებას ვერ მიაღწევს, რომელიც შრომას და შრომულ კაცს აბუხად ივლებს!!

რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ამა თუ იმ კეთილს მტკობრებლებმა დაქკრან ფეხი და გველანი სხვა კეთილში წაიღონ მათს ადგილობრივ გამაცნობადა. არა. ამას უნდა აკეთებდეს ინტელიგენცია, ერის მოწინავე ნაწილი, დაინტერესებული რაგითი მოქალაქე, როგორც ეს, მაგალითად, მიღებულია განათლებულ დასავლეთში და ამერიკაში. ქართველი შწერლები, ხელოვნების მეშაეობა, ეთნოგრაფები და მთელი ინტელექტუალური ძალა თანახარი ყურადღებით და პატივისცემით უნდა ეპურობოდეს ქართველ ტომებს, სწავლობდეს მათ ცხოვრებას და აცნობდეს ფართო მასებს. ამ მხრივ დღეს რაჭა ნამდილი ვერის უფლებებში იმყოფება, რაც მას არ დაუშახტრება!



ესა ჩვენი ძლიერი ჩამორჩენილობის მიზეზით გამოწვეული. ბოლშე-  
ვიკებს რომ ჰქონოთ, თანასწორუფლებიანობისათვის, ინტერნაციო-  
ნალიზმისათვის იბრძვიან, თითქოს ეს ვრძნობა საბჭოთა კავშირში  
უკვე შექმნეს. რა უნდა თქვან ქართველმა კომუნისტებმა ამაზე? პა-  
ტარა საქართველოში ვერ შექმნიათ თანასწორობა, ურთიერთ-პატი-  
ვისცემა და როგორ უნდათ მსოფლიო ინტერნაციონალიზმზე ოცნე-  
ბა? ამინ. ვაბრუნებ თქვენ, ვერ აშენდეს ინტერნაციონალი, ვიდრე  
ერი არ იქნება თავისუფალი და შინაგანად გამოთლიანებული.



ქართველი კაცი ზარმაცია, თავმინებებული, მასში ძლიერ სუსტია  
მოგზაურობის, თვალის გახელის, ბევრის ნახვის სურვილი, როგორც  
ეს ვერაძელს და ამერაძელს ახასიათებს. ამიტომაც ერთმანეთზე ან  
სულ არაფერი არ ვიცი, ან ძლიერ ცოტა და ისიც მახინჯად, ერთმა  
ჩემმა ნაცნობმა მიწინააღმდეგეობა ერთხელ მიახრა — რაქველი მეცნიერი,  
პროფესორი არ გამოგონია ჩემს დღეშიო. მე გამოვიტოვებ! თურმე მას  
(იგი მასწავლებელია) რაქველი მხოლოდ მეპურე, მეკურტზე, ან დურ-  
გალ-მჭედლად ჰყავს წარმოდგენილი და თუ ამ ტომსაც მოეპოვება საუ-  
კეთესო და მრავალიცოვანი ინტელიგენცია, ეს ზღაპრად მოაჩნდა.  
როდესაც უთხარა, რომ ცნობილი ძველი მეცნიერები ვასილ პეტრია-  
შვილი, დ. ბაქრაძე; აგრეთვე: დ. ყიფიანი, ივანე კერესელიძე, სოლ-  
რანაძე მამით რაქველები არიან, დაბადებულნი ქართლ-კახეთში, ან  
იმერეთში, — კნალიმ გადაირია. არ დამიჯერა. როდესაც უთხარი,  
რომ ცნობილი ბერძენოლოგი გრიგოლ წერეთელი რაქველი იყო, —  
აგრეთვე თანამედროვე დიდი მეცნიერები ალ. ჯანელიძე, ალ. თვალ-  
ჭრელიძე, კოტე ბაქრაძე, საელე წერეთელი (და ბევრი სხვაც დაუსახე-  
ლე, ვინც კი გამახსენდა) რაქველები არიან — გაკვირვებისაგან დიდ-  
ხანს იყო თვალდაბრუნებული, თან ეპვიით და ოდნავ დატინვითაც კი  
მომხერებოდა, წერეთლები იმერლები არიანო, ვაიძახოდა. მერე რა?  
რაქველებიც არიან, რა ექნათ, ჩამოვიღრმობთ თავი? ჯანელიძენი სამ-  
ტრედოელები არიან, გურიანშიც ცხოვრობენო, არ ისვენებდა „მასწავ-  
ლებელი“. იყვნენ და იტყვიან, ღმერთმა ზელი მოუძაოთოდ, მაგრამ  
რაქვაში რომ ჯანელიძეები ცხოვრობენ საუკუნოებით, დეე იმათაც  
მოვეთ უფლება თბილისში უნივერსიტეტის კათედრა ეჭიროთ. არ  
შეიძლება? მას ვტაცოდ ზელი და დავახარობთ. ის „მასწავლებელი“  
მამან ჩემი სტუმარი იყო და ზელს რომ ვერ შეეახებდი, თორემ სულ  
კონწისეკრით იყო გასაფდები სახლიდან! ვაბატე ეს უგნურება, მით

უმეტეს, მას რომ ჭიარი სჭირდა, ის საყოველთაო „ქართლის ქართალ“ მარტო მას ზომ ვერ დავსჯით ამ საერთო დანაშაულისათვის?



ჩატომ ვახსენე ყოველივე ეს? იმიტომ, რომ ასეთი ნაკლი სჭირდა და სჭირს არა მარტო დაბალი და საშუალო ინტელიჯენციის დიდ ნაწილს, არამედ შტატლსაც. ამისაგან თავისუფალნი არ იყვნენ თვით ერის დიდბუნებოვანი ძენიც, მათ შორის სულმნათი აკაკი ი. ი. იგი რაჭველებმა ჯერ კიდევ 1900 წლის ახლო ხანებში მიიწვიეს რაჭაში. აკაკი ი. 12 წლის განმავლობაში ზრდილად, მადლობით იცილებდა თავიდან ამ საყვირველ მასპინძლებს, რომლებიც გიჟქურად მისდგომოდნენ მას და მოსიყვრებას აღარ აძლევდნენ. აკაკი ი. რაჭაში მიწვევის საქმის თაოსანი იყო უბრალო მეპატრონე იოზა ისაკაძე. 12 წელი დასჭირდა მას და მის შემწევებს აკაკის დასაყვამულებლად. მე უბრა ვუთხარი კი მომდის ხანდახან, როგორც აკაკი ი. ზ. ე. ისე იოზა ისაკაძეზე. რას ეხვეწები? არ უნდა, ნუ უნდა, ჩამოგხსენი! წაგიდგეს სადაც სურს!

მაგრამ იოზა ისაკაძე ჩემზე უკეთესი გამოდგა. არ გატყდა მისი რაჭელი ნებისყოფა, გამძლეობა და ბოლოს აკაკი ი. მან რაჭის წინაშე, ისე ეთქვათ, „დაამოქა“. მოგზაურობის შემდეგ აკაკიმ რაჭა-ღმსახურს უძღვნა ასეთი პოემა, რომელიც მოზოდიშებასაც ნიშნავდა, მადლობასაც და მის წინაშე პატრიოსტებით მეხლის მოდრეკასაც. აკაკის ამისათვის ძალაც პუოფნიდა და შეგნებაც. თუკი ორი კუთხე თავისი ორასი ათასი მტოვრებით თავიანს სცემდა მას და მართლაც ფიანდაზად დაეგო ქვეშ, ვანა აკაკი ი. ს არ შეეძლო იგივე ჩაეღინა ხალხის მიმართ? დიაღ, იოზა ისაკაძე რომ ჩემსავით ფიქტი და მოუთმუნელი უოფილიყო. აკაკი ი. ისე ჩაივიდოდა სამარეში, რომ რაჭის შორიდანაც კი არ შეხედავდა. არამცოთ სტუმრად ეწეოდა!

12 წელი... ვანა საჩხერელ აკაკი ი. ს რაჭაში წასვლა ასე უნდა გასძნელებოდა? საჩხერიდან რაჭის საზღვრამდე ცხენით ერთი საათის სასიარულოც კი არ იქნება. შვითხველს მოვავაონებთ, რომ რაჭველებს სურდათ ილიას და ეთას მიწვევაც, გადადგეს კიდევ ნამიჯი, მაგრამ როცა დაინახეს, რომ ამ ორი კაბის ადგილიდან დაჭერას ღმერთიც ვერ შესძლებდა, ხელი ჩაიჭინეს. წარმოდგენილი ვაქეთ? კარის უფრის მუზობელი აკაკი ი. ძლივს 12 წლის შემდეგ აიძულეს მოგზაურობაზე დათანხმებულყო და რამდენი დრო უნდა მოსდომნოდა კახელების შემობრუნებას? აი ესეც კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი უბედურებისა. — თუმცა აკაკი ი. ს უფეარდა, შედარებით სხვებთან, მოგზაუ-

რომა, იგი ხშირად დადიოდა გორში, ქუთაისში, ერთხელ კახეთსა და სამეგრელოშიც კი ბრძანდებოდა, მაგრამ ეს მოგზაურობა მას არ აწყობდა, რადგან ეს ღებოდა მატარებლით. რაჭა-ლეჩხუმი კი მისთვის აღბად რაღაც მიუვალი რამ იყო. „თუ გული გულობს, ქადა ორივე ზულით იჭმებაო“, ნათქვამია. როცა ა კ ა კ ი ს გულში იგულა და იგულსმოდგინა რაჭა-ლეჩხუმი უხიფათოდ და საამოდაც კი მოიარა.

\*\*\*

კიდევ ერთი გარემოება: ა კ ა კ ი ს თავიდანვე რაქველებზე ყალბი შეხედულება ჰქონდა. 1912 წლის გაზეთ „თემი“-ს ერთერთ ნომერში ა კ ა კ ი ს წერდა: „რაქველები მძიმე გონების ხალხი შეგონა“-ო და სხარულს გამოსთქვამდა, რომ მოგზაურობის შემდეგ ეს შეხედულება სულ გამოქრაო. თუ რა სხარტი გონებისანი აღმოჩნდნენ მისი მასპინძლები ეს ერთი სამაგალითო ეპიზოდით აქვს ა კ ა კ ი ს ნაჩვენები იმავე გაზეთ „თემში“. მას ერთ სოფელში წარუდგინეს ღრმად მოხუცი გლეხი შისისაშვილი, რომელიც, თუ მესხაერება არა მალაატობს, 128 წლისა ყოფილა. იგი ა კ ა კ ი ს მიუყვანეს შორებში შემიგებულმა მოხუცმა შვილიშვილებმა. მოხუცმა ქუდი მოიხადა, თავი დაუტრია შგოსანს და ცრემლმორქული, მაგრამ ომახიანი ხმით მიმართა შემდეგი სიტყვებით: „შე მასოვს მოლაღატე გრიგოლ წერეთელი, რომელიც რუსებს ცეცხლითა და მახეილით შემოუძღვია რაჭაში და რუსმა ეს კეთზე დაიპყრო (ეს იყო 1820 წელს, გ. შ.). ვმადლობ ჩემს ყოვლად მოწყაელ ღმერთს, რომ მან მომასწრო მეორე წერეთლის ნახვას, რომელიც რაჭაში ოქროს კალმით შემობრძანდა“-ო. ა კ ა კ ი ატარებულა, აღტაცებულა ამ ბერიკაცის საღი გონებით, სხარტი აზროვნებით. მართლაც, „ებრალო“ გლეხკაცს ამაზე უკეთ რაღა უნდა ეთქვა, ისიც იმ ხნის კაცს? მას ახსოვდა საკუთარი ერის ისტორია, მისი ბრძოლები, მოლაღატე და დაუპატივებელი გრ. წერეთელი, რომელიც ვზას უჩვენებდა რუსებს და ეხმარებოდა რაჭის ამბოხების ჩაქრობაში. მან ნახა მეორე წერეთელი, რომელიც თვით რაჭამ დაჰპატივია და ეს წერეთელი ოქროს კალმით ეწვია ამ კეთხეს. შედარება: „მახეილი“-სა და „კალამი“-სა ძლიერ პოეტურადა.

რას ფიქრობდა ა კ ა კ ი სიტყვების — „მძიმე გონების“ ქვეშ? რაქველი რომ დინჯია, აუტყარებელი, ჩაინდული თავდაპურისა, ვანა ეს უნდა იძლეოდეს იმის უფლებას, რომ ისინი „მძიმე“ გონების ადამიანებად დაეხაზოთ? ასეა თუ ისე, ა კ ა კ ი ს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა რაჭაზე გაყალბებული შეხედულება. შეიძლება ესეც იყოს



მიზეზი იმისა, რომ მან თავის უახლოეს მეზობლებზე ცოტა რამ დასწავლა წერა. მას არ დაეიწვინა გურია („თამარ-კახელი“), სამეგრელო („ნათელა“, „ქიდაობა“), იმერეთი („იკიკოსის ნაამბობი“, „ნათელა“, „ორი ქართველი“, „ბაში-აქეი“ და სხვ.), და თვით ქართლ-კახეთიც („პატარა კახი“, იგივე „ბაში აქეი“, „ორი ქართველი“ და სხვა) და აფხაზეთი („გამზრდელი“). რაქაზე მას აქვს ერთი პაწაწინა მითხრობა: „დათუნა გოციბიძე და ივანე კვიციანი“, რომელიც იდენტური სიღრმით, პატრიოტული მოტივებით ვაცოლებით სჯობია „იკიკოსის ნაამბობს“, „ორ ქართველს“ და ზოგიერთ სხვას, ხოლო უტოლდება „გამზრდელს“. ამ ხანებში, აკაკის რომ რაქაზე გული ვაფთხო, ამ პატარა მითხრობის საცლად დიდი და მშვენიერი პოემის დაწერა შეეძლო. ესაა ამ პატარა ამბავს მის ქმნილებებს ხომ ვერ ამოუვინებთ გვერდით? ასე დარჩა ჩრდილში ჩვენი რაქა ა კ ა კ ი ს ა გ ა ნ, მაგრამ ის როგორღა ვ-ურთ ვაამტყუნოთ, როცა რაქა თურმე ღმერთ-საყ დაეიწვინა... ბებიაჩემმა — ფებრონია დავითის ასულმა ფონ-ჯავიძე-უტუქიძისმა მიამბო ერთი ასეთი ლეგენდა: თურმე, ერთხელ, იესო ქრისტემ თავისი მოწაფეებით მეორედ მოიარა საქართველო, მისი კუთხეები და ო ვ ა ხ ი ქალზე აკურთხა. როცა ქრისტე-ღმერთი და მისი მოწაფეები საქართველოს საზღვარს გასცდნენ, უცბად ერთმა მოწაფეთაგანმა წამოიძახა:

— მოძღვარს რაქა დაგჩა! — თურმე რაქაში მისვლა და კურთხევა დაეიწვინათ! შეეწუდა იესო, აღარც დაბრუნება ბერძნებოდა, ამიტომ მაკთობარმა პირი საქართველოსაც იბრუნა და იმ მხარეზე, საითაც რაქა ეგულებოდა, პერში უჯარი გამოსახა და სთქვა:

— რაქა როგორც დარჩა, ისე დარჩეს..”

ამ ლეგენდამ გული დამწეა. მაშინ ყმა ვიყავი; ბებოს ვკითხე, რატომ, ბებო, დააეიწვინა იესოს რაქა მეთქი. „არ ვიცი, შეილო, ღმერთის საქმე დიდია, მიუწდიოშელი, მაგრამ ის ყ ვამოგონია, რომ ჩვენ პირველ-ნაეტრახი ვართ და ისე დავრჩით, როგორც იესოს პირველ მოსელისას ვიყავით“-ო. ორივე დაეფიქრდით, მერე ბებოამ წაიღებინა რაქა: „მარცხ დაეიწვებელი არა ვართ? ჩვენში ოკრიბელი მკვებრტლენები თუ მოვლენ ქურების ვასაოდაღა. ან ზევიდან სუანი მოთბაეები თუ ჩამოვლიან, თორემ სხვა არავინ მინახავს ამ ჩვენს რაქაში“-ო. მაშინ ვთქვი გულ-ამოხეინჩეთ: „ბებო, მე არასოდეს არ დაეიწვინებ ჩვენს რაქას, არასოდეს“ მეთქი. ამაზედ ბებოამ გაიღიმა, ხელი მომხეია და მოთხრა, აბა ენახოთო, რა სიტყვის კაცი დადგებო, ბევრი მინახავს ჩვენებურიც, წაეა ოწაეღის, ვანათლდება, გამდიდრდება და მერე აღარ ახსოვს რაქაო, შენ თუ იკათიკებ, აი ენახოთო.



მგონდება ჩემი საყვარელი ბებოს ნათქვამი და ეხლა ეხედვე რამდენი სიმართლე იყო მის ნათქვამში! განა რაქველთა შორის არ იყვნენ ისეთნი, რომელთაც შეეძლოთ რაჭაზე ეწერათ და ამით ეს კუთხე ვაეცნოთ და შევეყვარებინათ ქართველისათვის? მაგრამ, ისე დიდია მათმა თავდაბლობის გრძობა, — ვიტყვი: არანორმალურად-კი, — რომ სასუგოდ მიანინათ თავისთავზე ლაპარაკი.. რა არის ს. . . ეგო ამაში? განა ვაჟა თავის ფშავზე არ სწერდა? განა ყაზბეგი თავის ხევზე არ გვიწერდა მოთხრობებს? განა ილია კახეთზე, აყაყი იმერეთზე და სხვანი და სხვანი, თავიანთ კუთხეებზე არ სწერდნენ და სწერენ ეხლაც? ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, საკუთარ ნაბუქში ჩაიკეტო და ცხვირს იქით სხვა აღარაეინ შენიშნო, მაგრამ თავის კუთხეზე წერა სასუგო კი არა, ჩვეულებრივი მოვლენაა მთელს ქვეყნიერებაზე.



ეხლა თვით მოგზაურობის ამბავს შევიხოთ. ლევან ასათიანი თავის კამბატაღურ შრომაში („ცხოვრება აყაყი წერეთლისა“, 1940 წ. თბილისი.) სწერს: „აყაყის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა თავისი გრანდიოზული მასშტაბით და საზოგადოებრივი რეზონანსით. ეს იყო ტრიუმფალური მსვლელობა ხალხის საყვარელი მგოსნისა. დიდი სახალხო ზეიმი, რომელმაც გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთში“ (გვ. 469).

ამოღონ მახარაძე თავის „ლიტერატურულ ნარკვევებში“ აყაყის მოგზაურობის შესახებ სწერს: „ძნელია აღწეროს ადამიანიმა ის საყოველთაო სახალხო საყვარელი, რომლითაც ვარემოცული იყო აყაყი რაჭა-ლეჩხუმში. აყაყის მიერ გატარებული დღეები რაჭა-ლეჩხუმის მშრომელი ხალხისათვის რაღაც არაჩვეულებრივ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. მთელი ქვეყანა მართლაც „ფიანდახად იყო ვაფეშალი“ და დაუსრულებელ ნადიმებზე, სოფლიდან სოფლებში, უანგარო საყვარულით თავს ევლებოდა მოამაგე პოეტს“ (იხ. აბ. მახარაძე: „ლიტერატურული ნარკვევები“, თბილისი, 1945 წ. გვ. 165-166).

ხოლო თვით აყაყი ამ რას სწერს:

„რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა და იმათი დახვედრა, სწორედ საარაყო და საზღაპრო რამ იყო. ვისაც თავისის თვალით არ უნახავს და თავისის ყურითაც არ ვაფეშონია ის, რაც მოხდა, იმას წარმოდგენაც არ შეუძლია ყოფილის: გაურჩევლად წოდებისა, სქესისა და ხროვანებისა, მთელი ორი მანრა ერთ პირად ფეხზე დადგა და ეროვნუ-



ღის აღფრთოვანებათ ლიტანიობდა მომავალს, თუმცა იმ ლიტანიობების კრება მოზარე მეც ეყვავი, მაგრამ, უნდა გამოეტყუდა, რომ მისი მკურნელიც აღმატებულია ჩემს ღვაწლს...

როგორც ბიბლია მოგვითხრობს, ერთხელ ფარაონის ძეგლი თავს იტყუებდა ნილოსის პირად და დაინახა, რომ წყალს მოქიჩნდა კალათი; შეგზავნა წინაარეში მკურნალები და დაატყრინა ის. შვი პატარა, ძალი დაბადებული ბავშვი იწვა შეეცოდა, იშვილა, დაუქირა ძიძა და წაიყვანა სასახლეში. იმ დროს ბრძანება იყო ფარაონის, რომ არ გამრავლებულიყვნენ ებრაელები ეგვიპტეში. ვაჟი, რამდენიც უნდა დაბადებოდათ, იმდენი მოეკლათ. ფარაონის ძეგლმა, რომ ბავშვი იპოვა, რასაკვირველია ურია იყო!.. აღბად დედამ ვერ გაიმეტა სასიკვდილოთ და რომ თვალით არ ენახა მისი სიკვდილი, წყალს გაატანა. ძე იყო თუ ისე, ადგილი საფიქრებელია, რომ ის ბავშვი იყო, შემდეგ მსოფლიოდ ვახტანგელი მოსე წინასწარმეტყველი. ის გაიზარდა დიდებულიად ფარაონის სასახლეში, შეისწავლა ყოველივე ეგვიპტური, მაგრამ სულითა და გულით კი მაინც ებრაელად დარჩა და როცა დამწიფდა გრძნობა- გონებით და ძალღონე იგრძნო, ააჯანყა ებრაელები, წამოუძღვა წიხ. გაიარა ზღვა შეწამული, ორმოცი წელიწადი დაბყავდა თავისი ერთ უღანსოებში და ბოლოს როცა მიაწია სინაის მთამდე აქიდან მიუთითა „აღთქმულ-ქვეყნისაკენ“.

უროვნულად უფრო შეგნებული რაქა-ლექსების ლიტანიობაც იმისი მომასწავებელია, რომ ისინი მოელიან ებრაელებსავით მოსეს გამოჩინებას, რომელმაც უნდა მიუთითოს მათ „აღთქმულ-ქვეყნისაკენ“. და რა არის ეს „აღთქმის ქვეყანა“, სავროვნო იდეალი? — ტუბილი, კეთილი და მშვიდობიანი მ ო მ ა ე ლ ი ... შილოდ სწავლა-განათლებლით და შრომის ოფლით, უსისხლოდ გამოწვეული და წარსულზე მონატარგი... (ავაკი წერეთელი: „მოთხრობები“, ტომი 4, პ. ინგოროვეას რედაქტორობით. თბილისი, 1948 წ. გვ. 702).



1912 წლის 17 ივლისს, მოგზაურობის ინციკატორებმა, — თბილისში მცხოვრებმა რაქველმა მეშენმა, ხელოსნებმა და ინტელიგენტებმა ავაკის მოუწვევეს დიდი ნადიმი, რომელზედაც იოზა ისაკიანმა მგოსანს საჩუქრად მიართვა ოქროს კაღამი წარწერით: „დიდებულ მგოსანს ა ე ა ე ი ს მისი მოსიყვარულე ტფილისში მცხოვრებ რაქველებსაკენ. ჩ მ ი ბ წ.\* რაქა-ლექსებში მოგზაურობის სახსოვრად“.

\* ესე იგი 1912 წ.



ნადიში შვიდი საათი გრძელდებოდა და მეტად სსსიამოვნო, დღესასწაული  
 წაუღებრივ ელფერს ატარებდა (პ. მახარაძე: „ლიტ. ნაწარმოები“ 1955  
 გვ. 165). ზქროს კალმის გადაცემისას იობა ისაკიძემ მოკლე, მაგრამ

გამგზავრების წინ, თბილისის რაქველენება ა კ ა კ ი ს დემუბედრო ნადიში გარემარჩი.




მგრძნობიერ-შინაარსიანი სიტყვით მიმართა მსოფიან მგოსანს, რომელმაც საპასუხო სიტყვაში თქვა: „ეს ძვირფასა ვალამი, რომელიც ძღვნად მომიტანეთ, ამტკიცებს თქვენს ჩემდამი სიყვარულსა და სიხარულს, მაგრამ ეს მარტო მე არ შეეუთვნის, იგი იშაბოცაა, ეინც ჩემს შემდეგ განაგრძობს“... აკაკის გული აღუწყვდა, თეაღზე ვერცხლი გადმოეცოდა და შემდეგ მორთოლვარე ხმით განაგრძო: „...იგი ნიშანია იმისა, რომ კელაე აეილო ხელში და ეიხმარო, მაგრამ მე ეელარ დაესწერ მის, რის დაწერაც მსურდა. დეე, სხეებმა შეასრულონ ეს“... (ლ. ასათიანი: „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, გვ. 467).

19 ივლისს დილით აკაკი და მისი თანამგზავრები თბილისიდან გავიდნენ. იმავე საღამოს ისინი ქუთაისს ჩავიდნენ. ქუთაისის სადგურზე აკაკის შეხება ადგილობრივი ინტელიჯენცია, რომელთაც აკაკის შესახებ ვერაფერად უკვე მოეზადებინათ საიტემრო „გრანდ-ოტელი“ და მსოფიანი პოეტი პირდაპირ იქ წაიყვანეს“ (აბ. მახარაძე, იქვე, გვ. 165).

21 ივლისს აკაკი წერეთელი ქუთაისიდან რაჭა-ლეჩხუმს გაემგზავრა. ამ დროს აკაკისთან ერთად მოგზაურობდნენ: აკაკის ძმისწული ეასილ წერეთელი, გრიგოლ დიასაშიძე (ვაზეთ „თემის“ რედაქტორი), იობა ასაკაძე, იოსებ შერკვილაძე, კონსტანტინე ქუთათარაძე და აკ. აბდუშელიშვილი. ქუთაისიდან — ვასილ პეტროაშვილი, სამსონ დათეშიძე და სხვ.“ (იქვე). აკაკის თანამგზავრებში იმყოფებოდა ვას. ამაშუელისც, რომელმაც მთელი ეს მოგზაურობა კინო-ფილმად გადაიღო და ამით უკუდაეპოო არა მარტო ეს გრანდოზული ეროვნული დღესასწაულობა, არამედ ამით მან საფუძველი დაუდო ქართულ კინომატოგრაფიასაც. — აკაკი ქუთაისიდან ჯერ ლეჩხუმისაკენ გაემგზავრა, რათა იქედან რაჭაში შესულიყო. თუმცა ანიციატორები და მოშწეობნი ამ მოგზაურობისა იყენენ შოლოდ რაქველები. მაგრამ მათ არ დაივიწყეს თავიანთი ტყუბი ძმა — ლეჩხუმი და დიდი მგოსანი იქაც ვაატარეს. ამასათვის ლეჩხუმლები მაღლიერნი უნდა იყენენ რაქველი თანამოძმეებისა, რომელთაც თავიანთი სახელი, სიხარული და აღტაცება მათაც გაუზიარეს.

აკაკის გამგზავრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. მოგზაურთ ლეჩხუმის საზღერამდის მიყვა თორმეტი ეტლი, ხოლო თეითონ აკაკის ეტლს, რომელიც ირგვლივ მორთული იყო ყვავილებით, გაბს ვრტყა ცტენოსანთა გუნდი. რომელიც სიმღერით მიყვებოდა პოეტს“ (იქვე, გვ. 165). ლეჩხუმლებმა დიდის ზემით მიიღეს, უმსაპანძღეს და გააკლეს რაქის საზღერამდე დიდი მგოსანი. მდინარე ასკის წყალთან, ხდის თავში, სადაც აღმართული იყო ტრიუმფალური თავი წაჩქერით: „რაჭა ფიანდახად გეშლება“. პოეტს შეხება აუარებელი ხალხი,



რომლებმაც იგი რაქაში ზეიმით შეიყვანეს (ლ. ასათიანი, იქვე, გვ. 469). — ზეიმქორეღმა ვლებებმა მეც მიამბეს შემდეგი აკაკის შეხვედრისა და პატრიისკემისათვის ძველი ციხის ნანგრევებიდან ვეებერთელა ჯაზიარი (დიდი თოფი) დასცალეს. რომლის ქუბილის გამოძახილი ჩოინის ზეობაში ისეთი ძლიერი იყო, რომ მგოსანმა თურმე შემერთალი ხმით იკითხა: რა ამბავია, რა მოხდაო!

რაქა-ლებებში აკაკიმ ორ კეირას დაპყო, აქედან თითქმის ათი დღე რაქაში. დამსწრეთავან გამოფონია, რომ მგოსანი მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ სტუროდა, რასაკეირეველია, ნეტარებით, კატო ფილიბეს ასულმა ვოცობიძე - ციციშვილისამ მიამბო, რომ აკაკის ძლიერ აკვობებდა და თანაც მტუად ახარებდა რაქველი ვლებების მახვილგონიერება და მკვეთრად ჩამოყალიბებული ეროვნული თვითშეგნება. ლეეან ასათიანიც გვაწვედის საინტერესო ცნობას, რომელიც აკაკის კორესპონდენტებთან საუბარში განუცხადებია: „ვეელაზე საინტერესო ის იყო, რომ ამ ზეიმში უმეტეს ნაწილად ვლებობა მონაწილეობდა... მე მგონია, რომ ის გამოღვიძება, რომელიც იქ იყო, მე კ არ შეეუფნის, ის სხვას ელის“.. (იქვე, გვ. 469-70)

ონში აკაკის ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ასზე მტუ ქართული ჭალი შეეგება, რომელთაც დიდი სტუმარი ზეიმით შეიყვანეს ჭალაქში. აქ იყო აკაკიმ რომ თავისი ერთერთი მასპინძლის, ჯაფარიძის სახლის კარებზე მიაწერა შემდეგი სიტყვები:

**სტუმართმოყვარეობა რაქველთა განთქმულია,  
მაგრამ სტუმრის ვულშიაც მათი სიყვარულია.**

ეს მინაწერი ზემოდან შესით დაფარეს, ჩარჩო ვაუკეთეს, რომ ეამთა ეითარებას ვაუძლოს, და ასე დაიცვან თაობიდან თაობამდე, ონშივე, დავით ვოცობიძის სახლში დიდი ნადიმი ვაუმართეს აკაკის. აქ იყვნენ რაქველი მესტიეობები: ზაქარია ურადე და ლუკა ტოფობიძე, ზაქარია გვიამბობს: აკაკიმ „მოითხრა: რამდენი კლასი ვაქეს დამთავრებული, რომ ამდენხანს ლაბარაკობ და ლექსი რ შემოგლეეია, მე ვუთხარი: „სკოლა შორიდან დამინახავს, თორემ შიგ არ ვყოფილვარ, ბატონო“. თავი ვაქენია და მოიწყენა, მე უცხათ გამოუთქვი ლექსი და სტეირზე დავამღერე:

**ახლა აკაკი დავლოცო, ზედ დევს ანგელოზის ფერი,  
ნახწავლი კაცი ბრძანდება და ვიცინის ეველიფერი.**

დედაშენს შენი გაზრდისთვის იქ დააყენოს ნათელი...  
 ამხანაგები ვიცოცხლოს შენი კეთილის მდიმედი,  
 რასაც გუნებთა ფიქრობ ნატვრა შეგისრულოს შემი".



1958 ა. კ. ა. ს. ახუგ მატა მანდილოსანი შეხვედა ერთგულ ტანსაცმელში გამოწეობილნი.



ჩემს მიერ შეკრებილი გადმოცემებიდან განაკუთრებით ჩამჩხა სლოენაში შემდეგი: ნიკორწმინდაში აკაკი დავით კანდელაკის სახლში მიიღეს სახლს თვალწარმტაცი ეზო აკრავს, რომელშიც საამო ჩრდილს ქქმნაან აწლოვანი ცაცხვის ხეები. ეს ეზო ზედ ეკერის ნიკორწმინდის დიდებულ ტაძარს, აკაკის ვეებურთელა ნადიში ამ ცაცხვების ქვეშ გაუმართეს. თამადად ამოიჩიეს ალექსანდრე სამოცეასოვი, ნიკორწმინდელი ვლენი, შთამომავლობით რუსი, მაგრამ სავსებით გაქართველებული, მეტად სიმპატური ადამიანი. მე იგი უკვე ღრმად მოხუცი მახსოვს. მან მიაშხო: აკაკიმ რომ შემატყო მეტად ბევრ ლენოს ესეამდი და ატანაც კარგად შემეძლო. — საზოგადოებას ხეშრობით უთხრა: „ძლიერ ერთი რუსი გაქართველებულა, თქვენ კი ისევ არტსებთ — ამღერ ლენოს ასმეეთო“. ამ სიტყვებზე უველამ გულიანად გააცინაო, მითხრა ბალოს აღ, სამოცეასოვმა (სოფელში „რუსიშვილსაქ“ უწოდებდნენ..). დავით კანდელაკი მე არ მახსოვს, არ მოესწრებოქარ, მაგრამ მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ლიდამ მიაშხო: აკაკის, როცა დასაძინებლად მოუსვენეთ, ფრთიანი ანგელოზის ტანსაცმელში გამოწყობილმა გოგონებმა სარკმელთან სძლის-პირული უმღერავს, რითაც იგი განუსაზღვრელად ასიამოვნესო. ჩემი მამამთილი, თადეოზ მღვდელი, აკაკის სამღვთო სჯულის მასწავლებელი იყო, ქუთაისში მოწაფეობის დროს, და როცა აკაკი პირველად შემობრძანდა, თავი მალა ასწია და აქეთ-იქით მიმოიხედა, თითქოს ვიღაცას ეძებსო, მერე ღიმილით თქვა: „ჩემი მასწავლებელი თადეოზ მღვდელი ლი რომ ცოცხალი ბრძანდებოდეს, დაუკითხავად თავის შემოყოფასაც ვერ გავებუდაიდი ამ სახლში“-ო. უველას გაგველომა, თვითონაც ღიმილით იქვე სკამზე ჩამოჯდა, მერე ეს სკამი ვადამალეთ, აკაკის შემდეგ ზედ აღარავის ესეამდით და ასე გვაქვს დაცული ეხლაც აკაკის სასოვერადა. — ქალბატონმა ლიდამ ეს სკამი ჩემი თხოვნით მაჩვენა კიდევ.

ნიკორწმინდაში ცხოვრობდა მოხუცი ონისიმე კობახიძე, რომელმაც აკაკის ლექსები და პოეზიები თითქმის უველა ზეპირად იცოდა, ამ ონისიმემ საინტერესო აშბაეი მიაშხო: აკაკი ნიკორწმინდელეებს ხარისთვლის ტბასთან ვაუვევანიით, მის ნაპირას ხის ქვეშ გაუმართათ ღზინი, სტუმრისათვის მიუტომვევიათ შორს სახელგანთქმული შორის კალმახი, ონისიმე ამ დროს წმინდა გიორგის შთაში ყოფილა. მწვემსებს აშბაეი ატტანით, აკაკი ხარისთვალზე ბრძანდებო. ონისიმე მაშინვე გამოტყუელა, ჩამოსულა დაბლა და მგონის სანახავად მისულა. მას ძლიერ უხაროდა: კონო-სურათში მეც მოხევედიო, მერე ქუთაისში



ენახე ზემი თავით, ხარისთვალზე შგოსნისათვის კარგი სიტყვა ეთქვა. ეთქვა მის ექიმ შამშე ლეივას და ოფიცერ აფრასიონ ენუქიძეს. სამადლო ბელადობა მის სიტყვაში აკავშირ სიტყვათ: „ღმერთის ვახოც, რაჭველებს სამადლოდ ერთი ჩაფი მელანი დამქირდეს“-ო! — ონისიმე კობახიძის მიერ მოწოდებული ეს ცნობა ძლიერ საფურადღებოა. ამ სიტყვებით აკავის სურდა ეთქვა, რომ რაჭველებზე ვეცდები იმდენი რამ დაეწერო, ერთი ჩაფი მელანი დამქირდესო.

მაგრამ უკვე გვიან იყო, აკავის ცხოვრების საღამო ახლოედებოდა, ის მალე გამოგვესალმა კიდევ. მან, დაღლილმა მოხუცმა, ველარ შესწლო თავისი დანაპირების ასრულება. მაგრამ მაინც მოასწრო დაეწერა მშვენიერა პოემა: „რაქა-ლენხუში“. რითაც მან ამ ორ კეთხეს საკადარი. ი მადლობა გადაუხადა, ეს პოემა შგოსანმა ერთ დღეში დასწერა თურმე, რაქიდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც „კოლხიდა“-ის კორესპონდენტმა შგოსანს ჰკითხა, როგორ შესძელით ასეთი მშვენიერი პოემის დაწერა ერთ დღეშიო, — შგოსანმა უბა უბა: დედა ცხრა თვე ატარებს ნაყოფს და ერთ დღეს შობს, მე ორი კვარა ეატარე ეს ნაყოფი ჩემს სულში და აა, ერთ დღეს ეშვიო.



საბედნიეროდ, ვაშინგტონში, კონგრესის ბიბლიოთეკაში მოაპოვება აკავის ნაწერების რამოდენიმე ტომი, ერთერთში შეტანილად ეს პოემაც. მოშავალში მას კალკე წიგნაკად გამოვცემო, ზენი შესავალი წერილით. მაგრამ, ზოგიერთ ტაეპებს ეხლაც გადმოვცემო:

რაქა-ლენხუში ავედი, მინდოდა მისი გაცნობა,  
სანსაობამ მომხიბლა და დაამონა მთლად გრძნობა!

ღმერთო, რა ენახე?! სასიზმრო და საბარაკო მხარეა:  
თუ თვით ედემი არ არის, ედემის შესადარია!...

ეს მიბეჯენია მთა და კლდე, რაღაც თვალ-უწიედენელია!  
ძირს ევაეილებით ნაქარგი, სუნნელი მთა და ეელია!

შოგ და შოგ მდინარეები, მოიკლავნიან ველადა,  
მოჩუბჩუხებენ ხმა-ტკბილად, რიონში ხასართეულადა.

ყოველ ნაბიჯზე წყაროა, მგზავრი რომ გაახაროსა  
და მწუხრეაღს მოავონებენ „უკუდაეებისა წყაროსა“.



სხვა და სხვა აბანოები გულუხვად დანათესია,  
 თუმც მთავე-წყალი ცნობილი, ვერ სხვებზე უკეთესია,  
 პაერსა სულს ჩამდგმელსა, კეთილად შეზავებულსა,  
 ნელსაცხებელად მიუძღვნის, დამაშერალს სულსა  
 და გულსა.

ნუ დაიბნეებს ნურავინ სხვა უკეთესსა მხარესა!  
 ვარსკვლავი ვველგან ბევრია, მაგრამ ვერ სწევდება  
 მთვარესა!!

ვინც აქ შობილა, გაზრდილა, მართლა რომ ბედნიერია!  
 კაცები თვალტანადები, ქალები — მშვენიერია!  
 ვაფრჩევლად წოდების, ხნოვანების და სქესისა  
 აქ ვველა ქართველებია, მიმყოლი ძველი წესისა.  
 არ ჰყარგვენ მამა-პაპებსა რაც კარგი რამე ჰქონიათ;  
 არ ივიწყებენ, ძველებზე რაც კარგი გაუგონიათ.  
 რაც მიუდგება მომავალს მას აფასებენ დიდადა  
 და წარსულს, როგორც საფუძველს უდებენ გზად და  
 \* ხიდადა.

შეუბოვარი ხალხია, მარჯვე გულ-გაფრთხელი...  
 ნუ ჰფიქრობთ უკუღმართობამ, რომ შეუშალოს მათ ხელი!  
 სალი კლდე, მთები მაღალი, მათ გულში ჩასახულია,  
 და ქართველობაც იმიტომ, აქ უფრო შენახულია:  
 როგორც ფუტკარი სათაფლო სიტყვოს დაეძებს სხვაგანა,  
 მოპტრებს და უბრუნდება ბოყეს, შინა აქვს თაფლის  
 მანქანა, —  
 ისე ეს ხალხიც შინ შრომობს, სტხოვრობს შეძლების-  
 გეარადა!  
 თუ სხვაგან წაეა სავაჭროდ შრომის თფლსა მღერის  
 ღვარადა.

და მოსაგები შემოაქვს, წმინდათ ახმარებს ყრასა:  
 ნატყუღმართი არ უნდა და მაღლობს ბედის წერსა,  
 საეროს ერსა ახმარებს, საღმრთოს, კი იხდის ღვთისთვისა  
 და გზა და ხიდი მით გააყავს პირდაპირ მომავლისთვისა,  
 აი, რა ენახე! რა ხალხი! ბოლოს დროს მოხუცებულმა  
 და სხვაგვარ აღაფრთოვანა მგოსანიც სულმა და გულმა.

შერე აკაკი მიდგება რიონის ნაპირას და მასთან სიუბარს გააბამს,  
რიონი საქართველოს უძველესს და ახლო ისტორიას უამბობს. ამის  
შემდეგ აკაკი ჭკობიას, რას ფიქრობს რიონი საქართველოს აწმყოზე,  
ახალ ქართველზე, რიონი პესიმიზტურ პასუხს აძლევს, ახლანდელი  
ქართველი მისთვის „არაფერია“. „წინაპრის არადილია“, მზადია ის,  
რაც წინაპრებმა თარ-ხმალით გადაარჩინეს და დოცეს, ფულზე გა-  
პყიდოს რიონი ჰგოდებს, საქართველოში ისე მომზადდნენ უცხო  
თვისლის ხალხი, რომ მალე ქართველს დასამარხი ადგილიც კი აღარ  
ეკნება. რიონის საფუძვლიან პესიმიზმს აკაკიმ არა ნაცლებ საფუძ-  
ვლიანი ოპტიმიზმი დაუპირისპირა. ეს ოპტიმიზმი კი აკაკის რაჭა-ლე-  
ჩხუმის ნახვამ აღუძრა. რიონს იგი ასე მიმართავს:

— არა, რიონო! ყოფილხარ  
ყოველთვის ქვირინა ერთგული  
და აწმყომ გამარადებულმა  
ვით გაგიტეხა ეს გული?

რომ შეიქრობ, მაგრე არ არის!  
შამევე სხვა მოსაზრებასა  
და მნახვ მომხელისაგან  
უშაღღეს ნეტარებასა.

ხანდახან ცეცხლი გაქრება  
და გაცოცდება კერაცა,  
გგონია სახლი იღუპვის  
და მისა ზეფის წერაცა;

მაგრამ რომ გაქქე კივ ნაცარს  
და გამოურჩრეე მას გულსა,  
იქ ნახვ ობოლ ნაკვერცხალს  
მიშაღღულს, მივაწევებულსა;

და იმ ნაკვერცხლით ზედ-ახლა  
ააფუზგუზებ კერასა,  
სახლი ვათბება და მწელიც  
ნათულს კერ აქლებს ვერასა.

ასეა ეროვნებაცა:  
ზოგჯერ ის შეღახულია,

მაგრამ სიცოცხლის ნიშანი  
ხადდაც კი შენახულია.

მოძებნა უნდა ამ ნიშანს  
და ქვაკუთხედად დადგება:  
ის აკვანია წარსულის,  
მყოფადი დასხადება.

ჩვენი ზეც ეროვნებისა  
დღეს ვხედავთ სკანება და ხმება...  
გრძნობას მგონია, მაგრამ კი  
გონება არ ეთანხმება.

ზეს რა ვაახშობს თუ მისი  
ფეხები კიდევ ვარჯია?  
და ზედაც მისი წარსული  
უბრაურად მონაქარგია.

რაქა-ლენჩუშში მოვინახე  
ის „ფეხვი“ „ნაკვერცხალითა“  
და წარმომიდგა მე კერა  
გაზადებული აღითა.

ის აღი მფენდა ნათელსა  
საერთოდ იმერ-ამიერ  
და ერთი ხმა-შეტკობობად  
იმღერდა: მრავალ-ეამიერს.“



ასე მშვენიერად გამოხატა ა კ ა კ ი მ ეროვნული იდეალის ფკედა-  
ვება, ერის სიცოცხლის მარადისობა და ამით იმედით აღაესო მომა-  
ვალი თაობებიც-კი, ღმერთმა შექმნას, სულმნათი მგოსნის მიერ გამოთ-  
ქმული იმედი არასოდეს გარდაქვეთოდეს ქართველს და მის უქმნი-  
მეს ისტორიულ ხანაშიც საქართველოს მარადიულობა უზრუნველ-  
ყოფილი; ხოლო ს ა ს ო ე ბ ა მარად უქცობად დატყენილიყოს!

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ზ ი რ ა ზ ი მ ი რ ა ხ უ ლ ი (ქართული შერთალი მეთე ხაუ-

კუნისა), პადდე ინგოროვუა, თბილისი, 1954 წ.



ალექსანდრე მანველიშვილი

გიორგი შერთლის მონუმენტალური თბულების („ქხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“) დაწერის ათასი წლის თავზედ თბილისში გამოვოდა, მასზედ ასევე მონუმენტალური ნაშრომი პ. ინგოროვუასა აღნიშნულ შრომაში. დიდი მუყაითი კელევა-ძიებისა და კეშმარტების პოუნის ნიადავზე, აეტოტი გვეელინება, როგორც სადკეთესო დამცველი ქართული ეროვნული კულტურისა და მეობისა.

ეს დიდი ათასგვერდიანი წიგნი, გაბეჭეულადაც ლირსეულად შედრება განხილული საგნის ათასი წლის ისტორიას. წიგნი შესდგება ორი ნაწილისაგან: ერთი ნაწილი შეეხება ისტორიულ საკითხებს, გარ. ხანძოელის ცხოვრებაში გათვალისწინებული ეპოქისას, და მეორე — მე-5-ე—მე-11-ე საუკუნეთა ჯეღ ქართულ სასულიერო პოეზიას.

რაკი კელევა-ძიების საგნად აეტორმა აიღო ვრიგოლ ხანძიელის ცხოვრება, ზუნებრივია მისი კელევა-ძიება უმთავრესად შეეხება შესხეთის ქვეყნებს და დასავლეთ საქართველოს. ამ ეპოქისათვის „აფხაზთა სამეფოს“. აქედან კი უფრო სპეციალურად ლაზიკას, ჩასაკვირველია, გამოტოვებული არ არა, არც ერთი მხარე საქართველოსა, რამდენადაც მთელი ერთი ინტერესები უკველათვის გადაჯაჭვული იყენენ ერთიმეორესთან. ამ შესანიშნავი თხზულების ვრცელი დაფასება მთელ წიგნს მოითხოვდა. ერთი წერილის მანძილზედ ეს შეიძლება განხილული იყოს მხოლოდ სქემატიურად და აქაც შეეცებით წიგნის უმთავრეს და მნიშვნელოვან ადგილებს.

**მესხეთი.** ამ ნაწილში ჯენს ურადღებს იქცევის ოთხი მთავარი პრობლემა: 1. — სამშალო საუკუნეთა ქართული კულტურა, 2. — შესხეთის ქვეყნების ტერიტორიის დადგენა, 3. — იბერიის სამეფოს განახლების საკითხი, ტაო-კლარჯეთის სამეფოს დაარსების სახით და 4. — ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშეების პრობლემა.

1. — დიდი ქართული კულტურა, შექმნილი სამშალო საუკუნოებში შესხეთის მხარეში, დაკავშირებულია იქ შექმნილ-განვითარებულ სამონასტრო მოძრაობასთან, რომელიც თავის მხრივ შედეგი იყო ბაგრატიონთა მეთაურობით იბერიის სამეფოს აღდგენისა და მისი კენტრის ტაო-კლარჯეთში გადატანისა. მაგრამ შესხეთის მხარეში სამონასტრო და საერთოდ კულტურული მოძრაობა ახლა არ იბადება, მისი გენეზისი იყო ჯერ კიდევ იბერიის ძველი სამეფოს ხანაში. ხოლო ახაბთა ბატონობის დროს ის განახლდა და განვითარდა. ამ ვარკომებაში, უცხო და ზოგიერთ ქართველ მეცნიერთა შორის, შექმნა მეტად ყალბი წარმოდგენები, თითქოს ეს მხარე ანტიურ ხანაში უაფილიყოს უცხო ტომთა ხელში; მათ შეექმნათ იქ სათანადო კულტურა და ახალი, განახლებული ქართული კულტურული მოძრაობა მასზე უაფილიყოს აშენებული.

პელე ინგოროყეამ საბოლოოდ გაანადგურა ეს ყალბი შეხედულებები და ნათელყო, რომ შესხეთში ქართული კულტურული მოძრაობა დაკავშირებული იყო ვროვნულ საწრისებთან და არა იქ ვიღაცების მიერ დამყარებულ და მერე ქართველთაგან მითვისების ფაქ-

ტზედ, ავტორი სამართლიანად ამტკიცებს, რომ მესხეთის მხარე, რომელიც იყო ნაწილი დიდი ივერიის სამეფოსი, თავიდანვე ურადღებებს იქცეოდა ქვეყნის მესვეურებისა, და უოველი ევლტურული თუ პოლიტიკური მოძრაობა პირველი აქ პოულობდა გამოძახილს. მაგ, პირველი სამონასტრო მოძრაობა თუ საეკლესიო აღმშენებლობა მესხეთში იწვება ქრისტიანობის დამთერების დლიდან. ეახტანგ გორგასლანის დროს აქ უკვე ჰხედავთ ქართულ ეკლესიებს. ეს ტერიტორია იყო დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი სამეფოსი, მუდამ დასახლებული ქართული წარმოშობის ხალხით. მაკ, შერატენალი ჰქონდა ძველი ანტიურ-წარმართული ევლტურა, რომელიც საფუძვლად დაედვა, განახლებულ ქართულ ევლტურას, ქრისტიანობის ნიადაგზე შექმნილს. ამ დარგში, პ. ინგოროვეამ არა ერთ პრობლემატურ საკითხს, ხშირად მამართულს ქართული ერის ღირსების დამცობებისაკენ, მათელი მოპუნა და გვიჩვენა მისი ნამდვილი სახე. მან დიდი ტრუდიციითა და პატრიოტული გრძნობით ამხილა ის ტრუ შეცნიერები, რომელთა მიზნს ისტორიის ჰეშმარტი ვლევა - ძიება კი არ შეადგენდა, არამედ ისედაც მტრთაგან მრავალ-ტანჯული ქართული ერის ძველი დიდების დამახტვა. ან სხვებსადში მიწერა. აქ ავტორი გვევლინება, როგორც შეცნიერი მხედარი, რომელიც იკავს მამაძაბათა მიერ სისხლით პორწეულ მიწას და მით გამოხიერებულ ნიადაგზე შექმნილ ქართულ ევლტურას, სიმართლის და ისტორიულ ჰეშმარტების საფუძველზე.

2. — ველა ამ საკითხების შესწავლა დაკავშირებული იყო მესხეთის ტერიტორიალურ პრობლემასთან. აქაც, მესხეთის დიდი ნაწილის ეთენილებსზედ, როგორც ანტიურ ხანაში ასე საშუალო საუკუნეებში იყო ცილაობა მკვლევართა შორის. უფრო ხშირად, ქართული ტერიტორიები ქართულივე მოსახლეობით, გამოცხადებული იყო უცხოთა ეთენილებსად. პ. ინგოროვეამ ადგილობრივ შესწავლა ეს ტერიტორიები და დასაბუთა, რომ ისინი უოველთვის პოლიტიკურად და ევლტურულადაც დედა - საქართველოსთან ივენენ დაკავშირებულნი. ავტორს გარკვეულად აქეს აღნიშნული ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ესა თუ ის მონაკვეთი ქართული მიწისა მეზობლებს უფარდებოდათ ხოლმე ზელში.

აქ საამოვნებით მინდა მოვიგონო ერთი ამბავი უახლოესი წარსულიდან და შეითხველს ვახოე შემინდოს გადახვევისათვის. ეს შეეხება ჩვენს მიერ გამოთქმულ აზრს 1938 წ. განსვენებულ ზურაბ ავალიშვილთან პოლემიკაში. რაც დღეს დასაბუთებული წინ გვიდევს პავლე ინგოროვეას გამოკვლევის წეალობით. — ზ. ავალიშვილმა მამინ

სამხრეთის ზოგიერთი ნაწილი და კერძოდ ლაზეთი ქართული კულტურის გარედ გამოაცხადა. ერთი ნაწილი ქართველ პატრიოტთა მას-გაუჩივდა. მიუხედავად ჩვენი უღრმესი პატივისცემისა აღნიშნულ მუცნიერისადმი, 64 გვერდიანი პროშურით სსსტკად გავაყობიეთ მისი უსაფუძვლო შეხედულებანი (იხ. ჩვენი „საქართველოს საზღვრები“, 1938 წ. პაროზი.). ემიგრაციაში ეს იყო ერთი განსაკუთრებული მოვლენა, რომ ჩვენი გამოსვლა გამართლებული იყო მთელი ემიგრაცია, მიერ, მიუხედავად ჩვენი პოლიტიკურად ურთიერთ დაპირისპირებისა.

ამ წიგნში, დამოუკიდებლად ყველა ამ საბუთები ა. რასაც ჩვენ ვეცნობით პ. ინგოროვას წიგნით იგივე აზრა გამოეთქვით მესხეთის ტერიტორიებზე და განსაკუთრებით ლაზეთზე, რომელსაც ზურაბ ავალიშვილმა ასე მკარად დააჭირა კბილი. ჩვენი დასკვნები ასეთი იყო: „დიდი უსამართლობა იქნებოდა აგრძედე ლაზეთს ქართული კულტურის გარედ გამოცხადება... ლაზეთი პოლიტიკურადაც და კულტურულადაც მთელი სოცენების განშეღობაში დარჩნენ ქართველ ტომებთან და დოდა საქართველოსთან ერთად... მისი პოლიტიკურად სბოლოოდ მოწვევა მაინც ამ ხანში ხდება. როდესაც მთელი სამსტე - სათაბაგო ოსმალებს უვარდებთ ხელში, აი რა უნდა ვიყოდეთ ლაზისტანზე, ე.ი. ის პოლიტიკურადაც და კულტურულადაც მუდამ ჩვენთან იყო.“ (იხ. ჩვენი „საქ. საზღვრები“, გვ. 51-52. შეადარე ქვემოთ პ. ინგოროვას დასკვნებს.)

ეს ამბავი ნათელს მყოფს, რომ მუცნიერნიც და პოლიტიკოსნიც ამ საკითხს უაღბად აყენებდნენ. ხოლო ის იქამდე შინაშენლოვანია და აქტუალურიც, რომ ამ მხრივ პ. ი. გამოკლივა იღებს აქტუალურ პოლიტიკურ ღირებულებასაც, ქართველთა შეგნებაში, რანაირაც არ უნდა იყოს მისი შესაძლებლობანი, მუდამ უნდა სკოცლობდეს ქემ-მარტი ცნობა ჩვენი მიწაწელისა.

აქვე უნდა გაეისხნოთ: საქართველოში, პოლიტიკურად ამ საკითხზე ქართველები შოლოდ ერთხელ ალაპარაკდნენ მეორე შოაფლიო ომის შემდეგ, სახელდობრ 1946 წელს. მაშინ ქართული ემიგრაცია მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამიტომ თავისი აზრი ამ საკითხზე ვერ გამოთქვა. რასაც მაშინ ვფიქრობდით და შემოხვევა არ მოგვია ვეთქვა, ახლა ვიტყვი, რადგან მას უშუალო კავშირი აქვს ჩვენი დღევანდელი მჯელობის საგანთან.

1946 წელს ქართველი მუცნიერების — სვ. ჯანაშვიას და ნ. ბერძენიშვილის მიერ საკითხის დაყენება, თავისთავად სამართლიანი, იყო


უადგილო და ნაკარნახევი მხოლოდ მოსკოვის პოლიტიკით, და საქართველოს გელისტკეილით გამოწვეული მიზანი, რომ საქათბის პოლიტიკური განაღდება ყოფილიყო. მეცნიერები კი არ უნდა აღეპარაკებინათ, ის მთაერობს უნდა აღეძრა. ეს საყთბი, ზემოდ აღნიშნულ პოლემიყასთან დაეპარებით. ჩვენ ქართულ მეცნიერებზედ თითქმის ათი წლით ადრე წამოყავენეთ, მაგრამ უცხოეთში თეორიულ მსჯელობას რა შედეგი მოჰყვებოდა? მაგრამ მაშინ რუსებისათვის ამის სულ სხვა მიზანი ჰქონდა, ის იყო მხოლოდ ანგარიშების გამოსწორებელი გროში. რადგან ადგა სრუტეების საყთბი ოსმალეთთან.

მოსკოვს რომ ამის რეალური ინტერესი ჰქონოდა დროე მოგზოვბოდა და საშუალებაც მისი შესრულებისა. მაგრამ სტალინი თე სიყედილინ შემდეგ გაქართველა. ამ დროს ის რუსი იყო, მხოლოდ მოსკოვის ინტერესთა დამცველი. და რის შესრულებაც მოსკოვის დამლომატიოთა და ჯაგშოსანი დივიზიების საშუალებით ვერ შესრულა. ორიოდ სავაზეთო წერალით რომ ვერ მაღწევედა. ეს მოსკოვმა კარგად იცოდა. თ რატომ არ იყო საქირო მაშინ ჩვენი გამობზაურება, რომ ამით ჩვენ კოდეე ერთხელ მოსკოვის წმინდა რუსული ზრახვა არ გავეეშვებინა. და ბოლოს სამართლეე ხომ უნდა ითქვას. 1921 წ. თურქებმა საქართველოს ტერიტორიები დაეყავეს პოლშევიეების (რუსების) ნებითა და სურვილით. ეს მოხდა 16 მარტს. 1921 წელს მოსკოვში რუსეთ - ოსმალეთს შორის დადებული ზღვშეკრულების ძალით. მასსადამე მოსკოვის დამბობლი, მოსკოვზე უნდა მოეთხოვა...

მაგრამ ეს ყოველივე წარსულს გეუთენის. დღეს რომ საქართველო ეროვნულად იღვიძებს, ეს არაეისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. თემცა ქართველთა ერთი ნაწილი, იქ, საქართველოში, იძულებით და სამწუხაროდ აქ, ემიგრაციაში, ნებით მოსკოვისადმი ლოიალობის ბურუსშია გახვეული. მაგრამ დრო ამასაც განაბნევეს და ქართველი თაეის ნამდვილ სახესთან. შეივნებს თაეის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებსაც.

პაეღე ინგოროეეას სწავლება საქართველოს სამბრეთის საზღვრების შესახებ, მასზედ ჩვენი უფლებებისა და სხეათა შესახებ, უნდა გაბდეს გამოღვიძებული ერის ახალ თაობათა სახელმძღვანელოდ. და აქ კოდეე ერთხელ პ. ინგოროეეა გვეელინება არა როგორც მარტო მეეღეეარბი. არამედ როგორც მასწავლებელი ერის სეე-ზედო, განმგებელთა.

3. — პაეღე ინგოროეეამ ნათელი მოკვიინა აგრეთვე ერთ დიდ სა-



კითხს ჩვენი ისტორიისა. ის წარმოადგენს, რომელიც აქამდე ბატონობდა იბერიის სამეფოს გაუქმებისა (მე-რე ს.) და შემდეგ არაბთა ბატონობის დროს ტაო-კლარჯეთის სამეფოს შექმნის შესახებ, ავტორმა ძირიანად შეაჩვია. რანაირიც არ უნდა იყოს მისი დაფასება, ლოლიკა გვეუბნება, რომ ამ საკითხზე ისტორიულ მეცნიერებაში გამატარებული შეზღუდვები ევლარ აკმაუფილებდა საღ ვონებას. პ. ინგოროვეა სკდილობს ამ ბურუსის გაბნევის. მისი მტკიცებით ტაო-კლარჯეთის აშხაგი არ იყო ჩვენი ისტორიის შემთხვევითი, ეპიზოდური რამ. ის იყო გავრძელება ძველი იბერიის სამეფოს ტრადიციის ბავრატონების მეთაურობით, რომელიც ავტორის აზრით იყო განშტოება ძველი იბერიის მეფეთა, ფარნავაზიანთა დინასტიისა. რომ აშოთ კურაპალატის გეგმები იყენენ რთული და ლბამდ ნაანგარიშევი, ვიდრე აქამდე გვეგონა ჩვენ. არტანუჯის აშხაგი იყო გარეგნული მხარე პრობლემისა. ფაქტიურად, ეს იყო იბერიის სახელმწიფო ცენტრის გადატანა სამხრეთით. შემდგომში ისტორიულმა მოვლენებმა ნათელშევეს, რომ აშოთის გეგმა იყო გენიალური და მასმა შემკვიდრებმა ის გენიალურადვე დააბოლოვეს. რომ ამ ორი დიდი მეტოქის, არაბთა და ბიზანტიის შეჯიბრის მიჯნაზე დაფუძნება იბერიის სამეფო ცენტრისა იყო საუკეთესო პარობა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და კვლავ განახლებისა. მაშინ როდესაც ძველი ცენტრი განიცდიდა არაბთა მუდმივ დარბევას, ხოლო თბილისის დარბუნება შესაძლებელი გახდა მეთორმეტე საუკუნეში, ესე იგი მაშინ, როდესაც მთელი საქართველო გაიწმინდა ბერებისაგან. ამ საკითხის შესწავლის დროს ავტორმა ყურადღება მიაქცია მთელ რთვ პატარა საკითხებსაც, ხშირად გაურკვეველთ, ან ბუნდოვნად წარმოდგენილთ ქართულ წყაროებში. რანაირი დამაჯერებელიც არ უნდა იყოს მისი არგუმენტაცია — უდაოდ ამ გამოკვლევას შეუძლია დიდი სამახტური გაუწიოს ჩვენს საისტორიო კულევა - ძიებას.

4. — ერთი ლეგენდით, ბავრატონთა გვარი მოდის ებრაელთა მეფის დავითისაგან. მეორე, არა-ნაელებ ლეგენდით, რომელიც ბევრმა ჭეშმარიტებით აქცია და სომხებისათვის ხომ ის შეურყეველი გახდა, ბავრატონები წარმოშობით არიან სომხები. სერიოზულ ადამიანს არ სწამდა ეს ლეგენდები, და მათ ანიჭებდენ მხოლოდ იმ ღირებულებას, რაც შეიძლება მიეკუთვნოს ლეგენდას. ზურაღე შედარებითაც სწანდა, რომ ბავრატონების წარმოშობის საკითხი ნათელი არ იყო აღნიშნული ლეგენდებით. პ. ინგოროვეამ მას უძღვნა საუკეთესო თავი, მოგვყავს ავტორის მხოლოდ მთავარი დებულებები.



ა. — ბავრატეონთა გვარა წმიდა ქართული წარმოშობისაა. ეს არის განშტოება ძველი იბერიის ფარნავაზიანთა დინასტიისა. ბავრატეონების სამფლობელო თუ სივამცებლო, ანტიური დროიდანვე ყოფილა მესხეთა. ისინი თველებოდნენ აქ იბერიის მეფეთა პიტაქშეზად. ზოლო ეს სახელწოდება მიეკუთვნებოდა მნიშვნელოვანი მხარის მმართველთ. ასეთებად კი უფრო სამეფო გვარიდან ინიშნებოდნენ. ასე რომ იბერიის სამეფოს უმცროსი შტო იყო მმართველი მესხეთისა. და როდესაც სპარსელებმა გააუქმეს იბერიის სამეფო და აღიკვეთა მეფეთა გვარის ძირითადი შტო, ამ დროს უმცროსი შტო, მესხეთის პიტაქშეზის სახით ნელნელა ხელთ იგდებუ შედგობას ავტორი ცდილობს მისი დებულებები დასახუთოს და შეამოწმოს არა შარტო ქართულ — ბერძნული და სხვა წყაროებით. არამედ უხვად იყენებს მის დასახუთებაში თვით სომხურ წყაროებსაც.

ბ. — რაც შეეხება სომხეთა ბავრატეონებს, ინგოროეცას აზრით, ისინი არაან ღვიძლი ძმები ქართველი ბავრატეონებისა. მათი გაბატონება სომხეთში მოხდა შემდეგნაირად: რაცა მთელ მესხეთს ბავრატეონები განაგებდნენ, ცალკე თემებშიც, მოსალოდნელი იყო, ერისთავებად ამავე გვარის წევრები ყოფილიყვნენ. სომხს ბავრატეონთა გამოყოფა ანტიურ ხანაშივე მომხდარა. „როდესაც სომხეთში შეიერთა იბერიის სანახრო სერის მხარე“ (პ. ო. გვ. 91). ბავრატეონების ერისთავები შერბენ სომხების მიერ დაპყრობილ მხარეს. შეტცი, თვით ქართული მოსახლეობაც სომხეთში მოქცეული, მრავალ საუკუნეთა მანძილზედ ქართულ ენაზე ლაპარაკობდა, ნელნელა მოსახლეობაცა და მათი ერისთავი ბავრატეონებიც გასომხდნენ. ნელნელა გააფართოვეს მათი სამფლობელო სომხეთში და ბოლოს გახდნენ მეფეები ჯერ ნაწილისა და შემდეგ მთელი სომხეთისა.

**დასავლეთ საქართველო.** ამ მხარე ისტორია კიდევ უფრო სუსტად არის შესწავლილი და აღნიშნულ ხანაზედ აქამდე გაბატონებულ მეზედულებათა შორისაც პ. ინგოროევამ შეიტანა მრავალი შესწორებანი. მან ზოგიერთი ორიგინალური დებულებებიც წამოაყენა.

ამ ხანაში დასავლეთ საქართველო „აფხაზთა სამეფოდ“ იწოდებოდა. საისტორიო მეცნიერებაში გაბატონებული იყო ის აზრი, რომ ეს სახელწოდება იყო შედეგი აფხაზთა დინასტიის გაბატონებისა მთელ დასავლეთ საქართველოზე. პ. ინგოროევას დებულებებია: აქაც მოხდა ისეთი ამბავი, რაც ტაო-კლარჯეთში, ლაზიკის სამეფო ცენტრი აფხაზეთში იქნა გადატანილი და ბერძენთაგან დას. საქართველოს განთავისუფლება აქედან დაიწყო. აფხაზთა ერისთავების ხელმძღვანელობა



მით, რაც არ ნიშნავდა დას. საქ. დამყრობას აფხაზთა მიერ. „დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო დაარსებული ყოფილა არა უცხო ტომის მიერ (დამყრობის შედეგად), არამედ დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო შექმნილი იყო ქართველი ტომების მიერ და ერთერთი ამ ტომთა შორის იყო ქართველი ტომი აფხაზები“. (იქვე, გვ. 294).

ავტორს ისტორიული აფხაზები მიაჩნია ქართულ ტომად. „აფხაზები და აფხაზეთში მოსახლე სხვა ტომები (აბსილები, მისიმიანები, სანახები) — ეს ისეთივე წმინდა ქართველი ტომები იყვნენ, ქართული წარმოშობისა, ქართულის დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართველი ტომები — ქართველები, შვეგრელები, სვანები.“ (იქვე, გვ. 116).

3. ინგოროვეს მტკიცებით, სიტყვა „აფხაზი“ მომდინარეობს სიტყვა „მესხისაგან“. აფხაზის თავდაპირველი სახელი ყოფილა მესხი. მამსადაამე აფხაზები უნდა წარმოედგინათ, როგორც ნაწილი საერთოდ ქართველ მესხთა ტომისა. (ეს არ უნდა შევუფასოდ იმ ენათ. რომელზედაც დღევანდელი აფხაზები ლაპარაკობენ. ა. მ.).

ავტორი ამ დასკვნამდე მივიდა აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელთა შტად ერცელი და დეტალური ანალიზით. ყველა ეს სახელები ყოფილან ქართული წარმოშობისა. ამგეადა, მთელი დასავლეთ საქართველო, ანტიურ ხანსა და საშუალო საუკუნეებში დასახლებული ყოფილა ყველა ქართველი ტომებისაგან. „აფხაზეთის ტერატორია... ისტორიულად ძირეული ქართული ქვეყანაა. ანტიკურ ხანსა და საშუალო საუკუნეებში იგი დასახლებული იყო ქართული ტომებით, სახელდობრ იქ მოსახლეობდა ქართველ ტომთა სამი შტო: მესხები (იგივე აფხაზები), კოლხები (შვეგრელ-ლაზები) და სვანები“. (იქვე, გვ. 294).

**ლაზიკა.** შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი ეხება ლაზეთ-ქანეთს. ავტორმა მს.აც ერცელი გამოკვლევა უძღვნა. იქ ის აღნიშნულ ეპოქასთან, ერცელ ცნობებს ვეაწვდის, ლაზეთის შემდგომ ხანაზედაც მრავალი მასალების გულმოდგინეთ განხილვის შემდეგ დაასკვნა, რომ ქანეთ - ლაზეთი უცვლელი საქართველოსთან ყოფილა დაკავშირებული და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. „საისტორიო წყაროები, განხილვამ ცხადყო, რომ ქანეთ - ლაზეთი არის განუყოფელი ნაწილი საქართველოსა, როგორც ეთნიკურად, ასე აგრეთვე თავისი ისტორიული წარსულით, საქართველოსთან კულტურული და სახელმწიფოებრივი ერთობით ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე“. (იქვე,

გვ. 295). მას უძღვნა ავრთვე ერცელი გამოცემა ტერიტორიის შესახებ.

**ძველი ქართული პოეზია.** ამ განყოფილებაში გრიგოლ ხანძთელი-სა და გიორგი მერძლის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, ავტორი სწავლობს მთელ ძველ ქართულ პოეზიას 5-11 საუკუნეთა, ვ. მერძლის თხზულებაში მოხსენებული „საწელიწდო იადგარი“, რომელიც დიდის ნიჭითა და ხელოვნებით ყოფილა დაწერილი გრიგოლ ხანძთელი, მიერ. ამავე სახელწოდებით გადაარჩენილი და დატულია თურმე ქართულ ხელნაწერთა კოლექციებში, რომლის გამოვლინა ეკუთვნის პ. ინგოროყვას. ეს კრებული წარმოადგენს პოეტური მიწების კრებულს. რომელთა რიცხვი აღმატება სამასს. დიდი და პატარა ზომისას. ვრ. ხანძთელისა და გიორგი მერძლის პოეტურ ძეგლთან ერთად ავტორმა კვლავ აღმოაჩინა მთელი რიგი ნიმუშები სასულიერო პოეზიისა და აქამდე ამ დარგში ცნობილ ავტორთა რიცხვი ერთი სამად ვაიზარდა.

ძველადვე მიერა შრომა აქვს გაწეული პ. ინგოროყვას ძველი ქართული პოეზიის შესწავლის საქმეში. ხოლო ამ წიგნით კიდევ ერთი დიდი ნაბოჯი გადადგა წინ. ვრ. ხანძთელი, ლიტერატურულ მემკვიდრეობათა გამოვლენით. მან ძველ ქართულ პოეზიას შესძინა უდიდესი განძი. პ. ინგოროყვამ ამ გამოცელებით მთლიანად შეაკვალა ჩვენი წარმოდგენა ძველ ქართულ პოეზიაზე. აქამდე თუ ამ წარმოდგენაში მას მკონდა ეპიზოდური ხასიათი. დღეს ოკვევა და იგივე ვეფექტობინებს. რომ ზეად კიდევ შეიძლება შეაკვალოს ეს მდგომარეობა. რომ ძველ ქართულ მწერლობაში პოეზიაც ისევე მდიდარი ყოფილა. როგორც პროზა და შეიძლება სასულიერო პოეზია თავისი ფორმით განაგრძობდა ზალზერი წარმართული პოეზიის ტრადიციებს.

ახალი ძეგლების გამოვლენასთან ერთად ავტორი ასწორებს მთელ რიგ საკითხებს. რომლინიც აქამდე მცდარად ყოფილან გაშუქებულნი. მათ შორის აღინიშნავია დავით აღმაშენებელის „ვალობანი სინანულისანი“, ინგოროყვას აზრით ეს ნაწარმოები წარმოადგენს ნიმუშს არა პროზისა, არამედ პოეზიისას. „გამომცემლები ვერ გარკვეულან მიწნოგრადიული პოეზიის თავისებურ საღეჭს ფორმაში და მიკვდავედენ ამ სავალობილს პროზის სახით. სინამდვილეში „ვალობანი სინანულისანი“ წარმოადგენს არა პროზას, არამედ დაწერილია მიწნოგრადეთაში მიღებული... უკვეთელი ლექსით. სავალობელთა „მარტყელით“. (იქვე, გვ. 599).



ამ წიგნში ავტორი ფართოდ შეისწავლის ძველი ქართული ჰაიმნოგრაფიული პოეზიის ფორმებსა და პოეტურ ზერხებს, დამყარებულია ძველ და ახალ ნიმუშებზე და შემდეგ დასკვნებს აკეთებს:

„უკვე შეიძლება ვადაქრით იოქვის, გამოვლინებული მსაღვბის საფუძველზე, რომ ქართულ ლექსს, ყოველ შემთხვევაში, ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც ქართულ პროზას.“ (იქვე, გვ. 551). „ირაკვია ამასთან, რომ ქართული ლექსი ქართული წყობილ-სიტყვა, ქართული მწერლობის ამ უძველეს პერიოდში უადრესად მდიდარი და მრავალსახოებისა ყოფილა.“ (იქვე, გვ. 551). პილვე ინგოროვამ გახსნა ძველი ლექსთა წყობის საიდუმლოებანი. აქ არ შეგვიძლია შევჩერდეთ ძველი ლექსთა წყობის სურათის წარმოდგენაზე, ხოლო აღვნიშნავთ, რომ ამ შესწავლას, გარდა ისტორიულ-მეტონიურული ღირებულებისა, აქვს პრაქტიკული ღირებულებაც თანამედროვე პოეზიისათვის.

ლექსთა წყობის პარამონიის თუ ზელოვნების პრინციპი, უდაოდ, ეროვნული სულიერ - ესთეტიური ბუნებიდან მომდინარეობს. და შეუძლებელია, რომ მსგავსი ბუნება, გამოშვლავნებული სასულიერო პოეზიის ნიადაგზე, იყოს მხოლოდ შედეგი საქრისტიანო მწერლობისა. იგივე ფორმები უნდა არსებუდყო უძველეს პერიოდშივე, ხალხურ ფოლკლორში და განსაკუთრებით წარმართული საწმენოების მსახურების ნიადაგზედაც, რომელზედაც სამწუხაროდ დღეს არაფერი ეიკით. თუ ეს აზრი სწორია, შეუძლებელია თანამედროვე პოეზიამ გვერდი აუღიოს მრავალ ათასწლეულ წელთა მანძილზე გამოვლენილ, ერთს სულიერ ესთეტიურ ფორმებს, ყოველი დრო თავისას უზატებს. მაგრამ ის შენდება მაინც ძველზე, ამიტომ ეს ნაწილი პ. ინგოროვას გამოკვლევებისა, ჩვენი პოეტებისათვის, საუკეთესო სახელმძღვანელოც წარმოადგენს.

დასასრულად, ამ შრომაში ავტორი უხვად ბეჭდავს ძველი ქართული პოეზიის ტექსტებს და ის ზდება ერთგვარ ტრესტომატიადაც.

პ. ინგოროვამ ამ შრომაში დიდი დაკვირვებითა და უხვი მასალით, ღრმა პატრიოტული აღტყინებითა და სიყვარულით მათელი მოპყინა საქართველოს ისტორიის ერთ მეტად მღელვარე ეპოქის მრავალ სადგომსა საკითხებს და გამოამწურა იმავე ეპოქის ქართული პოეზიის საუნჯე და სიმდიდრე. ეს შრომა წარმოადგენს საუკეთესო ძეგლს ჩვენი დროის სისტორიო და სალიტერატურო კვლევა - ძიების ასპარეზზე. წიგნს არ აქვს საძიებელი: მხოლოდ ესაა მისი ნაკლი!

დ. მ. ლენგი და მისი კვლევა-ძიებათა

სამეცნიერო-ისტორიულ


გ. მახვილაძე

ქართველი ერის ისტორიასა და კულტურას უცხოელთა შორის ბევრი კარგი დამუშავებული და გულშემატკივარი გამოუჩნდა. თუმცა, იმავე უცხოელთა შორის ბევრი უმარაგბლოც გამოდგა ქართული კულტურის დაუდასტურებელი საბედნიეროდ, მეგობართა რიცხვი მუდამ სქარბობდა მომხრენთა და ყალბისმქნელთა რიცხვს. ჩამოთვლა ქართული კულტურის მეგობართა შორის წავუთვინდა ეს თითქმის ყოველმა განათლებულმა ქართველმა იცის ჩვენი წერილის მიზანთემა სხვათა!

ყველამ უწყის, რომ დიდი ინგლისის ერის უბიდან გამოვიდა რამოდენიმე მეგობარი ქართველი ხალხისა და მისი ძველი, მაღალი კულტურისა. მათ შორის ნეტარად სახსენებელნი დამანი — მარჯორი და ოლივერ უორდროპნი, რომელთაც უდიდესი ღვაწლი დასდეს ჩვენი კუ-

ლტურის დაფასებისა და პოპულარიზაციის საქმეში. მისი მარჯორი ლირსა საქართველოში ძველი ედგას. თუნდაც მარტო იმისათვის, რომ მან შოთას უკუდავი ქმნილება ინგლისურ ენაზე გადათარგმნა!

ბედმა არც ესლა გვიმტყუნა! ქართულ კულტურას ახალი მეგობარი გაუჩნდა — ინგლისელი დივიდ მარშალ ლენგი, რომელიც ამჟამად ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის და აზიის-მკვლევარის ისტორიის პროფესორია. დოქტ. დ. ლენგი აღქურვილია ქართული ენის სათანადო ცოდნით. ზედმიწევნით არის დაუფლებული ევროპულ დ კლასიკურ ენებს; იცის საუკეთესოდ რუსული ენა და ამ ქვეყნის ისტორია. დოქტორ ლენგი ლონდონის უნივერსიტეტში ქართული ენისა და ისტორიის განხრით მუშაობს და ღირსეულად ითვლება ამ დარგ-



ში აველაზე საუკეთესო შეკლევარ - მეცნიერად თანამედროვე დასავლეთის მეცნიერთა შორის. ბუნებით მზიარული, მოძრავი და მუდამ კეთილად მოღობარა, სულ სხვაა მეცნიერებაში: დინჯი, დაკვირვებული ამტანი, მიუდგომელი და ერთგული თავისი მოვალეობისა, როგორც მეცნიერისა. არავითარი პირადი განწყობილება ან ვარძობა არ ამოძრავებს მას, როდესაც ვალამს ზელს ჰკიდებს. მისთვის უშთაფრესია სიმართლის კვლევა-ძიება და ისტორიის ბნელი ლაბირინთების გაშუქება.

დ. მ. ლენგა, რომელიც ამჟამად 33-34 წლის ასაკშია, სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც ამ ათოდე წლის წინ დაინტერესდა საქართველოს ისტორიითა და ქართული ენით. სპარსეთში ეციკონსულად მუშაობის დროს, მას გაუცვნია სპარსეთში საუკუნოებით გადასახლებული ქართველები, რომელნიც ქართულს კიდევ ლაპარაკობდნენ! მათმა ბედმა იგი ძლიერ დააინტერესა და გულს ჩაესახა სიმპატია ძველი ერისა. ამ ვარემოებამ გაუღვიძა მას სურვილი ქართული ენისა და ისტორიის შესწავლისა. იგი ენერგიულად ჰკიდებს ზელს ქართული ენის შესწავლას გერ ლონდონში, თვისი ქართველი ნაცნობ-მეგობრების შემწევობით და შემდეგ ნიუ იორკში, სადაც ერთი

წელი დასკო. აქ იგი დაუახლოვდა ეპ. გ. კობახიძეს, ჩვენი ქვეყნის რედაქტორს, და მასთან ერთად იუმჯობესებდა ქართული ენის ცოდნას, ლენგმა განსაკუთრებით კარგად შეისწავლა ძველი ქართული ენა. ამგვარად, მას ძველი ქართული საისტორიო წყაროები შეუძლია საესეპოთ თავისუფლად გამოიყენოს, და იყენებს კიდევ მისი შრომები, რომელნიც საქართველოს შეეხება ქართული და უცხო წყაროების ღრმა შესწავლით და გამოყენებით ხასიათდება. აქამდე მას გამოქვეყნებული აქვს ზეომეტამდე შრომა, ფრთად საყურადღებო საკითხებზე, სულ ცოტა ხნის წინ გამოვიდა მისი 333 გვერდიანი წიგნი: „ქართული მონარქიის უკანასკნელი წლები — 1658-1832“. შრომა გამოცემულია ნიუ იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტის მიერ. თვით ინგლისში ეს შრომა ოქსფორდის უნივერსიტეტმა გამოსცა, რომლის თაოსნობითაც იგივე შრომა ინდოეთში (ბომბეი), კანადაში (ტორონტო) და პაისეტანშიც (კარაჩი) გამოვიდა. ასეთი ფართო გავრცელება მხოვე დევიდ მარშალ ლენგის ამ ახალმა შრომამ, რომელიც დიდი ნიჭით და მომდომებით არის დაწერილი, ინგლისელ მეცნიერს ზედმიწევნით შეუსწავლია აღუბული ხანა ქართული და უცხო წყაროების გამოყენებით. დოქ-

ტორ ლენგის შრომების მოკლე შემოხილვას ჩვენი ყრბულის მომავალ ნომერში მოვითავსებთ. (სტეფანაშორის, თავისი შრომის ერთს ადგილას, მე-164-ე გვერდზე, დ. შ. ლენგი იხსენიებს დოქტორ ვივი კობახიძესაც, როგორც ცნობების მიმწოდებელს). ახალგაზრდა, გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერის მოღვაწეობა, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩათ არც ქართველ მეცნიერთ, საქართველოში, არც შეიძლება იყოს შეუმჩნეველი დარჩენილყო: ქართველი მეცნიერები, მოუხედავათ მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა, შეძლებისდაგვარად, მუდამ ფიზიკად ადევნებენ თვალყურს და სველეთის მეცნიერთა მუშაობას, ამიტომ ვასაოცარი არაფერია იმაში, რომ ქართველმა მეცნიერებმა დოქტორ დივიდ ლენგის მოღვაწეობაც შენიშნეს. მაგრამ, საქმე მარტო ამით არ ამოწურულა: ქართველმა მეცნიერებმა იმდენად დააფასეს ინგლისელი მეცნიერის ღვაწლი, ამაგი და სერითოდ მთელი მისი საქმიანობა, რომ მისი ზოგიერთი შრომა ქართულად გადათარგმნეს და გამოაქვეყნეს! მაგლითადაც, გასული წლის მარტის ვერნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა დ. შ. ლენგის შრომა: „ექვთიმე ქართველი და ვარლამისა და იოსა-საფასი თქმულება“, რომლის თარგმანი ეკუთვნის ხალგზრდა

და ნაჭიერ მეცნიერს, ალექსანდრე ვალაქტოინის-ძე გამყრელიძეს. მასვე თარგმნა დ. შ. ლენგის მეორე შრომა: „სიბრძნესიერებისა - ხ სათაფრისათვის“, რომელიც ა. წ. შაისის „მნათობში“ გამოქვეყნდა. ამ უკანასკნელს წამძღვარებული აქვს აღგამყრელიძის წერილი: „ახალი უცხოური ნაშრომა სულხან-საბაზ ავათა წიგნის სათაფრის შესახებ“. ახალგაზრდა მეცნიერი, ბატონი ალ. გამყრელიძე, დიდათ აფასებს დ. შ. ლენგის ღვაწლს ქართული კულტურის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში, მოგვყავს ალ. გამყრელიძის წერილიდან ერთი ადგილი: „დ. შ. ლენგი დიდი ინტერესითა და პატივისცემით ეკიდება ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლის საქმეს. მარჯვედ იყენებს ქართულ მასალას, დაკვირვებით სწავლობს მას და უკვე რამდენიმე სერიოზული გამოკვლევაც აქვს მიძღვნილი ქართველთ-მცოდნეობის საკითხებისადმი. სათაფრების უბრალო ჩამოთვლაც საქმარისად ააშკარავებს, რამდენად ფართო და ხყოფიერია ამ უცხოელი მეცნიერის კვლევის სფერო“.. და სხვა ალ. გამყრელიძე განაგრძობს: „დ. შ. ლენგი აგრძელებს ისეთ უცხოელ მეცნიერ - ქართველოლოგთა და ლიტერატურთა ტრადიციას, როგორიც იყვნენ გერმანელი არტურ ლისტი,



ინგლისელნი — ოლივერ და მარჯარი უორდროპები, ბელგიელი პეეტერსი, ამერიკელი ბლეიკ და სხვანი, რომელნიც გულდასურობით, სიყვარულით ეპყრობოდნენ ქართულ კულტურას და აცნობდნენ მის მდიდარ საუნჯეს უცხოელებს. ამნაირ მოღვაწეთა შორის მოწინავე ქართველ საზოგადოებაშიაც ყოველთვის გულისხმიერ მხარდაჭერასა და ხელისშეწყობას პოუვებდა. სობა ქვეით ქართველი მეცნიერი კიდევ აი რას სწერს: „დოქტ. დ. ლენგი გაბედულად იღაშქრებს ისეთი უცხოელი მეცნიერების წინაღობაშიც, რომელნიც ქართული კულტურისა და ისტორიის დამცობა - გაბნობრუებას ცდილობენ. ამნაირი პოლემიკური ხასიათისა იყო, მაგალითად, დოქტ. დ. ლენგის ის წერილი, რომელიც მან ცნობილი გერმანელი ბიზანტიანისტის, პროფ. ფ. დელაგერის მიერ ექვთიმე ათონელის ღვაწლის განქოტების გაბათილებას მიუძღვნა. დ. მ. ლენგი გულდონჯად, დაკვირვებით, ფეხდაფეხ მიჰყვია ფ. დელაგერის მიერ მოვეცილი არგუმენტაციის .. და .. გონებაში ხეილურად სკადა გაექაჩწეღებინა მისი მტკიცებანი“.

დ. მ. ლენგის ღვაწლი დიდად დაფასეს ისეთმა ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა, როგორიც არიან შალვა ნუცუბიძე, სე. ყაუტხიშვილი და სხ. პროფ.

შალვა ნუცუბიძემ, 1956 წლის მარტის „მნათობში“ მიათაყნა ციდი წერილი, სათაურით: „ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხები თანამედროვე დასავლურ მეცნიერებაში“, რომელშიც დ. მ. ლენგის როლს დირსუვლად აფასებს. შ. ნუცუბიძე დეივიდ მარშალ ლენგს — „ქართული ენისა და ძეგლების შესანიშნავი კოდნით შეიარაღებულ მეცნიერს“ უწოდებს, გასული წლის აგვისტოს „მნათობში“ გამოქვეყნდა პროფ. სე. ყაუტხიშვილის წერილი ქართული რომანის — ასობრძნე ბალავარისი“-ს ახალი ვარიანტის შესახებ, რომელშიც დ. მ. ლენგაც იხსენიებს.

ამგვარად, ინგლისელი მეცნიერის — დ. მ. ლენგის ღვაწლი ჩვენს სამშობლოში შესაფერისად იქმნა დაფასებულად, ეხლა გური ქართულ ემიგრაციაზეა, დარწმუნებული ვართ, რომ შეგვებული და მოწინავე ქართველობა, ემიგრაციაში მყოფი, არა ნაკლები გულისხმიერებით და მოწინაებით მოუპყრობა დ. მ. ლენგის მოღვაწეობას და ყოველნაირად შეეწავობს ხელს მას. დოქტ. ლენგი პოლიტიკის გატეშე დგას და მას არ აინტერესებს ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ცხოვრება. იგი მთლიანად ჩაფლულია მეცნიერულ მუშაობაში და დიდი უგნურება იქნება, თუ ეინმე ქართ-



ული ემიგრაციიდან მას პოლიტიკური მოსაზრებებით წაებღაუქება! თავი უნდა შეიკაონ მასთან „კამათიდან“ დილეტანტებმაც. რომელთაც თავი ქართული ისტორიის მკოდნეებად მოაქეთ, თავზედ ბუზს არ აიფრენენ! ერთმა ასეთმა დილეტანტმა თავის „ქახუბით“ განსვენებული რ. მკელაინი, ქართული ევლტურის მოამავე გერმანელი მეცნიერი, მტრად ვადაგვიდა! ენცე დ. მ. ლენგს კარგად აცნობს ის

დაგვეტრწმუნება, რომ ინგლისელი მეცნიერი ამ მსროვ ურყევი იქნება, რადგან მას დიდი აღლო აქვს და იცის ემიგრაციის ფსიქოლოგია.

ვესურეთ დოქტორ ლენგს ხაყოფიერი მუშაობა. წარმატება მეცნიერების ასპარეზზე და პარად ცხოვრებაში ბედნიერება. მის ცოტა ხნის წინად შეეძინა კაფიშვილი. რომელსაც თავისთვე სახელი — დევიდ მარშალი ეწოდა).



**მიქელ თარბნიშვილის ღვაწლი**

მეცნიერმა მღვდელმა, მამა მიქელ თარბნიშვილმა კარგა ხანია მოიქცია ყურადღება დასავლეთის ქართველოლოგთა. მის კალამს ეკუთვნის რამოდენიმე საყურადღებო შრომა ქართული ელესიისა და საეკლესიო ლიტერატურის დარგში. აგა ძლიერ ფხიზლად იდევნებს თვალურს დასავლეთის მეცნიერთა მუშაობას საქართველოს ისტორიისა და ევლტურის შესწავლის სფეროში და მკისვე ებმებურება ყველაფერს, რაც ეს მშობელი ქვეუნის არგველივ იწერება. ქართველ ემიგრანტთა შორის ასეთი ერთგული, ნიჭიერი და კარგად მომზადებული დამცელი ქართული ევლტურისა, თითზე ჩამოსათვლელია!

უკანასკნელ წლებში მ. მ. თარბნიშვილის შრომებმა ცხოველი გამოხმაურება ქოვე დასავლეთის მეცნიერთა შორის. აგა ჩაება მეცნიერულ კამათში ცნობილ გერმანულ მეცნიერთან — პროფ. ფ. დოელგერთან. როგორც დ. მ. ლენგის, ისე მიქელ თარბნიშვილის ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩა არც საქართველოში. პროფ. შალვა ნუცუბიძე იმავე წერტილში სათანადო პატივისცემით იხსენიებს მ. თარბნიშვილსაც. „დისკუსიაში მონაწილეობს აგრეთვე მკელაინი მიქელ თარბნიშვილი, რომემაც ქართულ ძველებზე დამყარებით დაბეჭდა ნაშრომი გერმანულ ენაზე: „ექვთიმეს ლიტერატურული მოღვაწეობის საწყისები და ბარდა სელეროსის



ფანეცხა“ („ორიენს ქრისტიანულს“, 6). — „პროფ. დოვლგერმა უპასუხა მ. თარხნიშვილს 1955 წელს და ამ პასუხიდან ნათელია, რამდენად მნიშვნელოვან საკითხს შეეხო ეს უკანასკნელი. საკითხი ეხება თარიღს — როდის დაიბადა ექვთიმე ივერი“. „მ. თარხნიშვილის საბუთებში გააბათილეს დოვლგერის

მოწმის ჩვენება“ (იხ. შალვა წულუბიძე — „ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხები თანამედროვე დასავლურ მეცნიერებაში“, „მნათობი“, მარტი, 1956 წ. გვ. 146).

აქედან ცხადად ჩანს, თუ რა დადებით მუშაობას აწარმოებს შამა მიქელი და როგორ აფასებენ მის ღვაწლს საქართველოში.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXX

შემომწირველნი: — მარიამ კობახიძე — 450 ლლარი; გივი კობახიძე — 450; გიორგი გამყრელიძე — 60; ვანო კობახიძე — 60; ქ. კოლხელი — 45; შვედბარი — 40; ვანო ანდრონიკაშვილი — 20; მიხ. დადიანი — 20; თამარ და აკაკი პაპავა — 20; ალ. კულუჩაძე — 20; სერგო გოვარტიანი — 13; მოსე შანიძის ხსოვნისათვის, ოღლა შანიძე — 10; ირაკლი ოთხმეტური — 6; ვანო ანშუტელი — 5; პაულე კვარაცხელია — 5; აკაკი გამსახურდია — 3; ალ. ჯინჭარაძე — 2; ვანო ნანუაშვილი — 1; ალ. შაღლაძე — 1; — ს უ ლ: 1 8 8 1 ლლარი.

ქალბატონი იულია კობახიძის ხელით, საფრანგეთიდან: — აკაკი შავცელიძე — 5000 ფრანკი; ქეთევან ვაჩნაძე — 1000; ვასილ წულაძე — 1000; აკაკი ბელიაშვილი — 1000; მიხეილ ჩუბინიძე — 1000; მიხეილ ცაგარელი — 500; ალ. კინჭუტაშვილი — 500; პაგრატ წულაძე — 500; ილია თაყაიშვილი — 500; ქალბატონი რამიშვილი — 500; ექტორ ხომერტი — 500; ინდიკო პაპუაშვილი — 500; დავით ქვარიაანი — 350; გრიგოლ მგალობლიშვილი — 300; მიხეილ გრიგოლია — 300; — მათეო სტურუა — 300; გიორგი ყიფიანი — 200; ჯიმო ვანჩელი — 200; — ს უ ლ: 14150 ფრანკი.

„ქართველი ერი“-სა და „კრებულნი“-ს რედაქცია შემომწირველთ უდიდეს მადლობას მოახსენებს, განსაკუთრებით შემომწირველთ საფრანგეთიდან! იმედია, მზარუნეულობა მომავალშიც არ შეწყდება!

რედაქტორი და გამოცემელი — ექსპ. შიში კობახიძე